3. წინამდებარე წესები და ნორმები შემუშავებულია ინსტრუქციულ-მეთოდურ და ნორმატიულ დოკუმენტებზე, საქართველოს კანონმდებლობაზე, საქართველოს შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინს-ტროსა და სხვა საკანონმდებლო აქტებზე, სამთავრობო დადგენილებებზე მოქმედ სტანდარტებსა და წესებზე დაყრდნობით.

4. წესები ვრცელდება წყლის მაქსიმალური დონიდან ხმელეთის 2კმ სიგანის ზოლზე საქართველოს ტერიტორიული წყლების სანაპირო რაიონებზე, ქალაქის სანაპირო ზონებისა და ზღვაში ჩამავალი მდინარეების შესართავებზე, რომელიც გამოიყენება და პერსპექტიულია მოსახლეობის სარეკრეაციო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ და სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის.

5. წესებით რეგლამენტირებულია:

ა) ზღვის წყალმომხმარების რაიონის ორგანიზაციის წესი და მისი სანიტარიული დაცვის ზონის დადგენა;

ბ) დაცულ რაიონებში ზღვის წყლის შედგენილობასა და თვისებებზე მოთხოვნები;

გ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სარეკრეაციო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სასმელ-სამეურნეო ზღვის წყალმომხმარების პირობების შესაქმნელი ღონისძიებები.

6. ზღვის სანაპირო წყლის კომპლექსურად გამოყენებისას წყალდამცავი ღონისძიებები იგეგმება ჰიგიენური ინტერესებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის პრიორიტეტზე დაყრდნობით.

7. წინამდებარე სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნები სავალდებულოა ყველა იმ წყალმომხმარებლისათვის, რომელთა საქმიანობამაც შეიძლება გამოიწვიოს ზღვის წყლის ხარისხისა და თვისებების შეცვლა. წყალდამცავი ღონისძიებების პროექტების დამუშავება უნდა ხდებოდეს წინამდებარე წესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე ჰიგიენურ ნორმატივებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;

ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;

გ) საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“;

დ) საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

ე) საქართველოს კანონი: „წიაღის შესახებ“;

ვ) საქართველოს კანონი: „საზღვაო სივრცის შესახებ“;

ზ) საქართველოს კანონი: „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“;

თ) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის №807 ბრძანებულება „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999–2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“.


III. ზოგადი დებულებები

1. წყალმომარებისა და ზღვის სანაპირო წყლების დაცვის სფეროში კონტროლს ახორციელებს სანიტარიული ზედამხედველობისა და გარემოს დაცვითი სახელ-მწიფო სამსახურები.

2. წყალმომარების რაიონების გაბინძურებისაგან დასაცავად, მოსახლეობის მიერ სარეკრეაციო, სასმელ-სამეურნეო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით წყლის გამოყენებისას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აკვაკულტურების წყაროების უსაფრთხო პირობების შესაქმნელად დგინდება ზღვის წყალმომარების დაცული რაიონები, რომლებშიც შედის აგრეთვე ზღვის წყალმომარების რაიონების სანიტარიული დაცვის ზონები და ხმელეთის სანაპირო ზოლი.

3. ზღვის წყალმომარების სანაპირო რაიონების საზღვარი დგინდება წყლის მოჭრის ხაზიდან ზღვის სიღრმეში არანაკლებ 2 მილისა (3,9კმ).

4. შენიშვნა: კონკრეტული სანიტარიული, ჰიდროფი-ზოოლოგიური, ტოპოგრაფიულ-ჰიდროლოგიური თავი-სებურებისა და, აგრეთვე, ზღვის სანაპიროს სახალხო-სამეურნეო გამოყენების პირობების მიხედვით, სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნებითა და მათთან შეთანხმებით, ზღვის წყალმომარების სანა-პირო რაიონი შეიძლება გაგრძელდეს ზღვისკენ.



ნახ. 1. ზღვის წყალმობმარების დაცული რაიონის სქემა

5. მოსახლეობის წყალმობმარების რაიონის სანიტარი-ული დაცვის ზონის საზღვარი განისაზღვრება ზღვის მიმართულებით ტერიტორიული წყლების საზღვრით და წყალმობმარების რაიონიდან ორივე მხარეზე წყლის მოჭრის ხაზის გასწვრივ 10კმ-ზე (ნახ. 1).

6. დაცულ რაიონებში საზღვრებს, რეჟიმსა და სამეურნეო საქმიანობის თანამიმდევრობას ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სხვა კომპეტენტურ უწყებებთან შეთანხმებით იმ გეგმური და საპროექტო მასალების აუცილებელი ჩათვლით, რომლებიც ითვალისწინებენ ზღვის წყლის სარეკრეაციო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სასმელ-სამეურნეო მოთხოვნებისათვის პერსპექტიულ გამოყენებას.

7. მოსახლეობის წყალმობმარების რაიონებში ზღვის სანაპირო წყლებში ჩასატარებელი არც ერთი სახის სამუშაო არ უნდა იწვევდეს ზღვის წყლის ხარისხის გაუარესებას.

8. ზღვის სანაპიროს განვითარებისა და ათვისების გენერალური სქემისა და ზღვისპირა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავება უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სანაპირო წყლების შეცვლილი ხარისხის მოქმედების შესაძლო შედეგების ჰიგიენური და სოციალურ-ეკონომიკური შეფასების პროგნოზის შესაბამისად.

9. ზღვისპირა და 2კმ სიგანის ზღვის სანაპირო ზოლში ახალი და ექსპლუატაციაში მყოფი საქმიანობის ობიექტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს წყალმობმარების რაიონის დაბინძურებისა და საავარიო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებათა კომპლექსი, ხოლო ავარიის შემთხვევაში – მათი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

ა)შენიშვნა: წყალდამცავმა ღონისძიებებმა, რომლებიც ტარდება ზღვაში ჩამავალი მდინარეების აუზში, წყალმობმარების დაცული რაიონის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს წინამდებარე წესებითა და ნორმებით რეგლამენტირებული ზღვის სანაპირო წყლის ხარისხი.

10. სანაპირო წყლის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და წინამდებარე წესების მოთხოვნების დაცვით.

IV. მოთხოვნები ზღვის სანაპირო წყლის ხარისხზე

1. ზღვის სანაპირო წყლის ფიზიკურ-ქიმიური და მოკრობიოლოგიური მაჩვენებლების რეგლამენტირებულმა დონეებმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სარეკრეაციო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სასმელ-სამეურნეო (გამტკნარებული) წყალმობმარების უსაფრთხოება.

2. ზღვის დაცული რაიონების (წყალმობმარების რაიონი და სანიტარიული დაცვის ზონები) ზღვის წყლის შედგენილობა და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს 1-ლ (ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით) და მე-2 ცხრილში (სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით) მოყვანილ მოთხოვნებს.

3. მიმდინარე კონტროლის წესით განისაზღვრება ზღვის წყლის ეპიდემიური უსაფრთხოების ძირითადი მიკრობიოლოგიური მაჩვენებელი – ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირი (ლჩჩ), აგრეთვე კოლიფაგები, როგორც ვირუსული გაბინძურების მაჩვენებელი.

4. დამატებითი გამოკვლევები წყლისა და ფსკერის დანალექში ინფექციური დაავადებების (სალმონელა, მუცლის ტიფი, პარატიფი, დიზენტერია) გამომწვევების არსებობაზე და სხვა პათოგენურ მიკროორგანიზმებზე ტარდება წყალმობმარების რაიონების განმეორებითი კვლევისას, როცა დაბინძურების დონე, ძირითადი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, აღემატება დასაშვებს, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით. თუ წყალში არ აღინიშნება ინფექციური დაავადებების გამომწვევი, სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია ნებართვის გაცემა სარეკრეაციო წყალმობმარებაზე ზღვის მოცემულ მონაკვეთში იმ პირობით, თუ მაქსიმალური დღიური სარეკრეაციო დატვირთვის პერიოდში ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირის ინდექსი არის არა უმეტეს 25000, კოლიფაგის ინდექსი კი – 500.

5. შენიშვნა:

ა) ეპიდემიის მიხედვით წყლის ანალიზების ჩატარებისას სარეკრეაციო ადგილებში 1 დმ³ წყალში პარაჰემოლიტიკური ვიბრიონების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000, წყლის ალების წერტილში კი – 500.

ბ) ადამიანის კანისა და ლორწოვანის დაავადებების წარმოქმნის საშიშროების შესაფასებლად დამატებით ისაზღვრება ლეციტინაზადადებითი სტაფილოკოკები, რომელთა რაოდენობა წყლის დმ³-ში არ უნდა აღემატებოდეს 100.

გ) ზღვის წყლის მიკრობული დაბინძურების წყაროს გამოსავლენად და მისი ხასიათის დასაზუსტებლად განისაზღვრება ეშერიხია კოლი და ენტეროკოკები, რომელთა რაოდენობა 1 დმ³ წყალში არ უნდა აღემატებოდეს 1000.

დ) ფსკერის დანალექებში წყლის ხარისხის მაჩვენებლებთან შედარებით დასაშვებია მიკრობული დაბინძურების 10-ჯერადი ზრდა.

ცხრილი 1

მოთხოვნები ზღვის წყლის შედგენილობასა და თვისებებზე მოსახლეობის წყალმომარების რაიონებში და სანიტარიული დაცვის ზონებში		
ზღვის წყლის შედგენილობისა და თვისებების მაჩვენებლები	წყლის შედგენილობისა და თვისებების ზღვრულად დასაშვები მაჩვენებლების ნორმები და მოთხოვნები	
	წყალმომარების რაიონი	სანიტარიული დაცვის ზონა
მოტივტივე ნაწილაკები	წყლის ზედაპირზე და წყლის ზედა ფენაში არ უნდა იყოს ზღვის წყლისათვის არადამახასიათებელი მოტივტივე ნივთიერებები	წყლის ზედაპირზე და წყლის ზედა ფენაში არ უნდა იყოს ზღვის წყლისათვის არადამახასიათებელი მოტივტივე ნივთიერებები
სუნი	ზღვის წყლისათვის უჩვეულო სუნის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს აღქმის ზღვარს @ (2 ბალი)	ზღვის წყლისათვის უჩვეულო სუნის ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს აღქმის ზღვარს @ (2 ბალი)
გამჭვირვალობა ¹	სნელენის შრიფტით არა- ნაკლებ 30 სმ	სნელენის შრიფტით არა ნაკლებ 30 სმ
შეფერილობა ²	დაუშვებელია ზღვის წყლის 10 სმ სვეტში	არ არის რეგლამენტირებული
pH	6,5-8,5 (მერყეობა არ უნდა აღემატებოდეს ± 1 ფონის მნიშვნელობის ერთეული)	6,5-8,5
გახსნილი ანაბადი	არანაკლებ 4,0 მგ/დმ ³	არანაკლებ 4,0 მგ/დმ ³
ჟმბს ⁴	არა უმეტეს 3,0 მგ/დმ ³ O ₂	არა უმეტეს 3,0 მგ/დმ ³ O ₂
ქიმიური ნივთიერებები ³ (ზღვის წყლის მარილოვანი შედგენილობის გარეშე)	შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს ზღვ“-ს და სდდ“-ს, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სასმელ-სამეურნეო და კულტურულ საყოფაცხოვრებო წყალმომარების წყალსატეხებისათვის	არ არის რეგლამენტირებული

1. შენიშვნა:

ა) 1,2 იმ შემთხვევაში, როდესაც გამჭვირვალობის მაჩვენებლის შემცირება და შეფერილობა განპირობებულია ადგილობრივი ჰიდროლოგიური პირობებითა და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით, მათი მნიშვნელობა რეგლამენტირებული არ არის.

ბ) ქიმიური ნივთიერებების ჩაშვება სანიტარიული დაცვის ზონაში შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცულია წყალმომარების რაიონის წყლებში ნივთიერებათა ნორმატიული შემცველობა.

გ) განსაზღვრული გაბინძურებისას, რომელიც აღემატება დადგენილ ნორმატივს, გაბინძურების ხასიათისა და ხარისხის შეფასება ტარდება ზოგადი სანიტარიული სიტუაციისა და ზღვის წყლის გაბინძურების სხვა პირდაპირი და არაპირდაპირი სანიტარიული მაჩვენებლების გათვალისწინებით (ჟმბ სრულის ჩათვლით).

ცხრილი 2

მოთხოვნები ზღვის წყლის ხარისხისადმი სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით მოსახლეობის წყალმომარების რაიონებში*				
მაჩვენებლები	მიკროორგანიზმების რაოდენობა წყლის 1დმ ³ (ინდექსი) არ უნდა აღემატებოდეს			
	ბანაობა	საწყალსონო სპორტი, აგრეთვე დასახლებული ადგილების ფარგლებში	წყალაღების ადგილები საცურაო აუზებისა და წყალსამკურნალო დაწესებულებები-სათვის	წყალაღების ადგილები გამამტკნარე-ბელი დანადგარებისათვის
ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირები ლნჩ	5000	10000	100	1000

*ზღვ _ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია

** სდდ _ საორიენტაციო დასაშვები დონე

ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლი-ინდექსი)	10000	—	—	—
კოლიფაგი (ემერიხიას ფაგი)	100	—	—	—
ენტეროვირუსი	0	—	—	—
ფეკალური სტრეპტოკოკი	<1000	—	—	—
ოქროსფერი სტაფილოკოკი	<1000	—	—	—
პათოგენური* საერთო (მათ შორის სალმონელა)	0	—	—	—

ა) სანიტარიული დაცვის ზონაში რეგლამენტირებულია ნახმარი წყალსარიანების პირობების გათვალისწინებით, რომელთა გაწმენდისა და გაუვნებლობის ხარისხმა უნდა უზრუნველყოს კოლი-ინდექსი არა უმეტეს 1000 და კოლიფაგის ინდექსი არა უმეტეს 1000 ნეგატიური კოლონიების რაოდენობა დმ³-ში.

ბ) დამატებითი გამოკვლევები ტარდება სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მითითებით.

V. მოთხოვნები ზღვის წყლის დაცვაზე სამეურნეო საქმიანობისას

1. მოცემული თავის მოთხოვნები ვრცელდება ყველა სახის ნახმარი წყლის ჩაშვების პირობებზე: საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, სამრეწველო, ზედაპირული, დრენაჟული, სარწყავი და სხვა. სამრეწველო, საყოფაც-ხოვრებო-სამეურნეო, კულტურულ-გამაჯანსაღებელი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტის ექს-პლუატაციის, დაპროექტების და რეკონსტრუქციისას, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და სამუშაოს სახეობისაგან დამოუკიდებლად.

2. მოსახლეობის წყალმომარების რაიონში აკრძალულია ყველა სახის გადანაყარისა და ნახმარი წყლის ჩაშვება, გაწმენდილი და გაუსნებოვნებული, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, სამრეწველო, სანიაღვრე, საკოლექტორო-სადრენაჟო და სხვა სახის ჩამდინარე წყლების ჩათვლით.

3. სანიტარიული დაცვის ზონაში აკრძალულია:

ა) ყველა სახის გაუწმენდავი და გაუსნებოვნებული ნახმარი წყლის ჩაშვება;

ქიმიური ნივთიერებების, დაბინძურებული ფსკერის დანალექისა და გრუნტის ჩამარხვა, რომლებიც წარმოიქმნება ფსკერის გასადრმავებელი სამუშაოების ჩატა-რების შედეგად;

ბ) პულპების, კუბური ნარჩენებისა და ნალექების ჩაშვება, რომლებიც წარმოიქმნება ნახმარი წყლის გაუვნებლობის შედეგად და გემების ექსპლუატაციისას.

გ) ნახმარი წყლების, მათ შორის გაწმენდილისა და გაუსნებოვნებულის, ჩაშვება:

გ.ა) თუ ისინი შეიცავენ ნივთიერებებს, რომლებზეც არ არის დადგენილი ზღვ და სდდ და რომელთათვისაც არ არსებობს ანალიზური კონტროლის მეთოდები;

გ.ბ) თუ ისინი შეიძლება გამოიყოს წყალსარიანი სისტემებიდან რაციონალური ტექნოლოგიის გზით ან წყალ-მომხმარების საბრუნავ სისტემებში გამოყენებისას;

გ.გ) თუ ისინი შეიცავენ სამრეწველო ნედლეულს, რეაგენტებს, წარმოების შუალედურ პროდუქტებს, ან საბოლოო პროდუქტებს, ფასეულ ნარჩენებს, რომელთა უტილიზაცია შესაძლებელია არსებულ ან სხვა საწარმოში;

გ.დ) თუ შეიცავენ ინფექციური და პარაზიტული დაავადებების გამომწვევეებს;

გ.ე) თუ წარმოიქმნება ნავთობისა და გაზის მოპოვებისას, ჭაბურღილების ბურღვისას, პლატფორმებისა და გემების ექსპლუატაციისას იმ ნახმარი წყლის გამოკლებით, რომლის გაწმენდა და გაუსნებოვნებაც მოხდა გემის მოწყობილობებზე და მისი მაჩვენებლები ცხრილში მოცემულის ტოლია:

— გზა	50მგ/დმ ³
შეწონილი ნივთიერებები	100მგ/დმ ³
ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირის რაოდენობა (კოლი ინდექსი)	1000კლ/დმ ³
ნარჩენი ქლორი	1,5-დან 5,0 მგ/დმ ³ - მდე

დ) ჩაშვება უნდა წარმოებდეს გემის მოძრაობისას წყლის მოძრაობასთან შეფარდებით არანაკლებ 4 კვანძის სიჩქარით და არ უნდა წარმოქმნიდეს თვალხილულ მცურავ ნივთიერებებს, არ უნდა ცვლიდეს წყლის ფერს;

ე) თუ მავნე ნივთიერებების შემცველობა აღემატება მოცემული ნახმარი წყლისათვის დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ჩაშვებას (ზდჩ).

ვ) შენიშვნა:

ვ.ა) ზღრ-ს გაანგარიშება წარმოებს ნივთიერებების ზღვ-ს გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლისა და თევზსამეურნეო წყალსატევებისათვის, იმ ჰიდროლოგიური სიტუაციისათვის, რომელიც ითვალისწინებს ზღრ გამოთვლის შედეგების დამახინჯების შესაძლებლობას და დაბინძურების გავრცელებას წყალმომხმარების რაიონებში.

4. დასაცავი რაიონების ხმელეთის ორ კილომეტრიან ზოლში, რომელიც ათვლილია ზღვის მაქსიმალური დონის ხაზიდან და დადგენილია მოცემულ ადგილებში, აკრძალულია:

ა) შხამქიმიკატების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და სხვა სავარგულის დამუშავების დროს;

ბ) საწყობების მშენებლობა ქიმიური ნივთიერებების შესანახად, მათ შორის შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების, საწვავ-საპოხი მასალების, სასოფლო-სამე-ურნეო ავიაციისათვის ასაფრენ-დასაჯდომი მოედნის მოწყობა, აგრეთვე სხვა ობიექტებისა და ნაგებობების მოწყობა, რომლებიც გავლენას ახდენენ სანაპირო წყლის ხარისხზე;

გ) საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საწარმოების არაუტილიზებული ნარჩენების პოლიგონებისა და ნახმარი წყლების შემგროვებლების მოწყობა, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებისა და კომპლექსების მშენებლობა;

დ) დღე-ღამეში 1 მ³-ზე მეტი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ნახმარი წყლების შემგროვებელი ორმოების მოწყობა და ექსპლუატაცია;

ე) საასენიზაციო მინდვრების, თხიერი გადანაყრების მისაღები და გამაუსნებოვნებელი ნაგებობების მოწყობა;

ვ) საფილტრაციო და სარწყავი მინდვრების მოწყობა;

ზ) ატმოსფეროში გამონატყორცნების წარმოქმნილი საწარმოების მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ზღვის დაბინძურებას.

5. ტრასის, საინჟინრო-ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შერჩევა წყლის ღრმა ჩაშვების განლაგებაზე, ასევე ზღვის სანაპირო ზოლში ნახმარი წყლის განზავების ხარისხის გამოთვლა უნდა წარმოებდეს ზღვის წყლის ყველაზე უარესი მაჩვენებლების გათვალისწინებით მაქსიმალური წყალმომხმარების პერიოდში.

6. კონტინენტური შეღვის საზღვრების დამთხვევისას დაცული რაიონების საზღვრებთან, მოთხოვნები შეღვზე ზღვის წყლის შედგენილობასა და თვისებებზე უნდა პასუხობდეს მოცემული წესების მოთხოვნებს.

7. გემები, ასევე საზღვაო, სავაჭრო, მეთევზეობისა და სხვა პორტები, რომლებიც ემიჯნება დაცულ ზღვისპირა რაიონებს, უნდა აღიჭურვოს და მოეწყოს სპეციალური სანიტარიული ტექნიკით და ზღვის დაბინძურებისაგან დამცავი საშუალებებით.

8. რეიდზე და პორტებში მდგარმა გემებმა ნახმარი წყალი უნდა შეაგროვონ და ჩააბარონ ან შემგროვებელ გემებს, ან ნაპირზე. გამონაკლისს წარმოადგენს გემები არა უმეტეს 10 კაცის შემადგენლობით, თუ ისინი არ არიან აღჭურვილი დახურული ფანური სისტემით.

9. შავი ზღის გაბინძურებისაგან დაცვის საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი ევალება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებულ შავი ზღვის კონვენციურ ინსპექციას.

VI. ზღვის წყლის ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის წესი

1. წყალმომხმარებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ სისტემატური ლაბორატორიული კონტროლი გამწმენდი ნაგებობების მუშაობაზე, გაწმენდილი ნახმარი წყლების ხარისხზე და ასევე ზღვისპირა დაცული რაიონის წყალმომხმარების საკონტროლო პუნქტებში ზღვის წყალზე.

2. კონტროლის წესი, რომელსაც ახორციელებენ წყალმომხმარებლები (საკონტროლო პუნქტების შერჩევა, საანალიზო მაჩვენებლების ჩამონათვალი, გამოკვლევების სიხშირე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ნახმარი წყლის კომპონენტების საშიშროების ხარისხის გათვა-ლისწინებით), უნდა შეთანხმდეს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ორგანოებთან და დაწესებულებებთან ზღვისპირა დაცვის რაიონში სანიტარიული სიტუაციის, ადგილობრივი ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური პირობებისა და წყალმომხმარების სახეობის მიხედვით.

3. გეგმური ლაბორატორიული კონტროლი ზღვის წყლის ხარისხზე მოსახლეობის საბანაო ადგილებში და არჩევითი კონტროლი გასამტკნარებელი დანადგარებისათვის წყალსაღებ

ადგილებში, სამკურნალო და საცურაო აუზებში, და აგრეთვე, დასახლებული პუნქტების ფარგლებში ხორციელდება სანიტარიული ზედამხედვე-ლობისა და გარემოს დაცვითი სამსახურების მიერ.

VII. ძირითადი ტერმინები და განსაზღვრებები

დანართი 1

1. წინამდებარე სანიტარიულ წესებში მიღებულია შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:
2. პორტის აკვატორია – წყლის ობიექტის მონაკვეთი, რომელიც ეკვრის პორტის ნავსადგომის კედელს, იგი ნავმისაბმელის კედლის სიგრძის ტოლია, ხოლო სიგანით 1 კმ-მდეა;
3. უახლესი ნაპირი – საწყისი ხაზი, საიდანაც 24.12.98 წლის კანონის „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ თანახმად, ათვლილია საქართველოს ტერიტორიული წყლების სიგანე;
4. საქართველოს შიდა საზღვაო წყლები მოიცავს:
 - ა) საქართველოს ნავსადგურების შიდა აკვატორიას, ნავსადგურს შესასვლელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების უკიდურესი წერტილების შემაერთებელი საწყისი ხაზებიდან ნაპირის მიმართულებით;
 - ბ) საქართველოს მდინარეთი შესართავებს მდინარის სიგანეზე გავლებული სწორი ხაზებიდან, რომლებიც აერთებენ მის ნაპირებზე განლაგებული საწყისი ხაზების შესაბამის წერტილებს;
 - გ) ზღვის ნაწილს, რომელიც მოქცეულია სანაპირო ზოლისა და იმ საწყის ხაზებს შორის, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე;
5. მოსახლეობის წყალმომარება – ზღვის წყლის გამოყენება საბანაო, საწყალოსნო სპორტის, წყალ-მკურნალობისა და საცურაო აუზებისათვის, გამტკნარების შემდეგ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, ასევე დასახლებული პუნქტების საზღვრებში.
6. ზღვის გარემოს გაბინძურება – ზღვის გარემოში, მათ შორის, ესტუარიაში ნივთიერებების, მიკროორგანიზმების ან ენერჯის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეტანა, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ცოცხალ რესურსებს, საფრთხე შეუქმნას ზღვაში სიცოცხლის არსებობასა და ადამიანის ჯანმრთელობას, ხელი შეუშალოს ზღვაზე საქმიანობას, თავზაჭერასა და ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, გამოიწვიოს გამოსაყენებელი წყლის ხარისხისა და დასვენების პირობების გაუარესება;
7. საზღვაო სანიტარიული რაიონები:
 - ა) პირველი საზღვაო სანიტარიული რაიონი (წყლით სარგებლობის ზონა) – საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგანე 12 საზღვაო მილია. ამ ზონაში აკრძალულია ნავთობშემ-ცველი ნარევების, გემების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნარჩენების, გემის გამდინარე წყლებისა და ტანკერებიდან სუფთა ბალასტის ზღვაში ჩაშვება.
 - ბ) მეორე საზღვაო სანიტარიული რაიონი – სანაპირო ზონა, რომლის სიგანე 50 საზღვაო მილია. ამ ზონაში აკრძალულია ნავთობშემცველი წყლების და სუფთა ბალასტის ზღვაში ჩაშვება, იმ შემთხვევების არდა, როდესაც იმავდროულად სრულდება ”გემებიდან გაბინ-ძურების თავიდან აცილების შესახებ” საერთაშორისო კონვენციით დადგენილი მოთხოვნები.
8. სანიტარიული დაცვის ზონა – ტერიტორია და აკვატორია, რომელზეც დადგენილია განსაკუთრებული სანიტარიულ-ეპიდესაწინააღმდეგო რეჟიმი წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად;
9. წყლის გაბინძურების წყაროები – წყაროები, რომლებსაც ზღვის გარემოში შეაქვთ წყლის გამბინძურებელი ნივთიერებები, მოკროორგანიზმები ან ენერჯია;
10. წყლის ხარისხი – წყლის შედგენილობისა და თვისებების დახასიათება, რომელიც განსაზღვრავს მის ვარგისიანობას წყალსარგებლობის კონკრეტული სახი-სათვის;
11. საზღვაო მილი – მანძილი, რომელიც 1852 მ-ის ტოლია.
12. ჩამდინარე წყლის გაუვნებლება – ჩამდინარე წყალი, დამუშავებული წყლიდან მანე და რადიოაქტიური ნივთიერებების მოცილების მიზნით;
13. ჩამდინარე წყლის გაუსნებოვნება – ჩამდინარე წყლის დამუშავება პათოგენური და სანიტარიულ-მაჩვენებელი მიკროორგანიზმების მოსაცილებლად;

14. დაცული რაიონი – ზღვის აკვატორია და ხმელეთის ორკილომეტრიანი უბნები, განსაზღვრული მოსახლეობის ფაქტობრივი და პერპექტიული წყალმომარების რაიონების საზღვრებითა და მათი სანიტარიული დაცვის ზონებით.

15. ზღვის სანაპირო წყალი – ზღვის ზონა, რომელიც ეკვრის სანაპირო ზოლს, მდინარეების ესტუარიის ჩათვლით;

16. წყალმომარების რაიონი – სარეკრეაციო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი წყალმომარების და მოსახლეობის სასმელ-საყოფაცხოვრებო წყალაღების აკვატორია.

17. საწყისი ხაზები – სანაპირო ზოლი ზღვის მაქსიმალური უკუქცევის დროს ან სწორი ხაზები, რომლებიც აერთებენ ზღვაში ნაპირის ყველაზე დაშორებულ წერტილებს, ღუზაზე სადგომი რეიდების, ჰიდროტექნიკური და სხვა მუდმივი სანავსადგურო ნაგებობების ჩათვლით.

18. ფანური წყალი – გემის საყოფაცხოვრებო ფეკალური ნახმარი წყალი.

19. საქართველოს ტერიტორიული წყლები – შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრე-ზიდენტი.

ბიბლიოგრაფია

1. Санитарные правила и нормы охраны при-брежных вод морей от загрязнения в местах водопользования населения. СанПиН №4631-88. Москва. 1988.

2. ზედაპირული წყლის გაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესები და ნორმები”. სანწდან.

3. წყალმომარების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები”. სანწდან.

4. Convention on Protection of the Marine Environment Against the Pollution Generated on the Ship. 1992.

5. Guidelines for safe Recreational – Water Environments: Coastal and Fresh-waters. WHO. Geneva. 1998.

2.1.4. სასმელი წყალი და დასახლებული ადგილების წყალმომარაგება

წყალმომარაგების წყაროების და სასმელ–სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების

სანიტარიული დაცვის ზონები

Zones of Sanitary Preservation Water

Pipelines for Economy and Drinking Purposes

სანიტარიული წესები და ნორმები

სანწდან 2.1.4. 000 – 00

კარი I. ზოგადი ნაწილი

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების შესაბამისად: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, „გარემოს დაცვის შესახებ” და „წყლის შესახებ”. კანონმდებლობის თანახმად სასმელ-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმომარაგებისათვის, სამკურნალო და საკურორტო საჭიროებისათვის გამოყენებული წყლის დასაცავად იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები.

2. მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობექტის დაცვის წესების გამოყენება უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის წყალზე.

II. ნორმატიული დამოწმებები

(ამოღებულია)

III. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები (სწდან) განსაზღვრავს წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონების (სდზ) მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს.

2. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები გამიზნულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის, იმ ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას და ეკოლოგიურ კონტროლს ახორციელებენ.

3. სდზ-ის მოწყობა ხდება ყველა ზედაპირული და მიწისქვეშა წყაროების წყალსადენებზე, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა. სდზ-ში რეჟიმის შექმნისა და უზრუნველყოფის ძირითადი მიზანია წყალმომარაგების წყაროების, წყალსადენის ნაგებობების და აგრეთვე იმ ტერიტორიების დაცვა გაბინძურებისაგან, სადაც ისინია განლაგებული.

4. „წყლის კანონის“ თანახმად სდზ უნდა მოეწყოს 3 სარტყლად:

ა) პირველი სარტყელი (მკაცრი რეჟიმის ზონა) მოიცავს ტერიტორიას, სადაც მდებარეობს წყალმომარაგების წყლის ობიექტი, წყლის აღების უბნების და წყალსადენის ნაგებობების განლაგების ფარგლებში. აუცილებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებული სანიტარიული მაჩვენებლებიდან გამომდინარე და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, პირველ სარტყელში ჩაირთვება ასევე წყლის აღების უბნებისა და წყალსადენის ნაგებობების განლაგების მიმდებარე ტერიტორია.

ბ) პირველ სარტყელში აკრძალულია:

ბ.ა) იმ პირთა ცხოვრება და დროებით ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი წყალსადენის ნაგებობების მომსახურებასთან, გარდა იმ პირებისა, რომლებიც წყალსადენის ტექნიკური საჭიროებიდან გამომდინარე, ჩარიცხულნი არიან მომსახურე პერსონალის სამტატო განრიგში და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირების გარდა;

ბ.ბ) ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელისა); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის ძოვება და დარწყულება, რეცხვა, თევზჭერა, შხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით;

გ) მეორე სარტყელი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება წყალმომარაგების წყლის ობიექტებს და მათ შენაკადებს. მეორე სარტყელში აკრძალულია:

გ.ა) ტერიტორიის ან წყლის ობიექტების ისეთი გამოყენება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს წყლის ხარისხობრივი ან ნაწილობრივი გაუარესება;

გ.ბ) მშენებლობა, მცენარეული საფარის გაკაფვა, სარკინიგზო და საავტომობილო გზების გაყვანა, მიწის უბნების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ამ სარტყელში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გამართვა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

დ) მესამე სარტყელი მოიცავს მეორე სარტყლის მოსაზღვრე ტერიტორიას, რომლის არასასურველმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს წყლის ქიმიური გაბინძურება.

ე) წყალსატარის სანიტარიულ დაცვას უზრუნველყოფს სანიტარიული დაცვის ზონა.

ვ) სამივე სარტყელში, აგრეთვე სანიტარიული დაცვის ზონაში, მათი დანიშნულების შესაბამისად, დგინდება ის სპეციალური რეჟიმი და ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიმართულია წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად.

5. სდზ-ის მოწყობას წინ უნდა უძღოდეს მისი პროექტის დამუშავება, რომელშიც შედის:

ა) ზონა და მისი შემადგენელი სარტყლების საზღვრის დადგენა;

ბ) სდზ-ის ტერიტორიების სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებებისა და წყაროს გაბინძურებისაგან დაცვის გეგმა;

გ) სდზ-ის სამივე სარტყლის ტერიტორიის, სამეურნეო გამოყენების რეჟიმი და წესები;

დ) მსხვილი წყალსადენების სდზ-ის პროექტის დამუშავებისას წინასწარ იქმნება დებულება სდზ-ის შესახებ, რომელიც მოცემული წყალსადენის მოწყობის ჰიგიენურ საფუძვლებს მოიცავს.

6. სდზ-ის საზღვრების დადგენა და აუცილებელი ორგანიზაციული, ტექნიკური, ჰიგიენური და ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსური შემუშავება დამოკიდებულია წყალმომარაგების წყაროების სახეობაზე (მიწისქვეშა ან ზედაპირული), ასევე დასაპროექტებელი და მოქმედი სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგების წყლების ბუნებრივი დაცვის ხარისხსა და შესაძლო მიკრობულ ან ქიმიურ დაბინძურებაზე.

7. მდინარის კალაპოტქვეშა წყალსადენების წყალსადენებზე სდზ-ის მოწყობა ხდება ისე, როგორც წყალმომარაგების ზედაპირული წყაროებისათვის.

ა) იმ წყალსადენებზე, რომელთა ხელოვნურად შევსება ხდება მიწისქვეშა წყლებით, სდზ ეწყობა ისევე, როგორც ზედაპირული (წყალამღები ინფილტრაციული აუზების მსგავსად) და მიწისქვეშა წყაროებისათვის (ინფილტრაციული აუზებისა და ექსპლუატაციაში მყოფი ჭაბურღილების დასაცავად).

8. სდზ-ის მოწყობის შესახებ პრინციპული გადაწყვეტილების მიღება, წყალმომარაგების წყაროს შერჩევას, ხდება რაიონული დაგეგმარების პროექტის ან გენერალური გეგმის შედგენის სტადიაზე. დასახლებული ადგილების გენერალურ გეგმაში წყალმომარაგების სანიტარიული დაცვის ზონები განსაზღვრულ სქემაზე უნდა იყოს ნაჩვენები.

ა) ცალკეული ობიექტებისათვის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროს შერჩევას სდზ-ის მოწყობის შესაძლებლობა განისაზღვრება წყალსადენის მშენებლობისათვის მოედნის შერჩევის სტადიაზე.

9. წყალსადენის მშენებლობისათვის დამკვეთი შეიმუშავებს პროექტს წყალმომარაგების წყაროს სდზ-ის საორიენტაციო საზღვრებისა და დაბინძურების შესაძლო წყაროების მახასიათებელთა შესახებ. მასალის სარეკომენდაციო მოცულობა მოცემულია დანართ 1-ში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

10. სდზ-ის პროექტი სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების პროექტის შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

11. სდზ-ის პროექტის შემადგენლობაში შედის ტექსტი, კარტოგრაფიული მასალები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების პროექტი, გათვალისწინებულ ღონისძიებათა ჩამონათვალით (მისი შესრულების ვადები და შემსრულებლები), რომელიც შეთანხმებულია მიწათმოსარგებლესთან.

12. ამ თავის 10 პუნქტი უნდა მოიცავდეს:

ა) წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული მდგომარეობის დახასიათებას, მე-2 და მე-3 დანართით გათვალისწინებული წყლის ხარისხის ანალიზებს – სეზონში არანაკლებ 3 ნიმუშისა.

ბ) ჰიდროლოგიურ მონაცემებს (მირითადი პარამეტრები და მათი დინამიკა დროში) – წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს შემთხვევაში, ან ჰიდროგეო-ლოგიურ მონაცემებს – მიწისქვეშა წყალმომარაგებისას;

გ) მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ მიწისქვეშა წყაროებისა და წყლის ობიექტების ურთიერთგავლენას, მათ შორის ჰიდრაულიკურ კავშირს;

დ) მონაცემებს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების განლაგების რაიონში მშენებლობის, მათ შორის საცხოვრებელი, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობის პერსპექტივაზე;

ე) სდზ-ის პირველი, მეორე და მესამე სარტყლების საზღვრების განსაზღვრას შესაბამისი დასაბუთებით და ღონისძიებების ჩამონათვალით, სადაც მითითებული იქნება შესრულების ვადები, პასუხისმგებელი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და კერძო პირები, დაფინანსების წყარო;

ვ) სდზ-ის ყველა სარტყელში შემავალი ტერიტორიების გამოყენების სამეურნეო წესებსა და რეჟიმს.

13. კარტოგრაფიული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მოცულობით:

ა) სდზ-ს მეორე და მესამე სარტყლების საპროექტო საზღვრების არსებული მდგომარეობის გეგმა წყალსაღებების ადგილის, წყალსადენის ნაგებობების მოედნის, წყალმომარაგების წყაროს და მისი კვების აუზის (შენაკადებთან ერთად) მინიშნებით, ზედაპირული წყალმომარაგების წყაროებისათვის – 1:50000 – 1:100000 მასშტაბით, მიწისქვეშა წყაროებისათვის – 1:10000 – 1:25000;

ბ) მიწისქვეშა წყალმომარაგების წყაროს შემთხვევაში – წყალსაღებების კვების რაიონის ფარგლებში, დამახასიათებელი მიმართულებების ჰიდროლოგიური პროფილი;

გ) სდზ-ის პირველი სარტყლის გეგმა 1:500 – 1:1000 მასშტაბით;

დ) გეგმა სდზ-ის პირველი და მეორე სარტყლების შესახებ 1:10000 – 1:25000 მასშტაბით მიწისქვეშა წყაროებისათვის და – 1: 25000 – 1:50000 – ზედაპირული წყაროებისათვის, მოცემულ ტერიტორიებზე განლაგებული ყველა ობიექტის აღნიშვნით.

14. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის ბრძანება №98/ნ – სსმ III, №39, 14.04.2010წ., მუხ.622

15. სდზ-ის დადგენილი საზღვრები და მასში შემავალი სარტყლები შეიძლება გადაისინჯოს წყალმომარაგების წყაროების ექსპლუატაციის (მათ შორის, მიწისქვეშა წყლების წყალსაღებების წარმადობა), ან ადგილობრივი ეკოლოგიური პირობების ცვლილებების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების და ა.შ. შემთხვევაში. სდზ-ის ახალი საზღვრების დადგენა უნდა მოხდეს იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს საწყის სტადიაში ხდება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

16. სანიტარიული ღონისძიებები უნდა გატარდეს:

ა) სდზ-ის პირველი სარტყელში – კომუნალური მეურნეობის ორგანოების ან წყალსადენის სხვა მფლობელების მიერ, მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის გამიზნული საშუალებების ხარჯზე.

ბ) სდზ-ის მეორე და მესამე სარტყელში – იმ ობიექტის მფლობელების მიერ, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) წყალმომარაგების წყაროების წყლების ხარისხზე.

17. დამკვეთის მიერ სდზ-ის პროექტის შემუშავებასა და სარტყლების ფარგლებში სანიტარიული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

18. სდზ-ის მეორე და მესამე სარტყლის ფარგლებში წყალდასაცავი ღონისძიებები და ჩამდინარე წყლების შედგენილობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

19. სდზ-ის დამტკიცებული პროექტის უქონლობა წყალსადენის, სდზ-ის საზღვრებში არსებული ობიექტების, საწარმოების, ორგანიზაციების და სხვადასხვა სამეურნეო ობიექტების მფლობელებს, აგრეთვე მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს არ ათავისუფლებს წინამდებარე სწდან-ით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისაგან.

კარი II. ძირითადი ნაწილი

სდზ-ის სარტყლების საზღვრების დადგენა

IV. სდზ-ის განმსაზღვრელი ფაქტორები

1. სდზ-ში დაბინძურების გავრცელების ფარგლები დამოკიდებულია:

ა) წყალმომარაგების წყაროს სახეობაზე (ზედაპირული, მიწისქვეშა);

ბ) დაბინძურების ხასიათზე (მიკრობული თუ ქიმიური);

გ) ზედაპირული დაბინძურებისაგან ბუნებრივი დაცვის ხარისხზე (მიწისქვეშა წყაროსათვის);

დ) ჰიდროგეოლოგიურ ან ჰიდროლოგიურ პირობებზე.

2. სდზ-ის სარტყლების ზომების განსაზღვრისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მიკროორ-განიზმების სიცოცხლისუნარიანობა (მე-2 სარტყელი), ხოლო ქიმიური გაბინძურებისათვის, თუ მათი შედეგ-ნილობა წყალში სტაბილურია – გავრცელების მანძილი (მე-3 სარტყელი).

ა) მიკროორგანიზმების გავრცელების შემზღუდავი სხვა ფაქტორები (ადსორბცია, წყლის ტემპერატურა და სხვა), აგრეთვე წყალმომარაგების წყაროებში მიმდინარე ქიმიური გამაბინძურებლების ტრანსფორმაციის და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გავლენით მათი კონცენტრაციის შემცირების უნარი, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული, თუ ამ პროცესების კანონზომიერება საკმარისად არის შესწავლილი.

V. მიწისქვეშა წყაროს სდზ-ის სარტყლების საზღვრების დადგენა. პირველი სარტყლის საზღვრები

1. მიწისქვეშა წყლების წყალსაღები განლაგებული უნდა იყოს სამრეწველო საწარმოებისა და საცხოვრებელი ტერიტორიების მიღმა. სამრეწველო საწარმოს, ან საცხოვრებელ ტერიტორიაზე მათი განლაგება შესაძლებელია სათანადო დასაბუთების შემდეგ. თუ გამოყენებულია დაცული მიწისქვეშა წყლები, პირველი სარტყლის საზღვარი წყალსაღებიდან არანაკლებ 30 მ მანძილზე დგინდება; არასაკმარისად დაცული მიწისქვეშა წყლების გამოყენების შემთხვევაში კი – არანაკლებ 50 მ-ისა.

ა) რამდენიმე მიწისქვეშა წყალსაღების არსებობისას, სდზ-ის პირველი სარტყლის საზღვარი უნდა იყოს განაპირა ჭაბურღილიდან არანაკლებ 30 მ და 50 მ-ის დაშორებით.

ბ) ობიექტის ტერიტორიაზე დაცული მიწისქვეშა წყალსაღებისათვის, სადაც გამორიცხულია ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების შესაძლო გაბინძურება, ჰიდ-როგეოლოგიური დასაბუთების შემთხვევაში დასაშვებია სდზ-ის პირველი სარტყლის ზომების შემცირება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

2. დაცულ მიწისქვეშა წყლებს მიეკუთვნება, დაწნევის და უდაწნეო ფენათაშორისი წყლები, რომლებსაც სდზ-ის ყველა სარტყლის ფარგლებში გააჩნიათ ერთიანი წყალ-გამძლე ზედა საფარი, რომელიც ზემოთ განლაგებული, არასაკმარისად დაცული წყალშემცველი ფენებიდან ადგილობრივი კვების შესაძლებლობას გამორიცხავს.

3. არასაკმარისად დაცულ მიწისქვეშა წყლებს მიეკუთვნება:

ა) გრუნტის წყლები, ანუ მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ყალიბდება მიწის ზედაპირის უდაწნეო პირველი წყალშემცველი ჰორიზონტიდან და იკვებებიან თავისი გავრცელების მთელი ფართობიდან;

ბ) დაწნევის და უდაწნეო ფენათაშორისი წყლები, რომლებიც ბუნებრივ პირობებში და წყალსაღების ექსპლუატაციისას იკვებებიან სდზ-ის ტერიტორიის, ზემდებარე არასაკმარისად დაცული წყალშემცველი ფენებიდან, ჰიდროგეოლოგიური სარკმლიდან ან შეღწევადი ქანების ჭერის საშუალებით, აგრეთვე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან უშუალო ჰიდრაგ-ლიკური კავშირის გზით.

4. მიწისქვეშა წყლების მარაგის ხელოვნურად შევსებისას, წყალსაღებისათვის სარტყლის საზღვარი დგინდება ისევე, როგორც წყალმომარაგების მიწისქვეშა, არასაკმარისად დაცული წყაროსათვის – წყალსაღებიდან არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით და – ინფილტრაციული ნაგებობებიდან (აუზები, არხები და სხვა) არანაკლებ 100 მ-ის დაშორებით.

5. მიწისქვეშა წყლების ინფილტრაციული წყალსაღების პირველი სარტყლის საზღვრებში შედის წყალ-საღებსა და ზედაპირულ წყალსატევს შორის არსებული სანაპირო ტერიტორია, თუ მათ შორის მანძილი 150 მ-ზე ნაკლებია.

VI. სდზ-ის მეორე და მესამე სარტყლის საზღვრები

1. მეორე და მესამე სარტყლის საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ მიწისქვეშა წყლების მოდინება წყალშემცველი ჰორიზონტიდან წყალსაღებისაკენ მხოლოდ წყალსაღების კვების არედან ხდება. მათი ფორმა და ზომები გეგმაში დამოკიდებულია:

ა) წყალსაღების ტიპზე (ცალკეული ჭაბურღილები, ჭაბურღილების ჯგუფი, ჭაბურღილების მწკრივი, ჰორიზონტალური დაწრეტა (დრენირება) და სხვა);

ბ) წყალსაღების სიდიდეზე (წყლის ხარჯი) და მიწისქვეშა წყლების დონის დაქვეითებაზე;

გ) წყალშემცველი ფენის ჰიდროლოგიურ თავისებურებებზე, მისი კვებისა და დაწრეტის პირობებზე.

2. სდზ-ის მეორე სარტყლის საზღვრები დგინდება ჰიდროდინამიკური გამოთვლებით, იმის გათვალისწინებით, რომ წყალშემცველ ფენაში შეღწეული მიკრობული დაბინძურება მეორე სარტყლის ფარგლებიდან ვერ აღწევს წყალსაღებამდე.

ა) ძირითად პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს მანძილს სდზ-ის მეორე სარტყლის საზღვრებიდან წყალ-საღებამდე, წარმოადგენს მიწისქვეშა ნაკადებით მიკრობული დაბინძურების წყალსაღებისაკენ გავრცელების დრო (T/მ*).

3. სდზ-ის მესამე სარტყლის საზღვრები, რომელიც წყალშემცველ ფენებს ქიმიური დაბინძურებისაგან იცავს, ასევე განისაზღვრება ჰიდროდინამიკური გამოთვლებით. ამასთან წყალსაღებისაკენ ქიმიური დაბინძურების გავრცელების დრო გამოთვლილ T/ქ*** უფრო მეტი უნდა იყოს. T/ქ მიიღება, როგორც წყალსაღების ექსპლუატაციის ვადა (წყალსაღების ექსპლუატაციის ვადა ჩვეულებრივ 25-50 წელია).

ა) თუ მიწისქვეშა წყლების მარაგი წყალსაღების ექსპლუატაციას განუსაზღვრელი ვადით უზრუნველყოფს, მესამე სარტყელმა შესაბამისად მიწისქვეშა წყლების ხარისხის შენარჩუნება უფრო ხანგრძლივი დროით უნდა შეძლოს.

4. მიწისქვეშა წყლების ინფილტრაციული წყალსაღებისას აუცილებელია სდზ-ის მეორე და მესამე სარტყლების დადგენა მისი მკვებავი ზედაპირული წყალსატე-ვებისთვისაც, VIII და IX თავების შესაბამისად.

5. მიწისქვეშა წყალმომარაგების წყაროების სდზ-ის მეორე და მესამე სარტყლების საზღვრების დადგენა სხვადასხვა ჰიდროგეოლოგიური პირობებისათვის ხდება შესაბამისი ჰიდროგეოლოგიური გამოთვლების მეშვეობით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

VII. ზედაპირული წყაროს სდზ-ის სარტყლების საზღვრების დადგენა. პირველი სარტყლის საზღვრები

1. ზედაპირული წყაროს წყალსაღების სდზ-ის პირველი სარტყლის საზღვარი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით შემდეგ ფარგლებში დგინდება:

ა) წყალსაღინარი:

ა.ა) დინების ზემოთ – არანაკლებ 200 მ-ისა წყალ-საღებიდან;

ა.ბ) დინების ქვემოთ – არანაკლებ 100 მ-ისა წყალ-საღებიდან;

ა.გ) წყალსაღების მომიჯნავე ნაპირთან – არანაკლებ 100 მ-ისა. საზაფხულო-საშემოდგომო წყლის საშუალო დონის კიდედან.

ბ) წყალსაღებიდან საწინააღმდეგო ნაპირის მიმართულებით, როცა მდინარის ან არხის სიგანე 100 მ-ზე ნაკლებია – მთელი აკვატორია და საწინააღმდეგო ნაპირი 50 მ სიგანით, საზაფხულო და საშემოდგომო წყლის საშუალო დონის კიდედან; 100 მ-ზე ნაკლები სიგანის მდინარის ან არხის არსებობისას – აკვატორიის სარტყელი ფართობით არანაკლებ 100 მ-ისა.

გ) წყალსატევისათვის (წყალსაცავები, ტბები) პირველი სარტყლის საზღვარი ადგილობრივი სანიტარიული და ჰიდროლოგიური პირობების გათვალისწინებით დგინდება: არანაკლებ 100 მ-ისა, წყალსაღების აკვატორიის ყველა მიმართულებით და წყალსაღების მიმდებარე ნაპირისაკენ საზაფხულო-საშემოდგომო წყლის საშუალო დონის კიდედან.

2. შენიშვნა: ციხვის ტიპის წყალსაღებზე სდზ-ის პირველი სარტყელი მოიცავს ციხვის მთელ აკვატორიას.

* T-დრო, მ-მიკრობული დაბინძურება

** T-დრო, ქ-ქიმიური დაბინძურება.

VIII. მეორე სარტყლის საზღვრები

1. სდზ-ის მეორე სარტყლის საზღვრები წყალსადინარისათვის (მდინარეები, არხები) და წყალსატევებისათვის (წყალსაცავები, ტბები) ბუნებრივი, კლიმატური და ჰიდროლოგიური პირობებით განისაზღვრება.

ა) მიკრობული თვითგაწმენდის მიზნით, წყალსადინარის მეორე სარტყლის საზღვრები უნდა დაშორდეს წყალსადებს დინების ზემო წელში, ისე რომ წყლის გარბენის დრო, ძირითადად წყალსადინარში და მის შენაკადებში, როცა წყლის ხარჯი 95%-ია, 3 დღე-ღამეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბ) მდინარის დინების მკვეთრი ცვალებადობისას მისი სიჩქარე მ/დღე-ღამეში გამოიანგარიშება, წყალსადინარის ან მისი ცალკეული ნაწილების სიგრძისა და სიგანის საშუალო მაჩვენებლებით.

2. წყალსატევებზე სდზ-ს მეორე სარტყლის საზღვარი 10%-მდე მონაბერი ქარების არსებობისას დაშორებული უნდა იყოს წყალსადებიდან აკვატორიის ყველა მიმარ-თულებით – 3კმ მანძილზე, 10%-ზე ზემოთ კი – 5კმ მანძილზე.

3. სდზ-ის მეორე სარტყლის გვერდითი საზღვრები საზაფხულო-საშემოდგომო წყლის საშუალო დონის კიდედან შემდეგ მანძილზე უნდა მდებარეობდეს:

ა) ვაკე რელიეფისას არანაკლებ – 500 მ-ისა;

ბ) მთიანი რელიეფისას – წყალმომარაგების წყაროს მხარეს მიქცეული პირველი ფერდობის მწვერვალამდე, დამრეცი ფერდობისას არანაკლებ 750 მ-ისა და 1000 მ-ისა ციცაბო ფერდობის შემთხვევაში.

4. წყალსადინარის ქვემო წელში სდზ-ის მეორე სარტყლის საზღვრები წყალსადებიდან არანაკლებ 250 მ-ით უნდა იყოს დაშორებული, ამასთან უნდა გამოირიცხოს ქარებით გამოწვეული უკუდინებების გავლენა.

5. ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტული ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, სდზ პროექტში მეორე სარტყლის ტერიტორიის საზღვრები შესაძლებელია შეიცვალოს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

IX. მესამე სარტყლის საზღვრები

1. ზედაპირული წყალმომარაგების წყაროების სდზ-ის მესამე სარტყლის საზღვრები წყალსადინარის დინების ზემო და ქვემო წელში მეორე სარტყლის საზღვრებს ემთხვევა. გვერდითი საზღვრები უნდა მიყვებოდეს წყალგამყოფის ხაზს 3-5 კმ-ის ფარგლებში, შენაკადების ჩართვით; წყალსატევზე ზედაპირული წყაროს მესამე სარტყლის საზღვრები მთლიანად ემთხვევა მეორე სარტყლის საზღვრებს.

X. წყალსადენისა და წყალსატარი ნაგებობების სდზ-ის საზღვრების დადგენა

1. წყალსადენის ტერიტორიის გარეთ განლაგებული წყალსადენის ნაგებობების სდზ პირველი სარტყელითაა წარმოდგენილი (მკაცრი რეჟიმი), წყალსატარისა – სანიტარიული დაცვის ზოლით.

2. წყალსადენის ნაგებობების სდზ-ის პირველი სარტყლის საზღვარი შემდეგი მანძილებით განისაზღვრება:

ა) სათადარიგო და მარეგულირებელი მოცულობების კედლებიდან, ფილტრებიდან და კონტაქტური გამაუფერულებლებისაგან – არანაკლებ 10 მ-ისა;

ბ) წყალსაწნეო კოშკიდან – არანაკლებ 10 მ-ისა. ხოლო, სდზ პროექტში მოცემული დასაბუთების შემთხვევაში, სდზ-ის პირველი სარტყელი ცალკე მდგომი წყალსაწნეო კოშკებისათვის, მათი კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება არ დადგინდეს;

გ) სხვა ნაგებობებიდან (სალექარები, სარეაგენტო მეურნეობა, ქლორის საწყობი, სატუმბო სადგური და სხვა) – არანაკლებ – 10 მ-ისა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის ბრძანება №98/ნ – სსმ III, №39, 14.04.2010წ., მუხ.622

4. სანიტარიული დაცვის ზოლის სიგანედ მიღებული უნდა იყოს წყალსადენის ორივე განაპირა ხაზი:

ა) გრუნტის წყლების არარსებობის შემთხვევაში – არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადინარის დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადინარის დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია;

ბ) გრუნტის წყლების არსებობისას – არანაკლებ 50 მ-ისა წყალსადინარის დიამეტრის მიუხედავად.

გ) შესაძლებელია განაშენიანებულ ტერიტორიებზე გამავალი წყალსატარების სანიტარიული დაცვის ზოლის სიგანის შემცირება სდზ პროექტში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

5. წყალსადენის ნაგებობათა განლაგების ტერიტორიაზე ქლორის სახარჯო საწყობის არსებობის შემთხვევაში, სდზ-დან საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებამდე უნდა იყოს არანაკლებ 300 მ-ისა.

XI. სდზ-ის ტერიტორიაზე გასატარებელი ძირითადი ღონისძიებები

1. სდზ-ის თითოეული სარტყლისათვის ღონისძიებები განისაზღვრება დანიშნულების მიხედვით, ისინი შეიძლება იყოს ან ერთდროული, რომელიც განხორციელდება წყალაღების ექსპლოატაციამდე, ან მუდმივი რეჟიმის ხასიათისა.

2. სდზ ტერიტორიებზე გასატარებელი ქვემოთ მოყვანილი ძირითადი ღონისძიებების მოცულობა, შესაბამისი დასაბუთების არსებობისას, შეიძლება დაზუსტდეს და შეივსოს კონკრეტული ბუნებრივი პირობებისა და სანიტარიული მდგომარეობის მიხედვით და სდზ-ის ტერიტორიის სახალხო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პერსპექტივის გათვალისწინებით.

3. ღონისძიებების მიზანია წყალსადენში წყლის ბუნებრივი შემადგენლობის შენარჩუნება და მისი დაბინძურების შესაძლებლობის თავიდან აცილება.

1. პირველ სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) სდზ-ის პირველი სარტყლის ტერიტორია უნდა დაიგეგმოს ზედაპირული ნაკადების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანის გათვალისწინებით. უნდა იყოს გამწვანებული, შემორაგული და დაცვით უზრუნველ-ყოფილი. ნაგებობებისაკენ მიმავალი ბილიკები უნდა დაიფაროს მყარი საფარით. იკრძალება ტანმაღალი ხეების დარგვა.

ბ) იკრძალება მშენებლობა, რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი წყალსადენის ნაგებობების ექსპლოატაციასთან, რეკონსტრუქციასა და გაფართოებასთან; აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების მიწების ჩაწყობა, საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო შენობების განლაგება, ტერიტორიის სამოსახლოდ გამოყენება, შხამქიმიკატებისა და სასუქების გამოყენება.

გ) შენობებში უნდა იყოს ისეთი კანალიზაციის სისტემა, რომლის ნახმარი წყლები მიმართული იქნება უახლოეს საყოფაცხოვრებო, სამრეწველო კანალიზაციების სისტემისაკენ ან გამწმენდი ნაგებობების ადგილობრივი სადგურებისაკენ, ისინი განლაგებული უნდა იყოს სდზ-ის პირველი სარტყლის ფარგლებს გარეთ, და მეორე სარტყლის ტერიტორიის სანიტარიული რეჟიმის გათვალისწინებით.

დ) გამონაკლის შემთხვევაში, კანალიზაციის უქონლობისას, სიბინძურისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წყალგაუმტარი მიმღებები უნდა მოეწყოს. ისინი ისე უნდა განლაგდნენ, რომ მათი გატანის დროს სდზ-ის პირველი სარტყლის ტერიტორიის დაბინძურება გამოირიცხოს.

ე) სდზ-ის პირველ სარტყელში განლაგებული წყალსადენის ნაგებობები ისე უნდა მოეწყოს, რომ გათვალისწინებული იყოს სასმელი წყლის შესაძლო გაბინძურების თავიდან აცილება ჭაბურღილების სათავსოდან და პირიდან, ჭებიდან, რეზერვუარების გადასასხმელი მილებიდან, ტუმბოებში ჩასასხმელი მოწყობილობებიდან.

ვ) წყალსადენის ექსპლოატაციის ფაქტობრივი დებიტის საპროექტო მწარმოებლურობასთან შესადარებლად და სისტემატურად გასაკონტროლებლად ყველა წყალსადენი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი აპარატურით, რომლის გათვალისწინებაც მისი დაპროექტებისას ან სდზ საზღვრების დასაბუთებისას ხდება.

2. მეორე და მესამე სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) გამოვლენა, ტამპონირება ან აღდგენა ყველა იმ ძველი, უმოქმედო, დეფექტიანი ან არასწორად ექსპლუატირებული ჭაბურღილებისა, რომლებიც ქმნიან წყალშემცველი ჰორიზონტების გაბინძურების საშიშროებას.

ბ) ახალი ჭაბურღილების გაბურღვა და ახალი მშენებლობა, რომელიც უკავშირდება ნიადაგის საფარის რღვევას, ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

გ) მიწისქვეშა ჰორიზონტებში გადამუშავებული წყლები-ბის გადაქაჩვის, მყარი ნარჩენების მიწისქვეშა შენახვისა და წიაღისეულის დამუშავების აკრძალვა.

დ) მიწისქვეშა წყლების ქიმიური გაბინძურების საშიშროების შემქმნელი საწვავ-საპოხი მასალების, შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების, ნარეცი ნახშიარი წყლების შემგროვებლებისა და სხვა ობიექტების აკრძალვა; ასეთი ობიექტების განლაგება დასაშვებია სდზ-ის მესამე სარტყლის ფარგლებში, მხოლოდ დაცული მიწისქვეშა წყლების გამოყენებისას, წყალშემცველი ჰორიზონტის გაბინძურებისაგან დაცვის სპეციალური ღონისძიებების შემუშავების შემდეგ და სდზ პროექტში დასაბუთებით;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის ბრძანება №98/ნ – სსმ III, №39, 14.04.2010წ., მუხ.622

ე) აუცილებელი ღონისძიებების დროული განხორციელება, იმ ზედაპირული წყლების სანიტარიული დაცვისათვის, რომლებსაც უშუალო გეოლოგიური კავშირი აქვთ გამოყენებულ წყალშემცველ ჰორიზონტთან, "ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვის" საწ-დან-ის მოთხოვნების თანახმად.

3. მეორე სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) გარდა იმ სარტყლისა, რომელიც მითითებულია XI თავის მე-2 პუნქტში, წყალმომარაგების მიწისქვეშა წყაროს სდზ-ის მეორე სარტყლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს შემდეგი დამატებითი ღონისძიებები.

ბ) ღონისძიებები დასახლებული პუნქტების ტერიტორიების და სხვა ობიექტების სანიტარიული კეთილმოწყობისათვის (საკანალიზაციო აღჭურვილობა, წყალგაუმტარი სანაგვე ორმოების მოწყობა, ზედაპირული ნაკადების წყალსარინის ორგანიზება და სხვ).

გ) იკრძალება:

გ.ა) სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, სასენი-ზაციო მინდვრების, საფილტრაციო მინდვრების, ნაკელის საწყობების, სასილოსე თხრილების, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოების და სხვა ობიექტების განლაგება, რომლებიც მიწისქვეშა წყლების მიკრობული დაბინძურების საშიშროებას ქმნიან;

გ.ბ) სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება;

გ.გ) მირითადი სარგებლობის ტყის ჭრა და რეკონ-სტრუქცია.

4. წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების სდზ-ის ტერიტორიებზე გასატარებელი ღონისძიებები

ა) ღონისძიებების მიზანია წყალმომარაგების წყარო-ების წყლების მიკრობული და ქიმიური გაბინძურების მაქსიმალური შემცირება, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სასმელად ვარგისი წყლის მიღების საშუალებას იძლევა.

5. პირველ სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს სდზ-ის პირველი სარტყლის ტერიტორიებზე უნდა გატარდეს XI თავის 1 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ბ) იკრძალება ნებისმიერი ნახშიარი წყლის ჩაშვება, მათ შორის წყლის ტრანსპორტის მიერ ნახშიარი წყლებისა, აგრეთვე ბანაობა, თეთრეულის რეცხვა, პირუტყვის დარწყულება და სხვა წყალსარგებლობის სახეობები, რომლებიც წყლის ხარისხზე გავლენას ახდენენ. პირველი სარტყლის აკვატორია შემოიფარგლება ტივტივებითა და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნებით. სანაოსნო წყალსატევეებზე, წყალმიღებებზე უნდა განლაგდეს ტივტივები განათებით.

6. სდზ-ის მეორე და მესამე სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) წყალმომარაგების წყაროების გამაბინძურებელი ობიექტების გამოვლენა კონკრეტული წყალდამცავი ღონისძიებების შემუშავებით;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

ბ) ახალი საცხოვრებელი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობისათვის ტერიტორიების გამოყოფის მოწესრიგება და მოქმედი დაწესებულებების იმ ტექნოლოგიების შეცვლის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია წყალმომარაგების წყაროს ნახმარი წყლებით გაბინძურების საშიშროების გაზრდასთან.

გ) წყალმომარაგების წყაროსა და მისი შენაკადების წყალშეკრების ზონაში იმ ნახმარი წყლების ჩაშვების აკრძალვა, რომლებიც არ პასუხობენ „ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვის“ სანქციონის მოთხოვნებს.

დ) ფსკერის გასაღრმავებელი სამუშაოები სდზ-ის აკვატორიის ფარგლებში დაიშვება, თუ წინასწარი ჰიდროლოგიური გამოთვლებით დასაბუთებულია, რომ არ ხდება წყლის ხარისხის გაუარესება წყალაღების წერტილებში 1 კმ-ით ზემოთ წყალსაღებიდან, ხოლო წყალსატევის ევტროფიკაციის საწინააღმდეგოდ ქიმიური მეთოდებისათვის მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ აპრობირებული პრეპარატები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

ე) ნაოსნობის არსებობისას აუცილებელია გემების, დებარკადერების და ბრანდვახტების მოწყობილობების აღჭურვა, ფანური და ნახმარი წყლების და მყარი ნარ-ჩენების შესაგროვებლად. ნავმისადგომზე უნდა მოეწყოს, თხევადი და მყარი ნარჩენების შესაგროვებელი მიმღები სადგურები

7. მეორე სარტყელში გასატარებელი ღონისძიებები

ა) გარდა ამ თავის მე-6 პუნქტში მითითებული ღონისძიებებისა, ზედაპირული წყაროების სდზ-ის მეორე სარტყლის ფარგლებში უნდა განახორციელონ ის ღონისძიებები, რომლებიც მითითებულია მე-2 პუნქტის დ) და მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტში;

ბ) იკრძალება ტყის ჭრა მთავარი სარგებლობისათვის და სარეკონსტრუქციოდ დასაშვებია ტყის მხოლოდ მოვლისათვის ჭრა და ტყის სანიტარიული ჭრა.

გ) იკრძალება ცხოველთა სადგომების მოწყობა, საქონლის მოვება, ყველა სახის სარგებლობა წყალსატე-ვებით, მიწისა და ტყის ნაკვეთით, სავარგულით სანაპირო ზოლის არანაკლებ 500 მ-ის ფარგლებში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წყალმომარაგების წყაროს ხარისხის გაუარესება ან წყლის რაოდენობის შემცირება.

დ) სდზ მეორე სარტყლის ფარგლებში წყალმომარაგების წყაროების გამოყენება ბანაობისათვის, ტურიზმისათვის, საწყლოსნო სპორტისა და თევზჭერისათვის, დაიშვება მხოლოდ დადგენილ ადგილებში “ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვა” სანქციონის მოთხოვნებისა და წყლის ობიექტების სარეკრეაციო ზონების მიმართ ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით.

ე) ზედაპირული წყაროების წყლების ხარისხის პროგრესირებული გაუარესების დადგენისას ნახმარი წყლების ჩაშვების ნორმატიული მოთხოვნები უნდა შეეხოს არა წყლის ობიექტის წყალს, არამედ ნახმარ წყლებს.

ვ) სდზ-ის მეორე სარტყლის საზღვრები გზებისა და ბილიკების და სხვა გადაკვეთაზე აღინიშნება სპეციალური – ნიშნებით (დანართი 4), ნიშანი მზადდება და იდგმება ხელისუფლების ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების განკარგულებით და ხელწერილით გადაეცემა მიწის მფლობელს დასაცავად.

8. წყალსატარის სანდაცვის ზოლში გასატარებელი ღონისძიებები

ა) წყალსადინარების სანიტარიული დაცვის ზოლში არ უნდა იყოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების გამაბინძურებელი წყაროები.

ბ) იკრძალება წყალსადინარში მიწების ჩაწყობა ნაგავსაყრელების, საასენიზაციო, საფილტრაციო მინდვრების, სარწყავი მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების ტერიტორიებზე, აგრეთვე მაგისტრა-ლური წყალსადინარის ჩაწყობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტერიტორიებზე.

XII. სდზ-ის საზღვრის დასადგენად წყალმომარაგების წყაროების შესწავლის პროგრამა

1. მიწისქვეშა წყაროებისათვის

ა) წყალმომარაგების წყაროს ტერიტორიის საერთო გეოლოგიური აგებულება და მისი ჰიდროგეოლოგიური პირობების საერთო დახასიათება; შერჩეული წყალშემცავი ჰორიზონტის ტიპი (არტეზიული – დაწნევისას; გრუნტისა-უდაწნეო) სიღრმე (აბსოლუტური ნიშნული); წყალშემცავი ჰორიზონტის სახურავის განლაგება, სიმძლავრე, წყალშემცველი ქანები (ქვიშა, ხრეში, კირქვის ნაპრალები); კვების ადგილი და პირობები წყალშემცავი ჰორიზონტის განტვირთვა; საერთო მონაცემები ჰორიზონტის წყალუხვობაზე (საექსპლუატაციო მარაგი); მონაცემები ჰორიზონტის არსებული და პერსპექტიული გამო-ყენების შესახებ წყალმომარაგებისა და სხვა მიზნებისათვის.

ბ) საერთო მონაცემები რაიონის ჰიდროგეოლოგიურ პირობებზე (მოპოვების ადგილზე), წყალმომარაგებისთვის გამიზნული წყალშემცავი ფენების კვების პირობები. წყალსადების ადგილის სანიტარიული-ტოპოგრაფიული და ნიადაგის დახასიათება, ექსპლუატაციისთვის გამიზნული წყალშემცავი ჰორიზონტის დახასიათება, (ლითო-ლოგიური შემადგენლობა, სიმძლავრე, გადახურვის სახე, გამოთვლითი წყალშერჩევისას წყლის დინამიკური დონე).

გ) მონაცემები ფენის მფარავი შრეების შეღწევადობის ხარისხზე, მონაცემები წყლის ხარისხზე მკვებავი ზონის შესაძლო გავლენის შესახებ.

დ) იმ ადგილის სანიტარიული დახასიათება, რომელიც უშუალოდ ეკვრის წყალსადებს; მდებარეობა და მანძილი წყალსადებიდან გაბინძურების შესაძლო წყაროდ; მიტოვებული ჭაბურღილები, მშთანთქმელი ძაბრები, ჩანაქცევები, ჭები, მიტოვებული სამთო სამუშაოები, შემავროვებლები და სხვა.

2. ზედაპირული წყაროებისათვის

ა) ჰიდროლოგიური მონაცემები: წყალსადების კვების აუზის ფართობი, ზედაპირული ნაკადის რეჟიმი, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო ხარჯვა, წყალსადების ადგილზე წყლის სიჩქარე და დონე, ყინულით შეკვრისა და გახსნის საშუალო ვადები, წყლის სავარაუდო ხარჯვა წყაროში, მონაცემები დინების მიმოქცევის დახასიათების შესახებ.

ბ) აუზის იმ ნაწილის საერთო სანიტარიული დახასიათება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს წყალსადების წყლის ხარისხზე.

ბ.ა) აუზის გეოლოგიური აგებულება, ნიადაგი, მცენარეული საფარი, ტყეების, დამუშავებული მიწების, დასახლებული პუნქტების არსებობა.

ბ.ბ) სამრეწველო საწარმოები (მათი რიცხვი, ზომები, განლაგება, წარმოების ხასიათი);

ბ.გ) მიზეზები, რომლებიც მოქმედებენ, ან შეუძლიათ იმოქმედონ წყალსატევის წყლის ხარისხის გაუარესებაზე წყაროს მდებარეობის ადგილას მყარი და თხიერი ნარჩენების მოცილების მეთოდები და ადგილი, წყალსატევის გამაბინძურებელი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო ნახმარი წყლების არსებობა, რაოდენობა, მათი გამწმენდი ნაგებობები, განლაგების ადგილები;

ბ.დ) მანძილი ნახმარი წყლების ჩაშვების ადგილიდან წყალსადებამდე;

ბ.ე) წყაროს გამაბინძურებელი სხვა შესაძლო მიზეზების არსებობა (ნაოსნობა, ხე-ტყის დაცურება, პირუტყვის დარწყლება, ზამთრის ნაგავსაყრელები ყინულზე, ბანაობა, საწყლოსნო სპორტი, სამელიორაციო სამუშაოები, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება სოფლის მეურნეობაში და სხვ.).

გ) წყალსატევის თვითგაწმენდის უნარის დახასიათება.

დ) გარდა ამისა წყალსაცავებისათვის მითითებული უნდა იყოს: წყალსაცავის მოცულობა და სარკის ფართობი, სასარგებლო და „მკვდარი“ მოცულობა, კვების და გამოყენების რეჟიმი, წყლის დამუშავება წყალსაცავში, წყალსაცავის გეგმა, მისი მაქსიმალური და მინიმალური სიღრმე, ნაპირების, ფსკერის, ფსკერის ნადების ხასიათი, წყლის აყვავება, მცენარეებით მოდება, მოშლამვა, გაბატონებული ქარების და დინების მიმართულება, წყლის მოძრაობის სიჩქარე წყალსაცავში.

XIII. ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების მიწისქვეშა წყაროს წყლის ხარისხის საკონტროლებელი მაჩვენებლების ჩამონათვალი

1. წყლის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების ჩამონათვალი

- ა) ტემპერატურა სინჯის აღებისას, C⁰ ;
- ბ) სუნი 20⁰ C -ხარისხობრივად და ბალებში;
- გ) გემო 20⁰ C -ხარისხობრივად და ბალებში;
- დ) სუნი 60⁰ C -ხარისხობრივად და ბალებში;
- ე) ფერიანობა გრადუსებში;
- ვ) სიმღვრივე მგ/დმ³ .

2. წყლის ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები

- ა) წყალბადის მაჩვენებელი (pH);
- ბ) ბერილიუმი, მგ/დმ³;
- გ) ბორი, მგ/დმ³;
- დ) რკინა, მგ/დმ³;
- ე) მანგანუმი, მგ/დმ³;
- ვ) სპილენძი, მგ/დმ³;
- ზ) მოლიბდენი, მგ/დმ³;
- თ) დარიშხანი, მგ/დმ³;
- ი) ნიტრატები, მგ/დმ³;
- კ) საერთო სიხისტე, მილიმოლი/დმ³;
- ლ) (ამოღებულია);
- მ) ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება, მგ/დმ³;
- ნ) ტყვია, მგ/დმ³;
- ო) სელენი, მგ/დმ³;
- პ) გოგირდწყალბადი, მგ/დმ³;
- ჟ) სტრონციუმი, მგ/დმ³;
- რ) სულფატები, მგ/დმ³;
- ს) მშრალი ნაშთი, მგ/დმ³;
- ტ) თავისუფალი ნახშირმჟავა, მგ/დმ³;
- უ) ფტორი, მგ/დმ³;
- ფ) ქლორიდები, მგ/დმ³;
- ქ) თუთია, მგ/დმ³;
- ღ) კადმიუმი, მგ/დმ³;
- ყ) ქრომი, მგ/დმ³ .

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

3. (ამოღებულია).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 18 სექტემბრის ბრძანება №304/ნ – სსმ III, №115, 22.09.2009წ., მუხ.1312

4. წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები

- ა) მეზოფილური აერობებისა და ფაკულტატური ანაერობების რაოდენობა 1 სმ³ -ში;
- ბ) ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების რაოდენობა 1 დმ³ -ში.

XIV. ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ზედაპირული წყაროს წყლის ხარისხის საკონტროლებელი მაჩვენებლების ჩამონათვალი

დანართი 3

1. წყლის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების ჩამონათვალი

- ა) ტემპერატურა, სინჯის აღების მომენტში, C° ;
- ბ) სუნი $20^{\circ}C$ ხარისხობრივად ბალებში;
- გ) სუნი $60^{\circ}C$ ხარისხობრივად ბალებში;
- დ) გემო $20^{\circ}C$ ხარისხობრივად ბალებში;
- ე) ფერიანობა გრადუსებში;
- ვ) სიმღვრივე მგ/დმ³.

2. წყლის ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები

- ა) წყალბადის მაჩვენებელი (pH);
- ბ) შეწონილი ნივთიერებები, მგ/დმ³;
- გ) რკინა, მგ/დმ³;
- დ) მანგანუმი, მგ/დმ³;
- ე) საერთო სიხისტე, მილიმოლი/დმ³;
- ვ) სულფატები, მგ/დმ³;
- ზ) მშრალი ნაშთი, მგ/დმ³;
- თ) თავისუფალი ნახშირმჟავა, მგ/დმ³;
- ი) ფტორი, მგ/დმ³;
- კ) ტუტთანობა, მგ-ეკვ/დმ³;

ლ) საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დამაბინძურებლები, რომელთა მაჩვენებლების ჩამონათვალი შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურთან.

3. წყლის ხარისხის სანიტარული მაჩვენებლების ჩამონათვალი

- ა) ზედაპირული ანიონაქტიური ნივთიერებები (ზან) შეჯამებული მგ/დმ³;
- ბ) ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (ჟბმ – სრული) მგ/დმ³;
- გ) ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება, მგ/დმ³;
- დ) პერმანგანატული ჟანგვადობა, მგ/დმ³;
- ე) ამონიუმის მარილები, მგ/დმ³;
- ვ) ნიტრიტები, მგ/დმ³;
- ზ) ნიტრატები, მგ/დმ³.

4. წყლის ბიოლოგიური მაჩვენებლების ჩამონათვალი

- ა) მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანა-ერობების რაოდენობა 1 სმ^3 -ში;
- ბ) ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირის რაოდენობა 1 დმ^3 -ში;
- გ) ნაწლავური ინფექციების გამომწვევები, პათოგენური მოკროორგანიზმები (სალმონელა, შიგელა) ენტეროვირუსი- 1 დმ^3 ;
- დ) კოლიფაგების რაოდენობა, დმ^3 ;
- ე) ფეკალური სტრეპტოკოკების რაოდენობა 100 დმ^3 -ში;
- ვ) ფიტოპლანქტონი, მგ/დმ³;
- ზ) ფიტოპლანქტონი, რაოდ/სმ³.

XV. ბიბლიოგრაფია

1. Законы санитарной охраны источников водо-снабжения и водопроводов хозяйственно-пищевого назначения. Санитарные правила и нормы санПиН 2.1.4.-95
2. ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესები და ნორმები.

3. სასმელ-სამეურნეო ცენტრალიზებული წყალმომარაგების გაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესები და ნორმები.

4. სასმელი წყლის ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო რეკომენდაციები (ჯანმოს ჟურნალი, ტომი 1, 1992).

5. სასმელი წყლის ხარისხის სანიტარიულ-პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები (სისნის სახ. ინსტიტუტი, ჟ. „სტანდარტები და ხარისხი,“ №11, 1995წ).

2.1.6. ატმოსფერული ჰაერი და დახურული

სათავსოების ჰაერი, ჰაერის სანიტარიული დაცვა

ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ადგილების

ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი

Hygienic requirements to atmospheric air care of populated area

სანწდან 2.1.6. 000 – 00

კარი I. ზოგადი ნაწილი

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.

2. წინამდებარე სანიტარიული წესები ადგენენ მოთხოვნებს დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰიგიენური ნორმატივების დაცვისადმი იმ ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა (ტექნიკური გადაიარაღება) და ექსპლუატაციისას, აგრეთვე ქალაქდაგეგმარებითი დოკუმენტაციის შემუშავების ყველა სტადიისას, რომელთაც შესაძლოა მავნე ზეგავლენა მოახდინონ ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე.

3. წინამდებარე სანიტარიული წესების მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ნებისმიერი ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირისათვის, საკუთრების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

4. სახელმწიფო სტანდარტებსა და უწყებრივ ნორმატიულ დოკუმენტებში ასახული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის მოთხოვნები და ღონისძიებები, უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სანიტარიული წესების დებულებებს.

5. წინამდებარე სანიტარიული წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური.

II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარიულ წესებში და ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.

გ) საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“.

დ) გოსტ 17.2.3. 01-86 ბუნების, ატმოსფეროს დაცვა, დასახლებული პუნქტების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის წესები.

ე) გოსტ 17.2.3. 02-87 ბუნების, ატმოსფეროს დაცვა, სამრეწველო წარმოებების მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გამონაბოლქვის დადგენის წესები.

III. ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის ხარისხისადმი

1. დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დარეგულირების საფუძველს წარმოადგენს ჰიგიენური ნორმატივები – ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების ატმოსფერული დამაბინძურებლების ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ), რომელთა დაცვა უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების პირობებზე, მათი უშუალო ან ირიბი ზემოქმედების თავიდან აცილებას („დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ)” №3086-84 – მოსკოვი 1984წ.).

2. ცალკეული ნივთიერებებისათვის დასაშვებია ზემოქმედების საორიენტაციო უსაფრთხო დონეების გამოყენება (ზსუდ), რომელთა მოქმედების ვადები დგინდება საქარ-თველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

3. დაუშვებელია ზდკ-ს გადაჭარბება სამოსახლო და სხვა დასახლებულ ტერიტორიებზე, 0,8 ზდკ-ს – მოსახლეობის მასობრივი დასვენების, ასევე ავადმყოფთა ხანგრძლივი მკურნალობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების განთავსების ადგილებში.

4. მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილები ის ტერიტორიაა, რომელიც ქალაქის გენერალურ გეგმაში, რაიონული დაგეგმარების და ქალაქის მიმდებარე ზონების განვითარების სქემებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დადგენილებებში გამოყოფილია – მოსახლეობის ორგანიზებული დასვენების ზონების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურიზმის ბაზების, სააგარაკო და საბაღე-საბოსტნე ნაკვეთების, მოსახლეობის ორგანიზებული დასვენების (ქალაქის პლაჟები, პარკები, სპორტული ბაზები და მათი ღია ნაგებობები) მოსაწყობად.

5. ატმოსფერული ჰაერის შემადგენელი ნივთი-ერებების კონცენტრაციების ხანმოკლე მომატებების პერიოდებში მოსახლეობაზე გამაღიზინებელი მოქმედების, სუნის შეგრძნების, რეფლექტორულ რეაქციებსა და საერთოდ ჯანმრთელობაზე მწვავე ზემოქმედების თავიდან აცილება უნდა განხორციელდეს მაქსიმალური ერთჯერადი დასაშვები კონცენტრაციების დაცვით (ზდკმე).

6. ატმოსფეროს დამაბინძურებლების ორგანიზმისათვის ხანგრძლივი მიწოდებისას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი მოქმედების თავიდან აცილება უნდა განხორციელდეს საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზდკს) დაცვით.

7. დაუშვებელია, როგორც მაქსიმალური ერთჯერადი, ასევე საშუალო სადღეღამისო და ნივთიერების ზემოქმედების საორიენტაციო უსაფრთხო დონის გადაჭარბება.

8. სამოსახლო ტერიტორიებისათვის ზდკ-ს, ხოლო მასობრივი დასვენების ზონებისათვის 0,8 ზდკ-ს დაცვა უნდა ხდებოდეს ნივთიერებების ან მათი ატმოსფეროში ტრანსფორმაციის პროდუქტების ბიოლოგიური მოქმედების ჯამური ეფექტის, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროდან (არსებული, მშენებარე და პროექტით გათვალისწინებული ობიექტები) დაბინძურების დონის გათვალისწინებით.

კარი II. ძირითადი ნაწილი

IV. ჰიგიენური მოთხოვნები ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს ობიექტების განთავსების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციისას (ტექნიკური გადაიარაღებისას)

1. ახალი და რეკონსტრუქციური ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლისას, ასევე მოქმედი ობიექტების ტექნიკური გადაიარაღებისას, მიღებული უნდა იქნეს ზომები დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოფრქვევის მაქსიმალური შემცირებისათვის მცირენარჩენიანი ან უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებით და ბუნებრივი რესურსების კომპლექსურად ათვისება, მავნე გამონაფრქვევებისა და ნარჩენების დაჭერა, გაუვნებლება და უტილიზაცია.

2. ტერიტორიებზე, რომელთა დაბინძურების დონე აჭარბებს დადგენილ ნორმატივებს, აკრძალულია ატმოსფეროს დაბინძურების წყაროების ობიექტების განთავსება, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება.

3. ასეთ ტერიტორიებზე მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება დასაშვებია იმ პირობით, თუ მათი გამონაფრქვევები შემცირდება დადგენილი, ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევის დონემდე (ზღვ), 5.2. განყოფილებაში მოყვანილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. აკრძალულია იმ ობიექტების განთავსება, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება, რომელთა გამონაფრქვევების შედგენილობაში შემავალ ნივთიერებებს არ გააჩნიათ დამტკიცებული ზღვ ან მსუდ.

5. ახალმშენებლობისა და არსებული ობიექტების გასაფართოებელი მოედანი უნდა შეირჩეს აეროკლიმატური მახასიათებლების, მიდამოს რელიეფის, ატმოსფერო-როში სამრეწველო გამონაბოლქვების გაფანტვის კანონზომიერებისა და ატმოსფეროს დაბინძურების პოტენციალის (ადპ) გათვალისწინებით.

6. სანიტარიული კლასიფიკაციის მიხედვით I და II კლასებს მიკუთვნებული, ატმოსფეროს დაბინძურების მაღალი ან ძალიან მაღალი პოტენციალის ტერიტორიებზე წარმოების განთავსება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის წარდგინებით.

7. დასახლებული პუნქტის სამოსახლო ტერიტორიაზე და მოსახლეობის მასობრივი დასვენების ზონებში აკრძალულია მავნეობის I, II, III კლასს მიკუთვნებული ობიექტების განთავსება.

8. საწარმოების, წარმოებებისა და ობიექტების სანიტარიული კლასიფიკაციის შესაბამისად - წარმოებებისათვის, მათი ცალკეული შენობებისა და ნაგებობებისათვის, რომელთა ტექნოლოგიური პროცესი წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს, დგინდება სანიტარიულ-დაცვითი ზონები (სდზ).

9. სანიტარიული კლასიფიკაცია, მოთხოვნები სდზ ზონების მიმართ, მისი ორგანიზება და კეთილმოწყობა მოცემულია სანიტარიულ წესებსა და ნორმებში (სანწდან) „წარმოებების, ნაგებობების და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვითი ზონები და სანიტარიული კლასიფიკაცია“.

10. სანიტარიული დაცვითი ზონის სიგანის საკმარისობა უნდა დადასტურდეს დაბინძურების პროგნოზირების დონის თანახმად, სამრეწველო გამონაფრქვევების მავნე ნივთიერებების გაფანტვის გამოთვლის მოქმედი მითითებების თანახმად და ასევე, მსგავსი მოქმედი ობიექტების განთავსების რაიონებში ატმოსფერული ჰაერის ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების მიხედვით.

11. აკრძალულია სდზ-ში მოსახლეობის განსახლება. მისი რომელიმე ნაწილი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ობიექტის სარეზერვო ტერიტორია და გამოიყენებოდეს წარმოების გასაფართოებლად ან სამოსახლო ტერიტორიად.

V. ჰიგიენური მოთხოვნები სამშენებლო მოედნის შერჩევისადმი

1. ობიექტის მშენებლობისათვის მოედნის შერჩევა უნდა განხორციელდეს წინასაპროექტო სტადიაში. ობიექტის მშენებლობისათვის მოედნის (ტრასის) შერჩევის ორგანიზებაზე, აუცილებელი მასალების მომზადებასა და ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული შეთანხმებების სრულად შეკრებაზე, პასუხისმგებელია პროექტის დამკვეთი.

2. მშენებლობისათვის საჭირო მოედნის შერჩევა უნდა მოხდეს მიწის, წყლის, ტყის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და სათანადო წესით დამტკიცებული ქალაქდაგეგმარების დოკუმენტაციის (ქალაქისა და სხვა ტიპის დასახლებების გენერალური გეგმა, ტერიტორიული წარმონაქმნების დაგეგმარებისა და მშენებლობის პროექტები და სქემები) შესაბამისად.

3. მოედნის შერჩევის სტადიაში, სანიტარიული წესებითა და ნორმებით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობაზე დასკვნისათვის წარმოდგენილი, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ არსებული მასალა უნდა შეიცავდეს:

ა) ფიზიკურ-გეოგრაფიული და აეროკლიმატური პირობების თავისებურებებს, მათ შორის: ცალკეული რუმბების ქარების სიჩქარეს და განმეორებადობას, მიდამოს რელიეფს, ადპ-ს; ასევე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ტერიტორიალურ სამსახურთან შეთანხმებული, ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით რაიონის, პუნქტის, მოედნის (ტრასის) შერჩევის დასაბუთებას მშენებლობისათვის.

ბ) ატმოსფეროში გამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების ნუსხას ზღვ-ს ან ზსუდ-ის მოქმედების დადგენილი ვადის მითითებით.

გ) აკრძალულია, ნუსხიდან ამოღებული იქნეს ნივთიერებები, რომელთაც არ გააჩნიათ ნორმატივები (ზდკ ან ზსუდ).

დ) ატმოსფეროში გამოფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების ახალი ტექნოლოგიის საცდელ-სამრეწველო გამოცდით, მოქმედი ანალოგების ხანგრძლივი ექსპლუატაციის და საზღვარგარეთ ამგვარი წარმოებების შექმნის გამოცდილების მასალებით დასაბუთებულ თვისობრივ და რაოდენობრივ დახასიათებას.

ე) საჰაერო აუზის დაბინძურების გამაფრთხილებელ პრინციპულ ღონისძიებებს, მეორადი წყაროების და არაორგანიზებული გამონაფრქვევების ჩათვლით.

ვ) მონაცემებს, შესაძლო ავარიულ და ზალპურ გამოტყორცნაზე ატმოსფეროში.

ზ) სდზ ზომებისა და მისი ორგანიზებისათვის საჭირო დაფინანსების მოცულობის დასაბუთებას.

მოქმედი, მშენებარე და სამშენებლოდ გამიზნული ობიექტების გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების გამოთვლას.

თ) სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტალური და/ან საცდელი სამუშაოების ნუსხას და დახასიათებას, რომლებიც აუცილებელია ატმოსფერული ჰაერის დაცვისათვის მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, მათი შესრულების ვადებს. თუ ნივთიერებებს ესაჭიროებათ ჰიგიენური ნორმატივების დადგენა (ზდკ, ზდკ ნაცვლად ზსუდ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები უნდა დასრულდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცებამდე.

ი) გრაფიკულ მასალას: სიტუაციური გეგმა მოქმედი, მშენებარე, სამშენებლოდ გამიზნული ობიექტებისა და მათი სანიტარიული დაცვითი ზონის მითითებით, საცხოვრებელ-სამოქალაქო მშენებლობის არსებული და პერსპექტიული რაიონების, „ქარების მარაო“-სა და ატმოსფერული ჰაერის არსებული და მოსალოდნელი დაბინძურების აღნიშვნით. ასევე ობიექტის მშენებლობისათვის შერჩეული მოედნის გენერალური გეგმა, ატმოსფეროს დამაბინძურებელი წყაროების აღნიშვნით.

4. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური გასცემს დასკვნას ატმოსფერული ჰაერის დასაცავად მიღებული გადაწყვეტილებების, სანიტარიულ წესებსა და ნორმებთან შესაბამისობაზე.

5. საკითხები, რომლებსაც ესაჭიროებათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ექსპერიმენტებისა და (ან) ცდების ჩატარება, ფორმულირდება სანიტარიული დავალების სახით და საჭიროა შეტანილ იქნეს ობიექტის საპროექტო დავალებაში.

6. აკრძალულია მშენებლობისათვის მიწების და ნაკვეთების გამოყოფა, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნის გარეშე და სანიტარიული ნორმებისა და წესების დარღვევის შესახებ შენიშვნების არსებობისას.

VI. ჰიგიენური მოთხოვნები ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი პროექტის შემუშავების სტადიაში

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სამშენებლო მოედნის შერჩევის სტადიაში უნდა შემუშავდეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაცვის გადაწყვეტილების სანიტარიულ წესებსა და ნორმებთან შესაბამისობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა პროექტის შემუშავების დამთავრებამდე, საჭიროებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნას დადგენილი თანამიმდევრობით.

2. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურს დასკვნისათვის ერთდროულად უნდა წარედგინოს სამშენებლო ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სანიტარული დაცვითი ზონის ორგანიზებისა და კეთილმოწყობის პროექტი.

3. სდზ ორგანიზებისა და კეთილმოწყობის პროექტი უნდა შემუშავდეს სანიტარიული წესებისა და ნორმების - „სანიტარიული დაცვითი ზონები და წარმოების, ნაგებობების და სხვა ობიექტების სანიტარიული კლასიფიკაცია“ - შესაბამისად და უპირველესად უნდა მოიცავდეს მოსახლეობის განსახლების ღონისძიებებს, იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ნაგებობანი მოხვდა სანიტარიულ-დაცვით ზონაში.

4. ობიექტის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტის ტექნოლოგიურ ნაწილსა და განყოფილებაში - „ბუნებრივი გარემოს დაცვა“, უნდა შეიცავდეს შემდეგ მასალას:

ა) წარმოების ტექნოლოგიის დარგში მიღებული საპროექტო გადაწყვეტილების დასაბუთებას დამაბინძურებელი ნივთიერების წარმოქმნის და გამოყოფის შემცირების ჭრილში და მათ შედარებას ჩვენში და საზღვარგარეთ არსებულ საუკეთესო ანალოგებთან.

ბ) გამონაფრქვევების გამწმენდი მოწყობილობებისა და აპარატების შერჩევის დასაბუთებას, ანალოგიური ექსპლუატაციის პირობების მქონე საწარმოებში გამოყენებული გაწმენდის ეფექტურობის ტექნოლოგიური გადაწყვეტას ჩვენში არსებული და საზღვარგარეთული პრაქტიკის ან გაწმენდის ახალი მიდგომების გამოყენებით და ლაბორატორიულ-საწარმოო გამოცდის მასალების მოყვანით.

გ) წინადადებებს, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული გამოფრქვევის აღსაკვეთად;

დ) ტექნოლოგიური რეგლამენტებით გათვალისწინებული ზალაპური გამონაფრქვევის, უარყოფითი მოქმედების შემცირების ღონისძიებებს;

ე) არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების პერიოდში ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოფრქვევის შემცირების ღონისძიებების დასაბუთებას;

ვ) ცალკეული სააქროების, წარმოებების, ნაგებობების მიერ ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების თვისობრივ და ხარისხობრივ დახასიათებას;

ზ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებულ და დაკვირვებების ან გათვლის მეთოდით მიღებული მასალის საფუძველზე დადასტურებულ მონაცემებს ატმოსფერული ჰაერის არსებული დაბინძურების (ფონური კოცენტრაციები) შესახებ;

თ) წარმოებების განთავსების რაიონში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამოთვლის შედეგებს და მის ანალიზს (ტრანსფორმაციის პროდუქტების გათვალისწინებით);

ი) წინადადებებს მავნე ნივთიერებების ზდგ-ს ირგვლივ;

კ) ატმოსფერული ჰაერის დაცვისათვის მიმართული ღონისძიებების რეალიზებისათვის საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვის უწყისს;

ლ) მშენებლობის თანამიმდევრულობას და გამშვებ კომპლექსებს;

მ) წინადადებებს, ობიექტის გამონაფრქვევების გავრცელების ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით;

ნ) გრაფიკულ მასალას: წარმოების განთავსების რაიონის სიტუაციური გეგმა – მოქმედი, მშენებარე და მშენებლობისათვის შერჩეული წარმოებების სანიტარიულ დაცვითი ზონის დატანით; სამოსახლო ტერიტორიის, მოსახლეობის მასობრივი დასვენების ზონების, სამშენებლოდ გამიზნული ობიექტის მოედნის გენერალურ გეგმას, ატმოსფეროში გამოფრქვევის წყაროების აღნიშვნით;

ო) დანართებს: სამშენებლო მოედნის შერჩევის აქტი; მაღალი მიღების დაპროექტების შემთხვევაში სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიალური სამმართველოს დას-კვანას;

5. სანიტარული-დაცვითი ზონის ორგანიზების პროექტი შესრულებული უნდა იყოს მოქმედი სანიტარული წესების და ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით. აკრძალულია სდზ ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტის რეალიზაციის ვადების გადატანა ობიექტის მშენებლობის დამთავრების ვადების შემდეგ.

6. დაუშვებელია დასკვნის გაცემა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისობაზე სანიტარი-ულ ნორმებსა და წესებთან იმ პირობით, რომ დამატებები საპროექტო მასალაში შეტანილი იქნება შემდეგში.

VII. ჰიგიენური მოთხოვნები ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი, ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების სტადიაში

1. აკრძალულია ობიექტის მშენებლობა პროექტით, რომელზეც არ არის სახელმწიფო სანიტარული ზედამ-ხედველობის სამსახურის დასკვნა, სანიტარიულ ნორმებსა და წესებთან შესაბამისობაზე.

2. სანიტარული ნორმებისა და წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხს აგებს დამკვეთი და შესაბამისი საპროექტო ორგანიზაცია.

3. მშენებლობისას დაუშვებელია პროექტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებიდან გადახრა. ატმოსფერული ჰაერის დაცვაზე ცვლილებების შეტანის აუცილებლობა უნდა იქნას დასაბუთებული საპროექტო ორგანიზაციის ობიექტის გენერალური დამპროექტებლის მიერ, ხოლო მშენებლობა უნდა წარიმართოს, მხოლოდ სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნის მიღების შემდგომ ამ ცვლილებების სანიტარიულ წესებსა და ნორმებთან შესაბამისობაზე.

4. მშენებარე ობიექტის დამკვეთი (მშენებელი) მოვალეა, მიმღები კომისიის ფორმირების შესახებ არსებული წესის მიხედვით შეატყობინოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

5. აკრძალულია მიმღები კომისიის შემადგენლობიდან სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის ამოღება.

6. აკრძალულია იმ ობიექტების და გამშვები კომპლექსების ექსპლუატაციაში გაშვება რომელთაც აქვთ ხარვეზები და აბრკოლებენ ნორმალურ ექსპლუატაციასა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ჰიგიენური ნორმების დაცვას; დამონტაჟებული მოწყობილობების მექანიზმების და პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვების აპრობაციის, გამოცდის და მუშაობის შემოწმების გარეშე იმ მოცულობით, რომელიც შეეფარდება საპროექტო სიმძლავრის ნორმებს საწყისი პერიოდისათვის; საწარმოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ლაბორატორიული კონტროლისათვის მზადყოფნის გარეშე. ასევე აკრძალულია, გამშვები კომპლექსის შემადგენ-ლობის დამტკიცებული პროექტიდან გადახვევა;

7. მოწყობილობების კომპლექსური აპრობაციისას დამკვეთი (მშენებელი) მოვალეა, ობიექტის მოქმედების ზონაში უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ლაბორატორიული გამოკვლევა.

8. მიმღები კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, დამკვეთის (მშენებლის) მიერ ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები, საწყის პერიოდში გამოშვებულ პროდუქციასთან შეფარდებით. ობიექტის პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრეზე გადასვლის შემდეგ დამკვეთი მოვალეა, ობიექტის მოქმედების ზონაში უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება, რაც უნდა დაფიქსირდეს მიმღები კომისიის აქტით და გამოკვლევის შედეგები გადაეცეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

9. სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის არსებობისას, დამკვეთი მოვალეა, მიმღებ კომისიაში ობიექტის საექსპლუატაციოდ გაშვებაზე წარდგენამდე მიიღოს საჭირო ზომები არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

10. მიმღები კომისიის მიერ ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება აკრძალულია აქტში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის დასკვნისა და ხელის მოწერის გარეშე. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის ხელის მოწერის უქონლობა ითვლება კანონის დარღვევად.

VIII. ჰიგიენური მოთხოვნები ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი ატმოსფეროს დაბინძურების წყაროების ობიექტების ექსპლუატაციისას

1. ობიექტების ხელმძღვანელები, საკუთრების ფორმის მიუხედავად, მოვალენი არიან:

ა) შეიმუშავონ და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმები ან სხვა ღონისძიებები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დასაცავად და მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად;

ბ) უზრუნველყონ ზღვ ან მსუდ-ის შემუშავება იმ ნივთიერებებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ დადგენილი ნორმატივები;

გ) უზრუნველყონ ობიექტის გამონაფრქვევების მოქმედების ზონაში არსებული, სამოსახლო ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლი;

დ) მიიღონ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნა ტექნოლოგიური პროცესის ან მოწყობილობების ყოველგვარ ცვლილებებზე (წარმოების სიმძლავრის გაზრდა, ნედლეულის შემადგენლობის შეცვლა, გამოსაშვები პროდუქციის ნომეკლატურა და სხვა გადახრები დამტკიცებული პროექტიდან);

ე) უზრუნველყონ სამუშაოების ჩატარება სანიტარიულ-დაცვითი ზონის პროექტირების, ორგანიზებისა და კეთილმოწყობისათვის იმ ობიექტებზე, რომლებთაც არ გააჩნიათ მოქმედი სანიტარიული წესების და ნორმების შესაბამისად ორგანიზებული სანიტარიულ-დაცვითი ზონები;

ვ) ოპერატიულად მიაწოდონ ინფორმაცია სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს ატმოსფერულ ჰაერში არარეგლამენტირებული მავნე მინარევების გამოფრქვევის ყველა შემთხვევაზე, დაამუშავონ ღონისძიებები მათი ლიკვიდაციისა და ანალოგიური სიტუაციების აღსაკვეთად.

ზ) სანიტარიული ნორმებისა და წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, დადგენილ ვადებში შეასრულონ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ორგანოების მითითებები.

2. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის დასკვნის გარეშე აკრძალულია ტექნოლო-გიური პროცესის ნებისმიერი შეცვლა, რომელზეც დამო-კიდებულია გამოყოფილი აირების მოცულობისა და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების გაზრდა, ან მავნე ნივთიერებების შემადგენლობის შეცვლა.

IX. ჰიგიენური მოთხოვნები ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევის (ზდგ) დადგენისადმი მოქმედი ობიექტებისათვის

1. მოქმედი ობიექტის ყველა წყაროსათვის, სპეცი-ალური რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ ზდგ მტკიცდება, სახელმწიფო სანიტარიული ზედამ-ხედველობის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ.

2. აკრძალულია ზდგ-ს დადგენა, რომელიც აღემატება ობიექტის დაპროექტების ეტაპზე სანიტარიული ზედამ-ხედველობის სამსახურთან შეთანხმებულ გამონაფრქვევს ატმოსფერული დაბინძურების მოცემული წყაროსათვის.

3. ზდგ-ს შემუშავების წინადადებებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც მოცემული, ასევე მეზობლად მდებარე ობიექტების წყაროს მიერ გამოფ-რქვეული მავნე ნივთიერებები, რომლებიც განაპირობებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განსახილველი ობიექტის გამონაფრქვევების ზემოქმედების ზონაში.

4. ზდგ-ს შემუშავების წინადადებებში,, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული დონე (ფონური დაბინძურება), შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს გამოთვლითი გზით, ან განისაზღვროს დადგენილი წესის შესაბამისად ლაბორატორიული გამოკვლევების საშუალებით.

5. გამოთვლის გზით მიღებული გამონაფრქვევის ჩათვლით ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა და მეზობლად მდებარე საწარმოების დაბინძურების წყაროების ნუსხა, ექვემდებარება აუცილებელ შეთანხმებას სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან.

6. თითოეული ობიექტის ნორმატივის პროექტი, კონკრეტული ტერიტორიის ზღვრულად დასაშვები გამონაფრქვევების კრებულში ჩართვამდე, აუცილებელია, განსახილველად და შესათანხმებლად წარედგინოს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

7. ცალკეული ობიექტების ზდგ უნდა შეიცავდეს:

ა) წყაროების საინვენტარიზაციო ნუსხას, თითოეული მათგანის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დახასიათებით;

ბ) წინადადებებს ზდგ ნორმატივების შესახებ ყოველი წყაროსა და დამაბინძურებელი ნივთიერებისათვის;

გ) ღონისძიებათა გეგმას ზდგ-ს მისაღწევად;

დ) ფონური კონცენტრაციების აღრიცხვის წესს;

ე) საპროგნოზო გამოთვლის შედეგს (აუცილებლობის შემთხვევაში გამოთვლების პირველად მასალას) ზდგ-ს მიღწევის ყველა ეტაპისათვის;

ვ) სიტუაციურ გეგმას კონცენტრაციების იზოხაზებით (იზოზღვრებით) ზდგ-ს მიღწევის ყველა ეტაპისათვის.

8. ცალკეული ობიექტის ზდგ ნორმატივის პროექტი კრებულში შეიძლება შევიდეს მასალის საბოლოო დამუშავების შემდეგ, მხოლოდ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნების შესაბამისად;

9. იმ შემთხვევაში, როცა თანამედროვე საშუალებებით შეუძლებელია ზდგ-ს მიღწევა, ტექნოლოგიური პროცესის და სიმძლავრის შესამცირებლად ან საწარმოს პროფილის შესაცვლელად მიღებულ უნდა იქნას არსებული დაბინძურების შემცირებისა და აღკვეთის ზომები და კონკრეტული ვადები.

10. ზდგ მიღწევის ღონისძიებათა გეგმაში დაუშვებელია, რომელიმე ეტაპზე, მავნე ნივთიერებების არსებული გამონაფრქვევის გადაჭარბება.

11. ზდგ მიღწევის პერიოდში გამონაფრქვევების მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითი მოქმედების მონაცემების არსებობის შემთხვევაში, მწარმოებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს, ამ ობიექტის გამონაფრქვევების მოქმედების ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზარალი.

X. ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საუწყებო ლაბორატორიული კონტროლის ორგანიზებისადმი

1. თითოეულმა ობიექტმა, რომელიც წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს, უნდა უზრუნველყოს ამ ობიექტის გამონაფრქვევების მოქმედების ზონაში არსებული სამოსახლო ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლი და დაკვირვება.

2. დაკვირვების პოსტების განლაგება, კონტროლს დაქვემდებარებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ნუსხა, მათი განსაზღვრის მეთოდები და აგრეთვე ატმო-სფერული ჰაერის სინჯების აღების პერიოდულობა ექვემდებარება შეთანხმებას სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან.

3. დაბინძურების ცვალებადობის დინამიკის მიზეზების ანალიზითა და ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების ღონისძიებებით, მათი შესრულების კონკრეტული ვადებით, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს ყოველწლიურად უნდა წარედგინოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საუწყებო კონტროლის და უკანსკნელი 3 წლის მანძილზე განხორციელებული დაკვირვების განზოგადებული შედეგები, შეთანხმებული ფორმის მიხედვით.

XI. ტერმინები და განსაზღვრებები ტექსტში მოყვანილ ტერმინთა საერთაშორისო განმარტება

1. ატმოსფეროს ანთროპოგენური დაბინძურება – ადამიანის მოღვაწეობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება;

2. ატმოსფეროს დაბინძურება (ემისია) – ატმოსფერულ ჰაერში შენარევების არსებობა, ან ნორმალური კომპონენტების თანაფარდობის შეცვლა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, მათ ჯანმრთელობაზე და გარემო ფაქტორებზე

3. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლის სისტემა – ორგანიზაციების და დაწესებულებათა ქსელი, რომლებიც ეწევიან კონტროლს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხზე და აწარმოებენ მის შეფასებას.

4. ატმოსფეროს დამაბინძურებელთა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) – ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეულ მონაკვეთში (20-30წ. 24 ს), რომელიც არ ახდენს არც უშუალო და არც ირიბ მავნე ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე, მის აწმყო და მომავალ თაობებზე შორეული შედეგების ჩათვლით, არ აქვეითებს მათ შრომის უნარიანობას და არ აუარესებს მათ თვითშეგრძნებებს.

5. გამონაფრქვევის ჩირაღდანის – ორგანიზებული გამონაფრქვევების მიერ აირებით ან ბოლით დაკავებული არე, რომლის რეალური გამონაფრქვევების მიმართულება და გავრცელება დამოკიდებულია დამაბინძურებელი გამონაფრქვევების სიმაღლეზე, მეტეოროლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა პირობებზე.

6. გამონაფრქვევების ინვენტარიზაცია – გარკვეულ ტერიტორიაზე დაბინძურების წყაროების სახეობის, განლაგების, რაოდენობის და გამონაფრქვევების ქიმიური შემადგენლობის ირგვლივ არსებული მასალის სისტემატიზაცია.

7. დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია – ჰაერის გარკვეული მოცულობით ერთეულში მავნე ნივთიერების რაოდენობა (ჩვეულებრივად მგ/მ³).

8. მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია –30 წუთის განმავლობაში აღებული სინჯების საერთო რაოდენობიდან ყველაზე მაღალი კონცენტრაცია.

9. ზემოქმედების საორიენტაციო უსაფრთხო დონე (ზსუდ) – ნივთიერების ცნობილი ტოქსიკომეტრული პარამეტრების, ფიზიკო-ქიმიური თვისებების და სხვათა საფუძველზე გამოთვლის მეშვეობით დადგენილი ატმოსფერულ ჰაერში ნივთიერების საორიენტაციო უსაფრთხო კონცენტრაცია დგინდება გამაფრთხილებელი სანიტარი-ული დაკვირვების მიზნით.

10. ორგანიზებული გამონაფრქვევი – სამრეწველო გამონაფრქვევი, რომელიც ხვდება ატმოსფერულ ჰაერში სპეციალური აირმსვლელების და მილების საშუალებით.

11. რეზორბციული მოქმედება – ნივთიერების თვისება, სისხლში მოხვედრის შემთხვევაში გამოიწვიოს ტოქ-სიკური ეფექტი.

12. რეფლექსური მოქმედება – ნივთიერების თვისება გამოიწვიოს რეფლექსური (გამაღიზიანებელი) რეაქცია სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებში ან თვალში არსებულ რეცეპტორებზე მოქმედების შედეგად.

13. სანიტარიულ-დაცვითი ზონა – დაკანონებული ზონა, რომელიც წარმოადგენს დაბინძურებული ტერიტორიის ნაწილს განლაგებულს სამრეწველო ობიექტის ან მათი ჯამის და დასახლებულ ტერიტორიას შორის არეალს. სანიტარიული დაცვითი ზონის მიზანია მრეწველობის ან სხვა ობიექტების გამონაფრქვევებით დაბინძურებული ატმოსფეროს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითი მოქმედების აცილება.

14. საშუალო სადღეღამისო კონცენტრაცია – დღის განმავლობაში, ხანმოკლე დროის მანძილზე აღებულ სინჯებში აღმოჩენილი კონცენტრაციების საშუალო მონაცემი.

15. ფონური დაბინძურება – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა არსებული წყაროების ერთობლივი მოქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა გარკვეულ რაიონში, ახალი ობიექტის მშენებლობისას ან არსებული წარმოების სავარაუდო გაფართოების მომენტისათვის.

16. ტოქსიკური ნივთიერებების ჯამური მოქმედება – ნივთიერების ჯგუფის მოქმედების ეფექტი, რომელიც თითოეული მათგანის მოქმედების ეფექტის ჯამის ტოლია.

XII. ატმოსფეროს დაბინძურების პოტენციალის (ადპ) განსაზღვრა, მეტეოროლოგიური პარამეტრების საშუალო წლიური მნიშვნელობების მიხედვით

დანართი 1

(სავალდებულო)

ატმოსფეროს დაბინძურების პოტენციალი	მიწის ზედაპირული ინვერსიები			განმეორებადობა %-ში		გადაადგილების ფენის სიმაღლე, კმ	ნისლის ხანგრძლივობა, სთ.
	განმეორება, %	სიმძლავრე, კმ	ინტენსიურობა, °C	ქარის სიჩქარე 0-1 მ/წმ	მ.შ. ჰაერის უძრავობა ზედიზედ რამდენიმე დღე		
დაბალი	20-30	0,3-0,4	2-3	10-20	5-10	0,7-0,8	80-350
ზომერი	30-40	0,4-0,5	3-5	20-30	7-12	0,8-1,0	100-550
მომატებული: კონტინენტალური ზღვისპირული	30-45	0,3-0,6	2-6	20-40	3-18	0,7-1,0	100-600
	30-45	0,3-0,7	2-6	10-30	10-25	0,4-1,1	100-600
მაღალი	40-60	0,3-0,7	3-6	30-60	10-30	0,7-1,6	50-200
მაღიან მაღალი	40-60	0,3-0,9	3-10	50-70	20-45	0,8-1,6	10-600

ბიბლიოგრაფია

1. „დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ)“ №3086-84 – მოსკოვი 1984წ.
2. „გარემოს ჰიგიენური ასპექტები“ – ევროპის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მეთოდური მასალების კრებული – მოსკოვი 1981წ.
3. „გარემო. ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები“ – გ. ბეზმიატნიკოვი, ი. კროტოვი. ლენინგრადი 1985წ.
4. სანიტარიისა და ჰიგიენის ს/კ ინსტიტუტის მასალები.
5. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი სახელმწიფოების სამეცნიერო კონფერენციის მასალები, მ. 1976 წ.

2.1.7. ნიადაგი. დასახლებული ადგილების დასუფთავება. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები. ნიადაგის სანიტარიული დაცვა

ჰიგიენური მოთხოვნები ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების სარწყავად და სასუქად გამოყენებისადმი

Higienic requirements to wastewater and sewage sludge use for land irrigation and fertilization

სანიტარიული წესები და ნორმები

სანწდან 2.1.7. 000 - 00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ და „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საფუძველზე.

2. წინამდებარე სანიტარული წესებისა და ნორმების დაცვა აუცილებელია იმ ორგანიზაციებისა და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრების დაპროექტებასა და ექსპლუატაციას ემსახურებიან.

3. წინამდებარე სანიტარული წესებისა და ნორმების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური.

II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარიულ წესებსა და ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

- ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“;

III. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები განსაზღვრავენ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრებისათვის სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხის, მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრების ტერიტორიის შერჩევის და მათ ექსპლუატაციაზე კონტროლის განხორციელების მიმართ. მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრები (მსმ)-სპეციალიზებული სამელიორაციო სისტემებია, რომლებიც განკუთვნილია სარწყავ და გასამდიდრებელ მინდვრებზე წინასწარ მომზადებული ნახმარი წყლების გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათი ბუნებრივი ბიოლოგიური გაწმენდა.

2. წინამდებარე საწინააღმდეგო არ ვრცელდება იმ სამელიორაციო სისტემებზე, სადაც გამოიყენება თხევადი ნაკელი და მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების ნახმარი წყლები.

3. მსმ-ის მოწყობის შესაძლებლობა განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგომარეობის ანალიზისა და ეკოლოგიურ-ჰიგიენური მოთხოვნების საფუძველზე და შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივ დაწესებულებებთან:

- ა) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ორგანოებთან;
- ბ) სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ორგანოებთან;
- გ) გარემოს დაცვის სამსახურის ორგანოებთან;
- დ) წყლის დაცვის და გამოყენების მარეგულირებელ ორგანოებთან;
- ე) ჰიდროგეოლოგიური სამსახურის ორგანოებთან.

IV. მოთხოვნები მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრების ტერიტორიის შერჩევისადმი

1. მსმ-თვის მიწის ნაკვეთები შეირჩევა ადგილობრივი რელიეფის, ნიადაგის გრუნტის და ჰიდროგეოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ასევე სანიტარიული დაცვითი ზონების ზომების აუცილებელი დაცვით.

2. მსმ-ის დაპროექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) დასახლებული ადგილებისა და საწარმოო ობიექტების განვითარების პერსპექტივა, ნახმარი წყლების მოცულობის შესაძლო გაზრდა, რათა მათმა მოცულობამ დანაკარგის გარეშე დააკმაყოფილოს მთელი სარწყავი ტერიტორია;

ბ) იმ ნიადაგქვეშა წყლების ბუნებრივი დაცვა გაბინძურებისაგან, რომლებიც უკვე გამოიყენება ან შემდგომში შეიძლება დაპროექტდეს მათი წყალმომარაგებაში გამოყენება.

3. მსმ-ის მოწყობა არ დაიშვება:

ა) ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების, წყალაღებისა და სამკურნალო მინერალური წყლის წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების I-II სარტყლების ტერიტორიაზე;

ბ) მიწის ზედაპირზე კარსტული ღრუების გამოსვლისა და წყალშემცველი ნაპრალოვანი ქანების ნაირსახეობის ადგილებში;

გ) საკურორტო, სარეკრეაციო და წყალსაცავების სანიტარიული დაცვის ზონების ფარგლებში;

დ) გამოკვლეული სასმელი დანიშნულების ნიადაგქვეშა მტკნარი წყლების საბადოების ფარგლებში, რომელნიც დაცული არ არიან მიწის ზედაპირიდან გამაბინძურებელი ნივთიერებების შეღწევისაგან.

4. მსმ-ის მშენებლობა დასაშვებია სილიან და ქვიშნარ ნიადაგებზე გრუნტის წყლების 1,25 მ-ის, ხოლო თიხნარ და თიხიან ნიადაგებზე 1,0 მ-ის სიღრმეზე მდებარეობის შემთხვევაში, ნიადაგქვეშა წყლების დაცვის შესახებ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. გრუნტის წყლების მაღალ დონეზე დგომის შემთხვევაში, აგრეთვე ტორფიან ნიადაგებში საჭიროა დრენაჟის მოწყობა. დრენაჟის წყლები შეიძლება გამოყენებულ იქნას სარწყავად ან ჩაშვებული წყალსატევებში ზედაპირული

5. წყლების დაბინძურების შესახებ მოქმედი სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნების დაცვით.

6. მსმ-ის ქვემოთ მდებარე გრუნტის წყლების (ქები, მცირე ჭაბურღილები) სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში საჭიროა ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების მოწყობა. ამასთან, წყალსადენის სათავისათვის უნდა შეირჩეს ადგილი ისე, რომ შეიძლებოდეს სანიტარული დაცვის ზომების ორგანიზება და მისი სარტყლების ფარგლებში სათანადო რეჟიმის დაცვა, შესაბამისად სანქდან „სამეურნეო-სასმელი დანიშნულების წყალმომარაგებისა და წყალ-გაყვანილობის წყაროებისათვის სანიტარიული დაცვითი ზონების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის წესები“ N2640-82.

7. ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობასა და პირუტყვში აღინიშნება ჰელმინთოზების (ასკარიდოზი, ტრიქო-ცეფალოზი, ანკილოსტომიდოზი, ტენიიდოზი) გავრცელების მაღალი მაჩვენებლები (უკანასკნელი 3-5 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით) და ასევე ბაქტერიული და ვირუსული წარმოშობის ინფექციური დაავადებები, მსმ-ის მოწყობა დაიშვება შესაბამისი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, როგორც მოსახლეობაში ასევე პირუტყვსა და გარემოში.

8. დასახლებულ პუნქტებსა და მსმ-ის ტერიტორიას შორის ეწყობა სანიტარული დაცვითი ზონა, რომლის სიგანე დამოკიდებულია მორწყვის წესზე და უნდა იყოს არანაკლებ:

ა) ნიადაგქვეშა და ნიადაგშიგა მორწყვისას — 100მ;

ბ) ზედაპირული მორწყვისას — 150მ;

გ) წვიმისებური დასხურებისას მოკლე ნაკადით ძირს მიმართული აპარატით — 200მ;

დ) საშუალო ნაკადით — 300მ;

ე) შორი ნაკადით — 500მ;

9. მსმ-ის დასახლებული პუნქტისაკენ მიქცეულ საზღვარზე გათვალისწინებული უნდა იქნას არანაკლებ 15მ. სიგანის ტყის დამცავი ზოლის მოწყობა. თუ და-შორება დასახლებული პუნქტიდან სჭარბობს 1000მ-ს, მაშინ ტყის ნარგავების გაშენება არ არის აუცილებელი.

10. სანიტარიული დაცვის ზონა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებამდე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 100მ-ს, გამყოფი ზოლის დართვით. გზების საზღვარზე უნდა გაშენდეს არანაკლებ 10მ-ის სიგანის ტყის ზოლები.

11. ნიადაგქვეშა წყლის მდგომარეობის საკონტროლო-ლოდ (დონეების რეჟიმი, ქიმიური შემადგენლობა) მსმ-ის მოქმედების ზონაში უნდა იქნას მოწყობილი სამეთვალყურეო ჭაბურღილები, შესაბამისი აღჭურვილობით.

12. მსმ-ის ტერიტორიის საზღვრებზე უნდა მოეწყოს გამაფრთხილებელი ნიშნები მოსახლეობისათვის.

V. მოთხოვნები ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხისადმი

1. ქალაქების, დასახლებული ადგილების, ფერმერული მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოების საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, საწარმოო და შერეული წყლები მსმ-ზე შეიძლება გამოყენებული იქნეს მექანიკურ და ბიოლოგიურ გამწმედ ნაგებობებში შესაბამისი მომზადების შემდეგ.

2. მსმ-ზე აკრძალულია ცხოველური წარმოშობის ნედლეულის გადამამუშავებელი ცალკეული საწარმოების, სასაკლაოების, ვაქცინებისა და შრატების დამამზადებელი ბიოფაბრიკების,

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, პესტიციდებისა და გაღვანური საწარმოების, აგრეთვე რადიონუკლიდების შემცველი ნახმარი წყლების გამოყენება.

3. მსმ-ზე საწარმოო და შერეული ნახმარი წყლების გამოყენების შესაძლებლობა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის წყდება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, ვეტერინარიული და გარემოს დაცვის სამსახურის ორგანოების მიერ სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, რომელსაც ატარებენ ჰიგიენური, აგრომელიორაციული და ვეტერინარიული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ნიადაგზე, მოყვანილ კულტურებზე, პირუტყვსა და ცხოველურ პროდუქციაზე ნახმარი წყლების გავლენის ხარისხისა და ხასიათის გამოსაკვლევად.

4. მსმ-ზე გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხის რეგლამენტირება ხდება ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით.

5. ნახმარ წყლებში მძიმე ლითონების დასაშვები კონცენტრაციების დადგენა ხდება სარწყავი ნორმიდან გამომდინარე ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის – გამოთვლის წესით, სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების შესახებ მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად (კარი II).

6. ნახმარი წყლები, რომლებშიც მიკროელემენტების და მათ შორის მძიმე ლითონების შემცველობა არ სჭარბობს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარწყავად შეუზღუდავად.

7. სარწყავად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების ხარისხის მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

სარწყავად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების ხარისხის მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები	დასაშვები შემცველობა 1 დმ-ში
მაჩვენებლები	
ლდნ (ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირები) პათოგენური მიკროორგანიზმები	< 10 000 არ უნდა იყოს
გეოპლემინთების (ასკარიდა, ანკილოსტომიდები ბუწვთავები) სიცოცხლის უნარიანი კვერცხები	< 1
ბიოპლემინთების (ტენიიდების ონკოსფეროები, ფასციოლები) სიცოცხლის უნარიანი კვერცხები	< 1
ნაწლავის პათოგენური უმარტოვების სიცოცხლის უნარიანი ცისტები (ლამბლიები, ბალანტიდიები, კრისტოსპორიდიების ოოცისტები)	< 1
	< 1

8. გაწმენდილი საწარმოო და შერეული ნახმარი წყლების მსმ-ზე გამოყენების შესაძლებლობა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის წყდება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის და ვეტერინარიული სამსახურების ორგანოების მიერ. ჰიგიენური, აგრომელიორაციული და ვეტერინარიული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ატარებენ სპეციალურ გამოკვლევებს მოყვანილ კულტურებზე, პირუტყვსა და ცხოველურ პროდუქციაზე ნახმარი წყლების გავლენის ხარისხისა და ხასიათის გამოსავლენად.

9. ნახმარი წყლების ნალექის სასუქად გამოყენება დაშვებულია ტოქსიკურობის (საშიშროების) კლასის დადგენისა და გაუვნებლობის ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ნალექებში სხვადასხვა ტოქსიკური ინგრედიენტების, აგრეთვე მძიმე ლითონების შემცველობისას მისი შეტანის ნორმები ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვრება გამოთვლითი გზით. შეტანის ნორმები არ უნდა იწვევდეს მძიმე ლითონების დაგროვებას ნიადაგში 0,7-0,8 ზდკ-ზე მეტად (ტრანსლოკაციური მაჩვენებლების მიხედვით).

$$A + L < 0,8 \text{ ზდკ, სადაც,}$$

A- ნალექის შეტანამდე ნიადაგში ელემენტის თავდაპირველი შემცველობაა მგ/კგ;

L - მოცემული ელემენტის ნიადაგში დამატებითი შეტანა ნალექის საშუალებით მგ/კგ;

ზდკ - მოცემული ელემენტის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ნიადაგში (ტრანსლოკაციური მაჩვენებლების მიხედვით) მგ/კგ.

10. ნიადაგში შეტანილი ამა თუ იმ ელემენტის დასაშვები სიდიდე ” L“ მაქს განისაზღვრება ფორმულით (კგ/ჰა-ზე):

$$„L“ \text{ მაქს.} = 0,8X(\text{ზდკ}-A)X3,$$

სადაც 3 არის ერთეულ განზომილებამდე დაყვანილი, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებული 3000 ტ/ჰა-ზე მასის ნიადაგის სახნავი შრის კოეფიციენტი.

11. მაქსიმალური დოზის დამატებითი შეზღუდვა ხდება ნიადაგში ნალექით შეტანილი საერთო აზოტის სიდიდის მიხედვით, რაც არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 300 კგ/ჰა-ს, აქ შედის მინერალური აზოტის ის რაოდენობაც, რაც გამოაქვს წლიურ მოსავალს.

VI. მოთხოვნები ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების წინასწარი მომზადების მეთოდებისადმი

1. ნახმარი წყლების ხარისხზე წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (ცხრილი1) მინდორზე მიწო-დების წინ ისინი ექვემდებარებიან შესაბამის მომზადებას, რაც უზრუნველყოფს ჰელმიტების კვერცხების 99,9-ის მოშორებას. იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახით ხდება ნაკადის გადანაწილება მინდვრებზე და სარწყავ კულტურებზე, მათი წინასწარი მომზადება ხორციელდება მექანიკურ და ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობებში.

2. ნახმარი წყლების დღე-ღამეში 1000 კუბ.მ. – 50000 კუბ.მ. რაოდენობისას, როდესაც არ არსებობს ხელოვნური ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები, მათი მომზადება დაიშვება მექანიკურ გამწმენდ ნაგებობებში ბიოლოგიურ ან შემგროვებელ გუბურებთან კომპლექსში.

3. გამდინარე ბიოლოგიური გუბურების მოწყობისას სექციების რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 4-ისა. კონტაქტურ ბიოლოგიურ გუბურებში ნახმარი წყლების დაყოვნების ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველი კლიმატური რაიონისათვის შესაბამისი ექპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე. სხვადასხვა კლიმატური რაიონისათვის ეს ვადები სეზონთან დაკავშირებით (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) მერყეობენ 5-14 დღე-ღამემდე.

4. ზამთრის პერიოდში ნახმარი წყლები გადაედინებიან შემგროვებელ გუბურებში.

5. კვების მრეწველობის (შაქრის, სპირტის, ლუდის ჰიდროლიზური, სახამებელ-ბადაგის, საფუარის მწარმო-ებელი, რძის, ბოსტნეულისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნების) ნახმარი წყლები მოსარწყავად დაიშვება მექანიკური გამწმენდი ნაგებობების, გუბურა სალექარების და შემგროვებელი გუბურების ან ბიოპლატოს გავლის შემდეგ.

6. მსმ-თვის ნახმარი წყლების მომზადების და გამოყენების სამაგალითო სქემები მოცემულია დანართში 2 (I კარი).

7. ნახმარი წყლების მომზადების სისტემაში მიწის სალექარების, გუბურა-დამაგროვებლების, ბიოლოგიური გუბურების არსებობისას უნდა გატარდეს სისხლის მწოველი მწერების გამრავლების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები.

8. ნახმარი წყლების გაუვნებლობა და გაუსნებოვანება უნდა განხორციელდეს შემდეგი რომელიმე ხერხით:

ა) მეთანტენკებში თერმოფილური დუდილით ან თერმული გამოშრობით;

ბ) ინფრაწითელი დასხივებით (დეჰელმინთიზაციის კამერა);

გ) არანაკლებ 20 წთ.-ის ხანგრძლივობის პასტერიზა-ციით $+70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე;

დ) ნედლი ნალექის ნარევის აქტიურ ლამთან ერთად წინასწარი გახურებით $+60^{\circ}\text{C}$ - $+65^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, აერობული სტაბილიზაციით 2 სთ.-ის განმავლობაში;

ე) კომპოსტირებით (ნახერხით, გამხმარი ფოთლებით, ჩალით, ტორფით ან სხვა წყალმშთანმთქმელი საშუალებებით) 4-5 თვის განმავლობაში. აქედან 1-2 თვე უნდა მოდიოდეს წელიწადის თბილ დროზე, იმ პირობით, რომ კომპოსტის ყველა მონაკვეთში ტემპერატურა არ უნდა იყოს $+60^{\circ}\text{C}$ –ზე ნაკლები;

ვ) ლამიან მინდვრებზე 1-2წლის დაყოვნებით

9. ლამიან მინდვრებზე ნახმარი წყლების ნალექის დაყოვნების ვადები ზუსტდება სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების ან სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ იმ ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც გამორიცხავენ ნალექში სიცოცხლისუნარიანი ჰელმიტების კვერცხების (ასკარიდები, თავბეწვები, ანკილოსტომიდები, ტენიიდების ონკოსფეროები და ფასციოლები) არსებობას.

10. ნახმარი წყლების ნალექების ეფექტური გაუვნებლობა მიიღწევა ჩაუმქრალი კირით (გადასამუშავებელი ნალექის მოცულობის 30%), ამიაკის წყლით (ნალექის მასის 5-8% - 5-10 დღე-ღამის დაყოვნებით) და ტიაზონით გადამამუშავებისას. ეს უკანასკნელი გამოიყენება ნალექის საერთო მასაზე 0,2-2,2% დოზით და 3-10 დღე-ღამის ექსპოზიციით დამლუპველად მოქმედებს არა მარტო ჰელმიტების კვერცხებზე, არამედ პათოგენურ მიკროფ-ლორაზე, ბუზის კვერცხებსა და ჭურჭებზე, უმარტივესთა პათოგენურ ცისტებზე, ობზე, ფიტონემატოდებზე და სარვეელას თესლებზეც.

ტიზონით ნალექის დამუშავების შემდეგ იგი უნდა დაყოვნდეს 30 დღე-ღამე მოედანზე მკვრივი აპკით დაფარულ სალექარებში. ქიმიური საშუალებებით ამგვარად დამუშავებული ნალექი მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს ნიადაგში მოსავლის აღების შემდეგ, შემოდგომაზე.

11. ნახმარი წყლების ნალექები და მათგან დამზადებული კომპოსტი გამოიყენება როგორც სასუქი: იმ ნიადაგებზე, რომლებზეც უნდა გაშენდეს ხე-ბუჩქნარის ტიპის ნარგავები, საცდელი ნაკვეთები, პარკები მრავალწლიანი სათიბები და საძოვრები; გადატბორვისას საფურაჟე მარცვლეული, სასილოსე და ტექნიკური კულტურები, აგრეთვე სათიბების მინდვრებზე და მიწების რეკულტივაციისას მიწათმოქმედების სარწყავ მინდვრებზე სალექარებში წარმოქმნილი ნალექის უტილიზაციისათვის სპეციალურად გამოიყოფა აღნიშნული პერიოდისათვის არასარწყავი უბანი, რომელზეც ითესება მრავალწლიანი ბალახი.

12. ნალექის გამოყენების ტექნოლოგია დამოკიდებულია მის დამზადებასა და გაუვნებლების ხარისხზე. სასუქად მშრალი ნალექის (კომპოსტი) გამოყენებისას იხმარება სპეციალური, ორგანული სასუქის შესატანი და გამფანტავი მანქანები. ნალექის შეტანის შემდეგ მიწა იხვნება 25-30 სმ-ის სიღრმეზე.

13. თხევადი ნალექის შესატანადაც გამოიყენება სხვა-დასხვა ტიპის სპეციალური მანქანები.

14. თხევადი ნალექის ნიადაგშიგა შეტანა მიზანშეწონილია მოხდეს მორწყვით დახვნისას.

15. ნალექის გადმოტვირთვის, ტრანსპორტირების და შეტანის დროს მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა დაცულ იქნეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

16. ნალექის შეტანა აკრძალულია წყალსატევებისა და ნაკრძალ ზონებში, ზედაპირულად ტყეებში, ტყეპარ-კებში, სათიბებსა და საძოვრებში.

VII. მოთხოვნები მიწათმოქმედების სარწყავი მინდვრების ექსპლუატაციისადმი

1. მსმ-ის ექსპლუატაციაში შეყვანა ხდება მისი მოწყობის ყველა სამუშაოს სრულყოფილად დამთავრების ან პროექტით გათვალისწინებული მორწყვის ტექნოლოგიის რიგითობის დაცვის შემდეგ, არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად.

2. მსმ-მა უნდა უზრუნველყონ ნახმარი წყლების გამოთვლილი რაოდენობის მიღება მათი დღე-ღამური და სეზონური არათანაბარი მიწოდების გათვალისწინებით. ნახმარი წყლების ჩაშვება წყალსატევებსა და სარწყავი მინდვრების საზღვრებს გარეთ აკრძალულია. ზედაპირული მორწყვისას მსმ-ის ქვემო საზღვარი უნდა შემოიზინოს 0,5 მ სიმაღლის ნაყარით.

3. სარწყავი და მოსასხურებელი ნორმების გამოთვლა ხდება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების, ნახმარი წყლების გამოყენების ტექნოლოგიის, მორწყვის ტექნიკისა და მსმ-ზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გათვალისწინებით.

4. ავარიის ან გამოთვლილი რაოდენობით ნახმარი წყლების მინდვრებზე მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში სარწყავ სისტემაში უნდა გათვალისწინებულ იყოს სარეზერვო და ბუფერული მოედნების მოწყობა, რომელთა საერთო ფართობი უნდა შეადგენდეს მსმ-ის ტერიტორიის არანაკლებ 5%-ს და განთავსებულ იყვნენ რელიეფის ყველაზე დაბალ მონაკვეთებში. სარეზერვო მოედნები ეწყობა 0,5 მ-ის სიმაღლის ლილვაკებით გამოყოფილ ჭილიბების მაგვარად. ბუფერული და სარეზერვო მოედნების საერთო ფართობი არ უნდა იყოს სარწყავი მინდვრების ტერიტორიის 5%-ზე ნაკლები.

5. სარწყავ მინდვრებზე დაშვებულია ტექნიკური, მარცვლეული, პირუტყვთა საკვები კულტურებისა და ხე-ბუჩქნარის ტიპის ნარგავების მოშენება.

6. მსმ-ზე კარტოფილის, ხილის, ბალჩეულობის, სასალათე და კენკროვანი კულტურების კულტივირება აკრძალულია.

7. სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარიული მოთხოვნების უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა მიიღწევა მრავალწლიანი ბალახის მოყვანისას (იონჯა, სამყურა, უფხო შვრიელა, მდელოს მელაკუდა, მდელოს ტიმოთელა, მდელოს წივანა, სათითურა და სხვა), რომლებმაც რეკომენდებულია დაიკავონ 60-70% სარწყავი ფართობისა. ასევე სასურველია ერთწლიანი ბალახებისა და ბალახნარეგების მოყვანაც.

8. პირუტყვის საკვები პროდუქციის გამოყენების შესაძლებლობა შეთანხმებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ვეტერინარიულ სამსახურთან.

9. ნახმარი წყლებით რეკომენდებულია ტყის ზოლების, ტყესაცდელების, დეკორატიული და კენკროვანი კულტურების საცდელი ნაკვეთების, ასევე ხე-ტყის ინტენსიური წარმოების პლანტაციების, ტირიფნარისა და დამცველი ტყის ნარგავების მორწყვა.

10. ნახმარი წყლების მსმ-ზე გადანაწილებისათვის გამოიყენება მორწყვის სხვადასხვა ხერხი: დაწვიმება, ზედაპირული (ღარებში, ჭილიბებში, ზოლებად, ფერ-დობის გასწვრივ), ნიადაგქვეშა და ნიადაგშიგა (25-60სმ-ის სიღრმეზე მოთავსებული პოლიეთილენის პერფორირებული მილებით) და მორწყვა დახვნის დროს. ჰიგიენური თვალსაზრისით ყველაზე ოპტიმალური ვარიანტებია ნიადაგქვეშა და ნიადაგშიგა მორწყვა. ნახმარი წყლებით მსმ-ის ამა თუ იმ მორწყვის ხერხის შერჩევა დამოკიდებულია მათ წინასწარ მომზადებაზე, ბუნებრივი პირობებისა და მოსაყვანი კულტურების გათვალისწინებით.

11. მსმ-ის ექსპლუატაციისას უნდა დადგინდეს საკა-რანტინო ვადა უკანასკნელ მორწყვასა და მოსავლის აღებას შორის. განთავსების ზონასთან დამოკიდებულებით მსმ-ის საკარანტინო ვადები უნდა იყოს:

ა) არიდული ზონისათვის (უდაბნო, ნახევარუდაბნო) – არანაკლებ 8 დღე-ღამისა;

ბ) სუბარიდული ზონისათვის (ტყესტეპები) – არანაკლებ 10 დღე-ღამისა;

გ) ჰუმიდური ზონისათვის (ტყე-მდელოს ზონა) – არანაკლებ 14 დღე-ღამისა.

12. საკარანტინო ვადების დადგენა ხდება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ადგილობრივი ეპიდემიო-ოლოგიური და ეპიზოოტიური სიტუაციის, ნახმარი წყლების მომზადების ხარისხის, მორწყვის ხერხის, მოყვანილი კულტურებისა და მოსავლის გამოყენების საჭიროების სახის გათვალისწინებით სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ვეტერინარიულ სამსახურებთან შეთანხმებით.

13. იმ რაიონებში, სადაც არაკეთილსაიმედო მდგომა-რეობაა მოსახლეობაში ტენიარინხოზის და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ფინიოზის მხრივ, მსმ-ზე მოყვანილი მწვანე მასა უნდა გადამუშავდეს ბალახის (ვიტამინურ) ფქვილად, გრანულებად, ბრიკეტებად ან ჩალაგდეს დრენაჟებად და სილოსად და არ იქნეს გამოყენებული 3 თვეზე ადრე.

VIII. მოთხოვნები საწარმოო კონტროლის ორგანიზაციისადმი სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვაზე მიწათმოქმედების სარწყავი მიწდგრების ექსპლუატაციისას

1. მსმ-ის ექსპლუატაციისას სანიტარული წესებისა და ნორმების დაცვის საწარმოო ლაბორატორიულ კონ-ტროლში იგულისხმება შემდეგი:

ა) კონტროლი ნახმარ წყლებსა და მათ ნალექებზე მსმ-ზე მიწოდებამდე. აგრეთვე, წინასწარ მოსამზადებელი გამწმენდი ნაგებობების მუშაობის ეფექტურობაზე.

ბ) კონტროლი მსმ-ის სამოქმედო ზონაში მდებარე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე.

გ) კონტროლი ნიადაგისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხზე.

დ) საწარმოო კონტროლს დაქვემდებარებული რეკომენდებული ელემენტები და მაჩვენებლები მოყვანილია II კარში.

2. საწარმოო ლაბორატორიული კონტროლი ხორციელდება:

ა) წყლის მიმწოდებლების ლაბორატორიაში – ნახ-მარი წყლებისა და მათი ნალექის შედგენილობის ხარისხზე;

ბ) წყლის მომხმარებლების ლაბორატორიაში – სარწყავი, სადრენაჟო, მახლობელი წყალმომარაგების წყარო-ების (ჭები, ჭაბურღილები, ღია წყალსატევები) და დასაკვირვებელი ჭაბურღილების გრუნტის წყლების ხარისხობრივ შედგენილობაზე;

გ) ნიადაგის მომხმარებლების ლაბორატორიაში – ნიადაგისა და მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხზე.

3. წყლის მომხმარებლების მიერ განხორციელებული ნიადაგქვეშა და ზედაპირული წყლების ხარისხის კონტროლის წესი (საკონტოლო პუნქტების შერჩევა, საანალიზო მაჩვენებლების ნუსხა, გამოკვლევათა სიხშირე) შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან.


4. მსმ-ის ექსპლუატაციისას საწარმოო კონტროლის შედეგები სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვაზე უნდა წარედგინოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამ-ხედველობის სამსახურთან შეთანხმებული ფორმით.

IX. მოთხოვნები შრომის პირობების მიმართ

1. მსმ-ზე მომუშავე პერსონალი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმლით, აფთიაქით, დასასვენებლით, საშხაპე და ტანსაცმლის საშრობი სათავსოებით.
2. პირებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მსმ-ზე წელიწადში ერთხელ უტარდებათ პროფილაქტიკური აცრები ნაწლავური ინფექციების წინააღმდეგ, ასევე გამოკვლევები ჰელმინთოზებზე, ნაწლავურ უმარტივესებზე და ბაქტერიომტარებლობაზე.
3. მსმ-ზე მომუშავე პერსონალმა უნდა ჩააბაროს მსმ-ის ექსპლუატაციის წესების ტექმინიმი და პირადი ჰიგიენის სანმინიმი. პირები, რომელთაც არ გააჩნიათ უშუალო კავშირი მსმ-სთან, არ დაიშვებიან მის ტერიტორიაზე.

დანართი 1

X. სამაგალითო სქემები მიწათმოქმედების სარწყავ მინდვრებზე ნახმარი წყლების მომზადებისა და გამოყენების შესახებ



————— ქალაქებისა და მცირედ დასახლებული პუნქტების ნახმარი წყლები
 - - - - - კვების მრეწველობის საწარმოების ნახმარი წყლები

დანართი 2

**XI. საწარმოო კონტროლს დაქვემდებარებული რეკომენდებული ელემენტები და
მაჩვენებლები.***

№	მაჩვენებლები	ნახმარი წყლები	ნიადაგი	მოსავალი სასოფლო- სამეურნეო კულტურები	ჭაბურღილე-ბის გრუნტის წყლები	სადრენა-ჟო წყლები	წყალსატ- ევის წყლები
---	--------------	-------------------	---------	--	---------------------------------	----------------------	----------------------------

1	ხარვეზა	დღე-ღამურად 1 X	-	-	-	-	-
2	PH	თვეში	1Xწელიწ.	-	1 X კვ-ში	1Xთვეში	1Xსეზონზე.
3	ქქმ	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
4	J b m	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
5	შეწონილი ნაწილაკები მინერალიზაცია	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
6	ტუტანობა	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
7	საერთო აზოტი	"-----"	1Xწელიწ.	-	"-----"	"-----"	"-----"
8	ნიტრატები	"-----"	-	ყოველ მომკ.	"-----"	"-----"	"-----"
9	სზპნ	"-----"	1Xწელიწ.	-	"-----"	"-----"	"-----"
10	ქრომი	"-----"	1Xწელიწ.	1Xწელიწად.	"-----"	"-----"	"-----"
11	სპილენძი	"-----"	"-----"	-	"-----"	"-----"	"-----"
12	რკინა	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
13	კადმიუმი	"-----"	1Xწელიწ.	1Xწელიწად.	"-----"	"-----"	"-----"
14	თუთია	"-----"	"-----"	-	"-----"	"-----"	"-----"
15	მოლიბდენი	"-----"	1Xწელიწ.	1Xწელიწად.	"-----"	"-----"	"-----"
16	გრუნტის წყლების დონე	"-----"	-	-	"-----"	"-----"	"-----"
17	საერთო კოლი- ფორმები**	-	-	-	"-----"	-	-
18	ჰელმიტიზის სიციფლოსუნარიანი კვრცხები (ასკარიდები, თავბუჩქები, ანკილსტომოქსი ტენიდიების ონკოსფეროები, ფასციოლების კვრცხები). ნაწლავური უმარტივესების სიციფლოსუნარიანი ცისტები (ლამბლიების ცისტები, ბალანტიდიები, კრიპტოსპორიდიების ოოცისტები)	1X კვარტ.	-	-	"-----"	ჩვენების მიხედვით	1Xსეზონზე.
19		"-----"	1Xწელიწ.	ჩვენების მიხედვით	"-----"	"-----"	"-----"

* ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დაზუსტება ხდება ნახმარი წყლების ხარისხის, მათი წინასწარი მომზადების, მორწყვის რეჟიმის, მოსავლის ალების ვადების, მოსაყვანი კულტურების და მათი გამოყენების სახის, აგრეთვე, მსმ-ის ფართობის გათვალისწინებით.

** პათოგენური მიკრობების განსაზღვრა წარმოებს ეპიდჩვენების მიხედვით.

კარი II. ძირითადი ნაწილი

XII. მოთხოვნები სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხისადმი

1. წინამდებარე მოთხოვნები ვრცელდება იმ საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, სამრეწველო და შერეულ ნახმარ წყლებზე და მათ ნალექებზე, რომლებიც გამოიყენებიან სარწყავად და სასუქად. მოთხოვნები არ ვრცელდება მეცხოველეობის კომპლექსების, ფერმების, პესტიციდებისა და ისეთი საწარმოების ნახმარ წყლებზე, რომლებიც შეიცავენ რადიონუკლიდებსა და გალვანურ ნაკადებს.
2. წინამდებარე მოთხოვნები ადგენენ იმ ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების შესაძლებელ შედგენილობებსა და თვისებებს, რომლებიც გამოიყენებიან სარწყავად და სასუქად ტექნიკურ,

პირუტყვის საკვებ კულტურებსა და ხე-ბუჩქნარის ტიპის ნარგავებზე – ნიადაგის ნაყოფიერების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებისა და გაზრდის და წყლის ობიექტების გაბინძურებისაგან დაცვის გათვალისწინებით.

3. წინამდებარე მოთხოვნები შედგენილია შემდეგი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების საფუძველზე:

ა) გოსტ 17.4.3.05 - 86

ბ) სწდან 2.04.03 – 85 კანალიზაცია, გარეგანი ქსელი და ნაგებობები;

გ) სწდან 2.06.08 – 85 სამელიორაციო სისტემები და ნაგებობები;

დ) მსმ მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესები № 3236-85;

ე) სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექებისადმი წაყენებული მოთ-ხოვნები;

ვ) სარწყავი სისტემები ნახმარი წყლების გამოყენებით, პროექტირების ნორმები №33-2,2,02-86.

4. სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხის შეფასება ხდება კომპლექსურად აგროქიმიური, სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარიულ-სანიტარიული მაჩვენებლების მიხედვით. სარწყავი ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხის მაჩვენებლების ნორმირება ხორციელდება კონკრეტული ობიექტის ტერიტორიის ნიადაგურ-კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობების, მოსაყვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებებისა და მორწყვის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

5. ნახმარი წყლების შედგენილობის, ნიადაგურ-კლიმატური, ეკოლოგიური, აგრეთვე ობიექტების სოციალურ-ეკონომიური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებისას არ არის გამორიცხული რომ წინამდებარე მოთხოვნების ცალკეული მაჩვენებლების სიდიდეები გაიზარდოს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს არ გამოიწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას, მოსავლის ხარისხის გაუარესებას და არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას პირუტყვის საკვებსა და ჯანმრთელობაზე, ასევე გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს საკითხი უნდა შეთანხმდეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამსახურების ორგანოებთან.

XIII. ნახმარი წყლებისადმი წაყენებული აგროტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარიული მოთხოვნები

1. სარწყავი ნახმარი წყლისადმი წაყენებული აგროქიმიური მოთხოვნები მიმართულია იმისკენ, რომ:

ა) გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება და თავიდან აცილებული იქნეს მასში ტოქსიური ნივთიერებების კუმულაცია, დამლაშება და დაბიციობა;

ბ) მიღებულ იქნას უხვი და სტაბილური მოსავალი, რომელიც თვისობრივად უპასუხებს სანიტარიულ-ჰიგიენურ და ვეტერინარიულ მოთხოვნებს.

2. სარწყავი ნახმარი წყლების ქიმიური შედგენილობა ფასდება წყალბადის იონების აქტივობით (Ph), ადვილად ხსნადი მარილების ჯამური შემცველობით, ერთი და ორვალენტიანი კათიონების ურთიერთდამოკიდებულებით, ძირითადი ბიოგენური ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი), მიკროელემენტებისა და ორგანული ნივთი-ერებების არსებობით.

3. რეგულარული (წყლის განმავლობაში) ან გასანოყიერებელი მორწყვისათვის საჭირო ნახმარი წყლების გამოყენების ტექნოლოგია განისაზღვრება მათი ქიმიური შედგენილობით, აგრეთვე ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური და აგრეთვე მოსაყვანი კულტურების თავისებურებების გათვალისწინებით. რეგულარულად მორწყვისათვის ზოგიერთი ნახმარი წყლის ქიმიური შემადგენლობის ძირითადი მაჩვენებლები მოყვანილია დანართ 1-ში. ნახმარი წყლების იონის აქტივობა უნდა იყოს 6,0 –8,5-ის ფარგლებში, დიფერენციალურად ნიადაგის – PH-ის გათვალისწინებით.

< 6,0 – PH სარწყავი წყლის 6,5 – 8,5;

> 8,0 – PH სარწყავი წყლების 6,0 – 7,5

4. სარწყავი წყლით ნიადაგში ტოქსიკური მარილების მოხვედრამ არ უნდა გამოიწვიოს მასში წყალში ხსნადი მარილების კრიტიკული შემცველობის გადაჭარბება, კერძოდ სოდით დამარილიანებამ – 0,1%, ხოლო სხვა ტიპის მარილებით – 0,25%.

5. მოსარწყავი ნიადაგების გრანულომეტრიული შედგენილობის გათვალისწინებით მარილების ჯამური კონცენტრაცია არ უნდა აჭარბებდეს:

ა) მძიმე და საშუალო თიხნარ ნიადაგებში – 1 გ/ლ (15 მგ. ექვ/ლ);

ბ) მსუბუქ თიხნარ ნიადაგებში – 2 გ/ლ (30 მგ/. ექვ/ლ)

გ) ქვიშიან და ქვიშნარ ნიადაგებში – 3 გ/ლ (45 მგ. ექვ/ლ).

6. სარწყავი წყლების მარილოვანი შედგენილობის შეფასების მაგალითი სარწყავი ნორმის მცენარეების მიერ ატმოსფერული ნალექების გამოყენების, ნიადაგის გრანულომეტრიული შედგენილობისა და წყალ-ფიზიკური თავისებურებების (უმცირესი ტენტევადობა – 50 სმ-ის ფენაში) გათვალისწინებით – მოყვანილია დანართში 2.

7. ნიადაგების ნატრიუმით დაბიციების თავიდან აცილების მიზნით ხდება ნახმარ წყლებში ნატრიუმის კათიონების კალციუმთან და მაგნიუმთან ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელი სიდიდეების ნორმირება, რაც მოცემულია ცხრილში 1.

8. 6. და 7. პუნქტებში აღნიშნული წყლის მარილოვანი შედგენილობის შეფასების მაგალითი მოცემულია დანართში 2.

9. ნახევარსტეპების ზონების ნიადაგებში მაგნიუმით დაბიციების თავიდან აცილებისთვის ნახმარ წყლებში Mg-ისა და Ca-ის კონცენტრაციების (მგ ექვ/ლ) ურთიერთ-დამოკიდებულება Mg:Ca არ უნდა იყოს 1-ზე ნაკლები.

10. სარწყავი მინდვრების დაპროექტებისას ნახმარ წყლებში ბიოგენური ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) დასაშვები შემცველობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რომ ნიადაგში მორწყვის დროს მოხვედრილ მათ რაოდენობას არ უნდა აჭარბებდეს ნიადაგიდან გამოტანილი მათი რაოდენობა როგორც მოსავლით, ასევე ყველა სახის დანაკარგით.

11. ნახმარ წყლებში აზოტის, ფოსფორისა და კალი-უმის საორიენტაციო გამოტანა არაშავმიწა ზონების პირობებისათვის მოცემულია დანართში 3.

12. აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის საორიენ-ტაციო გამოტანა არაშავმიწა ზონების პირობებისათვის მოცემულია დანართში 4.

ცხრილი 1

სარწყავ წყლებში კათიონების დასაშვები ურთიერთდამოკიდებულება			
Na :√ Ca + Mg			
კარბონატული ნიადაგები*		არაკარბონატული ნიადაგები	
მძიმე თიხნარი HB ₅₀ =200მმ	ქვიშიანი HB ₅₀ =50მმ	მძიმე თიხნარი HB ₅₀ =200მმ	ქვიშიანი HB ₅₀ =50მმ
4	8	2	4

* CaCO₃-ის 0,5%-ზე მეტი შემცველობა

13. თუ ნახმარი წყლით მორწყვისას ნიადაგში შეტანილი NPK – ს სიდიდე მოსავლის მიერ გამოტანილზე ნაკლებია, მაშინ უნდა მოხდეს დანაკლისის სასუქებში შევსება. (წყლის დასხურებით, ჰიდრომკვებადებით ან უშუალოდ ნიადაგში შეყვანით). იმის გათვალისწინებით, რომ მრავალი სარწყავი წყლები შიდავენ საკვებ ნივთიერებებს: აზოტს 50-120, ფოსფორს 10-30, კალიუმს –30-120 მგ/ლ, მორწყვას აწარმოებენ როგორც წესი კულტურების წყალზე მოთხოვნილების მიხედვით. ჰუმიდური ზონისათვის მისაღებია NPK-ს მაქსიმალური სიდიდე, არიდულისათვის – მინიმალური. თუ სპირტის სახამებელი 789 პროდუქტების, საფუარისა და სხვა საწარმოთა ნახმარი წყლები მაღალ კონცენტრაციით შეიცავენ აზოტს, ფოსფორსა და კალიუმს, ისინი გამოიყენებიან გასანოციერებელი მორწყვისათვის მოსავლის მიერ გამოტანილი საკვები ნივთიერებების ნორმების რაოდენობების შესაბამისად; ანდა უნდა მოხდეს მათი განზავება ნაკლებად კონცენტრირებული სამეურნეო საყოფაცხოვრებო და სხვა წყლებით. სხვადასხვა სახის ნახმარი წყლების დახასიათება გასამდიდრებელი ნივთიერებების შემცველობის მიხედვით მოცემულია დანართში 5.

14. სარწყავი მინდვრების ექსპლუატაციისას სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოციერების მოთხოვნილება განისაზღვრება ნორმატიული (საბალანსო-საანგარიშო) მეთოდით ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევის საფუძველზე (დანართი 6).

15. ნახმარი წყლები, რომლებიც შეიცავენ მიკრო-ელემენტებსა და მძიმე მეტალებს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნენ სარწყავად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

16. ნახმარ წყლებში მძიმე ლითონების და მიკროელემენტების დასაშვები კონცენტრაციები დგინდება სარწყავი ნორმისა და ნიადაგში მათი არსებული რაოდენობისაგან გამომდინარე. სარწყავ

წყლებში მიკროელემენტების დასაშვები კონცენტრაციების გამოთვლის მაგალითი მოცემულია დანართებში 7 და 8.

17. სარწყავი ნორმით შეტანილი მიკროელემენტების სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 0,7-0,8 ზდკ-ას ნიადაგისათვის (დანართი 9).

18. სარწყავი სისტემის დაპროექტების სტადიაში ნიადაგში მიკროელემენტების დაგროვებაზე ჩატარებული პროგნოზული გამოკვლევები წარმოადგენს ნახმარი წყლების სარწყავად გამოყენების დასაბუთების ძირითად ელემენტს.

19. ნახმარ წყლებში ტოქსიკური, მათ შორის ორგანული ნივთიერებების დასაშვები ჯამური შემცველობა განისაზღვრება მათი ნიადაგების მიკრობიოლოგიურ აქტივობაზე (მანიტრიფიცირებელი და ცელულოზადაამშლელი) ზემოქმედების, ასევე მოსაყვანი კულტურების ზრდა-განვითარების და ხარისხის გათვალისწინებით ან სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის გაღვივების ბიო-ტესტირებით, თუ მორწყვა წარმოებს კონკრეტული ნახმარი წყლებით პირველად. ბიოტესტირების მეთოდისა წარდგენილია დანართში 10.

20. სარწყავად გამოყენებული ნახმარი წყლების ხარისხის სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარიულ-სანიტარიული შეფასება წარმოებს მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, რაც მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

სარწყავად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების ხარისხის მიკრობიოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები	
მაჩვენებლები	დასაშვები შემცველობა 1 დმ ³ -ში
ლ დ ნ-ს რიცხვი (ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირები)	<1000
პათოგენური მიკროორგანიზმები (განისაზღვრებიან ეპიდემიისას)	არა
ნაწლავური უმარტივესების სიცოცხლისუნარიანი ცისტები (დიზენტერიის ამება, ლამბლიები)	< 1
ჰელმინთების სიცოცხლისუნარიანი კვერცხები (ასკარიდები, ბუწვთავები, მახვილა, ტოქსოკარი, ფასციოლები, ტენიიდები, ჯუჯა ჯაჭვები)	< 1

21. ნახმარი წყლების ხარისხის აღნიშნულ მაჩვენებლებთან შეუსაბამობის ან მათი ინვაზიურ დაავადებებთან პოტენციური კონტამინაციის შემთხვევაში პირუტყვის პარაზიტული დაავადებების გამომწვევებით დასნებოვნების წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს წარმოადგენს მცენარეული მასის გადამუშავება და მისი გამოყენება პირუტყვის საკვებად სენაჟის, სილოსის, ბალახის ფქვილისა და კონცენტრატების სახით. ნახმარ წყლებში და მათ ნალექებში არსებული პარაზიტული დაავადებების გამომწვევებთან კონტამინაციის შესაძლო ხარისხის გამოთვლის მაგალითი მოცემულია დანართში 11.

22. მოცემულ მოთხოვნებში მითითებული პარამეტრების უზრუნველსაყოფად ქალაქებისა და დიდი დასახლებული პუნქტების ნახმარი წყლები სარწყავად გამოყენების წინ ექვემდებარებიან ბიოლოგიურ გაწმენდას თანახმად სანქდან 2.04.03-85. კვების მრეწველობის (შაქრის, სპირტის, სახამებელ-ბადაგის პროდუქციის, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხნები) ნახმარი წყლები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლის გარეშე სარწყავად დაიშვებიან მექანიკური გაწმენდის ან საჭიროების მიხედვით განზავების შემდეგ.

23. პირუტყვის საკვების მოსარწყავად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების მომზადებისა და გაშვების წინ საფუძვლიანი გაწმენდისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ბიოლოგიური გუბურები, რომელთა დაპროექტება ხორციელდება შესაბამისად — სწდან 2.04.03-85 - „კანალიზაცია. გარეგანი ქსელი”.

24. პირუტყვის საკვები კულტურების მოყვანისას (გარდა ძირხვენებისა) პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სარწყავ მინდვრებზე ზოოვეტერინარული მოთხოვნების დაცვა.

25. პირუტყვის საკვებში ნიტრატებისა და ნიტრიტების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ დასაშვებ დონეს (მდდ), რაც მოცემულია დანართში 12.

26. პირუტყვის საკვებში ნიტრატების გადაჭარბებული დაგროვების თავიდან ასაცილებლად რეკომინდებულია აზოტის სასუქის დანაწილებით შეტანა (40-50% - გაზაფხულზე და ორჯერ 25-30% - ზაფხულში), ასევე NPK-ს ბალანსირებული შეტანა სარწყავ წყალთან და მინერალურ სასუქებთან ერთად, მოსავლის მიერ მათი გამოტანის შესაძლებლობისა და მორწყვის რეჟიმის შესაბამისად.

27. სარწყავი მინდვრების განოყენებისას არსებული სანიტარიული წესების შესაბამისად დგინდება საკარანტინო ვადა უკანასკნელი მორწყვისა და მოსავლის აღებამდე, რომელიც ზუსტდება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ნახმარი წყლების მომზადების ხარისხის, მოსაყვანი კულტურების მოსავლის გამოყენების დანიშნულების მიხედვით და უნდა იყოს შეთანხმებული სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და სანიტარიულ-ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურის ადგილობრივ ორგანოებთან.

28. ტენიარიქნოზით და მსხვილფეხა რქოსან საქონელში ფინოზით არაკეთილსაიმედო რაიონების მოსახლეობაში ბალახი უნდა გადამუშავდეს ფეკილად, ან დაეწყოს სენაჟად და სილოსად, იმ ვარაუდით, რომ მათი გამოყენება არ მოხდეს 3 თვის განმავლობაში.

29. სარწყავ მინდვრებზე სანიტარიულ-ჰიგიენური და ვეტერინარიული მოთხოვნების დაცვის უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა შესაძლებელია მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების მოყვანისას, რომლებითაც უნდა იყოს დაკავებული არანაკლებ 60% ფართობისა. მრავალწლიანი ბალახების მოყვანა ხელს უწყობს მწვანე მასის თანაბარ გავრცელებას, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას და ნახმარი წყლების ეფექტურ გაწმენდას.

30. წყლისა და საკვები ნივთიერების დიდი მოთხოვნილებით და მაღალ გამწმენდი თავისებურებებით ხასიათდებიან შემდეგი მრავალწლიანი ბალახები: შრიალა ბალახი (*Digraphis arundinacea*), უფხო შვრიელა (*Bromis inermis*), მდელოს მელაკუდა (*Alopecurus pratensis*), მდელოს ტიმოთელა (*Phleum pratensis*), მდელოს წივანა (*Festuca arundinacea*), აგრეთვე იონჯა, სამყურა, ძიძი, კურდღლის ფრჩხილა და სხვა.

31. ერთწლიანი ბალახებიდან რეკომენდებულია ქერისა და შვრიის ნარევი ბარდასთან და ცერცველასთან, რომლებიც მოიძვებიან არამანტის, საგაზაფხულო რეირის, და ერთწლიანი კონინდარის მწვანე მასაზე და მორწყვის პირობებში საჭიროებენ 3 მოთიბვას, ასევე სიდერატების კულტურები: ჩიტოფეხა, ზეთოვანი ბოლოკი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კარგ ფიტოსანიტარიულ კულ-ტურას. კულტურების შერჩევისას მათი გახარებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ზონალური პირობები.

XIV. სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების ნალექისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. ნახმარი წყლების ნალექის სასუქად შეტანა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ მისი გაუვნებლობის შემდეგ მსმ-ის მოწყობისა და ექსპლუატაციის მოქმედი სანიტარიული წესების შესაბამისი ხერხით.

2. ნალექები, გადამუშავების ტექნოლოგიისა და შენახვის წესიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნეს თხევადი სახით – ტენიანობით 92-96% ან ფხვიერი სახით – ტენიანობით 50-70%, ასევე კომპოსტის სახითაც. კომპოსტისათვის გამოიყენება ტორფი, ჩალა, ნაკელი, ხისა და სხვათა ორგანული ნარჩენები.

3. უბნებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია ნალექის სასუქის შეტანა უნდა ჩატარდეს ნიადაგის წინასწარი აგროქიმიური გამოკვლევა შემდეგ მაჩვენებლებზე: P_H , ფოსფორის, კალიუმის და მძიმე ლითონების – ტყვიის, კადმიუმის, ქრომის, სპილენძის, ნიკელის, ვერცხლის-წყლის, თუთიის მოძრავი ფორმების შემცველობაზე, გამოკვლევები წარმოებს აგროქიმიკოსების მიღებული მეთოდებით.

4. ნალექების შეტანა აკრძალულია წყალსატევებსა და ნაკრძალ ზონებში, ზედაპირულად – ტყეებში, ტყეპარკებში, ასევე მძიმე მეტალებით დაბინძურებულ ნიადაგებში. სათიბებსა და საძოვრებზე ნალექების შეტანა დაიშვება მხოლოდ დატბორვისას (ხნულის ქვეშ).

5. გასამდიდრებელი თვისებების მიხედვით ნახმარი წყლები განიხილებიან როგორც ორგანულ-მინერალური ან ორგანული სასუქები, რომლებიც ანალოგიურია ორგანულ-მინერალური კომპოსტისა და საფენი ან არასაფენი (თხევადი) ნაკელისა. ნალექების მშრალი მასა შეიცავს ორგანული ნივთიერებების 40-60%-ს, აზოტის –1-3%, ფოსფორის (P_2O_5) –1-4%, კალიუმის (K_2O) – 0,2-0,7%, კალციუმის (Ca) 3-5%-ს, გარდა ამისა მაგნიუმს, გოგირდს და სხვა მაკრო და მიკროელემენტებს, რომლებიც აუცილებელია არიან მცენარეთა საკვებად. ნალექებს, რომლებიც მიიღებიან ნახმარი წყლების ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობებში გატარების შემდეგ, ჩვეულებრივ აქვთ ნეიტრალურ გარემოსთან მიახლოებული რეჟცია (P_H 6,5-8,0). ერთგვაროვანი წარმოშობის ნალექის ყოველ პარტიაში გასამდიდრებელი ღირებულების შესაფასებლად უნდა განისაზღვროს P_H , მარილების მშრალი და ორგანული ნივთიერებები, ნაცარი, საერთო და მინერალური

(ნიტრატული N-NO₃) და ამონიუმის (N-NO₄) აზოტის, ფოსფორის საერთო და მოძრავი ფორმები (P₂O₅), კალიუმი (K₂O) და საერთო კალციუმი (Ca). ნახმარი წყლების ნალექების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მოყვანილია დანართში 13.

6. საყოფაცხოვრებო-სამრეწველო ნახმარი წყლების ნალექები შეიძლება შეიცავდნენ მძიმე ლითონებს, რო-მელთა რაოდენობა დამოკიდებულია მათში სამრეწველო ნახმარი წყლების წილზე, ასევე ნალექების წინასწარ მომზადების წესზე. მძიმე ლითონების შემცველობა ნალექებში მერყეობს ფართო ზღვრების ფარგლებში.

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუ-შავებელი წარმოების ნახმარი წყლების ნალექებში ქალაქის გამწმენდი ნაგებობების ნახმარი წყლების ნალექებთან შედარებით მძიმე მეტალების შემცველობა როგორც წესი ნაკლებია, ხოლო საკვები ნივთიერებებისა კი – მეტი.

8. ნახმარ წყლებში შემცველი მძიმე ლითონებით ნიადაგების, პროდუქციისა და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, როგორც წესი, უნდა ჩატარ-დეს ანალიზები მძიმე ლითონების – ტყვიის, კადმიუმის, ქრომის, სპილენძის, ნიკელის, ვერცხლისწყლის და თუთიის შემცველობაზე.

9. ნალექებში საკვები ნივთიერებებისა და მძიმე ლითონების შემცველობაზე ქიმიური ანალიზი სრულდება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მის სასუქად მიწოდებაზე. შედეგები გადაეცემა მომხმარებელს, როგორც თანმხლები დოკუმენტი (სერტი-ფიკატი).

10. ნალექების შეტანის ნორმატივი დგინდება მისი გამამდიდრებელი ღირებულების და ნიადაგსა და ნალექებში მძიმე ლითონების შემცველობის მიხედვით. ნალექების შეტანა აკრძალულია, თუ მათში მძიმე ლითონების შემცველობა აღემატება დანართში 13 მითითებულ ნორმებს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ნალექების ფუძეზე სხვა კომპონენტების (ტორფი, ნაკელი, მცენარეული ნარჩენები) მინარევებით კომპოსტების დამზადება, მძიმე ლითონების შემცველობის იმ დონემდე დაყვანით, რომელიც მითითებული დანართში 14.

11. საკვები ნივთიერებების მიხედვით ნალექების შეტანის ნორმის შემზღუდავ ფაქტორად ითვლება მათში საერთო და მინერალური აზოტის შემცველობა. დაუშვებელია საერთო აზოტის 300 კგ/ჰა-ზე და მათ შორის მინერალური აზოტის ისეთი რაოდენობით შეტანა, რაც აღემატება მოსავლის მიერ მის წლიურ გამოტანას. ნალექებში მძიმე მეტალებისა და აზოტის დასაშვები ნორმების გამოთვლის მაგალითი მოყვანილია დანართში 15.

12. აკრძალულია ისეთი სამრეწველო-საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლების ნალექებისა და მათგან დამზადებული კომპოსტების შეტანა, რომელთა მძიმე ლითონების შემცველობა გამოიწვევს ნიადაგში მათი დონის გაზრდას დანართში 9 მოყვანილ ზღვ-ს 0,7-0,8 მნიშვნელობამდე.

13. ხანგრძლივი სამეცნიერო და საწარმოო დაკვირვებების საფუძველზე, „მსმ-ის მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების“ მოთხოვნების შესაბამისად და საზღვარგარეთ შემუშავებული ანალოგიური კანონების (გფრ-ის კანონი ტექნიკურ შლამებზე 15.04.92) მიხედვით საშუალო და მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე, მძიმე ლითონების დაგროვების თავიდან ასაცილებლად პერიოდული შეტანისას არ დაიშვება სამრეწველო-საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლების ნალექის მშრალი მასის 10ტ/ჰა-ზე მეტი –5 წლის ინტერვალით, როგორც სუფთა სასუქის შეტანის ნორმა შეზ-ლუდულია 7 ტ/ჰა-მდე – პერიოდულად შეტანისას – არანაკლებ 3 წლის ინტერვალით.

14. გაზრდილ ნორმებში (მშრალი ნივთიერების 30 ტ/ჰა-მდე) სამრეწველო-საყოფაცხოვრებო და კვების მრეწველობის ნახმარი წყლების ნალექები სასუქად გამო-იყენება მიწების რეკულტივაციისას მძიმე ლითონებით გაუბინძურებელ ნიადაგებზე, ხე-ბუჩქნარის ტიპის ნარგავების, საცდელი ნაკვეთების, პარკების, მრავალწლიანი სათიბ-სამოვრების ქვეშ.

15. ნალექების შეტანა ტორფიან ნიადაგებში აგროქი-მიური თვალსაზრისით არ დაიშვება.

16. აკრძალულია ნალექებისა და მათგან დამზადებული კომპოსტების გამოყენება 5,5-ზე დაბალი PH-ის მქონე ნიადაგებზე, მათი წინასწარი მოკირიანების გარეშე, თუ კალციუმის შემცველობა ნალექებში ან კომპოსტში ვერ უზრუნველყოფს ნიადაგის PH –ის 5,5-მდე და მეტად გაზრდას.

17. ნალექების შენახვა და კომპოსტირება დასაშვებია უშუალოდ იმ ნაკვეთებში, სადაც უნდა მოხდეს მათი შეტანა, ან მათ მახლობლად.

18. მკვრივი და თხევადი ნალექების შეტანისას გამოიყენება მანქანები და ტექნოლოგიები, რომლებიც შემუშავებულნი არიან მკვრივი და თხევადი ორგანული სასუქების გამოყენებისათვის (ორგანული სასუქები. ცნობარი მ. 1988).

19. ნაღველები შეაქვთ მინდორზე სპეციალური სახნისით უშუალოდ დახვნის წინ.

20. შესაფერისი რაციონალური ტექნოლოგიების გათვალისწინებით ნახმარი წყლებით ნაღველების ან მათ საფუძველზე დამზადებული კომპოსტების ნიადაგებში შეტანა არ გამოიციხავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასანოყიერებლად სხვა ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების შესაძლებლობას; ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნიადაგში ნაღველებთან ერთად შეტანილი ელემენტების რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგში ფოსფორის შეტანას მრავალი სახის ნაღველებში მისი მნიშვნელოვანი კონცენტრაციების გამო.

XV. სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნაღველების ხარისხის კონტროლი

1. წინამდებარე მოთხოვნებზე სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, გარემოს დაცვის და სახელმწიფო ვეტერი-ნარიული სამსახურების მიერ.

2. სარწყავად და სასუქად გამოსაყენებელი ნახმარი წყლებისა და მათი ნაღველების ხარისხის საწარმოო კონტროლი ხორციელდება წყლის მიმწოდებელი ან წყალმომხმარებელი სამსახურების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

3. საკონტროლო წერტილები, ნახმარი წყლების სინჯების აღების ვადები და შედგენილობის ძირითადი მაჩვენებლები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დაპროექტების დროს, მათი დაზუსტება კი ხდება სარწყავი სისტემების ექსპლუატაციისას მაკონტროლებელ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. ნახმარი წყლების სინჯების მოცულობისა და აღების წესების შერჩევა, შენახვა და ტრანსპორტირება ხდება მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

5. ნახმარი წყლების ქიმიური შედგენილობის ანალიზ-ზისათვის გამოიყენება მეთოდები, რომლებიც მოცემულია დანართში 16.

6. ნახმარი წყლებით მორწყულ მინდვრებზე სისტემა-ტიურად ტარდება კონტროლი ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე, მოსავლის ხარისხსა და ნიადაგქვეშა წყლების შედგენილობაზე. ნიადაგის, მცენარეებისა და წყლის სინჯების აღების წერტილები და ვადები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დაპროექტების დროს და ზუსტდება სისტემების ექსპლუატაციისას ადგილობრივ მაკონტროლებელ ორგანოებთან შეთანხმებით, როგორც მითითებულია XIV მუხლის I პუნქტში.

7. ნახმარი წყლების ნაღველების შემადგენლობის ანალიზი ტარდება უშუალოდ მათი შეტანის წინ. იმ ნაკვეთების ნიადაგებში, რომლებიც განკუთვნილია სარწყავად და ნაღველების შესატანად, უნდა განისაზღვროს მძიმე ლითონების ფონური შემცველობა.

8. იმ ნიადაგების ძირითად აგროქიმიური თვისებურებების კონტროლი, რომელთა სისტემატიური გამდიდრება ხდება ნაღველებითა და მათზე დამზადებული კომპოსტით, ტარდება აგროქიმიური სამსახურის ან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: P_H , ჰუმუსის შემცველობა, აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის მოძრავი ფორმები, მძიმე ლითონები, რომლებიც ჩამოთვლილია XIV მუხლის VI პუნქტში. – არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ. ნიადაგებსა და ნახმარი წყლების ნაღველებში საკონტროლო პარამეტრების რაოდენობა განისაზღვრება მათი განსაკუთრებული თვისებურებების მიხედვით და შეიძლება დაზუსტდეს კონკრეტულ პირობებში ანალიზების შედეგების საფუძველზე. არსებულ ფართობზე ნაღველების შემდგომი გამოყენების შესახებ საკითხი წყდება აგროქიმი-ური, სახელმწიფო სანიტარიული და ვეტერინარიული ზედამხედველობის სამსახურებთან შეთანხმებით.

9. ქალაქისა და სამრეწველო ნახმარი წყლების პირუტყვის საკვებ კულტურებად მრავალწლიანი გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პირუტყვის საკვებში ტოქსიკური ნივთიერებების იმ მაქსიმალურად დასაშვებ დონის ფარგლებში არსებობას, რაც მოცემულია დანართში 17.

დანართი 1

XVI. სარწყავად გამოსაყენებელი ზოგიერთი სახის ნახმარი წყლების ქიმიური შედგენილობის ძირითადი მაჩვენებლები

(საშუალო მონაცემები, მგ/ლ)

ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები	ნახმარი წყლების სახეები										
	სამეურნეო-საყოფაცხ.		შარმობელი და გადამამუშავებელი საწარმოები								
	ქალაქების	მცირე დაბეზის	კარტოფილიდან სახამებლის	ქარბლიდან მაქრის	საფუვრების	ცხი-მის, ყველის, რმის	პომიდვრის	ვაშლის	ხილის და ბოსტნეულის	აზო-ტის სასუქების	ჰიდროლოზის პროდუქტების
P _H (KCL)	7,2	7,2	5,1	7,0	5,3	6,9	6,5	5,9	7,3	8,2	6,6
შენიშნული ნაწილაკები	50-60	160	2300	1215	103	290	840	551	198	-	600
გამომწვარი ნარჩენები	1000	600	1250	1610	1210	2230	780	600	500	700	1450
HCO ₃	300	350	650	962	493	641	517	465	386	-	1281
CL	80	70	80	180	63	190	128	84	878	170	126
SO ₄	100	80	230	141	285	170	177	215	112	125	854
Ca	60	55	60	195	118	280	49	55	44	30	253
Mg	25	25	80	65	49	84	101	104	39	30	81
Na	100	90	80	240	80	175	85	79	104	45	46
K ₂ O	15	20	130	75	160	85	73	9	17	1	66
NH ₄	5	15	50	16	15	49	34	7	8	55	358
N _{საერთო}	15	40	200	52	60	107	46	14	14	89	387
P ₂ O ₅	5	8	40	2,5	4	30	4	0,5	1,8	27	37
ჟქმ	50	350	400	200	-	1500	800	600	330	360	500

დანართი 2

XVII. სარწყავი წყლების მარილოვანი შედგენილობის

შეფასების მაგალითი

საწყისი მონაცემები

წყლის მარილოვანი შედგენილობა (ყველ-კარაქის ქარხნის მაგალითზე შავმიწანიადაგიან ზონაში)

კათიონები	მგ. ექვ/ლ	აქტივობა	ანიონები	მგ. ექვ/ლ	აქტივობა
Ca	14,4	0,405	PO ₄	1,3	0,095
Mg	7,0	0,450	SO ₄	9,6	0,355
NH ₄	2,7	0,750	CL	3,5	0,755
K	2,2	0,755	AL _K	13,9	0,770
Na	2,0	0,775			

შენიშვნა:

AL_K – ტუტთანობა განპირობებული ნახმარ წყლებში ძირითადად ორგანული მჟავების ანიონებით, აგრეთვე სუსტი მინერალური მჟავებით და ჰიდროქსილის იონებით.

მძიმე თიხნარკარბონატული ნიადაგები:

$$HB_{50} = 190\text{მმ}, K_1=2, K_2 = \sqrt{\frac{200}{HB_{50}}} = \sqrt{\frac{200}{190}} = 1.026$$

3. თესლბრუნვის მიხედვით საშუალო სარწყავი ნეტო ნორმა, 325 მმ(j);

მცენარეების მიერ გამოყენებული საშუალო მრავალწლიური ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 350 მმ (ჟ);

მარილების ჰიპოთეტიკურ შედგენილობას რაოდენობრივად განსაზღვრავენ ანიონებისა და კათიონების გაერთიანებით, მათი აქტივობის ზრდის მიხედვით მგ. ექვ/ლ.

MgNH ₄ PO ₄	-1,3	MgAL _K	- 6,1
Ca SO ₄	-9,6	NN ₄ AL _K	- 2,3
CaCL ₂ *	-3,5	KAL _K K	-2,2
CaAL _k *	-1,3	NaAL _k *	- 2,0

4. მარილების ჰიპოთეტიკური შედგენილობის განსაზღვრის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრა იწყება $MgNH_4PO_4$ -ით, რადგანაც ეს მარილი ხასიათდება ყველაზე მცირე ხსნადობით წყალში.

* ტოქსიკური მარილები, რომელთა ჯამი შეადგენს 12,9 მგ. ექვ/ლ.

წყლის ვარგისიანობის შეფასება მარილების ჯამური შედგენილობის მიხედვით წარმოებს ფორმულით:

$$\frac{C: J \cdot HB_{50}}{(J+P) \cdot 2000} < 1, \quad \text{სადაც} \quad (1)$$

C – ტოქსიური მარილების ჯამი, მგ. ექვ/ლ

HB_{50} – ნიადაგის 0-50 სმ.მმ ფენის უმცირესი ტენტევადობა.

5. წყლის შეფასება ხდება ტოქსიური მარილების საწყისი მონაცემების, ატმოსფერული ნალექების რაოდენობის, მორწყვას ნორმების და ნიადაგის ტენტევადობის გათვალისწინებით ფორმულა 1 – ის მიხედვით.

$$\frac{12,9 \times 325 \times 190}{(325+350) \times 200} = 0,59, \quad \text{რაც} < 1,0$$

6. სარწყავი წყლის შეფასება ნიადაგების დაბიცობების საშიშროების თვალსაზრისით წარმოებს ფორმულით:

$Na: \sqrt{Ca + Mg} < 2 \times K_1 \times K_2$, სადაც

Na, Ca და Mg – ნახმარ წყლებში კათიონების შემცველობა მგ ექვ/ლ;

K_1 – კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 2 კარბონატული და 1 არაკარბონატული ნიადაგებისათვის;

K_2 – კოეფიციენტი, რომელიც ტოლია $\sqrt{\frac{200}{HB_{50}}}$

წყალში კათიონების საწყისი შემცველობის, ტენტევადობის და ნიადაგის კარბონატულობის გათვალისწინებით წყლის შეფასება ხდება ფორმულა 2-ით.

$$2,0 \times \sqrt{14,4 + 7,0} = 0,43, \quad \text{რაც ნაკლებია} \quad \frac{2 \times 2 \times \sqrt{200}}{190} = 4,1$$

დასკვნა: მარილოვანი შედგენილობის მიხედვით წყალი სარწყავად ვარგისიანად ჩაითვლება 1 და 2 შესაფასებელი ფორმულების და XIII მუხლის IX პუნქტში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი 3

XVIII. სარწყავ წყლებში აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დასაშვები კონცენტრაციების გამოთვლის მაგალითი

1. გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$C_{N_{33}} = \frac{100 \times B}{J \times K_3}, \quad \text{სადაც} \quad (3)$$

$C_{N_{pk}}$ – სარწყავ წყალში აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დასაშვები კონცენტრაციები მგ/ლ;

B – თესლბრუნვის მიხედვით მოსავლის მიერ გამოტანილი აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის საშუალო შეწონილი სიდიდე, კგ/ჰა;

J – თესლბრუნვის მიხედვით განსაზღვრული საშუალო შეწონილი სარწყავი ნეტო ნორმა, მმ;

JK_3 – ნიადაგებზე მოსავლის მიერ ელემენტების შეთვისების კოეფიციენტი – დაბალი უზრუნველყოფისას – აზოტისათვის 0,5, ფოსფორისა და კალიუმისათვის 0,8, საშუალო

უზრუნველყოფისას – აზოტისათვის 0,6, ფოსფორისა და კალიუმისათვის 0,85. მაღალი უზრუნველყოფისას – აზოტისათვის 0,8, ფოსფორისა და კალიუმისათვის - 0,9.

2. ნიადაგები საშუალოდ არიან უზრუნველყოფილი აზოტით, ფოსფორითა და კალიუმით, ამიტომ სიდიდე K_3 შეადგენს აზოტისათვის – 0,6, ფოსფორისა და კალიუმისათვის – 0,85. ელემენტების დასაშვები კონცენტრაციები შეადგენს მგ/ლ:

$$C_N = \frac{100 \times 240}{300 \times 0,6} = 133$$

$$C_P = \frac{100 \times 45}{300 \times 0,85} = 18$$

$$C_K = \frac{100 \times 230}{300 \times 0,85} = 90$$

დანართი 4

XIX. მოსავლის აღებისას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის საორიენტაციო გამოტანა

(არაშავმიწანიადაგიანი ზონისათვის)

კულტურა	ძირითადი პროდუქცია	საკვები ნივთიერებების გამოტანა 1 ტ ძირითადი პროდუქციით (თანამდევის გათვალისწინებით) კგ		
		N	P ₂ O ₅	K ₂ O
საშემოდგომო ხორბალი	მარცვალი	30	13	25
საგაზაფხულო ხორბალი	მარცვალი	25	12	25
საშემოდგომო ქერი	მარცვალი	25	12	25
ჭვავი	მარცვალი	25	11	22
შვრია	მარცვალი	33	14	29
ზარდა	მარცვალი	66	16	20
ცერცველა	მარცვალი	65	14	16
ხანჭკოლა	მარცვალი	66	19	47
სიმინდი	მწვანე მასა	4	2	5
მზესუმზირა	მწვანე მასა	5	3	15
სელი	ბოჭკო	80	40	70
კანაფი	ბოჭკო	200	62	100
შაქრის ჭარხალი	ძირხეენა	6	2	8
საკვები ჭარხალი	ძირხეენა	5	2	7
სამყურა	თივა	20	6	15
იონჯა	თივა	26	7	15
ტიმოთელა	თივა	13	6	17
სამყურა ტიმოთელა	თივა	19	6	15
ბუნებრივი სათიბები	თივა	17	7	18
მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახები	მწვანე მასა	4	1	5

გეგმით გათვალისწინებული მოსავლით ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების გამოტანა ზუსტდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საპროექტო ინსტიტუტების, აგროქიმილაბორატორიების და სხვა მონაცემების მიხედვით.

დანართი 5.

XX. ნახმარი წყლების დახასიათება მათი გამამდიდრებელი

ღირებულების მიხედვით

ნახმარი წყლების სახეები	ნახმარი წყლებში კვების ელემენტების შემცველობა მგ/ლ	ნახმარი წყლების გამამდიდრებელი ღირებულება
პირველი ჯგუფი სახამებლის, სახამებელმადაგის, ჰიდროლიზის, ბიოქიმიური, ქიმიურ-ფარმაცევტული, სპირტისა და სხვა ჭარხნების ნახმარი	აზოტი > 100	მაღალი როგორც წესი საჭიროებს განზავებას და ფოსფორიანი სასუქების დამატებით შეტანას

<p>წყლები</p> <p>მეორე ჯგუფი მაქრის, საფურის, საკონსერვო ქარხნებისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი პუნქტების, მინერალური სასუქების ქარხნების ნახმარი წყლები</p> <p>მესამე ჯგუფი ქალაქების, დაბების, საფეიქრო, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა და სხვა ნახმარი წყლები</p>	<p>ფოსფორი > 30 კალიუმი > 70</p> <p>აზოტი 50-100 ფოსფორი 10-30 კალიუმი 30-70</p> <p>აზოტი < 100 ფოსფორი < 30 კალიუმი < 70</p>	<p>საშუალო ზონის ჩვეულებრივი მორწყვისას საჭიროებს NPK – ის შეტანას საჭირო ნორმის 50% ის ოდენობით</p> <p>დაბალი ზონის ჩვეულებრივი მორწყვისას საჭიროებს მინერალური და ორგანული სასუქების შეტანას რეკომენდებული ნორმით</p>
---	--	---

დანართი 6.

XXI. ნახმარი წყლებით მორწყვისას მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახის ქვეშეშესატანი მინერალური სასუქის ნორმის გამოთვლის მაგალითი

1. კულტურების სასუქებზე მოთხოვნილების გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$H_{NPK} = B \times K_B, \quad \text{სადაც}$$

H_{NPK} --- კულტურების მოთხოვნილება საკვებ ნივთიერებებზე კგ/ჰა;

B --- საკვები ნივთიერებების გამოტანა დაგეგმილი მოსავლით კგ/ჰა;

K_B --- გამოტანილი საკვები ელემენტების ანაზღაურების კოეფიციენტი.

კულტურა – მრავალწლიანი მარცვლოვანი ბალახების მწვანე მასა – მოსავლიანობა – 40 ტ/ჰა.

2. 1 ტ პროდუქციის მიერ გამოტანილი საკვები ნივთიერებები, კგ-ში

N-6, P₂O₅- 1, K₂O-6.

3. ნიადაგი – კორდ-ეწეროვანი, (PH-5,0), საშუალოდ უზრუნველყოფილია აზოტითა და ფოსფორითა და მალალუზრუნველყოფილია კალიუმით.

4. საკვები ნივთიერებების შემცველობა მგ/100გ-ზე: მაჰიდროლიზებული აზოტი – 6, P₂O₅ - 7, K₂O – 14.

ამოტანილი საკვები ნივთიერებების ანაზღაურების კოეფიციენტი ნიადაგის ნაყოფიერებასთან დამოკიდებულებაში						
ნიადაგის ნაყოფიერება საკვები ნივთიერებების უზრუნველყოფის მიხედვით	საკვები ნივთიერებების შემცველობა მგ/100გ			გამოტანის ანაზღაურების კოეფიციენტი		
	მაჰიდროლიზებული აზოტი (ტურილის და კონონოვას მიხედვით)	მომრავი ფოსფორი P ₂ O ₅	მომრავი კალიუმი K ₂ O	N		
					N	PP ₂ O ₅
დაბალი	< 5	< 5	< 8	1,2	3	1,3
საშუალო	6-8	5-10	8-12	1,0	2	1,0
მაღალი	> 8	> 10	> 12	0,8	0,8-1	0,7-0,9

5. საკვებ ნივთიერებებზე კულტურის მოთხოვნილება, კგ-ში:

$$H_N=40 \times 6 \times 1 =240; H_{P_2O_5} = 40 \times 1 \times 2 =80; H_{K_2O} = 40 \times 6 \times 0,7=168$$

6. საკვები ნივთიერებების შემცველობა ნახმარ წყლებში, მგ/ლ;

$$N_{\text{საერთო}} = 40; P_{2O_5} = 10; K_2O = 36.$$

7. სარწყავი ნორმა – 3000 მ³/ჰა

8. სარწყავი ნახმარი წყლით მოხვედრილი საკვები ნივთიერებები, კგ/ჰა

$$N_{\text{საერთო}} = 120; P_{2O_5} = 30; K_2O = 108.$$

9. მინერალური სასუქებით საჭიროებს შეტანას, კგ/ჰა

$$N_{\text{საერთო}} = 240 - 120 = 120; P_{2O_5} = 80 - 30 = 50; K_2O = 168 - 108 = 60.$$

დანართი 7.

XXII. სარწყავ წყლებში მიკროელემენტების დასაშვები კონცენტრაციების გამოთვლის მაგალითი

1.სარწყავ წყლებში მიკროელემენტების დასაშვები კონცენტრაციების გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$C_{\text{მე}} = \frac{\text{ზდკწყ} \times \text{ეტ}}{J}, \text{ სადაც (5)}$$

$C_{\text{მე}}$ –სარწყავ წყალში მიკროელემენტების დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ;

ეტ – ევაპორანსპირაცია (მცენარეების ტრანსპირაცია და ნიადაგის ზედაპირის აორთქლება), მმ;

J- თესლბრუნვის მიხედვით საშუალო შეწონილი სარწყავი ნეტო ნორმა მმ;

ზდკწყ - მიკროელემენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყლისათვის, მგ/ლ (დანართი 8).

2. პირობებში, როდესაც ეტ=630მმ, J = 320მმ - ზდკწყ კობალტისათვის არის 0,1 ; სპილენძისათვის - 1,0 და ფტორისათვის – 0,7მგ/ლ. დასაშვები კონცენტრაციები სარწყავ წყალში შეადგენს, მგ/ლ;

$$C_{\text{Co}} = \frac{0,1 \times 630}{320} = 0,2$$

$$C_{\text{Cu}} = \frac{1 \times 630}{320} = 2,0;$$

$$C_{\text{F}} = \frac{0,7 \times 630}{320} = 1,38$$

დანართი 8.

XXIII. მიკროელემენტების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების წყლისათვის

მიკროელემენტები	ზდკწყ,მგ/ლ
ბარიუმი	0,1
ბერილიუმი	0,0002
ბორი	0,5
ბრომი	0,1
ვანადიუმი	0,1
ბისმუტი	0,1
ვოლფრამი	0,05
კადმიუმი	0,001
კობალტი	0,1
ლითიუმი	0,3
სპილენძი	1,0
მოლიბდენი	0,25
დარიშხანი	0,05
ნიკელი	0,1
კალა	0,1
ვერცხლისწყალი	0,0005
ტყვია	0,03
სტრონციუმი	7,0
ფტორი	1,5
ქრომი	0,5
თუთია	1,0
სელენი	0,01

დანართი 9.

XXIV. მძიმე მეტალების ზღვრულად დასაშვები და საორიენტაციო

დასაშვები კონცენტრაციები – სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე ნიადაგებში

ნივთიერების დასახელება	ზღვ-ს სიდიდეები (მგ/კგ) ნიადაგის ფონის გათვალისწინებით	მაგნიუმის მალიმიტირებელი მაჩვენებლები
1	2	3
ვანადიუმი	150,0	საერთო სანიტარიული
ვანადიუმი+მანგანუმი	100,0 + 1000,0	საერთო სანიტარიული
დარიშხანი	2,0	ტრანსლოკაციური
ვერცხლისწყალი	2,1	ტრანსლოკაციური
ტყვია	32,0	საერთო სანიტარიული
ტყვია+ვერცხლისწყალი	120,0 + 1,0	ტრანსლოკაციური
სტრბიუმი (სურმა)	4,5	საერთო სანიტარიული
მ ო ძ რ ა ვ ი ფ ო რ მ ა		
კობალტი ¹	5,0	საერთო სანიტარიული
მანგანუმი, გამოწვლილი 0,1 N H ₂ SO ₄ –ით		
შემიწა ნიადაგებისათვის	700,0	საერთო სანიტარიული
კორდეროვანი ნიადაგებისათვის:		
P _H 4,0		
P _H 5,1-6,0	300,0	საერთო სანიტარიული
P _H >6,0	400,0	საერთო სანიტარიული
გამოწვლილი აცეტატ-ამონიუმის ბუფერით (P _H 4,8)	500,0	საერთო სანიტარიული
შემიწა ნიადაგებისათვის		
კორდეროვანი ნიადაგებისათვის:		
P _H 4,0	140,0	საერთო სანიტარიული
P _H 5,1-6,0		
P _H >6,0		
	60,0	საერთო სანიტარიული
	80,0	საერთო სანიტარიული
	100,0	საერთო სანიტარიული
სპილენძი ²	3,0	საერთო სანიტარიული
ნიკელი ²	4,0	საერთო სანიტარიული
ტყვია ²	6,0	საერთო სანიტარიული
თუთია ²	23,0	ტრანსლოკაციური
ფთორი ²	2,0	ტრანსლოკაციური
ქრომი ²	6,0	საერთო სანიტარიული
წყ ა ლ შ ი ხ ს ნ ა დ ი ფ ო რ მ ა		
ფთორი ³	10,0	ტრანსლოკაციური
საორიენტაციო დასაშვები კონცენტრაციები (სდკ) საერთო შემცველობა, მგ/კგ		
ნიკელი		
ქვიშანი და ქვიშარი	20	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	40,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	80,0	საერთო სანიტარიული
სპილენძი		
ქვიშანი და ქვიშარი	33,0	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	66,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	132,0	საერთო სანიტარიული
თუთია		
ქვიშანი და ქვიშარი	55,0	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	110,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	220,0	საერთო სანიტარიული
დარიშხანი		
ქვიშანი და ქვიშარი	55,0	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	2,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	5,0	საერთო სანიტარიული
	10,0	საერთო სანიტარიული
კადმიუმი		
ქვიშანი და ქვიშარი	0,5	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	1,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	2,0	საერთო სანიტარიული
ტყვია		
ქვიშანი და ქვიშარი	32,0	საერთო სანიტარიული
მჟავე თიხნარი და თიხიანი:		
P _H < 5,5-ით	65,0	საერთო სანიტარიული
P _H >5,5-ით	130,0	საერთო სანიტარიული

შენიშვნა:

კობალტის მოძრავი ფორმა ნაცრისფერი ნიადაგებიდან გამოიწვლილება აცეტატური ნატრიუმის ბუფერული ხსნარით (P_H-3,5), ხოლო დანარჩენი ტიპის ნიადაგებიდან აცეტატური ამონიუმის ბუფერული ხსნარით (P_H-4, 8);

ელემენტის მოძრავი ფორმა ნიადაგებიდან გამოიწვლილება აცეტატური ამონიუმის ბუფერული ხსნარით (P_H- 8)

ფტორის მოძრავი ფორმა ნიადაგიდან გამოიწვლილება 0,006 მოლ HCL – ით (P_H <6,5), 0,003 მოლ K₂S₄– ით (P_H >6,5).

XXV. თესლის გაღვივების ბიოტესტირების მეთოდика

წითელი, მრგვალი თეთრ ბოლოიანი ბოლოკის ან თეთრი მდოგვის (*Sinapis alba*) 30 ან 50 ცალ თესლს თანაბრად ათავსებენ 10 სმ დიამეტრის პეტრის ფინჯანზე ფილტრის ქაღალდით. (CEB-ის წევრი ქვეყნების დასკვნითი მოხსენება თემაზე 7.08.05 ბუდაპეშტი, 1975, გვ.2-4). ყოველ პეტრის ფინჯანზე ასხამენ 5 მლ საკვლევ და სუფთა წყალს. ასე იმეორებენ 4-8-ჯერ. სითხის დონე უნდა იყოს თესლების ზედაპირზე დაბლა. ფინჯანებს ახურავენ და ათავსებენ თერმოსტატში 20° C –ზე. თერმოსტატის უქონლობის შემთხვევაში ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება ოთახის პირობებში, მაგრამ ტემპერატურის ცვალებადობის გამო შედეგების შეპირისპირება გართულებულია.

გამოყენებამდე პეტრის ფინჯანები უნდა გასტერილდეს ავტოკლავში 2 ატმ-ზე 10 წთ-ის, ან მდუღარე წყალში 30 წთ-ის განმავლობაში. ექსპერიმენტი მთავრდება 72 საათში. ზომავენ ფესვების სიგრძეს. მონაცემებიდან გამორიცხავენ ხუთ ყველაზე მცირე მნიშვნელობას, გაუზრდელი ფესვების ჩათვლით. თუ საკვლევ ხსნარში საკონტროლოსთან შედარებით თესლები არ აღმოცენდება, ან მათი ფესვების სიგრძე საკონტროლოს 70%-ით ჩამორჩება, მაშინ წყალი უვარგისია სარწყავად. 70% - ზღვარი იმაზეა დაფუძნებული, რომ ნიადაგი თავისი სორბციული შესაძლებლობებით ამცირებს საკვლევ წყლის მაინჰიბირებელ ზემოქმედებას. როდესაც ფესვების სიგრძე ცდის დროს აღემატება საკონტროლოს 120%-ით, იგულისხმება, რომ წყალს გააჩნია მასტიმულირებელი თვისებები.

შენიშვნა: ტესტი თესლების გაღვივებაზე შეიძლება ჩატარდეს სხვა მცენარეების თესლებზეც, პირველ რიგში კი მათზე, რომლებიც მოყვანილი უნდა იქნან მორწყვისას.

დანართი 11.

XXVI. ნახმარი წყლებითა მათი ნალექებით ნიადაგის მორწყვის და გამდიდრებისას პარაზიტული დაავადებების გამომწვევებთან შესაძლო კონტამინაციის ხარისხის გამოთვლის მაგალითი.

პროფ. ა. ა. ჩერეპანოვის მიერ შემუშავებულ მეთოდика

1. ტერმინი „კონტამინაცია“ ამ შემთხვევაში ნიშნავს გარემოს ობიექტში (ნახმარ წყლებში, მათ ნალექებში, ნიადაგში, მცენარეებზე, სხვადასხვა წყალსატევებში) ინვაზიური დაავადებების გამომწვევთა არსებობას (განსხვავებით ტერმინებისაგან – დაბინძურება, მოთესვიანობა, დაინვაზირება, დასნებოვნება, რაც არ ესადაგება ზემოთ მინიშნებულ აზრს).

2. სარწყავი წყლებისა და მათი ნალექების ხარისხის კონტროლს კონტამინაციის მაჩვენებელზე ახორციელებენ საზოგადოდ მიღებული მეთოდის მიხედვით, ხოლო მასის მოცულობის ერთეულში გამომწვევების რაოდენობის გამოთვლას კი შემდეგი ფორმულით:

$$კი = 3 \times 1000 \times E, \text{ სადაც}$$

კი – კონტამინაციის ინტენსივობის მაჩვენებელი (ყველა სახის გამომწვევის რაოდენობა მასის მოცულობის ერთეულში ც/ლ – მ³);

3 – პარაზიტოზების გამომწვევთა რაოდენობა, ც/ლ; მ. სმ³, მ³;

1000 – გამსაზღვრული ტენიანობისას მასის მოცულობის გამოთვლითი ერთეული, ლ, გ, სმ³, მ³.

E – მასის მოცულობა, რომელშიც განსაზღვრავენ პარაზიტოზების გამომწვევთა რაოდენობას და ხარისხს ლ.მ³.

3. გამოთვლის მაგალითი:

თუ 1ლ ნახმარი წყალი შეიცავს საშუალოდ 0,5 ცალ ერთი სახის პარაზიტოზის გამომწვევს, მაშინ 1 მ³-ში იქნება 500 ც.

ნახმარ წყლებში და მათ ნალექებში არსებული პარაზიტოზების გამომწვევთა შესაძლო კონტამინაციის ხარისხის გამოთვლა მათი მიწის სავარგულებზე, აგრეთვე პირუტყვის საკვების მიწოდებისას –აწარმოებენ ფორმულით:

$$დ \times X \times 3$$

$$კი = \frac{\text{---}}{1000}, \text{ სადაც}$$

$$1000$$

კი – გარემოს ობიექტების (კერძოდ ნიადაგების) პარაზიტოზების გამომწვევებთან კონტამინაციის ინტენსივობა, ც/მ²;

3 –პარაზიტების გამომწვევთა რაოდენობა ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების მოცულობით ერთეულში ც/ლ, მ³;

დ – მინდვრებზე შეტანილი მოცემული ტენიანობის ნახმარი წყლებისა და მათი ნალექების დოზა, შეტანის ჯერადობის გათვალისწინებით, მ³,ტ/ჰა;

1000 – ფართობი (1 ჰა, მ²);

ჰ – 500 ც/მ³.დ = 300 მ³/ჰა

$$კი = \frac{300 \cdot 500}{1000} = 15$$

ეს ნიშნავს, რომ ნახმარი წყლებით მინდვრებზე შეტანილი პარაზიტოზების გამომწვევების გამოთვლითი რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 15 ც/მ² ფართობზე. ნახმარი წყლების და მათი ნალექების მიწის სავარგულებზე შეტანილი ნორმები, დოზები, ვადები და ჯერადობა განისაზღვრება აგროქიმიური და სანიტარიული წესებით.

დანართი 12.

XXVII. სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის საკვებში ნიტრატებისა და ნიტრიტების ზღვრულად დასაშვები დონე*

პირუტყვის საკვების ან ნედლეულის სახეობა	ნედლი პროდუქტი მგ/კგ	
	ნიტრატები NO ₃ -ის მიხედვით	ნიტრიტები NO ₂ -ის მიხედვით
მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის, ღორების, ქათმების კომბინირებული საკვები AA	500	100
მარცვლეული ფურაჟი და მარცვლეულის გადამუშავების პროდუქტები	300	10
კოპტონი, შროტი	450	10
ცხოველური წარმოშობის ნედლეული (ხორცმელოვანი, თევზის ფეკილი, რძის ფეხნილი)	250	10
ჰიდროლიზური საკვები საფურეები	300	10
ბალახის ფეკილი	2000	10
წიწვოვანის ფეკილი	1000	10
მელასა – ჭენჭი	1500	10
ჭარხლის მშრალი წიწვნი	800	10
პირუტყვის უხეში საკვები (თივა, ჩალა)	1000	10
პირუტყვის შვანე საკვები	500	10
სილოსი (სენაჯი)	500	10
საკვები ჭარხალი	2000	10
კარტოფილი	300	10

* მეთოდური მითითებანი სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ნიტრატებითა და ნიტრიტებით მოწამვლის დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ (28.03.91)

დანართი 13.

XXVIII. ნახმარი წყლების ნალექებისადმი წაყენებული მოთხოვნები და მათი შედგენილობის განსაზღვრის მეთოდები

მაჩვენებელი	ნორმა	მეთოდი
ტენი, % არა უმეტეს	82	სსტ 26713 – 86
ორგანული ნივთიერება, % მშრალ პროდუქტზე არა ნაკლებ	20	სსტ 26714 – 85
მჟავურობა, Ph(KCl)	5,5-8,5	დადგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია
საერთო შემცველობა		
ტყვია (Pb) მგ/კგ არა უმეტეს	1000	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
დარიშხანი (As) მგ/კგ არა უმეტეს	20	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
ვერცხლისწყალი(Hg) მგ/კგ არა უმეტეს	15	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
კადმიუმი (Cd) მგ/კგ არა უმეტეს	30	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
ნიკელი (Ni) მგ/კგ არა უმეტეს	400	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
ქრომი (Cr ³⁺) მგ/კგ არა უმეტეს	1200	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
მანგანუმი (Mn) მგ/კგ არა უმეტეს	2000	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
თუთია (Zn) მგ/კგ არა უმეტეს	4000	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
სპილენძი (Cu) მგ/კგ არა უმეტეს	1500	ატომურ-აბსორბციული მეთოდი
კოალიტიბრი არანაკლები	0,01	დასახლებული ადგილების წიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შესაფასებელი მაჩვენებლები
ჰელმინთების (სიცოცხლისუნარიანი) კვერცხები ცალობით	0	“
პათოგენური ენტერობაქტერიები	0	“

დანართი 14.

XXIX. შეტანილი ნახმარი წყლების ნალექის თეორიულად დასაშვები ნორმების გამოთვლის მაგალითი მასში მძიმე მეტალების შემცველობის მიხედვით

1. გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$(0,8 X \text{ ზდვ} - \text{ფ}) X 3000$$

$$D = \frac{\text{---}}{C_{T^m}}, \text{ სადაც}$$

D – ნალექის მშრალი მასის თეორიულად დასაშვები ნორმა ტ/ჰა;

ზდვ – მძიმე ლითონის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ნიადაგში მგ/კგ;

სდვ – თუ არ არსებობს რომელიმე მძიმე ლითონის დამტკიცებული ზდვ ნიადაგში, გამოთვლის დროს იყენებენ საორიენტაციო დასაშვებ კონცენტრაციას ნიადაგში მგ/კგ (დანართი 9);

ფ – ნიადაგში მძიმე ლითონის ფაქტობრივი შემცველობა მგ/კგ;

მმ – ნალექში მძიმე ლითონის შემცველობა ტ/ჰა (მშრალ მასაზე);

3000 – ნიადაგის მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებული სახნავი ფენის მასა ტ/ჰა;

XXX. შეტანილი ნახმარი წყლების ნალექის თეორიულად დასაშვები ნორმების გამოთვლის მაგალითი, მინერალური და საერთო აზოტის შემცველობის მიხედვით

1. ნალექის შესატანი ნორმის გამოთვლა მასში მინერალური აზოტის შემცველობის მიხედვით წარმოებს ფორმულით:

$$B X Y$$

$$D^{1N_{\text{მინ}}} = \frac{\text{---}}{C_{N_{\text{მინ}}}}, \text{ სადაც}$$

$D^{1N_{\text{მინ}}}$ – ნალექის თეორიულად დასაშვები ნორმა ტ/ჰა;

B – 1 ტონა მოსავლის აზოტის გამოტანა (დანართი 4);

Y – ძირითადი პროდუქციის მოსავალი ტ/ჰა;

$C_{N_{\text{მინ}}}$ – 1 ტონა ნალექის მშრალ მასაში მინერალური აზოტის (N-NO₃ + N – NH₄) შემცველობა, კგ;

ნალექის ნორმის გამოთვლა, მასში საერთო აზოტის შემცველობის მიხედვით წარმოებს ფორმულით:

$$300$$

$$D^{1N} = \frac{\text{---}}{C_N}, \text{ სადაც}$$

D^{1N} – ნალექის მშრალი მასის თეორიულად დასაშვები ნორმა, ტ/ჰა;

C_N – 1 ტ ნალექის მშრალ მასაში საერთო აზოტის შემცველობა, კგ;

300 – ნალექით აზოტის შეტანის მაქსიმალური დოზა, კგ/ჰა.

დასკვნა: XIV მუხლის მე-13 პუნქტში ნალექების ზემოაღნიშნული თეორიულად დასაშვები ნორმები განკუთვნილია სახნავი მიწებისათვის, ამიტომ მათთვის საერთო და მინერალური აზოტის შემცველობა არ არის შეზღუდული.

დანართი 15.

XXXI. სარწყავად გამოსაყენებელი ნახმარი წყლების ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდიკები

მაჩვენებლები	საერთაშორისო სტანდარტის ნომერი	მეთოდიკის დასახელება	ლიტერატურა
ამონიუმის აზოტი	ისო – 5664	გადადენა წყლის ორთქლით და გაფილტვრა	[1] გვ. 138-146
საერთო აზოტი	ისო – 11905	დაწვა და ფოტომეტრიული განსაზღვრა	PD 118024-85
ქ ბ მ	ისო - 5815	სტანდარტული მეთოდი	PD 522474-89
შეწონილი ნივთიერებები		გრავიმეტრიული განსაზღვრა	PDPDP 118027-88
ჰიდროკარბონატები		უკუტიტრაცია	PDPDPD 522461 -88
რკინა	ისო – 6332	ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[1] გვ. 53-56 PD 522436-87
კალიუმი	ისო – 9961	ალიან-ემისიური განსაზღვრა	[1] გვ. 353-355 PD 522456-88
კალციუმი	ისო - 6056	ტიტრომეტრიული განსაზღვრა ტრილონი B	[1] გვ. 356-363 PD 522456-88

კობალტი	ისო - 8288	ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[5] გვ. 66-69
მაგნიუმი		ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[1] გვ. 453-457
მანგანუმი		ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[5] გვ. 73-75
სპილენძი	ისო - 8288	ატომურ-აბსორბციული მეთოდი	PD 522481-89
ნატრიუმი	ისო - 9964-3	ალიან-ფოტომეტრიული განსაზღვრა	[1] გვ. 533-537 PD 522443-87
ნავთობპროდუქტები	ისო - 9377	ქრომატიგრაფიული განსაზღვრა	[1] გვ. 550-556 [3] გვ. 350-359
ნიკელი	ისო - 8288	ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[5] გვ. 94-97
ნიტრატები	ისო - 7898-3	ფოტომეტრია სალიცილის მჯავით	PD 118022-90
ნიტრიტები		ფოტომეტრია გრისის რეაქტივით	სსტ 18826-73
Ph	ისო -10523-3	ელექტრომეტრიული განსაზღვრა	[1] გვ. 251-255
სულფატები	ისო - 9280	გრავიმეტრიული განსაზღვრა	[3] გვ. 118-121 [1] გვ. 893-896
ფოსფორი - საერთო		დაწვა და ფოტომეტრიული განსაზღვრა	PD 522439-82 PD 118-02-3-83
ქლორიდები	ისო - 9297	არგენტომეტრიული განსაზღვრა	PD
1	2	3	4
ქ ქ მ	ისო - 6060	ტიტომეტრიული განსაზღვრა	PD 522475-88 PD 118021-85
ქრომი		ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[5] გვ. 118-119
თუთია	ისო - 8288	ატომურ-აბსორბციული მეთოდი	[2] გვ. 22-24
მშრალი ნაშთი		გრავიმეტრიული განსაზღვრა	სახ. სტ. 18164-72

დანართი 16.

XXXII. სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის საკვებში ზოგიერთი ქიმიური ელემენტის დროებითი მაქსიმალურად დასაშვები დონე (მდე)

ქიმიური ელემენტი	კომინირებული საკვები					მარცვლი და მარცვალ-ფურაჟი	უხეში და წვნიანი საკვები	ტუბერნა-ყოფები მირხევენე-ბი
	ლორი	ფრინველი		მსხვილ- და წვრილფეხა პირუტყვი				
		სახორცე	საკვერ-ცხე	სახორცე	სარ-ძევე			
ვერცხლის-წყალი	0,1	0,1	0,05	0,1	0,05	0,1	0,05	0,05
კადმიუმი	0,1	0,4	0,30	0,4	0,30	0,3	0,30	0,30
ტყვია	3,0	5,0	3,00	5,0	3,00	5,0	5,00	5,00
დარიზხანი	1,0	1,0	0,50	1,0	0,50	0,5	0,50	0,50
სპილენძი	80,0	80,0	80,00	30,0	30,00	30,0	30,00	30,00
თუთია	100,0	100,0	50,00	100,0	50,00	50,0	50,00	100,00
რკინა	200,0	200,0	100,00	200,0	100,00	100,0	100,00	100,00
სტიბიუმი	1,0	1,0	0,50	1,0	0,50	0,5	0,50	0,50
ნიკელი	3,0	3,0	1,00	3,0	1,00	1,0	3,00	3,00
სელენი	1,0	1,0	0,50	1,0	0,50	0,5	1,00	1,00
ქრომი	1,0	1,0	0,50	1,0	0,50	0,5	0,50	0,50
ფთორი	50,0	50,0	20,00	20,0	10,00	10,0	20,00	20,00
იოდი	5,0	5,0	2,00	5,0	2,00	2,0	2,00	5,00
მოლიბდენი	3,0	3,0	2,00	3,0	2,00	2,0	2,00	2,00
კობალტი	2,0	3,0	2,00	3,0	2,00	1,0	1,00	2,00

ბიბლიოგრაფია

- Санитарные правила устройства и эксплуатации земледельческих полей орошения. № 3236-85;
 Методические указания по осуществлению государственного санитарного надзора за устройством и эксплуатацией земледельческих полей орошения. № 4099-88;
 Орошительные системы с использованием сточных вод. Нормы проектирования ВСН 33-22.02-86;
 Предельно допустимые концентрации тяжёлых металлов.
 в почве, утверждённые Минздравом СССР. № 6229-91;
 Рекомендации по использованию осадков городских сточных вод в земельном строительстве и сельском хозяйстве. Ленинград. 1987;
 Касагинов В.А. использование осадка сточных вод и компостов из твёрдых бытовых отходов. //Химизация сельского хозяйства/. 1989.№ 11.
 Овцов Л.И. и др. Сельскохозяйственное использование сточных вод. Справочник. М.: 1989.

2 2. 4. საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები

2. 1. 8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები

რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება (რსდ ემგ)

RADIOFREQUENCY ELECTROMAGNETIC RADIATION (RF EWR) UNDER OCCUPATIONAL AND LIVING CONDITIONS

სანიტარიული წესები და ნორმები

სწდან 2. 2. 42. 1. 8. 001 — 01

I. გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

1. სანიტარიული წესები და ნორმები „რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება (რსდ ემგ)“ ადგენს ადამიანზე ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების ზღვრულად დასაშვებ დონებს 30კჰც-300გჰც სიხშირის დიაპაზონში და ძირითად სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს რსდ ემგ წყაროების დამზადებისა და რეალიზაციის, აგრეთვე მუშაობის, სწავლების, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პროცესში მათი გამოყენებისას.

2. წინამდებარე სანიტარიული წესების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ნებისმიერი ფიზიკური, აგრეთვე იურიდიული პირისათვის, საკუთრების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

3. რსდ ემგ წყაროების დამზადების, რეალიზაციის, გამოყენების პირობები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია რსდ ემგ წყაროებზე შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი წინამდებარე სანიტარიულ წესებთან, რომლის ვადები განისაზღვრება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით.

II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარიულ წესებსა და ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.

გ) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის №807 ბრძანებულება [ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999-2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

დ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის №44/ო ბრძანება „საქართველოში 1992 წლამდე მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ჰიგიენური ნორმატივების დროებით ძალაში დატოვების შესახებ“.

ე) სახელმძღვანელო 1.1.001-99 “ზოგადი მოთხოვნები სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების წყობაზე, გადმოცემაზე, გაფორმებაზე და შინაარსზე”. დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1999 წლის 8 დეკემბრის №490/ო ბრძანებით.

III. ნორმირებული პარამეტრები და გაზომვის ერთეულები

1. რსდ ემგ ადამიანზე ზემოქმედების შეფასება ხორციელდება შემდეგი პარამეტრებით:

ა) ენერგეტიკული ექსპოზიციით, რომელიც განისაზღვრება რსდ ემგ ინტენსივობით და მისი ადამიანზე ზემოქმედების დროით. ენერგეტიკული ექსპოზიციის მიხედვით შეფასება გამოიყენება იმ პირთათვის, რომელთა მუშაობა ან სწავლა დაკავშირებულია რსდ ემგ წყაროების ზემოქმედების ზონაში ყოფნის აუცილებლობასთან (ორსულების და 18 წლამდე ასაკის პირთა გარდა იმ პირობით, რომ ამ პირებმა სამუშაოზე მოწყობისას წინასწარ და შემდგომში პერიოდულად გაიარეს სამედიცინო შემოწმება მოცემულ ფაქტორზე დადგენილი წესით და მიიღეს დადებითი დასკვნა სამედიცინო შემოწმების საფუძველზე).

ბ) რსდ ემგ ინტენსივობის მნიშვნელობებით ასეთი შეფასება გამოიყენება: იმ პირთათვის, რომელთა მუშაობა ან სწავლა არ არის დაკავშირებული რსდ ემგ წყაროს ზემოქმედების ზონაში ყოფნის აუცილებლობასთან; იმ პირთათვის, რომლებმაც სამუშაოზე მოწყობისას წინასწარ არ გაიარეს სამედიცინო შემოწმება მოცემულ ფაქტორზე, ან სამედიცინო შემოწმების შედეგად მიიღეს უარყოფითი დასკვნა; მომუშავე პირებისათვის ან მოსწავლეებისათვის, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის; ორსულებისათვის; იმ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საცხოვრებელ,

საზოგადოებრივ და სამსახურეობრივ შენობა - ნაგებობებში (გადამცემი რადიოტექნიკური ობიექტების შენობა - ნაგებობების გარდა) გარე რსდ ემგ ზემოქმედების ქვეშ; იმ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე და მასობრივი დასვენების ადგილებში.

2. 30კჰც -- 300მგჰც სიხშირის დიაპაზონში რსდ ემგ ინტენსივობის შეფასება ხდება ელექტრული ველის დამაბულობის (E, ვ/მ) და მაგნიტური ველის დამაბულობის (H, ა/მ) მნიშვნელობებით.

3. 300მგჰც-300გჰც სიხშირის დიაპაზონში რსდ ემგ ინტენსივობა ფასდება ენერჯიის ნაკადის სიმკვრივის მნიშვნელობით (ენს, ვტ/მ², მკვტ/სმ²).

4. რსდ ემგ ენერგეტიკული ექსპოზიცია (ეე) 30კჰც-300მგჰც სიხშირის დიაპაზონში განისაზღვრება, როგორც ელექტრული ან მაგნიტური ველის დამაბულობის კვადრატის ნამრავლით ადამიანზე ზემოქმედების დროზე.

5. ელექტრული ველის მიერ წარმოქმნილი ენერგე-ტიკული ექსპოზიცია უდრის ეე_E = E²T და გამოსახება (ვ/მ)²სთ.

6. მაგნიტური ველის მიერ წარმოქმნილი ენერგეტიკული ექსპოზიცია უდრის ეე_H = E²T და გამოსახება (ა/მ)²სთ.

7. იმპულსურ-მოდულირებული რხევების შემთხვევაში შეფასება ხდება საშუალო სიდიდით და შესაბამისად რსდ ემგ-ის საშუალო ინტენსივობით.

IV. რსდ ემგ ადამიანზე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონეები (ზდდ)

1. წინამდებარე სანიტარიული წესების III მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში ენერგეტიკული ექსპოზიცია სამუშაო დროის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 4.1 ცხრილში მითითებულ მნიშვნელობებს.

ცხრილი 4.1

ენერგეტიკული ექსპოზიციის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები			
სიხშირის დიაპაზონი	ზღვრულად დასაშვები ენერგეტიკული ექსპოზიცია		
	ელექტრული მდგენელის მიხედვით (ვ/მ) ² სთ	მაგნიტური მდგენელის მიხედვით (ა/მ) ² სთ	ენერჯიის ნაკადის სიმკვრივის მიხედვით (მკვტ/სმ ²)სთ
30კჰც-3მგჰც	20000.0	200.0	-
3-30მგჰც	7000.0	არ არის შემუშავებული	-
30-50მგჰც	800.0	0.72	-
50-300მგჰც	800.0	არ არის შემუშავებული	-
300მგჰც-300გჰც	-	-	200.0

2. წინამდებარე სანიტარიულ წესებსა და ნორმებში სიხშირის დიაპაზონის მითითების ყველა შემთხვევაში თითოეული დიაპაზონი გამორიცხავს სიხშირის ქვედა, და შეიცავს ზედა ზღვარს.

3. სამუშაო დღის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში რსდ ემგ ინტენსივობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობები (E_{ზდდ}, H_{ზდდ}, ენს_{ზდდ}) ზემოქმედების დროსთან დამოკიდებულებაში და ზემოქმედების დასაშვები დრო რსდ ემგ ინტენსივობასთან დამოკიდებულებაში განისაზღვრება ფორმულებით:

$$E_{\text{ზდდ}} = (ee_{E\text{ზდდ}}/T)^{1/2} \quad T = ee/E^2$$

$$H_{\text{ზდდ}} = (ee_{H\text{ზდდ}}/T)^{1/2} \quad T = ee/ H^2$$

$$ens_{\text{ზდდ}} = (ee_{\text{ენსზდდ}}/T) \quad T = ee_{\text{ენსზდდ}}/\text{ენს}$$

4. რსდ ემგ ელექტრული (E_{ზდდ}) და მაგნიტური (H_{ზდდ}) მდგენელების დამაბულობის ზღვრულად დასაშვები დონის მნიშვნელობები ზემოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად მოცემულია 4.2 ცხრილში.

ცხრილი 4.2

30კვ-300მგ/კვ სიხშირის დიაპაზონში ელექტრული და მაგნიტური მდგენელების დაძაბულობის ზღვრულად დასაშვები დონეები ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით					
ზემოქმედების ხანგრძლივობა, T, სთ	E E _{ზღვ} , ვ/მ			EH H _{ზღვ} , ა/მ	
	0,03-3 მგკვ	3-30 მგკვ	30-300 მგკვ	0,03-3 მგკვ	30-50 მგკვ
8,0 და მეტი	50	30	10	5,0	0,30
7,5	52	31	10	5,0	0,31
7,0	53	32	11	5,3	0,32
6,5	55	33	11	5,5	0,33
6,0	58	34	12	5,8	0,34
5,5	60	36	12	6,0	0,36
5,0	63	37	13	6,3	0,38
4,5	67	39	13	6,7	0,40
4,0	71	42	14	7,1	0,42
3,5	76	45	15	7,6	0,45
3,0	82	48	16	8,2	0,49
2,5	89	52	18	8,9	0,54
2,0	100	59	20	10,0	0,60
1,5	115	68	23	11,5	0,69
1,0	141	84	28	14,2	0,85
0,5	200	118	40	20,0	1,20
0,25	283	168	57	28,3	1,70
0,125	400	236	80	40,0	2,40
0,08 და ნაკლები	500	296	80	50,0	3,00

5. 0,08 საათზე ნაკლები ხანგრძლივობის ზემოქმედების შემთხვევაში დაუშვებელია ზემოქმედების ინტენსივობის შემდგომი მომატება.

6. რსდ ემგ ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით ენერჯის ნაკადის სიმკვრივის ზღვრულად დასაშვები დონის მნიშვნელობები მოცემულია 4.3 ცხრილში

ცხრილი 4.3

300მგკვ - 300კვ სიხშირის დიაპაზონში ენერჯის ნაკადის სიმკვრივის ზღვრულად დასაშვები დონეები ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით	
ზემოქმედების ხანგრძლივობა t, სთ	ზემოქმედების ხანგრძლივობა t, სთ
8,0	25
7,5	27
7,0	29
6,5	31
6,0	33
5,5	36
5,0	40
4,5	44
4,0	44
3,5	57
3,0	67
2,5	80
2,0	100
1,5	133
1,0	200
0,5	400
0,25	800
0,2 da naklebi	1000

7. 0,2 საათზე ნაკლები ხანგრძლივობის ზემოქმედების შემთხვევაში დაუშვებელია ზემოქმედების ინტენსივობის შემდგომი მომატება.

8. წრიული მიმოხილვის, ან სკანირების რეჟიმში მომუშავე (არა უმეტეს 13კვ სიხშირით და სიმეჩხრით არანაკლებ 20) ანტენებისაგან წინამდებარე სანიტარიული წესების და ნორმების 2.1.1 პუნქტში აღნიშნულ პირთა დასხივების ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ინტენსივობა განისაზღვრება ფორმულით:

$$E_{\text{ზღვ}} = K \frac{E_{\text{ენსზღვ}}}{T}, \text{ სადაც}$$

K – წყვეტილი ზემოქმედების ბიოლოგიური აქტივობის შესუსტების კოეფიციენტი და ტოლია 10 –ის. ზემოქმედების ხანგრძლივობის მიუხედავად ზემოქმედების ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს 4.3 ცხრილში მოცემულ მაქსიმალურ მნიშვნელობას (1000 მკვტ/სმ²).

ზემოქმედების ხანგრძლივობის მიუხედავად, ზემოქმედების ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს 4.2 და 4.3 ცხრილებში მითითებულ მაქსიმალურ მნიშვნელობებს (მაგ. 1000მკვტ/სმ² 300მგჰც-300გჰც სიხშირის დიაპაზონში).

4.6 ვიწროზოლიანი ზემალაღი სიხშირის დანადგარებთან მუშაობისას ხელის მტევნის ლოკალური დასხივების შემთხვევაში ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები დონე განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{ენს } \text{ზდდ} = K_1 \frac{\text{ქ ენსზდდ}}{\text{T}}, \text{ სადაც}$$

K₁ - ბიოლოგიური ეფექტურობის შესუსტების კოეფიციენტი, რომელიც 12,5 -ის ტოლია. ამასთან, ხელის მტევანზე ენერჯის ნაკადის სიმკვრივე არ უნდა აღემატებოდეს 5000 მკვტ/სმ².

9. რსდ ემგ-ის ზღვრულად დასაშვები დონეები, როგორც წესი, უნდა განისაზღვრებოდეს იმ ვარაუდიდან, რომ ზემოქმედებას ადგილი აქვს მთელი სამუშაო დღის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში.

10. ზემოქმედების ხანგრძლივობის შემცირება დადასტურებული უნდა იყოს ტექნოლოგიური, განმკარგულებელი დოკუმენტებით და (ან) ქრონომეტრაჟის შედეგებით.

11. რსდ ემგ-ის ინტენსივობის მაღალი დასაშვებთან შედარებით მომატებული მნიშვნელობების გამოყენება 4.1 - 4.4 პუნქტების გათვალისწინებით, ზემოქმედების ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით იმ შემთხვევაში, როცა სხვა დამცავი ღონისძიება არ იძლევა საჭირო შედეგს.

12. მუშაობის ზღვრულად დასაშვები დრო შეტანილი უნდა იქნას უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციებში და ტექნოლოგიურ საბუთებში, ხოლო რსდ ემგ წყაროზე, ან უშუალოდ მის სიახლოვეს თავსდება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი ან წარწერა.

13. პერსონალის ყოფნა იმ ადგილზე, სადაც ზემოქმედების მინიმალური ხანგრძლივობისას რსდ ემგ-ის ინტენსივობა აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეს, ნებადართულია მხოლოდ ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

14. რსდ ემგ-ის ინტენსივობა საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე და ასობრივი დასვენების ადგილებში, აგრეთვე საცხოვრებელ, საწარმოო და საზოგადოებრივ შენობებში (გარე რსდ ემგ, მეორადი გამოსხივების ჩათვლით), 18 წლამდე ასაკის პირთა და ორსული ქალების სამუშაო ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს 4.4 და 4.5 ცხრილებში მითითებულ მნიშვნელობებს.

ცხრილი 4.4

რსდ ემგ-ის ზღვრულად დასაშვები დონეები მოსახლეობისათვის, 18 წლამდე ასაკის პირთა და ორსული ქალებისათვის					
ტერიტორიის ან შენობის დანიშნულება	სიხშირის დიაპაზონი				
	30კჰც-300კჰც	0,3-3მგჰც	3-30მგჰც	30-300მგჰც	300მგჰც-300გჰც
	რსდ ემგ-ის ზღვრულად დასაშვები დონეები				
	ვ/მ	ვ/მ	ვ/მ	ვ/მ	მკვტ/სმ ²

საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორია და მასობრივი დასვენების ადგილები; საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების სათავსოები (გარე რსდ ემგ, მეორადი გამოსხივების ჩათვლით); 18 წლამდე ასაკის პირთა და ორსული ქალების სამუშაო ადგილები	25,0	15,0	10,0	3,0+	10,0 ⁺ 100,0 ⁺⁺
---	------	------	------	------	--

+^{*} - წრიული მიმოხილვის ან სკანირების რეჟიმში მომუშავე სატელევიზიო და რადიოლოკაციური სადგურების გარდა.

** - წრიული მიმოხილვის ან სკანირების რეჟიმში მომუშავე ანტენებიდან დასხივების შემთხვევაში 4.5 პუნქტში მითითებული პირობების შესრულებისას.

ცხრილი 4.5

სატელევიზიო სადგურების მიერ წარმოქმნილი რსდ ემგ-ის

ზღვრულად დასაშვები დონეები

№№	სიხშირე, მგჰც	ზღვ. ვ/მ
1	48,4	5,0
2	88,4	4,0
3	192,0	3,0
4	300,0	2,5

15. კოსმოსური სივრცის კონტროლისათვის განკუთვნილი, 150-300მგჰც სიხშირეების დიაპაზონში სხივის ელექტრონული სკანირების რეჟიმში მომუშავე სპეციალური დანიშნულების რადიოლოკაციური სადგურების (სდ რლს) რსდ ემგ-ის ინტენსივობა გამოსხივების დიაგრამის უახლოეს ზონაში განლაგებულ დასახლებულ ტერიტორიაზე არ უნდა აღემატებოდეს 10მკვტ/სმ² (6 ვ//მ) და სდ რლს-ის გამოსხივების დიაგრამის შორეულ ზონაში განლაგებული დასახლებული ტერიტორიებისათვის-100მკვტ/სმ² (19 ვ//მ).

15. უახლოესი ზონის პირობებს ადგილი აქვს უპირატესად დარьял”Днепр”-ის ტიპის სდ რლს-ის გავლენის ტერიტორიაზე (უახლოესი ზონა შეადგენს 20კმ-ს). “дарьял”Дарьял”-ის ტიპის სდ რლს-ის მიერ დასახლებული ადგილების დასხივების პირობები შეესაბამება შორეული ზონის კანონზომიერებებს და ხასიათდება წყვეტილი ზემოქმედების მაღალი სიმეჩხრით 400-დან 5000-მდე. ამასთან, ჰემმარტი დასხივების ჯამური დრო არ აღემატება დღეღამეში 4 წუთს. უახლოეს და შორეულ ზონებს შორის საზღვარი ”Дарьял”- “дарьял”-ის ტიპის სდ რლს-ის გავლენის ტერიტორიაზე შეადგენს 1,2კმ-ს.

16. სდ რლს გამოსხივების დიაგრამის უახლოეს და შორეულ ზონებს შორის საზღვარი განისაზღვრება ფორმულით:

$$r = \frac{D^2}{\lambda}, \text{ სადაც}$$

r - მანძილია ემგ-ის წყაროდან;

D - გამოსხივებელი აპერტურის მაქსიმალური ზომა;

λ - გამოსხივების ტალღის სიგრძე.

17. წინამდებარე სანიტარიული წესებით სამედიცინო ხელსაწყოების გამოსხივების ზემოქმედება პაციენტებზე არ რეგლამენტირდება, რადგან ამ ზემოქმედების დონე და ხანგრძლივობა განისაზღვრება აუცილებელი სამკურნალო ეფექტით.

18. რსდ ემგ ინტენსივობა ფიჭური სატელეფონო სისტემის რადიო-ტელეფონების მომხმარებლისათვის არ უნდა აღემატებოდეს 100მკვტ/სმ^2 .

19. რსდ ემგ-ის რამდენიმე წყაროდან ერთდროული დასხივებისას, რომელთათვისაც დაწესებულია ერთი და იგივე ზღდა, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

$$\sum_{i=1}^6 (E_i^2 t_i) \leq \text{ქე} E_{\text{ზღ}} \quad \left(\sum_{i=1}^6 E_i^2 \right)^{1/2} = E_{\text{ჯამ}} \leq E_{\text{ზღ}}$$

$$\sum_{i=1}^6 (H_i^2 t_i) \leq \text{ქე} H_{\text{ზღ}} \quad \left(\sum_{i=1}^6 H_i^2 \right)^{1/2} = H_{\text{ჯამ}} \leq H_{\text{ზღ}}$$

$$\sum_{i=1}^6 (\text{ენს}_i / t_i) \leq \text{ქე} \text{ენს}_{\text{ზღ}} \quad \sum_{i=1}^6 \text{ენს}_i = \text{ენს}_{\text{ჯამ}} \leq \text{ენს}_{\text{ზღ}}, \text{ სადაც}$$

E_i - არის ემგ-ის i -წყაროს მიერ წარმოქმნილი ელექტრული ველის დამაბულობა;

H_i - ემგ -ის i -წყაროს მიერ წარმოქმნილი მაგნიტური ველის დამაბულობა;

ენს - ემგ -ის i -წყაროს მიერ წარმოქმნილი ენერგიის ნაკადის სიმკვრივე;

t_i - ემგ-ის i -წყაროს ზემოქმედების დრო;

n - ემგ-ის წყაროების რაოდენობა.

20. რსდ ემგ-ის მქონე რამდენიმე წყაროდან დასხივებისას, რომელთათვისაც დადგენილია სხვადასხვა ზღვრულად დასაშვები დონე, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

$$\sum_{i=1}^n (\text{ქე}_i / \text{ქე}_{\text{ზღ}i}) \leq 1;$$

$$\sum_{i=1}^n (E_i / E_{\text{ზღ}i})^2 + \sum_{i=1}^n (H_i / H_{\text{ზღ}i})^2 + \sum_{i=1}^n (\text{ენს}_i / \text{ენს}_{\text{ზღ}i}) \leq 1, \text{ სადაც}$$

ქე_i - ნორმირებული i დიაპაზონის ენერგეტიკული ექსპოზიცია;

$\text{ქე}_{\text{ზღ}i}$ - ნორმირებული i დიაპაზონის ენერგეტიკული ექსპოზიციის ზღვრულად დასაშვები დონე;

$E_{\text{ზღ}i}$ - ნორმირებული i დიაპაზონის ელექტრული ველის დამაბულობის ზღვრულად დასაშვები დონე;

$H_{\text{ზღ}i}$ - ნორმირებული i დიაპაზონის მაგნიტური ველის დამაბულობის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობა;

$H_{\text{ენს}i}$ - ნორმირებული i დიაპაზონის ენერგიის ნაკადის სიმკვრივის ზღვრულად დასაშვები მნიშვნელობა;

n - ნორმირებული დიაპაზონების რაოდენობა.

V. მოთხოვნები რსდ ემგ წყაროებისადმი

1. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე სანიტარიული წესების მოთხოვნებს.

2. რსდ ემგ-ის წყაროების საქართველოს ტერიტორიაზე წარმოება და საზღვარგარეთიდან შემოტანა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებართვის შემთხვევაში (ამ სანიტარიული წესებით დადგენილი შემთხვევების გარდა).

3. წინამდებარე სანიტარიული წესების მიხედვით კონტროლს არ ექვემდებარება:

ა) წარმოების პირობებში გამოყენებული რსდ ემგ-ის წყაროები, თუ ისინი არ მუშაობენ ღია ტალღამტარებზე, გარემოში გამოსხივებისათვის განკუთვნილ ანტენაზე ან სხვა ელემენტზე და მათი მაქსიმალური მაღალსიხშირული სიმძლავრე საპასპორტო მონაცემების მიხედვით არ აღემატება:

- ა.ა) 5 ვტ - 30 კჰც-3 მჰც სიხშირეთა დიაპაზონში;
- ა.ბ) 2 ვტ - 3-30 მჰც სიხშირეთა დიაპაზონში;
- ა.გ) 0,2 ვტ - 30 მჰც-300 გჰც სიხშირეთა დიაპაზონში.]

ბ) საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები და მოწყობილობები, თანსატარებელი რადიოგადამცემი საშუალებები, 18 წლამდე ასაკის პირების და ორსული ქალების სამუშაო ადგილებზე გამოყენებული რსდ ემგ-ის წყაროები, რომელთა ნომინალური მაღალსიხშირული სიმძლავრე არ აღემატება:

- ბ.ა) 1 ვტ - 30 კჰც-3 მჰც სიხშირეთა დიაპაზონში;
- ბ.ბ) 0,5 ვტ - 3-30 მჰც სიხშირეთა დიაპაზონში;
- ბ.გ) 0,05 ვტ - 30 მჰც-300 გჰც სიხშირეთა დიაპაზონში.

4. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების მიერ პროდუქციის წარმოებაზე, შემოტანაზე, რეალიზაციაზე და გამოყენებაზე ნებართვის გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

5. პროდუქციის წარმოება (შემატანა,) რეალიზაცია და გამოყენება შესაბამისი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

6. პროდუქციის გამოცდის, რსდ ემგ ინტესივობის და სხვა ჰიგიენურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლების და მახასიათებლების გამოკვლევის ორგანიზაცია, უსაფრთხოების აუცილებელი ზომების დამუშავება პროდუქციის შემომუშავებლის (მწარმოებლის, გამყიდველის) აუცილებელი მოვალეობაა.

7. ნორმატიული და საექსპლუატაციო დოკუმენტაცია პროდუქციაზე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნორმატიული დოკუმენტაცია: ზუსტად განსაზღვრული პროდუქციის გამოყენების სფერო და პირობები; პროდუქციის ჰიგიენურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები და მახასიათებლები (ადამიანზე იმ არაკეთილსაიმედო ფაქტორების ზემოქმედების სახეები და დასაშვები დონეები, რომელთა წყაროსაც წარმოადგენს მოცემული პროდუქცია); პროდუქციის ჰიგიენურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლებისა და მახასიათებლების კონტროლის წესები და მეთოდები; პროდუქციის მიღების წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მავნე ფაქტორების ფაქტიური დონეების დასაშვებ დონესთან შესაბამისობის უტყუარ დადგენას.

ბ) საექსპლუატაციო დოკუმენტაცია: პროდუქციის ჰიგიენურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები და მახასიათებლები (ადამიანზე ზემოქმედების ფაქტიური დონეები), უსაფრთხოების ზომები პროდუქციის გამოყენებისას; მწვავე დაავადებათა შემთხვევაში პირველადი დახმარების ზომები (საჭიროების შემთხვევაში); ჯანმრთელობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკვნა, ნებართვა, სერთიფიკატი), მისი გაცემის დრო და მოქმედების ვადა.

8. საჭიროების შემთხვევაში პროდუქციის ზედაპირზე გაკეთებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი წარწერა.

VI. მოთხოვნები წარმოების პირობებში რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროების განთავსებისადმი

1. რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროები ისე უნდა განლაგდეს საწარმოო შენობებში, რომ მეზობელ სამუშაო ადგილებზე, შენობებში და ახლო მდებარე ტერიტორიაზე არ მოხდეს ელექტრომაგნიტური ზემოქმედების მომატება.

2. საწარმოო შენობის ფართობი, კუბატურა, ვენტილაცია, განათება, ფიზიკური, ქიმიური და სხვა ფაქტორების დონე, სხვა ჰიგიენური მაჩვენებლები და მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ამ მაჩვენებლების მიმართ დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

VII. მოთხოვნები გადამცემი რადიოტექნიკური ობიექტების (გრტო) განთავსების, სანიტარიული დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონების ორგანიზაციისა და კეთილმოწყობისადმი

1. გრტო-ს (მოძრაობაში მომუშავეთა გარდა) – რადიოლოკაციის, რადიოგადამცემების, სატელევიზიო და რადიოსარელო სადგურების, დედამიწის თანამგზავრული კავშირის სადგურების, სხვა ობიექტების, რომელთა დანიშნულება გარემომცველ სივრცეში ელექტრომაგნიტური ენერჯის გამოსხივებაა, აგრეთვე მოცემული ობიექტების საშტატო რეჟიმში გამოცდისათვის განკუთვნილი სპეციალური პოლიგონების (მათ შორის ქარხნის) განლაგება და ექსპლოატაცია დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ნებართვით.

2. თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების სპეციალური ობიექტებზე ყველა საკითხის განხილვა ხდება ამ უწყებათა სამედიცინო სამსახურის სპეციალიზებული ქვედანაყოფების მონაწილეობით.

3. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებას არ ექვემდებარება ისეთი გრტო-ს განლაგება, რომელთაც აქვთ ანტენები შენობების გარეთ (მათ შორის სახურავებზე), მიმართული მოქმედების კოეფიციენტი არ აღემატება 5-ს და მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება შემდეგ მნიშვნელობებს:

ა) 40 ვტ - 30 კჰც-3 მგჰც სიხშირეთა დიაპაზონში;

ბ) 20 ვტ - 3-30 მგჰც სიხშირეთა დიაპაზონში;

გ) 2 ვტ - 30 მგჰც-300 გჰც სიხშირეთა დიაპაზონში.

4. გრტო-ს განთავსებისათვის ადგილის შერჩევა ხორციელდება გადამცემის სიმძლავრის, გამოსხივების მიმართულების მახასიათებლების, ანტენის განთავსების სიმაღლისა და კონსტრუქციული თავისებურებების, რელიეფის, მიმდებარე ტერიტორიის ფუნქციური დანიშნულების, განაშენიანების სიმაღლის გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნას აცილებული როგორც ღია ტერიტორიაზე, ისე შენობებში რსდ ემგ ინტენსივობის ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებთან შედარებით მომატება. რეკომენდებულია გრტო განლაგდეს სხვა ადგილებთან შედარებით მაქსიმალურად ამაღლებულ ადგილზე.

5. გრტო-ს ტექნიკურ ტერიტორიაზე და სპეციალურ პოლიგონებზე არ დაიშვება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების განლაგება.

6. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სხვა შენობების სახურავზე ანტენების განლაგება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ შენობის შიგნით და მიმდებარე ტერიტორიაზე რსდ ემგ-ის ინტენსივობა არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას.

7. გრტო-ს მიერ წარმოქმნილი რსდ ემგ-ის ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით დგინდება სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონები.

8. სანიტარიულ-დაცვითი ზონა წარმოადგენს ფართობს, რომელიც ესაზღვრება გრტო-ს ტექნიკურ ტერიტორიას. სანიტარიულ-დაცვითი ზონის გარე საზღვარი განისაზღვრება მიწის ზედაპირიდან 2 მ-ის სიმაღლეზე რსდ ემგ-ის ზღვრულად დასაშვები დონის მიხედვით, რომელიც მოცემულია 4.4; 4.5 ცხრილებში და IV მუხლის მე-15 პუნქტში.

9. სანიტარიულ-დაცვითი ზონა დგინდება ობიექტისა და დასახლებული პუნქტის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით და აითვლება ემგ წყაროდან (ანტენა და ა.შ.).

10. შეზღუდვის ზონას წარმოადგენს ტერიტორია, სადაც რსდ ემგ-ის ინტენსივობა მიწის ზედაპირიდან 2 მეტრზე მეტ სიმაღლეზე აღემატება ზდდ-ს, რომელიც მოცემულია 4.4; 4.5 ცხრილებში და IV მუხლის მე-15 პუნქტში. შეზღუდვის ზონის გარე საზღვარი განისაზღვრება პერსპექტიული განაშენიანების შენობების მაქსიმალური სიმაღლით, რომლის ზედა სართულის სიმაღლეზე რსდ ემგ-ის ინტენსივობა არ აღემატება ზდდ-ს.

11. მკვეთრად დაღარული რელიეფის მქონე ადგილზე შეიძლება წარმოიქმნას მონაკვეთები, რომლებიც არ ესაზღვრებიან გრტო-ს ტერიტორიას, მაგრამ რსდ ემგ-ს ინტენსივობა აღემატება ზდდ-ს, მაშასადამე, ამ მონაკვეთებისათვის შეიძლება დადგინდეს სანიტარიულ-დაცვითი და შეზღუდვის ზონები.

12. სანიტარიულ - დაცვითი ზონა და შეზღუდვის ზონა, როგორც საპროექტო სტადიაზე, ისე მოქმედი გრტო-სთვის განისაზღვრება გამოთვლითი გზით შესაბამისი მეთოდების მიხედვით და ზუსტდება რსდ ემგ-ის ინტენსივობის ინსტრუმენტული გაზომვით.

ა) სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონის პროექტს ადგენს შესაბამისი სახელმწიფო ლიცენზიის მქონე საპროექტო ორგანიზაცია (დაწესებულება).

ბ) სანიტარიულ - დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები მოცემული უნდა იყოს პროექტის ცალკე თავში.

გ)რსდ ემგ ზღვრულად დასაშვები დონეების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებები, ან რეკომენდაციები მოცემული უნდა იყოს პროექტის ცალკე თავში.

დ)გრტო-ს მფლობელი (ადმინისტრაცია) ვალდებულია ორგანიზაცია გაუკეთოს საპროექტო სამუშაოებისა და შესაბამისი ინსტრუმენტული გაზომვების ჩატარებას.

13. გრტო-სათვის, რომლებსაც აქვს მიმართული ან განსაზღვრულ სექტორში მასკანირებელი ანტენები, სანიტარიულ დაცვითი ზონა და შეზღუდვის ზონა დგინდება ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიმართულებით, მიმართულების დიაგრამების სიგანის, ასევე გვერდითი და უკანა ფრთების გათვალისწინებით.

14. გრტო-სათვის, რომელთაც აქვთ წრიული მიმოხილვის ან არა მიმართული მოქმედების ანტენები, სანიტარიულ-დაცვითი ზონა და შეზღუდვის ზონა დგინდება წრიულად.

15. გრტო-სათვის, რომელთა ანტენებიც ასხივებენ ელექტრომაგნიტურ ენერგიას ჰორიზონტის მიმართ განსაზღვრული კუთხით და რსდ ემგ ინტენსივობა იცვლება სიმაღლის მიხედვით, შეზღუდვის ზონა დგინდება დიფერენცირებულად ვერტიკალზე არსებული და პერსპექტიული საცხოვრებელი განაშენიანების სიმაღლის საზღვრებში.

16. დასახლებულ ტერიტორიაზე გამოსხივების ინტენსივობის და სანიტარიულ- დაცვითი და შეზღუდვის ზონების შესამცირებლად გრტო-ს ანტენები უნდა განთავსდეს ბუნებრივ მაღლობზე, ნაყარზე, ესტაკადაზე და ა.შ.; მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ანტენების მაქსიმალური გამოსხივების უარყოფითი კუთხეების გამოყენება.

17. საპროექტო და მოქმედი გრტო-ს ზონაში დაგეგმარება და განაშენიანება უნდა განხორციელდეს სანიტარიულ-დაცვითი და შეზღუდვის ზონების საზღვრების გათვალისწინებით.

18. სანიტარიულ-დაცვითი და შეზღუდვის ზონებში აკრძალულია ყველა სახის საცხოვრებელი შენობების, სტაციონარული სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანატორიულ-საკურორტო, საბავშო სკოლამდელი დაწესებულებების, ყველა სახის სასწავლებლების, ინტერნატების და სხვა შენობების მშენებლობა, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების სადღეღამისო ყოფნისათვის.

19. საზოგადოებრივი და საწარმოო შენობების რსდ ემგ-გან დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემოსაღობი კონსტრუქციების და სახურავის შესრულება მაღალი რადიომაეკრანებელი თვისების მქონე მასალით (რკინაბეტონი და სხვა) ან შემოსაღობი კონსტრუქციების დაფარვა დამიწებული მეტალური ბადით.

20. გათვალისწინებული უნდა იქნას მეორადი რსდ ემგ-ის ზემოქმედებისაგან დაცვის აუცილებლობა, რომელიც წარმოიქმნება შენობის კონსტრუქციების, კომუნიკაციების, შიდა გაყვანილობების ელემენტების კვლავგამოსხივების საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას კომუნიკაციების ელემენტები და ქსელები საჭიროა დაიფაროს დიელექტრიკული (ხის და სხვა) ხოკერებით, რომლებიც ხელს უშლის ამ ელემენტებთან უშუალო შედეგს. კომუნიკაციების ელემენტებს, ქსელებს და ხოკერს შორის აუცილებელი დაშორება განისაზღვრება რსდ ემგ-ის ინტენსივობის გაზომვის გზით.

21. ყოველ გადამცემ გრტო-ს (VII მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულის გარდა) უნდა ჰქონდეს სანიტარიული პასპორტი (დანართი №1).

22. სანიტარიულ პასპორტს ადგენს გრტო-ს მფლობელი (ადმინისტრაცია), ამტკიცებს მისი მფლობელი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) და თანხმდება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან.

23. სანიტარიული პასპორტი დგება ორ ეგზემპლარად და ინახება ერთი უშუალოდ ობიექტზე, მეორე – სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში.

24. სპეციალური გრტო-სათვის მისი ხელმძღვანელობის თხოვნით სანიტარიული პასპორტი შეიძლება შედგეს ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება გრტო-ზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში ინახება ამონაწერი სანიტარიული პასპორტიდან, რომელიც შეიცავს სიტუაციურ გეგმას, სადაც მითითებულია სანიტარიულ- დაცვითი ზონის და შეზღუდვის ზონის საზღვრები შესაბამისი განმარტებით. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოს თანამდებობის პირების პირველივე მოთხოვნისას ხდება სანიტარიული პასპორტის წარდგება.

25. გრტო-ს სამუშაო რეჟიმში და პირობებში რაიმე ცვლილების შეტანა, რომელიც აუარესებს ელექტრომაგნიტურ მდგომარეობას, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან შესაბამისი შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

26. გამოსხივების სიმძლავრის სისტემური შემცირება, ანტენის და გადამცემის დემონტაჟი და მუშა მდგომარეობიდან მათი საბოლოო გამოყვანა შეთანხმებას არ მოითხოვს, მაგრამ ობიექტის მფლობელი (ხელმძღვანელი) ამის შესახებ უგზავნის ინფორმაციას სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესბამის ორგანოს. აუცილებელი ცვლილებები შეიტანება ობიექტის სანიტარულ პასპორტში ან ფორმდება მისი დანართის სახით.

27. ამ განყოფილებაში გათვალისწინებული მოთხოვნები აუცილებელია ასევე იმ გადამცემი რადიოტექნიკური ობიექტებისათვის, რომელიც დადგმულია სატრანსპორტო საშუალებებზე (საფრენ აპარატებზე, საზღვაო და სამხედრო გემებზე, მატარებლებზე) და მუშაობენ მუდმივ სადგომებზე (აეროდრომებზე, პორტებში და ნავისადგომებზე, სადგურებში). ამ შემთხვევაში სანიტარიული პასპორტი დგება მთლიანად სატრანსპორტო საშუალებების ბაზირების ობიექტებზე.

VIII. რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების

ზემოქმედებისაგან მომუშავეთა დაცვის ზომები

1. პერსონალის დაცვა რსდ ემგ-ის ზემოქმედებისაგან ხორციელდება ორგანიზაციული და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების გზით, ასევე ინდივიდუური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

2. ორგანიზაციულ ღონისძიებებს მიეკუთვნება: მოწყობილობის მუშაობის რაციონალური რეჟიმის შერჩევა, რსდ ემგ-ის ზონაში პერსონალის ყოფნის ადგილის და დროის შეზღუდვა (დაცვა დროით და მანძილით) და სხვ.

3. საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებში შედის მოწყობილობების რაციონალური განლაგება, პერსონალის სამუშაო ადგილზე ელექტრომაგნიტური ენერჯის შეღწევის შემზღუდავი საშუალებების გამოყენება (სიმძლავრის მშთანთქავი, ეკრანირება, გენერატორის მინიმალური სიმძლავრის გამოყენება); იმ ზონების აღნიშვნა და შემოღობვა, სადაც რსდ ემგ-ის დონე მომატებულია.

4. ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებს მიეკუთვნება: დამცავი სათვალეები, ჩაფხუტი, ფარი, დამცავი ტანსაცმელი (კომბინეზონი, ხალათი და სხვ.).

5. დაცვის წესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სამუშაო სიხშირის დიაპაზონის გათვალისწინებით, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათით, დაცვის საჭირო ეფექტურობით.

6. რსდ ემგ-ის წყაროებთან მუშაობა მოხსნილი ქარხნული ეკრანებით აკრძალულია (გამონაკლისია შეკეთება, აწყობა, რეგულირება და სხვ.)

7. ანტენაზე მიმართული გამოსხივების დანადგარის გამოცდა საშტატო მძლავრი გადამცემის გამოყენებით აუცილებლად უნდა ჩატარდეს სპეციალურ პოლიგონებზე. აღნიშნული გამოცდის საამქროებში და საწარმოო ტერიტორიაზე ჩატარების საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ რსდ ემგ -ის ზდდ-ის მომატებას საამქროს (ტერიტორიის) გარეთ და საწარმოს სამუშაო ადგილებზე. დანადგარების გამოსხივებაზე მუშაობის პერიოდში ანტენებზე გათვალისწინებული უნდა იქნას ხმოვანი და სინათლის სიგნალიზაცია.

8. რსდ ემგ -ის წყაროების ან სამუშაო ადგილების ეკრანირება ხორციელდება ამრეკლი და მშთანთქმელი (სტაციონარული ან გადასატანი) ეკრანების საშუალებით. ამრეკლი ეკრანები მზადდება ლითონის ფურცლებისაგან, ბადისაგან, მიკროსადენიანი ქსოვილისაგან და სხვ. (დანართი №4).

9. მშთანთქმელ ეკრანებში გამოიყენება სპეციალური მასალები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ტალღის სიგრძის გამოსხივების შთანთქმას. გამოსხივების წყაროების სიმძლავრის და წყაროს და სამუშაო ადგილების ურთიერთგანლაგების მიხედვით, ეკრანის კონსტრუქციული გადაწყვეტა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (ჩაკეტილი კამერა, ფარი, შალითა, ფარდა და სხვ.).

10. ჩაკეტილი კამერის ტიპის ეკრანის დამზადებისას ტალღსატარის, კოკსიალური ფიდერების, წყლის, ჰაერის შესასვლელი, მართვის სახელურების გამოსასვლელი არ უნდა არღვევდეს კამერის მაეკრანირებელ თვისებებს.

11. სათვალთვალო სარკმელების, ხელსაწყოთა პანელების ეკრანირება ხორციელდება რადიოდამცავი მინის დახმარებით. სავენტელაციო ჟალუზებიდან ელექტრომაგნიტური ენერჯის გაჟონვის შესამცირებლად ეს უკანასკნელი ეკრანირდება ლითონის ბადით.

12. ტალღასატარის მილტუჩის შენაწევრების ადგილიდან ენერჯის გაჟონვის შემცირება ხორციელდება „დროსელური მილტუჩის“ გამოყენებით, შენაწევრების შემჭიდროებით გამტარი (ფოსფოროვანი ბრინჯაო, სპილენძი, ალუმინი, ტყვია და სხვ.) და მშთანთქმელი მასალებისაგან დამზადებული შუასადების გამოყენებით, დამატებითი ეკრანირების განხორციელებით.

13. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა რსდ ემგ-ის დონის შემცირება დაცვის ზოგადი საშუალებებით ტექნიკურად შეუძლებელია. თუ დამცავი ტანსაცმელი დამზადებულია მასალისაგან, რომელიც თავის სტრუქტურაში შეიცავს ლითონურ გამტარს, მაშინ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა გამორიცხულია დანადგარის ღია დენგამტარ ნაწილებთან შეხება.

14. ეკრანირებულ შენობაში (კამერაში) მუშაობისას შენობის კედლები, იატაკი და ჭერი აუცილებლად დაფარული უნდა იყოს რადიომშთანთქმავი მასალით. მიმართული გამოსხივების შემთხვევაში დაშვებულია მშთანთქმელებით მხოლოდ კედლების, ჭერის და იატაკის შესაბამისი მონაკვეთების დაფარვა. იმ შემთხვევაში, როცა ეკრანირებული შენობის შიგნით სამუშაო ადგილზე რსდ ემგ აღემატება ზედ-ს პერსონალი გამოყვანილი უნდა იქნას კამერის საზღვრებს გარეთ და უზრუნველყოფილი იქნას აპარატურის დისტანციური მართვა.

15. გრტო-ს ტერიტორიაზე სამსახურებრივი შენობები უნდა განლაგდეს უპირატესად „რადიოჩრდილის“ ზონაში. მათი კარები და ფარჯრები უნდა განლაგდეს რსდ ემგ-ის წყაროების საწინააღმდეგო მხარეს.

16. გრტო-ს ტერიტორიაზე პერსონალის მოძრაობის მარშრუტი უნდა დადგინდეს ისეთნაირად, რომ გამოირიცხოს ხალხის დასხივების შესაძლებლობა ზღვრულად დასაშვებზე მაღალი დონით. ზონები, სადაც რსდ ემგ-ის დონე დასაშვებზე მაღალია, აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნით და წარწერით.

IX. სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები

1. რსდ ემგ-ის ზემოქმედებით გამოწვეული მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებების ადრეული დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკისათვის მუშებმა უნდა გაირონ სამუშაოზე მოწყობისას წინასწარი და შემდგომში პერიოდული სამედიცინო შემოწმება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. მომუშავენი არ გადაიან სამედიცინო შემოწმებას იმ შემთხვევაში, თუ რსდ ემგ-ის დონე სამუშაო ადგილზე არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას, მითითებულს 4.4; 4.5 ცხრილებში და IV მუხლის მე-15 პუნქტში.

3. ყველა პირი რსდ ემგ-ის ზემოქმედებით გამოწვეული კლინიკური დარღვევის საწყისი გამოვლინებით (ასთენიური, ასთენო-ვეგეტატიური, ჰიპოთალამუსის სინდრომი), ასევე ზოგადი დაავადებებით, რომელთა მიმდინარეობა შეიძლება დამძიმდეს საწარმოო გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების გავლენით (ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები, ჰიპერტონული დაავადება, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, სისხლის დაავადებები და სხვ.) აყვანილი უნდა იქნენ სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ და გატარდეს მათ მიმართ შრომის პირობების გაჯანსაღებისა და მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ჰიგიენური და სამკურნალო ღონისძიებები.

4. მომუშავეთა დროებით ან მუდმივად სხვა სამუშაოზე გადაყვანა ხორციელდება იმ შემთხვევაში, რომლებიც ხასიათდება პროფესიული პათოლოგიის გამოხატული ფორმით ან პროგრესირებადი მიმდინარეობით, ან როცა რსდ ემგ-ის ზემოქმედებით ხდება ზოგადი დაავადების დამძიმება. სხვა სამუშაოზე გადაყვანას ექვემდებარებიან აგრეთვე ქალები ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში.

5. 18 წლამდე ასაკის პირები და ორსული ქალები დანადგარებზე სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რსდ ემგ-ის ინტენსიობა არ აღემატება 4.4 და 4.5. ცხრილებში მოცემულ მნიშვნელობებს.

X. პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

E, ვ/მ ელექტრული ველის დამაბულობა, გაზომილი ვატი/მეტრებში.

H, ა/მ მაგნიტური ველის დამაბულობა, გაზომილი ამპერ/ი/მეტრებში.

ენს-ვტ//მ²; მკვტ/სმ² ენერჯის ნაკადის სიმკვრივე.

ეე - ელექტრომაგნიტური გამოსხივების ენერგეტიკული ექსპოზიცია.

ეე_E=H_E = E²თ - ელექტრული ველის მიერ წარმოქმნილი ენერგეტიკული ექსპოზიცია, (ვ//მ²) სთ.

ეე_H=H_H = H²თ მაგნიტური ველის მიერ წარმოქმნილი ენერგეტიკული ექსპოზიცია, გამოსახული (ა//მ²)სთ.

ჰც - ჰერცი, ერთი სრული რხევა 1 წამის განმავლობაში

1კჰც - კილოჰერცი (1კჰც=10³ჰც)

მგჰც- მეგაჰერცი (1მგჰც==10⁶ჰც)

გჰც- გიგაჰერცი (1გჰც==10⁹ჰც)

სდ რსდ - სპეციალური დანიშნულების რადიოლოკაციური სადგურები.

გრტო - გადამცემი რადიოტექნიკური ობიექტები.

მმკ - მეთოდური მითითებები კონტროლის მეთოდზე

დანართი 1

სანიტარიული პასპორტი
გადამცემი რადიოტექნიკური
ობიექტებისათვის
ობიექტის დასახელება
(მისი კუთვნილება ან დაქვემდებარება,
მისამართი)

შეადგინა:
ორგანიზაციის დასახელება:

მისამართი: სახელმწიფო ლიცენზია №ორგანიზაციის მფლობელი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი): ბ.ა.
ვამტკიცებ:ობიექტის მფლობელი(ადმინისტრაციის ხელმძღვანელი): ბ.ა.
შეთანხმებულია:საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვის სამინისტროსსახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური: ბ.ა.

სანიტარიული პასპორტი - წარმოადგენს კომპლექსურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონებს, მიწის ნაკვეთზე (შენობაზე) განთავსების შესაძლებლობის საკითხს, სამუშაო ადგილებზე და ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრომაგნიტური ველის დონეების განაწილებას, აგრეთვე ელექტრომაგნიტური ველის ზღვრულად დასაშვები დონეების უზრუნველყოფის პირობებს.

პასპორტის შემადგენლობა

1. საერთო ნაწილი.
2. ობიექტის პარამეტრები.
3. ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრომაგნიტური ველის დონეების განაწილებაზე ანგარიშის შესახებ მასალები.

4. სიტუაციური გეგმა (მ. 1 : 2000 ან 1 : 10000) სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონების საზღვრების დატანით.

5. ობიექტის განთავსების სანიტარიულ-ჰიგიენური შეფასება და ღონისძიებები ან რეკომენდაციები ელექტრომაგნიტური ველის ზღვრულად დასაშვები დონეების უზრუნველყოფისათვის (მ.შ. სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები).

6. ზღვრულად დასაშვებ დონესთან შედარებით მომატებული ინტენსივობის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების ზონაში არსებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, მასობრივი დასვენების ადგილები და მოსახლეობის რაოდენობა.

7. ემგ ზემოქმედების ზონაში მყოფი მოსამსახურე პერსონალის რაოდენობა (საერთო რაოდენობა, მ.შ. ქალების და 18 წლამდე ასაკის პირები).

8. სამუშაო დღის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში ცალკეული სამუშაო ადგილების მიხედვით მოსამსახურე პერსონალზე ემგ ზემოქმედების დრო.

9. მოსამსახურე პერსონალის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების შესახებ სამედიცინო დასკვნა.

10. სანიტარიული პასპორტის შედგენის დროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მიერ ობიექტის გამოკვლევის შედეგები.

11. მონაცემები ობიექტის რეკონსტრუქციის და პარამეტრების ცვლილებების შესახებ.

12. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის მიზნით ობიექტის გამოკვლევის შედეგები.

1. საერთო ნაწილი

1.1. ობიექტის დასახელება (მისი კუთვნილება ან დაქვემდებარება)

1.2. ობიექტის მფლობელის (ორგანიზაციის) მისამართი (რეკვიზიტები)

1.3. ობიექტის მისამართი

1.4. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის წელი, თვე, რიცხვი

1.5. ობიექტის რეკონსტრუქციის წელი, თვე, რიცხვი

2. ობიექტის პარამეტრები

2.1. გადამცემების რაოდენობა, თითოეულის სიმძლავრე და სამუშაო სიხშირე (სიხშირის დიაპაზონი) _____

2.2. ანტენების განთავსების ადგილი და მათი გამოსხივების მიმართულება _____

2.3. გამოყენებული ანტენების ტიპი, მწარმოებლის დასახელება _____

2.4 ანტენის ჰიგიენურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები და მახასიათებლები (ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მავნე ფაქტორების სახე და მათი ფაქტიური დონეები)

2.5. ჯანმრთელობის უსაფრთხოების სერტიფიკატი (ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი) დანართის სახით

2.6. ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი

2.7. ანტენების განთავსების სიმაღლე (მიწის ზედაპირიდან, შენობის სახურავიდან) –

2.8. ანტენის მაქსიმალური გამოსხივების კუთხე (კუთხეების დიაპაზონი) _____

2.9. სამუშაო სიხშირეები _____

2.10. მოდულაციის ტიპი

2.11. ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეებში ანტენის გამოსხივების მიმართულების დიაგრამები

2.12. გამოსხივებაზე მუშაობის დრო და რეჟიმი

3. ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრომაგნიტური ველის დონეების განაწილებაზე ანგარიშის შესახებ მასალები

4. სიტუაციური გეგმა (მ. 1 : 2000 ან 1 : 10000) სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონების საზღვრების დატანით

5. ობიექტის განთავსების სანიტარიულ-ჰიგიენური შეფასება და ღონისძიებები ან რეკომენდაციები ელექტრომაგნიტური ველის ზღვრულად დასაშვები დონეების უზრუნველყოფისათვის

(მ. შ. სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების

შეზღუდვის ზონების ორგანიზაციისა და

კეთილმოწყობის ღონისძიებები)

6. ზღვრულად დასაშვებ დონესთან შედარებით მომატებული ინტენსივობის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზონაში არსებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების, მასობრივი დასვენების ადგილების ჩამონათვალი, მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებით

7. ემგ ზემოქმედების ზონაში მყოფი მოსამსახურე პერსონალის რაოდენობა (საერთო რაოდენობა, მ.შ. ქალები და 18 წლამდე ასაკის პირები)

8. სამუშაო დღის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში ცალკეული სამუშაო ადგილების მიხედვით მოსამსახურე პერსონალზე ემგ ზემოქმედების დრო

9. მოსამსახურე პერსონალის წინასწარი (სამუშაოზე მიღებისას) და შემდგომში პერიოდული სამედიცინო შემოწმების შესახებ სამედიცინო დასკვნა (სამედიცინო დასკვნის ასლი თან ერთვის)

10. სანიტარიული პასპორტის შედგენის დროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის მიერ ობიექტის გამოკვლევის შედეგები:

10.1 გამოკვლევის წელი, თვე, რიცხვი _____

10.2 ელექტრომაგნიტური ველის დონეების ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები (ხელსაწყო ტიპის, ნომრის და დამოწმების ვადის ჩვენებით)

10.3 გაზომვის შედეგებზე დასკვნა

10.4. ღონისძიებები ან რეკომენდაციები ზღვრულად დასაშ-ვები დონეების უზრუნველსაყოფად (შესრულების ვადების ჩვენებით)

10.5. ღონისძიებების ან რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, შესრულებული ღონისძიებების ან რეკომენდაციების ეფექტურობის შეფასება

11. მონაცემები ობიექტის რეკონსტრუქციის და პარამეტრების ცვლილებების შესახებ

12. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის

მიზნით ობიექტის გამოკვლევის შედეგები

200... წელი, თვე, რიცხვი

200... წელი, თვე, რიცხვი

200... წელი, თვე, რიცხვი

200... წელი, თვე, რიცხვი

200... წელი, თვე, რიცხვი

200... წელი, თვე, რიცხვი

XI. მოთხოვნები რსდ ემგ-ის ინტენსივობის კონტროლის ჩატარებისადმი

დანართი 2

(აუცილებელი)

1. მოთხოვნები გაზომვის საშუალებების მიმართ.

ა) რსდ ემგ-ის ინტენსივობის გაზომვა უნდა ხორციელდებოდეს ხელსაწყოებით, რომელთაც გავლილი აქვთ მეტროლოგიური ატესტაცია დადგენილი წესით და აქვთ მოქმედი მოწმობა დამოწმების შესახებ.

ბ) 30კვც-300მგვც სიხშირის დიაპაზონში გაზომვებისათვის გამოიყენება ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველების დაძაბულობის საშუალო კვადრატული მნიშვნელობების განსაზღვრისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები დასაშვები 30% ფარდობითი ცდომილებით.

გ) 0,3-300 გვც დიაპაზონში გაზომვებისათვის გამოიყენება ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია ენერგიის ნაკადის სიმკვრივის საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრისათვის დასაშვები 30 % ცდომილებით.

დ) გაზომვების ჩასატარებლად უპირატესობა უნდა მიეცეს იზოტროპულ გადამწოდინ ხელსაწყოებს.

2. საკონტროლო წერტილების შერჩევა.

ა) საწარმოო პირობებში გაზომვები უნდა ჩატარდეს პერსონალის მუდმივ სამუშაო ადგილზე. თუ არაა განსაზღვრული მუდმივი სამუშაო ადგილი, მაშინ გან-საზღვრა უნდა მოხდეს სამუშაო ზონის რამდენიმე წერ-ტილში ისეთ ადგილებზე, სადაც პერსონალი მუშაობისას დროის არანაკლებ 50% ატარებს. ამის გარდა გაზომვები ტარდება მუშაობის პროცესში პერსონალის შესაძლო ყოფნის ადგილებში.

ბ) ენერგიის ნაკადის სიმკვრივის გაზომვისას ისეთი ხელსაწყოებით, რომელთაც აქვთ მიმართული მოქმედების ანტენა და გათვალისწინებულია გამოსხივების შორეულ ზონაში მუშაობისათვის, ხელსაწყოს ანტენები არ უნდა მიუახლოვდეს ენერგიის გამოსვლის ზონას უფრო ახლო მანძილზე ვიდრე

$$r_{\text{მინ}} = d^2 / \lambda, \text{ სადაც}$$

d - მიმღები ანტენის მაქსიმალური გეომეტრიული ზომაა,

λ - გამოსხივების ტალღის სიგრძე.

გ) ნფმ-1 ან ანალოგიური ხელსაწყოებით რსდ ემგ ელექტრული მდგენლის განსაზღვრისას დიპოლურ ანტენასა და ლითონის ზედაპირებს (საგნებს) შორის დაცულ უნდა იყოს 50 სმ მინიმალური დაშორება. უფრო მცირე დაშორების დროს გაზომვის ცდომილება მკვეთრად იზრდება.

დ) რსდ ემგ-ის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში (გარე გამოსხივება, მეორეულის ჩათვლით) გაზომვა ხორციელდება სათავსოს ცენტრში, ფანჯრებთან, გათბობის მილებთან და სხვა კომუნიკაციებთან აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში - სხვა წერტილებში.

ე) გარე გამოსხივების გაზომვა ჰაერის კონდიციონერების ხელსაწყოების არქონისას ხორციელდება გამოღებულ სასაფლაოს პირობებში.

ვ) ღია ტერიტორიაზე გაზომვა ხორციელდება მიწის ზედაპირიდან 2მ სიმაღლეზე, შემდგომ 3,6,9 მეტრზე და ა.შ. შენობის სართულიანობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში ამწე მოწყობილობის გამოყენებით.

ზ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში სტრუქტურაში არამაიონებელი გამოსხივების შემსწავლელი შესაბამისი ქვედანაყოფის არსებობისას გაზომვის წერტილების შერჩევა ხდება ამ განყოფილების სპეციალისტის მიერ, საჭიროების შემთხვევაში სხვა ქვედანაყოფის სპეციალისტის მონაწილეობით.

3. გაზომვების ჩატარება.

ა) ყოველ წერტილში გაზომვა ხორციელდება იატა-კიდან (საყრდენი ზედაპირიდან) 0,5; 1,0; 1,7მ სიმაღლეზე. მოცემულ წერტილში განსაზღვრულად ითვლება რსდ ემგ-ის გაზომვილი მაქსიმალური მნიშვნელობა.

ბ) მასკანირებელი და მბრუნავი მიმართულების დიაგრამის მქონე ანტენების რსდ ემგ-ის ინტენსივობის გაზომვა უნდა ხორციელდებოდეს უძრავი მიმართულების დიაგრამის პირობებში.

გ) რსდ ემგ-ის წყაროების ერთდროული მუშაობისას, რომლებიც ასხივებენ განსხვავებული ჰიგიენური ნორმატივების მქონე სიხშირის დიაპაზონში, გაზომვები უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე, ცალკეული სიხშირის დიაპაზონებში (თუ არაა ხელსაწყოები, რომლებსაც შეუძლიათ გამოყოფნ სიხშირის ყოველი დიაპაზონი).

დ) გაზომვების ჩატარებისას გაზომვის ჩამტარებელი პირი ან სხვა პირები არ უნდა იყვნენ გამოსხივების წყაროსა და მიმღებ ანტენას შორის.

ე) რსდ ემგ-ის ინტენსივობის გამოზომი ხელსაწყოების გამოყენება უნდა მოხდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად.

ვ) რსდ ემგ --ის ინტენსივობის გამოზომი ხელსაწყოების გამოყენება უნდა მოხდეს მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად.

ზ) გაზომვების შედეგები ფორმდება ოქმის სახით.

თ) რსდ ემგ-ის ინტენსივობის გაზომვა უნდა ჩატარდეს:

თ.ა) ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისას საცდელი ექსპლუატაციის დროს;

თ.ბ) წელიწადში ერთხელ მიმდინარე კონტროლის მიზნით;

თ.გ) რსდ ემგ წყაროების მუშაობის რეჟიმში ან პირობებში ისეთი ცვლილებების შეტანისას, რომლებიც გავლენას ახდენენ გამოსხივების დონეზე (მაგენერი-რებელი და გამომსხივებელი ელემენტების შეცვლა, ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა, ეკრანირების და დამცავი საშუალებების შეცვლა, სიმძლავრის გაზრდა, ელემენტების განლაგების შეცვლა და ა. შ.);

თ.დ) რსდ ემგ-ის წყაროების რემონტის შემდეგ.

ი) კონკრეტული წყაროების მიერ შექმნილი რსდ ემგ ინტენსივობაზე დინამიური დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, გაზომვების ჩატარების პერიოდულობა შეიძლება გაიზარდოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლამდე.

კ) რსდ ემგ-ის ინტენსივობის საკონტროლო გაზომვების ჩატარება წყაროს მფლობელის მოვალეობაა.

ლ) როდესაც რსდ ემგ წყაროები უცნობია, ან არ არის ცნობილი სამუშაო სიხშირეების დიაპაზონი და მუშაობის რეჟიმი, რსდ ემგ ინტენსივობის გაზომვა არ ხორციელდება.

მ) გრტო-დან წარმოქმნილი ემგ -ის ინტენსივობის გაზომვა და გაანგარიშება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით დამტკიცებული მეთოდური მითითებების მიხედვით.

XII. რსდ ემგ —ის ინტენსივობის გასაზომად რეკომენდებული ხელსაწყოების ძირითადი მახასიათებლები

დანართი 3

(სარეკომენდაციო)

ტიპი	ძირითადი მახასიათებელი	სიხშირის სამუშაო დიაპაზონი	გაზომვის საზღვრები	ცდომილება
n3-21 ცვლის n3-16	ველის დამაბულობის გამოზომი იზოტროპული გადაწოდით	E: 10კვტ-300მგტ H: 100კვტ-30მგტ	E: 1-1000 ვ/მ E	არა უმეტეს 2,5 დბ
n3-22 ცვლის n3-15 n3-16 n3-17	ველის დამაბულობის გამოზომი	E და H: 10კვტ-300მგტ	E: 1-1000 ვ/მ H: 0,3-500 ვ/მ	არა უმეტეს 2,5 დბ
n3-23	ენერჯის ნაკადის სიმკვრივის გამოზომი	37,5-118გტ	0,5-2000მკვტ/სმ²	იგივე
n3-22/1	ველის დამაბულობის გამოზომი	E: 0,01-300მგტ H: 0,01-50მგტ	E: 1-100ვ/მ H: 0,3-60 ა/მ	იგივე
n3-22/2	ველის დამაბულობის გამოზომი	E: 0,01-300მგტ H: 0,01-30მგტ	E: 30-3000ვ/მ H: 2,500ა/მ	იგივე
n3-22/3	ველის დამაბულობის გამოზომი	E: 0,01-1000მგტ H: 0,01-300მგტ	E: 1-100ვ/მ H: 0,1-40ა/მ	იგივე
n3-22/4	ველის დამაბულობის გამოზომი	E: 0,01-300მგტ H: 0,01-300მგტ	E: 1-3000ვ/მ H: 0,1-500ა/მ	იგივე
n3-18 n3-19 n3-20	ენერჯის ნაკადის სიმკვრივის გამოზომი	0,3-39,65 გტ)7#ღვრდნ=ცვ ^ფ - !) ვრდნ=ცვ ^ფ	იგივე

დანართი 4

(სარეკომენდაციო)

XIII. 30 მგტ-40მგტ სიხშირის დიაპაზონში რსდ ემგ –დან დამცავი საშუალებების დასამზადებელი მაკრანებელი მასალები

1. მაკრანებელი მოწყობილობების ეფექტურობა განისაზღვრება ეკრანის მასალის ელექტრული და თვისებებით, ეკრანის გეომეტრიული ზომებით და გამოსხივების სიხშირით.

2. რსდ და ემგ-ს შესამცირებლად გამოყენებული დამცავი ხელსაწყოები უნდა წარმოადგენდნენ ელექტრულად და მაგნიტურად შეკრულ (დახშულ) ეკრანს.

მასალის დასახელება	სახ. სტანდარტი ტექნიკური პირობები	სისქე, გმ	სიხშირის დიაპაზონი	შესუსტება, დბ
ფურცლოვანი CT3	სახ. სტ. 19903-74	1,4	30მგჰც-40გჰც	100
ალუმინის ფოლგა	სახ. სტ. 618-73	0,08	---	80
სპილენძის ფოლგა	სახ. სტ. 5638-75	0,08	---	80
ფოლადის ბადე	სახ. სტ. 5336-73	0,3-1,3	---	30
რადიოდამცავი მინა ერთი ან ორმხრივი ნახევრადგამტარი საფარით	ტექნიკური პირობები 21-54-41-73	^	30მგჰც-30გჰც	20-40
ბამბის ქსოვილი მიკროგამტარით	ОСТ 17-28-70 დარგობრივი სტანდარტი	---	“-----”	20-40
მეტალიზებული ქსოვილი “Восход”	----	---	10კჰც-30გჰც	40-65
ტრიკოტაჟის ქსოვილი (პოლიამიდი + მავლული)	^6-06-C202-90 ტექნიკური პირობები	---	300კჰც-30მგჰც	15-40

მაეკრანებელი მასალისაგან დამზადებულია ინდივიდუალური დამცავი საშუალებები ლითონიზირებული მინით ОПЗ-5,ნ ტექნიკური პირობა 64-1-2717-81; სახის დამცავი ფარები სახ. სტანდარტი 124.023-84.

დანართი 5

(საცნობარო)

XIV. გადამცემი რადიოტექნიკური ობიექტების მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის განსაზღვრის

მეთოდი

1. Методические указания. Определение уровней электромагнитного поля, границ санитарно-защитной зоны и зон ограничения застройки в местах размещения передающих средств телевидения и ЧМ-радиовещания. МУК 3860 от 22.04.85.

11. ბიბლიოგრაფია

2. Методологические вопросы гигиенического нормирования электромагнитного излучения радиочастотного диапазона (научно-исследовательский институт гигиены труда и профзаболеваний АМН СССР). Москва: 1979, с. 130).

3. Руководство 2.2.013-94 «Гигиенические критерии оценки условий труда по показателем вредности и опасности факторов производственной среды, тяжести и напряженности трудового процесса».

4. Суворов Г.А., Пальцев И.П. и др. Неионизирующие электромагнитные излучения и поля (экологические и гигиенические аспекты) Под ред. академика Н.Ф. Измерова. Москва: 1998.

Электромагнитные излучения радиочастотного диапазона (ЭМИ РЧ). Санитарные правила и нормы. СанПин 2.2.4/2.1.8.055-96.

2.1.8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები

ფიზიკური ფაქტორების დასაშვები დონეების სანიტარიული ნორმები

სახალხო მოხმარების საგნების გამოყენებისას საყოფაცხოვრებო პირობებში

Sanitary norms permissible for physical factors during use of domestic articles

სანიტარიული წესები და ნორმები

სანწდან 2.1.8. 000 – 00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები (სანწდან) ადგენენ ფიზიკური ფაქტორების დასაშვებ დონეებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების საგნების (შემდეგში სმს) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ და უსაფრთხო გამოყენების საყოფაცხოვრებო პირობებში.

2. წინამდებარე სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნები ვრცელდება საქართველოში წარმოებულ და მის ტერიტორიაზე შემოტანილ სახალხო მოხმარების საგნებზე. ამ მოთხოვნების სავალდებულო დაცვა საკუთრებრივი ფორმის მიუხედავად, ევალებათ: დაწესებულებების, ორგანოების, საწარმოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, აგრეთვე თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს.

II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარიული წესებისა და ნორმების შედგენისას გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ ნორმატიულ დოკუმენტებზე:

- ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“
- ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“
- გ) საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“

III. ტერმინები და განსაზღვრებები

1. წინამდებარე სანიტარიულ წესებსა და ნორმებში გამოყენებულ ტერმინებსა და განსაზღვრებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ხმაური- დრეკადი რხევები და ტალღები საჰაერო გარემოში, ადამიანის სმენადობის სიხშირის დიაპაზონში.

ბ) მუდმივი ხმაური – ხმაური, რომლის ბგერის დონე დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას იცვლება დროში არა უმეტეს 5დბA სიდიდით.

გ) არამუდმივი ხმაური – ხმაური, რომლის ბგერის დონე დროით მახასიათებელზე „ნელა“ გაზომვებისას დროში იცვლება 5დბA მეტად.

დ) მერხევი ხმაური–არამუდმივი ხმაური, რომლის ბგერის დონე უწყვეტლივ იცვლება დროში.

ე) წყვეტილი ხმაური–არამუდმივი ხმაური, რომლის ბგერის დონე საფეხურებრივად იცვლება (5დბA სიდიდით და უფრო მეტად), ამასთან ინტერვალების ხანგრძლივობა, რომელთა განმავლობაში დონე მუდმივია, შეადგენს ერთ წამს და მეტს.

ვ) იმპულსური ხმაური–არამუდმივი ხმაური, რომელიც შედგება ერთ წამზე ნაკლები ხანგრძლივობის. ერთი ან რამდენიმე ბგერითი სიგნალისაგან, ამასთან ბგერის დონეები გაზომილი დბAH და დბA-ის დროით მახასიათებლებზე “იმპულსი” და „ნელა“ შესაბამისად განსხვავდება 7 დბA-ით.

ზ) ტონალური ხმაური-ხმაური, რომლის სპექტრში გამოხატულია დისკრეტული მდგენელები. ხმაურის ტონალური ხასიათი დგინდება გაზომვებით მესამედოქტავური ზოლების სიხშირეებზე ბგერითი წნევის გადამეტებისას ერთ ზოლში, ახლომდებარე ზოლებზე არანაკლებ 10დბ-ით.

თ) ბგერის ეკვივალენტური დონე (ენერჯის მიხედვით) –LA_{eq}, დბA, მოცემული არამუდმივი ხმაურისა - მუდმივი ფართოზოლიანი ხმაურის ბგერის დონე, რომელსაც აქვს იგივე საშუალო-კვადრატული ბგერით წნევა, როგორც მოცემულ არამუდმივ ხმაურს დროის განსაზღვრულ ინტერვალში.

ი) ბგერის მაქსიმალური დონე LA_{max}, – დბA-ბგერის დონე, გამზომი ხელსაწყო (ხმაურმზომი) მაქსი-მალური მაჩვენებლის შესაბამისი ვიზუალური ათვლისას ან ბგერის დონის გადამეტებული მნიშვნელობა, გაზომვის დროს 1%-ისა განმავლობაში ავტომატური შემაფასებელი მოწყობილობით რეგისტრაციისას.

კ) ინფრაბგერა-ადამიანის სმენადობის დიაპაზონის სიხშირეებზე დაბალი დრეკადი რხევები და ტალღები საჰაერო გარემოში.

ლ) ულტრაბგერა – ადამიანის სმენადობის დიაპაზონის სიხშირეებზე მაღალი დრეკადი რხევები და ტალღები.

მ) ვიბრაცია-დრეკადი რხევები და ტალღები მყარ სხეულში.

ნ) ზოგადი (სამუშაო ადგილის) ვიბრაცია – მდგომი ან მჯდომი ადამიანის სხეულს საყრდენი ზედაპირით გადაცემული ვიბრაცია.

ო) ლოკალური ვიბრაცია-ადამიანის ხელების მეშვე-ობით, მჯდომი ადამიანის ფეხებზე ან წინამხრებზე ზემოქმედებით, მოვიბრირე ზედაპირთან კონტაქტისას გადაცემული ვიბრაცია.

პ) ელექტროსტატიკური ველი – მოვლენათა ერთობ-ლიობა, რომელიც დაკავშირებულია ნივთიერებების, მასალების, ნაკეთობების ზედაპირსა და მოცულობაში თავისუფალი ელექტრონული მუხტის წარმოქმნასთან, შენარჩუნებასა და რელაქსაციასთან.

ჟ) ელექტრომაგნიტური ველი-ცვალებადი ელექ-ტრული და მასთან უწყვეტად დაკავშირებული მაგნიტური ველების ერთობლიობა.

რ) ლაზერული გამოსხივება- იძულებითი (სტიმუ-ლირებული) გამოსხივების გამოყენებაზე დაფუძნებული ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

ს) ულტრაიისფერი (უი) გამოსხივება-200ნმ-დან ან 400ნმ.-მდე ტალღის სიგრძის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

ტ) გამოსხივების ხილული დიაპაზონი-400ნმ-დან 760ნმ-მდე ტალღის სიგრძის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

უ) ინფრაწითელი (იწ) გამოსხივება – 760 ნმ-დან 100×10^3 ნმ-მდე ტალღის სიგრძის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

ფ) რენტგენის (მაიონებელი) გამოსხივება-ელექტრო-მაგნიტური გამოსხივება, რომლის ურთიერთქმედება გარემოსთან გამოიწვევს სხვადასხვა ნიშნის ელექტრული მუხტების წარმოქმნას.

IV. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე სანწდან-ის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა სახალხო მოხმარების საგნების (შემდეგ სმს) ნორმატიული დოკუმენტაციის (სტანდარტები, ტექნიკური პირობები, ტექნოლოგიური ინსტრუქციები და სხვა) შემუშავების, სმს წარმოებისა და ექსპლუ-ატაციისას, აგრეთვე ნორმატიული დოკუმენტაციის (ნდ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსა-ხურთან შეთანხმებისა და პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკაციისას.

2. ფიზიკურ ფაქტორებს, რომლებიც არახელსაყრელ გავლენას ახდენენ ადამიანის ჯამრთელობაზე სმს გამოყენებისას, მიეკუთვნება: ხმაური, ვიბრაცია, ულ-ტრაბგერა, ინფრაბგერა, ელექტრომაგნიტური ველი, სტატიკური ელექტროობა, ინფრაწითელი (სითბური) და ხილული, ულტრაიისფერი, ლაზერული და რენტგენის გამოსხივება.

3. სმს ჯგუფების სანიმუშო ჩამონათვალი, რომლებიც ფიზიკური ფაქტორების პოტენციურ წყაროებს წარმოად-გენენ, მათი მარეგლამენტებელი ძირითადი პარამეტრები, მოცემულია დანართში.

4. მარეგლამენტებელი პარამეტრების ჩამონათვალი კონკრეტული სმს-ზე დგინდება ნდ-ის შემუშავებისა და შეთანხმების სტადიაში.

5. სმს ჯგუფებისა და სახეობათა ჩამონათვალი, რომელიც ფიზიკური ფაქტორების წყაროს წარმოადგენს, შეიძლება დაზუსტდეს.

V. ფიზიკური ფაქტორების მანორმირებელი პარამეტრები

1. საყოფაცხოვრებო პირობებში გამოყენებულ სმს-ს გააჩნია ფუნქციური დანიშნულება, ექსპლუატაციის ადგილი და დრო, რომლებიც განსაზღვრავს ფიზიკური ფაქტორების დასაშვებ დონეებს.

VI. ბგერის დასაშვები დონეები

1. ბგერის დასაშვები დონეები, ბგერითი წნევის დონეები, ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები წარმოდგენილია ცხრილში №1.

2. საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონულმა აპარატურამ, მაგალითად: ტელევიზორები, რადიომიმღები, ბგერადწარმოებული აპარატურა - უნდა უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბგერის უსაფრთხო დონეების რეგულირება არა უმეტეს:

ა) დღისით LA ექვ.=75დბA; LAmაქს.=85დბA;

ბ) ღამით LA ექვ.=65დბA ; LAmაქს.=75დბA;

3. რეკომენდაციები ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბგერის უსაფრთხო დონეების შესახებ, მითითებულ უნდა იქნეს ტექნიკურ პირობებსა და ექსპლუატაციის სახელმძღვანელოებში (პასპორტებში).

ცხრილი 1

სახალხო მოხმარების საგნების ჯგუფები	ბგერითი წნევის დონეები, დბ ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირებით, ჰც										ბგერის დონეები და ვალენ ტური დონეები, დბ	ბგერის მაქსიმალური დონეები, დბ
	31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000			
1. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყოები												
ა) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სადღეღამისო ექსპლუატაციისათვის საცხოვრებელი ბინების ოთახებში, მაგალითად: ვენტilatორები, ჰაერმიმოცვლელი, კონდიციონერები.	72	55	44	35	29	25	23	20	18	30	40	
ბ) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სადღეღამისო ექსპლუატაციისათვის დამხმარე არასაცხოვრებელ ბინებში მაგალითად: მაცივრები, საყინულეები	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	55	
გ) ხანგრძლივი გამოყენების (დღეში 1-დან 6 საათამდე) ნაკეთობები, რომლებიც განკუთვნილია სამეურნეო და სამზარეულო სამუშაოების მექანიზაციისათვის მაგალითად: სარევი და საკრავი მანქანები, სამზარეულო ჰაერგამწმენდები.	100	87	79	72	68	65	63	61	59	70	75	
დ) ხანმოკლე ექსპლუატაციისათვის ნაკეთობები, (დღეში 1საათი), რომლებიც განკუთვნილია სამეურნეო და სამზარეულო სამუშაოების მექანიზაციისათვის, მაგალითად: მტვერსასრუტები, სამზარეულო კომბაინები, ყავის საფუკავები, მიქსერები.	107	95	87	82	78	75	73	71	69	80	85	
ე) სასმრეწველო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები მაგალითად: ელექტრობურები, ელექტრომალაშინები	107	95	87	82	78	75	73	71	69	80	90	

ცხრილი 1-ის გაგრძელება

სახალხო მოხმარების საგნების ჯგუფები	ბგერითი წნევის დონეები, დბ ოქტავურ ზოლებში საშუალო კვადრატული სიხშირებით, ჰც										ბგერის დონეები და ექვივალენტური ბგერის დონეები, დბ A	ბგერის მაქსიმალური დონეები, დბ A
	31,5,5	6363	12525	25050	50000	100000	200000	400000	800000			
2. სათამაშოები ბავშვებისათვის (ასაწყობი მუსიკალური სათამაშოების, სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტების გამოკლებით)****												
ა) 3 წლამდე	9393	7979	7070	6363	5858	5555	5252	5050	4949	6060	7070	
ბ) 3-დან 6 წლამდე	9696	8383	7474	6565	6363	6060	5757	5555	5454	6565	7575	
გ) 6 წელზე უფროსები	10000	8787	7979	7272	6868	6565	6363	6161	5959	7070	8080	
დ) სათამაშოები ღია ცის ქვეშ სათამაშოდ	10303	9191	8383	7777	7373	7070	6868	6666	6464	7575	8585	
3. სანიტარიულ-ჰიგიენური ელექტრონული ხელსაწყოები. მაგ: ფენი, ელექტროსაპარსი	10000	8787	7979	7272	6868	6565	6363	6161	5959	7070	7575	
4. საყოფაცხოვრებო ორგატეხიკა. მაგ: გასამრავლებელი ტექნიკა	9696	8383	7474	6868	6363	6060	5757	5555	5454	6565	7575	
5. ელექტროგამოთვლილი მანქანები (სისტემური ბლოკი)	8686	7171	6161	5454	4949	4545	4242	4040	3838	5050	—	

* ბგერითი სიმძლავრის კორექტირებული დონე წარმოადგენს ხმაურის წყაროს ტექნიკურ მახასიათებელს და სანდან-ის მონაცემებში არ ნორმირდება

** ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა საცხოვრებელი შენობების ბინებში, მოცემული ჯგუფის სმს სარგებლობისას, როდესაც ბგერის დონე აღემატება 75 დბ -ს, აკრძალულია. საწარმო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებით მუშაობა საცხოვრებელ შენობების ბინებში ღამის საათებში (23-დან 7 საათამდე) აკრძალულია.

*** ხმაურის მაქსიმალური დონე სათამაშოსათვის, რომელიც გამოსცემს იმპულსურ ხმაურს (დარტყმა, ერთეული გასროლები და სხვა) უნდა იყოს არა უმეტეს 90დბ ხმაურზომის დროით მახასიათებელზე "იმპულსი" გაზომვისას

შენიშვნა: ტონალური ხმაურისათვის დასაშვებ დონეებდ მიღებულია 5დბ(დბA)-ით ნაკლები 1 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებზე.

VII. ვიბრაციის დასაშვები დონეები

ზოგადი ვიბრაცია. საცხოვრებელ სახლებში, დღის საათებში (7-დან 23 საათამდე) სახალხო მოხმარების საგნების, მაგალითად: სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ვიბრაციის დასაშვები დონეები, არ უნდა აღემატებოდეს №2 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №2

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	დასაშვები მნიშვნელობები, დბ	
	ვიბროსიჩქარე	ვიბრო აჩქარება
2	79	25
4	73	25
8	67	25
16	67	31
31,5	67	37
63	67	43
კორექტირებული დონე, დბ	72	30

2. საცხოვრებელ სახლებში დღეღამის განმავლობაში სმს-ს(საყინულეები, მაცივრები) ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ვიბრაციის დასაშვები დონეები, არ უნდა აღემატებოდეს ცხრილში

3. მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №3

ოქტავურ ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	დასაშვები მნიშვნელობები, დბ	
	ვიბროსიჩქარე	ვიბროაჩქარება
2	69	15
4	63	15
8	57	15
16	57	21
31,5	57	27
63	57	33
კორექტირებული დონე, დბ	62	20

3. არასაცხოვრებელ შენობებში სმს-ს (ხის დასამუშავებელი დაზგები, საკვებ-საჭრელები და სხვა) ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ვიბრაციის დასაშვები დონეები არ უნდა აღემატებოდეს ცხრილში

4. მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი 4

ოქტავურ ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	დასაშვები მნიშვნელობები, დბ	
	ვიბროსიჩქარე	ვიბროაჩქარება
2		
4		
8		
16		
31,5		
63		
	100	15
	91	15
	85	15
	84	21
	84	27
	84	33
კორექტირებული დონე, დბ	84	42

4. სმს-ის მიერ წარმოქმნილი ლოკალური ვიბრაციის დასაშვები დონეები არ უნდა აღემატებოდეს 5 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი 5

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	დასაშვები მნიშვნელობები, დბ	
	ვიბროსიჩქარე	ვიბრო აჩქარება
8	105	63
16	99	63
31,5	99	69
63	99	75

125	99	81
250	99	87
500	99	93
1000	99	99
კორექტირებული დონე, დბ	102	66

VIII. ულტრაბგერის დასაშვები დონეები

1. სახალხო მოხმარების საგნების მიერ წარმოქმნილი ულტრაბგერის დასაშვები დონეები არ უნდა აღემატებოდეს №6 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №6

მესამედოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, კჰც	12,5	16,0	20,0	25,0	31,5-100,0
ბგერითი წნევის დონე, დბ	70	80	90	95	100

IX. ინფრაბგერის დასაშვები დონეები

1. სახალხო მოხმარების საგნების მიერ წარმოქმნილი ინფრაბგერის დასაშვები დონეები არ უნდა აღემატებოდეს №7 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №7

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, ჰც	2	4	8	16
ბგერითი წნევის დონე, დბ	75	70	65	60

2. ბგერითი წნევის საერთო დონე არ უნდა აღემატებოდეს 75 დბ. “ლინ” რეჟიმში.

X. ელექტრომაგნიტური ველების დასაშვები დონეები

1. სმს-ის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველების დაძაბულობის (ენერგიის ნაკადის სიმკვრივე) დონეები არ უნდა აღემატებოდეს №8 ცხრილში მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №8

სიხშირეების დიაპაზონი	0.3-300 კჰც	0.3-3 მჰც	3-30 მჰც	30-300 მჰც	0.3-30 ჰც
	ელექტრული ველის დაძაბულობა				ენერგიის ნაკადის სიმკვრივე
დასაშვები დონეები	25 ვ/მ	15 ვ/მ	10 ვ/მ	3 ვ/მ	10მკვტსმ ²

2. ფიჭური რადიოკავშირის სისტემის მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველების ენერგიის ნაკადის სიმკვრივის დასაშვები დონეები, არ უნდა აღემატებოდეს ცხრილში №9 მოცემულ მნიშვნელობებს.

ცხრილი №9

სიხშირის დიაპაზონი	400-1200 მჰც	
დასხივების კატეგორია	საბაზო სადგურების ანტენების მმიმდებარე დასახლებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასხივება	რადიოტელეფონით მოსარგებლე პირთა დასხივება
დასაშვები დონეები	10მკვტსმ ²	100 მკვტსმ ²

XI. სამრეწველო სიხშირის დენის ელექტრული ველის დაძაბულობის დასაშვები დონეები

1. სმს-ის მიერ წარმოქმნილი სამრეწველო სიხშირის (50ჰც) დენის ელექტრული ველის დაძაბულობის დასაშვები დონე არ უნდა აღემატებოდეს 0,5 კვ/მ-ს.

XII. ელექტროსტატიკური ველის დაძაბულობის დასაშვები დონეები

1. სმს-ის ზედაპირზე წარმოქმნილი ელექტროსტატიკური ველის (საყოფაცხოვრებო ელექტრული ხელსაწყოები, რადიოელექტრონული აპარატურა, ტელევიზორები, სათამაშოები, ტანსაცმელი, ზოგიერთი სამშენებლო მასალა) დამაბულობის დასაშვები დონე, არ უნდა აღემატებოდეს 15 ვკ/მ.

XIII. ინფრაწითელი (სითბური) და ხილული დიაპაზონის გამოსხივების დასაშვები დონეები

სმს-ის ინფრაწითელი გამოსხივების ინტეგრალური ნაკადის ინტენსიურობის დასაშვები დონე არ უდა აღემატებოდეს 100 ვტ/მ²-ს.

ტელევიზორების, ვიდეომონიტორების, გამზომი და სხვა ხელსაწყოების ოსცილოგრაფების, ინფორმაციის გამოსახვის ვიზუალური კონტროლის საშუალებების ეკრანების გამოსხივების ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1 ვტ/მ² -ს, ხილულ დიაპაზონში (400-760ნმ), 0,05 ვტ/მ² -ს ახლო ინფრაწითელ დიაპაზონში (760-1050ნმ), 4 ვტ/მ² -ს შორ ინფრაწითელ დიაპაზონში (1050ნმ და მეტი).

XIV. ულტრაისფერი გამოსხივების დასაშვები დონეები

ულტრაისფერი გამოსხივების ინტენსიობა გამოსხივებითი მოქმედების საყოფაცხოვრებო ნაკეთობებისათვის, არ უნდა აღემატებოდეს 1,9 ვტ/მ² -ს 280-315ნმ დიაპაზონში და 10 ვტ/მ² 315-400 ნმ დიაპაზონში. გამოსხივება 200-280 ნმ დიაპაზონში არ დაიშვება.

ტელევიზორების, ვიდეომონიტორების, გამზომი და სხვა ხელსაწყოების ოსცილოგრაფების, ინფორმაციის გამოსახვის ვიზუალური კონტროლის საშუალებების ეკრანებიდან გამოსხივების ინტენსიობა არ უნდა აღემატებოდეს 0,0001 ვტ/მ² -ს 280-315ნმ დიაპაზონში და 0,1 ვტ/მ² -ს 315-400ნმ დიაპაზონში. გამოსხივება 200-280ნმ დიაპაზონში არ დაიშვება.

ლუმინესცენტული ნათურებიდან ულტრაისფერი გამოსხივების ინტენსიობა 280-400ნმ დიაპაზონში არ უნდა აღემატებოდეს 0,03 ვტ/მ²-ს. გამოსხივება 200-280 ნმ დიაპაზონში არ დაიშვება.

ულტრაისფერი სხივების მაგენერირებული ნაკეთობების, ულტრაისფერი გამოსხივების დასაშვები ინტენსიურობა არ უნდა აღემატებოდეს 0,05 ვტ/მ² -ს 280-315 ნმ დიაპაზონში და 1 ვტ/მ² -ს 315-400ნმ. დიაპაზონში გამოსხივება 200-280ნმ დიაპაზონში არ დაიშვება.

XV. ლაზერული გამოსხივების დასაშვები დონეები

1. ლაზერული გამოსხივების მნორმირებელ პარამეტრებს წარმოადგენს:

ა) ენერგეტიკული ექსპოზიცია H;

ბ) დასხივება E;

გ) ლაზერული გამოსხივების ენერგია Φ P და ლაზერული გამოსხივების სიმძლავრე P.

2. ლაზერული გამოსხივების დასაშვები დონეები (ზდდ) დგინდება ტალღის სიგრძის სამ დიაპაზონში:

ა) პირველი—180ნმ-დან 380ნმ-მდე;

ბ) მეორე—380ნმ-ზე მეტიდან 1400ნმ-მდე;

გ) მესამე—1400ნმ-ზე მეტიდან $1 \cdot 10^{-5}$ ნმ-მდე.

3. მნორმირებელი პარამეტრების ზდდ-ის მნიშვნელობები გამოითვლება ლაზერების მოწყობისა და ექსპლუატაციის, სანიტარიული ნორმებისა და წესების №5804-91 შესაბამისად.

XVI. რენტგენის გამოსხივების დასაშვები დონეები

1. სმს-ს (ტელევიზორი, ვიდეომონიტორი და სხვა) ზედაპირიდან 10სმ-ის დაშორებით სივრცის ნებისმიერ წერტილში რენტგენის გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრე, არ უნდა აღემატებოდეს 0,003 მკრ/წმ-ს.

დანართი 1

(საცნობარო)

XVII. სმს-ის ჯგუფების სამაგალითო ნუსხა, რომლებიც წარმოსდგენენ ფიზიკური ფაქტორების წყაროს

სახალხო მოხმარების საგნების ჯგუფების დასახელება	ფიზიკური ფაქტორების რეკომენდირებული პარამეტრები											
	ხმაური	ვიბრაცია		ულტრაბგერა	ინფრაბგერა	ელექტრომაგნიტური	სამრეწველო სისტემების ელექტროენერჯი	სტატიკური ელექტრობა	იწმითური და ხილული გამოსხივების დიაპაზონი	ულტრაიისფერი გამოსხივება	ლაზერული გამოსხივება	რენტგენის გამოსხივება
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1. საყოფაცხოვრებო ელექტროული ხელსაწყოები												
საყოფაცხოვრებო მაცივრები	+	+			+		+					
საყოფაცხოვრებო საყინულეები	+	+			+		+					
საჭმლის მომზადებისათვის საჭირო სპეციალური ელექტროხელსაწყოები	+					+	+		+			
სითხის გამაცხელებელი ელექტროხელსაწყოები	+					+	+		+			
გამათბობელი ელექტროხელსაწყოები	+	+					+		+			
დაბალი სითბოს გამომსხივებელი ელექტროხელსაწყოები							+	+	+			
სანიტარიულ-ჰიგიენური ელექტრომათბობი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები	+	+					+	+	+			
უთოები	+	+					+	+	+			
სამეურნეო მანქანები	+	+					+					
სარეცხი მანქანები	+	+					+	+				
სამზარეულო სამუშაოების მექანიზებული ხელსაწყოები და მანქანები	+	+	+				+	+				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სანიტარიულ-ჰიგიენური ელექტროხელსაწყოები	+			+			+	+				
მიკროკლიმატის ელექტროხელსაწყოები	+	+					+	+				
საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები	+	+	+				+	+				
საქსოვი აპარატები და მანქანები	+	+	+				+	+	+			
2. მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის	+	+	+				+					
3. ელექტული ინსტრუმენტები												
ელექტროციფრული ინსტრუმენტი (ხელის და გადასატანი ელექტროული მანქანები)	+	+	+				+	+				
საყოფაცხოვრებო ხის გადამამუშავებელი დაზეები	+	+	+				+	+				
4. საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონული აპარატურა												
საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონული აპარატურა	+				+	+	+	+				
ელექტრომუსიკალური აპარატურა	+						+	+				
დასარტყამზომანი და დამზომარე ელექტრონული მოწყობილობები	+				+	+	+					
5. კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებები												
რადიოტელეფონური, რადიოტელეგრაფული კავშირის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის გადამცემი აპარატურა	+	+	+		+	+	+	+	+		-	

საერთო გამოყენების მავთულბანი კავშირის აპარატურა	+	+	+		+	+	+	+	+		-	
6. ელექტრული სიდიდეების გაზომვისა და კონტროლის აპარატურა												
ფარიანი ანალოგიური ელექტროზომი ხელსაწყოები								+				
რადიოსაზომი ხელსაწყოები					+	+	+	+				+
7. განათების ტექნიკური ნაკეთობები												
განათების ტექნიკური მოწყობილობა	+							+		+	-	-
8. კტრო-ფოტო ტექნიკა და მისი კუთვნილებანი												
სტატკური პრეციის აპარატურა	+							+	+			
კინოსაპროექციო აპარატურა	+	+	+					+	+			
ელექტრონული ტექნიკის სხვადასხვა ნაკეთობა	+	+	+		+	+	+	+				-
9. გამომთვლელი ტექნიკა და მმართველობითი შრომის მექანიზაციის საშუალებები												
ელექტრონულ-ციფრული გამომთვლელი მანქანები	+				+	+	+	+	+	+		+
ტექსტობრივი დოკუმენტაციის შესადგენი საშუალებები	+	+	+					+	+			
10. სპეციალიზებული დანიშნულების ავტომატიზაციის საშუალებები												
ხანძრის მაწველები	+											
დაცვისა და ხანძარდაცვის მაწველები	+											
მიმღებ-საკონტროლო, ხანძარმაწველობის, ხანძარდაცვის სისტემების მართვის ხელსაწყოები	+				+							
ხანძრის, შეღწევის შეტყობინების და გადაცემის სისტემები	+				+	+	+	+	+	+		+
11. ნაკეთობები, ქსოვილები, რომლებიც დამზადებულია პოლიმერული და სინთეტიკური მასალებისგან									+			

2 .2. 4. საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები

2. 1. 8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები

ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე

Noise at workplaces, in houses and public buildings and at the places of nonsing buildings

სანიტარიული ნორმები

ს ნ 2. 2. 4/2. 1. 8. 000 – 00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, “გარემოს დაცვის შესახებ” და ადგენენ ხმაურის კლასიფიკაციას, ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებსა და ზღვრულად დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე.

2. სანიტარიული ნორმები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების სათავსებზე (რადიო, ტელე, კინო-სტუდიები, თეატრების და კინოთეატრების დარბაზები, საკონცერტო და სპორტული დარბაზები).

II. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სანიტარიული ნორმები ადგენენ ხმაურთა კლასიფიკაციას ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებს და ზღვრულად დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე; ხმაურის დასაშვებ დონეებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე.

2. სანიტარიული ნორმები სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციისა და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმებისა, დაქვემდებარებისა და ფიზიკური პირებისათვის, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა.

3. სანიტარიული ნორმების მოთხოვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ყველა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში, რომელნიც ახდენენ საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების, ტექნოლოგიური, საინჟინრო, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობების და მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა საგემო, კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, სერტიფიკაციულ და საექსპლოატაციო მოთხოვნების რეგლამენტირებას.

4. სანიტარიული ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და თანამდებობის პირებს, ასევე მოქალაქეებს დადგენილი წესით.

5. სანიტარიული ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრო-მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო-ს მოქმედი სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით.

6. ხმაურის დონეების გაზომვა და ჰიგიენური შეფასება, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა გატარდეს სახელმძღვანელოს 2.2.4/2.1.8- “საწარმოო და გარემომცველი გარემოს ფიზიკური ფაქტორების ჰიგიენური შეფასების”-შესაბამისად.

7. წინამდებარე სანიტარიული ნორმების დამტკიცების შემდეგ ძალადაკარგულად ითვლება “ხმაურის დონეების დასაშვები სანიტარიული ნორმები სამუშაო ადგილებზე”- №3283-85; “ხმაურის დასაშვები სანიტარიული ნორმები საცხოვრებელ და საზოგადოებრივი შენობის სათავსებში და საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიაზე”- №3077-84; “ჰიგიენური რეკომენდაციები ხმაურის დონეთა დასადგენად სამუშაო ადგილებზე შრომის დაძაბულობის და სიმძიმის გათვალისწინებით”- №2411-81.

III. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე სანიტარიულ ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

ა) საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”.

ბ) საქართველოს კანონი “გარემოს დაცვის შესახებ”.

გ) საქართველოს კანონი “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ”.

დ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის №44/ო ბრძანება “საქართველოში 1992 წლამდე მოქმედ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმებისა და ჰიგიენური ნორმატივების დროებით ძალაში დატოვების შესახებ”.

ე) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის №807 ბრძანებულება “ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999-2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ”.

ვ) სახელმძღვანელო 1.1.001-99 „ზოგადი საკითხები. ზოგადი მოთხოვნები სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმატიული და მეთოდური დო-კუმენტების წყობაზე, გადმოცემაზე, გაფორმებაზე და შინაარსზე.” დამტკიცებული საქართველოს ჯანმრთე-ლობის დაცვის მინისტრის მიერ 1999 წლის 8 დეკემბრის №490/ო ბრძანებით.

IV. ტერმინები და განსაზღვრებები

1. *ბგერითი წნევა* – ცვლადი შემადგენელი ჰაერის ან გაზის წნევისა, რომელიც ბგერითი რხევების შედეგად წარმოიქმნება;

2. *არამუდმივი ხმაურის ბგერის ექვივალენტური (ენერჯის მიხედვით) დონე LA ექვ, დბ A* – მუდმივი ფართოზოლიანი ხმაურის ბგერის დონე, რომელსაც აქვს იგივე საშუალო კვადრატული ბგერითი წნევა, როგორც არამუდმივ ხმაურს დროის განსაზღვრული ინტერვალის განმავლობაში.

3. *ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონე (ზდდ)* – ფაქტორის დონე, რომელიც ყოველდღიურ სამუშაოზე (დასვენების დღეების გარდა), არაუმეტეს 40 საათისა კვირაში, მთელი სამუშაო სტაჟის განმავლობაში არ უნდა გამოიწვიოს დაავადება ან ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გადახრა, გამოვლენილი კვლევის თანამედ-როვე მეთოდებით მუშაობის პროცესში ან ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლის შორეულ პერიოდში. ხმაურის ზდდ-ის დაცვა არ გამორიცხავს ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევას (მოშლას) მაღალმგრძნობიარე პირებში.

4. ხმაურის დასაშვები დონე – დონე, რომელიც არ იწვევს ადამიანის მნიშვნელოვან მოუსვენრობას (შე-წყუბებას) და ხმაურის მიმართ მგრძობიარე სისტემის ფუნქციური მდგომარეობის არსებით ცვლილებას.

5. ბგერის მაქსიმალური დონე LAI მაქს, დბ A – ბგერის დონე, რომელიც შეესაბამება გამზომი, პირდაპირ მაჩვენებელი ხელსაწყოს (ხმაურმზომის) მაქსიმალურ მაჩვენებელს ვიზუალური ათვლისას ან ბგერის დონის მნიშვნელობა გაზომვის დროს 1%-ით გადამეტებისას, ავტომატური მოწყობილობით რეგისტრაციისას.

V. ადამიანზე მოქმედი ხმაურის კლასიფიკაცია

1. ხმაურს სპექტრის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ:

ა) ფართოხოლიანი ხმაური უწყვეტი სპექტრით, ერთ ოქტავაზე მეტი სიგანით;

ბ) ტონალური ხმაური, რომლის სპექტრში გამოკვეთილი ტონებია. ხმაურის ტონალური ხასიათი პრაქტიკული მიზნებისათვის დგინდება სიხშირეთა 1/3 ოქტავურ ზოლებში გაზომვით, ერთ ზოლში გვერდით მდებარე (მეზობელ) ზოლთან გადამეტებისას არანაკლებ 10 დბ-ით.

2. ხმაურის დროებითი მახასიათებლების მიხედვით გამოყოფენ:

ა) მუდმივი ხმაური, რომლის ბგერის დონე 8 საათიან სამუშაო დღეს ან საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურმზომის დროით მახასიათებელზე “ნელა” გაზომვებისას იცვლება დროში არანაკლებ 5დბ-ით;

ბ) არამუდმივი ხმაური, რომლის დონე 8 საათიან სამუშაო დღეს, სამუშაო ცვლაში ან საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურმზომის დროებით მახასიათებელზე “ნელა” გაზომვებისას იცვლება დროში 5დბ -ზე მეტი სიდიდით.

3. არამუდმივი ხმაური იყოფა:

ა) დროში მერხვეი ხმაური, რომლის ბგერის დონე უწყვეტად იცვლება დროში;

ბ) წყვეტილი ხმაური, რომლის ბგერის დონე საფეხურებრივად იცვლება (5დბ და მეტით). ამასთან ერთად ინტერვალების ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში ხმაურის დონე მუდმივია, შეადგენს 1 წამს და მეტს.

გ) იმპულსური ხმაური, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ბგერითი სიგნალებისაგან, თითოეული ხანგრძლივობით 1წმ-ზე ნაკლები, ამასთან ერთად ბგერის დონეები, დბ I და დბ -ში გაზომილი, შესაბამისად დროით მახასიათებლებზე “იმპულსი” და “ნელა” განსხვავდებიან არანაკლებ 7დბ-ით.

VI. სამუშაო ადგილებზე ხმაურის მანორმირებელი პარამეტრები და ზღვრულად დასაშვები დონეები

1. სამუშაო ადგილებზე მუდმივი ხმაურის მახასიათებელს წარმოადგენს ბგერითი წნევის დონეები დბ-ში, ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით 31,5; 63; 125; 250; 500; 1000; 2000; 4000; 8000 ჰერცი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$L = 20 \lg p/p_0, \text{ სადაც}$$

p- ბგერითი წნევის საშუალოკვადრატული მნიშვნელობა, პა;

p₀- ბგერითი წნევის საწყისი მნიშვნელობა ჰაერში, რომელიც 2. 10⁻³ პა-ის ტოლია.

2. სამუშაო ადგილებზე მუდმივი ფართოხოლიანი ხმაურის მახასიათებლის სახით დასაშვებია მიღებულ იქნას ბგერითი წნევა დბ.A-ში, გაზომილი ხმაურმზომის მახასიათებელზე “ნელა”, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$L_A = 20 \lg p_A/p_0, \text{ სადაც}$$

p_A- ბგერითი წნევის საშუალო კვადრატული სიდიდე ხმაურმზომის “ A” კორექციის გათვალისწინებით, პა.

3. სამუშაო ადგილებზე არამუდმივი ხმაურის მახასიათებელს წარმოადგენს ბგერის ექვივალენტური (ენერჯის მიხედვით) დონე – A დბ-ში.

4. სამუშაო ადგილებზე ბგერის ზღვრულად დასაშვები და ბგერის ექვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობის დაძაბულობის და სიმძიმის გათვალისწინებით წარმოდგენილია ცხრილში 1.

5. შრომითი პროცესის სიმძიმის და დამაბულობის რაოდენობითი შეფასება უნდა ჩატარდეს სახელ-მძღვანელოს 2.2.013-94- “შრომის პირობების შეფასების ჰიგიენური კრიტერიუმები საწარმოო გარემოს ფაქტორების მავნეობისა და სამიშროების, შრომითი პროცესის სიმძიმისა და დამაბულობის მაჩვენებლების მიხედ-ვით”- შესაბამისად.

ცხრილი 1

ბგერის ზღვრულად დასაშვები და ბგერის ექვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობის სიმძიმის და დამაბულობის სხვადასხვა კატეგორიებისათვის, დბ A					
შრომითი პროცესის დამაბულობის კატეგორია	შრომითი პროცესის სიმძიმის კატეგორია				
	მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა	საშუალო ფიზიკური დატვირთვა	მძიმე შრომა I ხარისხის	მძიმე შრომა II ხარისხის	მძიმე შრომა III ხარისხის
მსუბუქი ხარისხის დამაბულობა	80	80	75	75	75
საშუალო ხარისხის დამაბულობა	70	70	65	65	65
დამაბული შრომა I ხარისხის	60	60			
დამაბული შრომა II ხარისხის	50	50			

6. შენიშვნები:

ა) ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის ზდდ 5დბ A-iT ნაკლებია ცხრილ 1-ში მითითებულ მნიშვნელობებზე;

ბ) ჰაერის კონდენციონირების, ვენტილაციის და საჰაერო გათბობის დანადგარების მიერ წარმოქმნილი ხმაურისათვის, სათავსებში 5დბ A-ით ნაკლებია ხმა-ურის ფაქტობრივ დონეებზე (გაზომილი ან გამოთვლილი), თუ უკანასკნელნი არ აღემატებიან ცხრილ 1-ში მოცემულ მნიშვნელობებს (ამასთან ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის შესწორება არ არის გათვალისწინებული), წინააღმდეგ შემთხვევაში 5დბ A-ით ნაკლები მნიშვნელობები, მითითებული ცხრილ №1-ში.

გ) დამატებით დროში მერხევი და წყვეტილი ხმაურისათვის ბგერის მაქსიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს 110 დბ A-ს, იმპულსური ხმაურისათვის 125დბ AI-ს

7. ბგერითი წნევის ზღვრულად დასაშვები დონეები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, ბგერის დონეები და ბგერის ექვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობისა და სამუშაო ადგილების ძირითადი, უფრო მეტად ტიპიური სახეებისათვის, შემუშავებული შრო-მის სიმძიმისა და დამაბულობის კატეგორიების გათვა-ლისწინებით, წარმოდგენილია ცხრილ №2-ში.

VII. ხმაურის მანორმირებელი პარამეტრები და დასაშვები დონეები საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე

1. მუდმივი ხმაურის მნორმირებელ პარამეტრებს წარმოადგენს ბგერითი წნევის დონეები L, დბ, ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით: 31,5; 63; 125; 250; 500; 1000; 2000; 4000; 8000 ჰც. საორიენტაციო შეფასებისათვის დასაშვებია ბგე-რის დონეების LA, დბA გამოყენება.

2. არამუდმივი ხმაურის ნორმირებულ პარამეტრებს წარმოადგენს ბგერის ექვივალენტური დონეები (ენერგიის მიხედვით) ექვ, დბ და ბგერის მაქსიმალური დონეები მაქს. დბ . არამუდმივი ხმაურის შეფასება დასაშვებ დონეებთან შესაბამისობაზე უნდა ჩატარდეს ერთდროულად ბგერის ექვივალენტური და მაქსიმა-ლური დონეების მიხედვით. ერთ-ერთი მაჩვენებლის გადამეტება განხილულ უნდა იქნეს, როგორც შეუსაბამისობა წინამდებარე სანიტარიულ ნორმებთან.

3. შემღწევი ხმაურის ბგერითი წნევის დასაშვები მნიშვნელობები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, ბგერის ექვივალენტური და მაქსიმალური დონეები საცხოვ-რებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და ხმაურისა საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტო-რიაზე აღებულ უნდა იქნეს ცხრილი №3-ის მიხედვით.

ცხრილი №2

1. ბგერითი წნევის ზღვრულად დასაშვები დონეები, ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები შრომითი საქმიანობისა და სამუშაო ადგილების ძირითადი უფრო მეტად ტიპური სახეებისათვის

	შრომითი საქმიანობის სახე, სამუშაო ადგილი	ბგერითი წნევის დონეები, დბ, ოქტავურ ზოლებში საშუალო გეომეტრიული სიხშირეებით. ჰვ										ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები (დბ)
		31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1	შემოქმედებითი საქმიანობა, სახელმძღვანელო სამუშაო გაზრდილი მოთხოვნებით, სამეცნიერო საქმიანობა, კონსტრუირება და დაპროექტება, პროგრამირება სწავლება და სწავლა, საექიმო საქმიანობა. სამუშაო ადგილები დირექციის, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს, გამომთვლელების, გამომთვლელი მანქანების პროგრამისტების სათავეებში, თეორიული სამუშაოების და მონაცემების დამუშავების ლაბორატორიებში, ავადმყოფთა მიღება ჯანაუწყებებში.	86	71	61	54	49	45	42	40	38	50	
2	მაღალკვალიფიციური სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დამახვას, ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობა, გაზომვითი და ანალიზური სამუშაოები ლაბორატორიებში; სამუშაო ადგილები საამქროს მმართველობითი აპარატის სათავეებში, კანტორის სათავეებში, კანტორის სათავეთა სამუშაო ოთახებში, ლაბორატორიებში	93	79	70	68	58	55	52	52	49	60	
3	სამუშაო, დაკავშირებული ხშირად მიღებად მითითებებთან და აკუსტიკურ სიგნალებთან: სამუშაო, რომელიც მოითხოვს მუდმივ სმენით კონტროლს; ოპერატორის სამუშაო ზუსტი გრაფიკით-ინსტრუქციის მიხედვით; სადისპეჩერო სამუშაო. სამუშაო ადგილები სადისპეჩერო სამსახურის სათავეებში, კაბინეტებში და სათავეებში, საიდანაგ წარმოებს დაკვირვება და დისტანციური მართვა ტელეფონით, სამეტყველო კავშირის საშუალებით: მანქანაზე მბეჭდავთა ბიუროში, ზუსტი აწყობის უბნებზე, ოსტატთა სათავეებში, გამომთვლელ მანქანებზე ინფორმაციის დამუშავების დარბაზებში	96	83	74	68	63	60	57	55	54	65	
4	სამუშაო, რომელიც მოითხოვს ყურადღების დამახვას, სამუშაო გაზრდილი მოთხოვნებით, დაკავშირებული საწარმოო ციკლების დაკვირვების პროცესებთან და დისტანციურ მართვასთან, სამუშაო ადგილები პულტებთან კაბინეტებში, საიდანაგ წარმოებს დაკვირვება და დისტანციური მართვა ტელეფონით სამეტყველო კავშირის გარეშე, ლაბორატორიების სათავეებში გამომთვლელი მანქანების ხმაურიანი აგრეგატების განლაგებისათვის განკუთვნილი	103	91	83	77	73	70	68	66	64	75	

5	ყველა სახის სამუშაოების შესრულება (გარდა 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილისა და მათი ანალოგიურისა) საწარმოო სათავსების და დაწესებულებების ტერიტორიის მუდმივ სამუშაო ადგილებში	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
სარკინოვო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა											
6.	სამუშაო ადგილები თბომავლების, მეტროპოლიტენის მატარებლების, დიზელმატარებლების და ავტომობილების მემანქანეთა კაბინებში	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
7	სამუშაო ადგილები ჩქაროსნული და საგარეუბნო ელექტრომატარებლების მემანქანეთა კაბინებში	103	91	83	77	73	70	68	66	64	75
8	სათავსები შორსმავალი მატარებლების ვაგონების პერსონალისათვის, სამსახუროებრივი სათავსები სარეფრეჯერატორი სექციებისათვის, ელექტროსადგურების ვაგონებისათვის, სათავსები საბარგო და საფოსტო განყოფილებების დასვენებისათვის	93	79	70	63	58	55	52	50	4	60
9	სამსახუროებრივი სათავსოები საბარგო და საფოსტო ვაგონების, ვაგონ-რესტორნები სათავსოების	100	87	79	72	68	65	63	61	59	70
	საზღვაო, სამდინარო, თევზსარეწი და სხვა ხომალდები										
10	სამუშაო ზონა ხომალდების ენერგეტიკულ განყოფილებათა სათავსებში მუდმივი ვახტით (სათავსები, სადაც განლაგებულია მთავარი ენერგეტიკული დანადგარი, ქვაბები, პრავები და მექანიზმები, რომლებიც გამოიმუშავენ ენერჯის და უზრუნველყოფენ სხვადასხვა სისტემების და მოწყობილობების მუშაობას)	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
11	სამუშაო ზონები ხომალდების მართვის ცენტრალურ პოსტებზე (კპმ) (ბგეროზოლირე ბული), სათავსებში, რომლებიც გამოიყოფილია ენერგეტიკული განყოფილებიდან, სადაც დადგმულია საკონტროლო ხელსაწყოები, საინდიკაციო საშუალებები, მთავარი ენერგეტიკული დანადგარის და დამხმარე მექანიზმების მართვის ორგანოები	96	83	74	68	63	60	57	55	54	65
12	სამუშაო ზონები ხომალდების სამსახუროებრივ სათავსებში (მესაჭეები,სამტურ მანოები,ბაგერმეისტერის ჯიხურები, რადიოჯიხურები და სხვა)	89	75	66	59	54	50	47	45	44	55
13	საწარმოო-ტექნიკური სათავსები თევზის მრეწველობის ხომალდებზე (სათავსები თევზსარეწი ობიექტების, ზღვის და სხვა პროდუქტების გადასამუშავებლად.	107	95	87	82	78	75	73	71	69	80
	ავტობუსები, სატვირთო, მსუბუქი და სპეციალური ავტომობილები										
14	სამუშაო ადგილები სატვირთო ავტომანქანების მომსახურე პერსონალისათვის	100	87	79	72	68	65	63	61	59	70
15	სამუშაო ადგილები მსუბუქი მანქანების და ავტობუსების მძღოლებისა და მომსახურე პერსონალისათვის (მგზავრებისათვის)	93	79	70	63	58	55	52	50	49	60
	სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები, სამშენებლო-საგზაო, სამელიორაციო და სხვა ანალოგიური სახის მანქანები										
16	სამუშაო ადგილები ტრაქტორების,თვი თმა ვალი შასების, მისაბმელი და	107	95	87	82	78	75	73	71	69	80

	საკიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამშენებლო-საგზაო და სხვა ანალოგიური მანქანების მძღოლებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის											
	სამგზავრო და სატრანსპორტო თვითმფრინავები და შვეულმფრენები											
17	სამუშაო ადგილები თვითმფრინავების და შვეულმფრენების კაბინებში და სალონებში: დასაშვები ოპტიმალური	107 96	95 83	87 74	82 68	78 63	75 60	73 57	71 55	69 54	80 65	

შენიშვნები:

1. დარგობრივ დოკუმენტებში დასაშვებია უფრო მკაცრი ნორმები შრომითი საქმიანობის ცალკეული სახეებისათვის, შრომის დაძაბულობის და სიმძიმის გათვალისწინებით ცხრილი 1-ის შესაბამისად.

2. აკრძალულია მოკლე დროით ყოფნაც კი ზონებში, სადაც ბგერითი წნევის დონე 135 დბ-ზე მაღალია ნებისმიერ ოქტავურ ზოლში.

ცხრილი 3

1. ბგერის წნევის დასაშვები დონეები, ბგერის დონეები, შემღწევი ხმაურის ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და ხმაურის დასაშვები დონეები საცხოვრებელ განაშენიანების ტერიტორიაზე.

	სათავსების ან ტერიტორიების დანიშნულება	დღე-ღამის დრო	ბგერითი წნევის დონეები, დბ, საშუალო-გეომეტრიული სიხშირის ოქტავურ ზოლებში, ჰც								ბგერის დონე LA და ბგერის ეკვივალენტური დონეები LA _{ექვ,დბ A}		ბგერის მაქსიმალური დონეები LA _{მაქს, დბ A}
			31,5	63	125	250	500	1000	2000	4000	8000		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	საავადმყოფოების და სანატორიუმების პალატები. საავადმყოფოების საოპერაციოები	7 სთ-დან 23 სთ-მდე 23სთ-დან 7 სთ-მდე	76 69	59 51	48 39	40 31	34 24	30 20	27 17	25 14	23 13	35 25	50 40
2	პოლიკლინიკების, ამბულატორიების, დისპანსერების საავადმყოფოების ექიმების კაბინეტები		76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
3	საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სამასწავლებლო ოთახები, სკოლების და სხვა სასწავლო დაწესებულებების აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზები		79	63	52	45	39	35	32	30	28	40	55
4	ბინების საცხოვრებელი ოთახები, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების საცხოვრებელი სათავსები. სამინებელი სათავსები ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში და სკოლა ინტერნატებში	7 სთ-დან 23 სთ-მდე 23 სთ-დან 7 სთ-მდე	79 72	63 55	52 44	45 35	39 29	35 25	32 22	30 20	28 18	40 30	55 45
5	სასტუმროების ნომრები და საერთო საცხოვრებლების საცხოვრებელი ოთახები	7 სთ-დან 23 სთ-მდე 23 სთ-დან 7 სთ-მდე	83 76	67 59	57 48	49 40	44 34	40 30	37 27	35 25	33 23	45 35	60 50

6	კაფეების, რესტორნების, სასადილოების დარბაზები		90	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
7	მაღაზიების სავაჭრო დარბაზები, აეროპორტების და სადგურების (ვაგზონების) სამგზავრო დარბაზები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიმღები პუნქტები		93	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
8	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საავადმყოფოების და სანატორიუმების შენობებს	7 სთ-დან 23 სთ-მდე	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
9	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებს, პოლიკლინიკების შენობებს, ამბულატორიების, დისპანსერების, დასასვენებელი სახლების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდე დაწესებულებების, სკოლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების შენობებს	7 სთ-დან 23 სთ-მდე	90	75	66	59	54	50	47	45	44	55	70
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60
10	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება სანატორიუმების და საერთო საცხოვრებლების შენობებს	7 სთ-დან 23 სთ-მდე	93	79	70	63	59	55	53	51	49	60	75
		23 სთ-დან 7 სთ-მდე	86	71	61	54	49	45	42	40	39	50	65
11	დასასვენებელი მოედნები საავადმყოფოების და სანატორიუმების ტერიტორიებზე		76	59	48	40	34	30	27	25	23	35	50
12	დასასვენებელი მოედნები მიკრორაიონების და საცხოვრებელი სახლების ჯგუფების, პანსიონატების, მოხუცთა და ინვალიდების სახლი-ინტერნატების სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების მოედნები		83	67	57	49	44	40	37	35	33	45	60

VIII. შენიშვნა

1. დასაშვები დონეები ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება გარე წყაროების მიერ, დგინდება სათავსების ნორმატიული ვენტილაციის უზრუნველყოფის პირობით (საცხოვრებელი სათავსების, პალატების, საკლასო ოთახებისათვის – ღია სარკმელებით, ვიწრო საგდულიანი (ფრთებიანი) ფანჯრებით).

2. ბგერის ეკვივალენტური და მაქსიმალური დონეები, დბ_A, ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება ტერიტორიაზე საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით, დაშორებული ხმაურდამცავი ტიპის საცხოვრებელი შენობების, სასტუმროების, საერთო საცხოვრებლების შენობების პირველი ეშელონის გამყოფი კონსტრუქციიდან- 2 მეტრით, მიმართული საერთო-სა-ქალაქო და რაიონული მნიშვნელობის მაგისტრალური ქუჩებისა და რკინიგზისაკენ, დაშვებულია მიღებულ იქნას 10 დბ_A-ით მაღალი (შესწორება =+10 დბ_A), ვიდრე ცხრილ №3-ის მე-9 და მე-10 პოზიციებშია მითითებული.

3. ბგერითი წნევის დონეები სიხშირეთა ოქტავურ ზოლებში, დბ, ბგერის დონეები და ბგერის ეკვივალენტური დონეები, დბ_A, ხმაურისათვის, რომელიც წარმოიქმნება სათავსებში და ტერიტორიაზე, მოსაზღვრე შენობებიდან ჰაერის კონდიციონირების, საჰაერო გათბობის, ვენტილაციის სისტემებით და სხვა საინჟინრო-ტექნოლოგიური მოწყობილობებით, მიღებულ უნდა იქნას 5დბ_A-ით ნაკლები (შესწორება =-5დბ_A-ით), ვიდრე მითითებულია ცხრილ #3-ში. (შესწორება ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული).

4. ტონალური და იმპულსური ხმაურისათვის მიღებულ უნდა იქნას შესწორება-5დბ_A.

IX. ბიბლიოგრაფია

1. *Руководство 2.2.4./2.1.8.000-97. «Гигиеническая оценка физических факторов производственной и окружающей среды»*
2. *Руководство 2.2.013-94 «Гигиенические критерии оценки условий труда по показателям вредности и опасности факторов производственной среды, тяжести, напряженности трудового процесса».*
3. *Суворов Г.А. Денисов Э.И., Шкаринов Л.Н. Гигиеническое нормирование производственных шумов и вибрации. -М.: Медицина. 1984-240с.*
4. *Суворов Г.А., Прокопенко Л.В., Якимова Л.Д. Шум и здоровье (Эколого-гигиенические проблемы). -М: Союз, 1996-150с.*
5. *Шум на рабочих местах, в помещениях жилых, общественных зданий и на территории жилой застройки. Санитарные нормы. СН 2.2.4./ 2.1.8.562-96. М., 1997-20с.*

2.2.4. საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები

2.1.8. ბუნებრივი გარემოს ფიზიკური ფაქტორები

საწარმოო ვიბრაცია, ვიბრაცია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში

The sanitary norms of industrial vibration, vibration of residential and public buildings

სანიტარიული ნორმები

სნ 2.2. 4/2. 1.8. 000-00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ შესაბამისად და ადგენს საწარმოო ვიბრაციის კლასიფიკაციას, ნორმირებულ პარამეტრებს, მათ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებსა და აგრეთვე, საზოგადოებრივ შენობებში ვიბრაციის დასაშვებ დონეებს.

II. ნორმატიული დამოწმებები

2. წინამდებარე სანიტარიულ ნორმებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

- ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- ბ) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
- გ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 30 იანვრის №44/ო ბრძანება „საქართველოში 1992 წლამდე მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატივების დროებით ძალაში დატოვების შესახებ“;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის №807 ბრძანებულება „ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999-2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

III. ზოგადი დებულებები

1. სანიტარიული ნორმები აუცილებელია ყველა ორგანიზაციისა და იურიდიული პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განურჩევლად საკუთრების ფორმისა, დაქვემდებარებისა და კუთვნილებისა, აგრეთვე ფიზიკურ პირთათვის მოქალაქეობის მიუხედავად.

2. სანიტარიული ნორმები მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო სტანდარტებში და ყველა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში, რომ-ლებითაც რეგლამენტირდება კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, სასერთიფიკაციო და საექსპლოატაციო მოთხოვნები სამრეწველო ობიექტების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისათვის, ასევე ტექნოლოგიური, საინჟინრო, სანიტარიულ-ტექნოლოგიური მოწყობილობების, მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებისათვის.

3. დადგენილი კანონის თანახმად პასუხისმგებლობა სანიტარიული ნორმების მოთხოვნების შესრულებაზე ევალება ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს და თანამდებობის პირებს, მოქალაქეებს.

4. სანიტარიული ნორმების შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოქმედი სანიტარიული წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.

590	ალკალიდები შმაგას(ატროპინი, სკოპოლამინი, ბელადონინი, ატროპინი და სხვ.)
591	1-(4-ამინო-6,7-დიმეტოქსი-2-ქინაზოლილ)-4-(2-ფუროლი) პიპერაზინის ჰიდროქლორიდი
592	4-ამინო N10-მეთილფტეროილ გლუტამინჟვა
593	ანდროსტ-4-ენ-1,17-დიონი
594	აპილაკი
595	არაოზა
596	2-აცეტილ-1,2,3,4,6,11-ჰექსაჰიდრო-6,11-დიოქსო-7-მეთოქსი-2,3,5,12-ტეტრაჰიდროქსი-4-[0-(2',3',6"-ტრიდეზოქსი-3"-ამინო-ალფა-მექსოჰექსაპირანოზიდ)] ნაფტაცენი
597	1-აცეტილქსი-11-ბ,17-ა-დიჰიდროქსიპრეგნ-4-ენ-3,20-დიონი
598	ბის-(ბეტა-ამინოეთილ) დისულფიდი, დიჰიდროქლორიდი
599	N,N''-ბის-(3-ქლორ-2-ჰიდროქსი-პროპილ)-N',N'-დისპიროტრიპიპერაზინის დიქლორიდი
600	3-[4-ბის-(2-ქლორეთილ) ამინოფენილ]ბუტანმჟვა
601	4-ბუთილამინოზენზომჟვას 2-დიმეთილამინოეთილ ეთერი, ჰიდროქლორიდი
602	16ალფა, 17ბეტა-ზუთილიდენ-ბის(ოქსი)-11,21-დიჰიდროპრეგნენ-1,4-დიენ-3,20-დიონი
603	2-[4(2-დიმეთილამინოეთილ) ფენილ]-1-ეთილ-1,2-დიფენილეთილენის ციტრატი
604	დიოქსიდინ-1,4-დი-N-ჟანგი
605	6ალფა, 9ალფა-დიეტორ-16ალფა, 17ალფა-იზოპროპილიდენდიოქსიპრეგნ-1,4-დიენ-11ბეტა, 21-დიოლ-3, 20-დიონი
606	2-(2,6-დიქლორფენილამინო) იმიდაზოლინის ჰიდროქლორიდი
607	11ბეტა, 21-დიჰიდროქსი-16ალფა, 17ალფა-იზოპროპილენდიოქსი-9ალფა-ფტორ-პრეგნ-1,4-დიენ-3,20-დიონი
608	დი(4-ჰიდროქსიკუმარინოლ-3) მმარმჟვა ეთილის ეთერი
609	L-1-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-2-ამინოეთანოლის ჰიდროქლორიდი
610	(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-2-იზოპროპილამინოეთანოლის ჰიდროქლორიდი
611	L-1-(3,4-დიჰიდროქსიფენილ)-2-მეთილამინოეთანოლის ჰიდროქლორიდი (ან ჰიდროტარტრატი)
612	ბეტა-(3,4-დიჰიდროქსიფენილ) ეთილამინის ჰიდროქლორიდი
613	დიქსორუბინი (14-ჰიდროქსირუბინი)
614	ემეტინი, ჰიდროქლორიდი
615	კარმინომიცინი
616	2ალფა-მეთილ-5ალფა-ანდროსტანოლ-17ბეტა-ონ-3
617	2ალფა-მეთილ-5ალფა-ანდროსტანოლ-17ბეტა-ონ-3-ის ენანტატი
618	2ალფა-მეთილ-5ალფა-ანდროსტანოლ-17ბეტა-ონ-3-ის კარონატი
619	2ალფა-მეთილ-5ალფა-ანდროსტანოლ-17ბეტა-ონ-3-ის პროპიონატი
620	მტვერი ნარკოტიკული ანალგეტიკების
621	ოლიგომიცინი
622	პრეგნენ-4-ინ-20-ოლ-17ბეტა-ონ-3
623	პრეგნენ-4-ოლ-21-დიონ-3,20 აცეტატი
624	11ბეტა, 17ალფა-21-ტრიჰიდროქსიპრეგნ-1,4-დიენ-3,20-დიონი
625	3(1-ფენილ-2-აცეტილეთილ)-4-ჰიდროქსიკუმარინი
626	ფსორალენი (იზომერული ფუროკუმარინების ფსორალენისა და იზოფსორალენის ნარევი)
627	7-ქლორ-2,3-დიჰიდრო-1-მეთილ-5-ფენილ-1H-1,4-ბენზოდიავჰეპინონი
628	4-ჰიდროქსიკუმარინი

დამატება

N	ნივთიერების დასახელება	N CAS-ის მიხედვით	ფორმულა	ზდკ-ს სიდიდე (მგ/მ3)		მალიმიტირებელი მაჩვენებელი	საშიშროების კლასი
				მაქსიმალურ-ერთჯერადი	საშუალო-სადღე-დამისო		
629	ბენზამიდი	55-21-0	C7H7NO	0.075	0.03	რეზ.	3
630	დიკალიუმის სულფატი (კალიუმის სულფატი; კალიუმფოგირ დმჟვა)	7778-80-5	K2SO4	0.3	0.1	რეზ.	3
631	მდიმეთილბენზოლი (მ-ქსილოლი)	108-38-3	C8H10	0.25	0.04	რეფლ.-რეზ.	3

632	5-[3,4-დიმე-თოქსიფენ-თილ(მეთილამინო-2)3, 4-დიმე-თოქსიფენილ]-2 იზოპროპილვალერონიტრილის პიდროქლორიდი (ვერაპამილი; იზოპტინი; ფინოპტინი)	152-11-4	C27H39ClN2O4	0.02	0.007	რეზ.	3
633	3,7-დიჰიდრო-3,7-დიმეთილ-1H-პურინ-2,6-დიონი (თეობრომინი)	83-67-0	C7H8N4O2	0.07	0.04	რეზ.	3
634	1-ვინილპიროლიდ-2-ონი (N-ვინილპიროლიდონი)	88-12-0	C6H9NO	0.03	0.01	რეგლ.-რეზ.	3
635	ნატრიუმის პერკარბონატი	3313-92-6	Na2CO3X1,5H2O2	0.07	0.03	რეზ.	3
636	პენტაფტორეთანი (ქლაფონ-125)	354-33-6	C2HF5	100	20	რეზ.	4
637	ალფა-პიროლიდონი		C4H7ON	0.08	0.04	რეგლ.-რეზ.	3
638	1,2,3-პროპანტ-რიოლტრი-ნიტრიტი (ნიტროლიცი რინი)	55-63-0	C3H5N3O9	0.004	0.001	რეზ.	1
639	სინთეზური სარეცხი საშუალება „არიე-ლი“, „მითი უნივერსალი“, „ტაიდი“			0.15	0.05	რეზ.	3
640	სინთეზური სარეცხი საშუალება „დიქსა-ნი“			0.06	0.04	რეზ.	3
641	ტეტრაეთილტყვია	78-00-2	C8H20Pb	0.0001	0.00004	რეზ.	1
642	2-ქლორ-4-ნიტროფენოლი (ნიქლოფენი)		C6H4NO3Cl	0.02	-	რეგლ.	2
643	ეიდროქსიპროპილეთერი მტეტიკლოდექსტრინის (კროფდექსი)		(C19H26O2)7	0.1	0.03	რეზ.	4
644	ჰიპრინი (სპეციფიკური ცილის მიხედვით)			0.0007	0.0002	რეზ.	2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №350/6 – სსმ III, №138, 26.10.2010წ., მუხ.2000

დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება

მეთოდური მითითებები მმ 2.1.7.003-02

თავი I

გამოყენების სფერო

მუხლი 1.

1. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ნორმატიულ-მეთოდურ საფუძველს დასახლებული ადგილების ნიადაგების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საკურორტო ზონების ტერიტორიებისა და ცალკეული დაწესებულებების სანიტარიულ მდგომარეობაზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელებისათვის.

2. დოკუმენტი განკუთვნილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურისა და ადმსრულებელი ხელისუფლების სპეციალური სამსახურის დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საუწყებო სანიტარიულ ზედამხედველობას.

თავი II

შესავალი

მუხლი 2.

1. ნიადაგის დაბინძურების საშიშროება განისაზღვრება მისი შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების დონით გარემოზე (წყალი, ჰაერი), კვების პროდუქტებზე და პირდაპირ ან არაპირდაპირ ადამიანზე, აგრეთვე ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობასა და თვითგაწმენდის პროცესებზე.

2. ნიადაგის გამოკვლევის შედეგებს ითვალისწინებენ დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებისა და ჯანმრთელობისათვის მათი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისა და პროგნოზირების, მათი რეკულტივაციის ღონისძიებების შემუშავების ინფექციური და არაინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის, რაიონული დაგეგმარების სქემების, წყალშემკრები ტერიტორიების დაცვისა და რეაბილიტაციის ტექნიკური გადაწყვეტის ბუნების დაცვის კომპლექსური პროგრამების ჩარჩოებში ღონისძიებების თანმიმდევრობით გადაწყვეტის, სარეაბილიტაციო და სანიტარიულ-ეკოლოგიური ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებისა და ობიექტებზე მიმდინარე სანიტარიული კონტროლის შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოქმედებენ პუნქტების გარემოცველ პირობებზე.

3. ერთიანი მეთოდური მიდგომის გამოყენება ხელს შეუწყობს შეჯერებული მონაცემების მიღებას ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასებისას. დასახლებული პუნქტების ნიადაგის დაბინძურების საშიშროების შეფასება განისაზღვრება:

ა) ეპიდემიური მნიშვნელობით;

ბ) მისი როლით, როგორც ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენის მეორეული დაბინძურების წყარო და როგორც უშუალო კონტაქტისა ადამიანთან.

დასახლებული ადგილების ნიადაგის სანიტარიული დახასიათება დაფუძნებულია ლაბორატორიულ სანიტარიულ-ქიმიურ, სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიურ, სანიტარიულ-პელმინტოლოგიურ, სანიტარიულ-ენტომოლოგიურ მაჩვენებლებზე.

თავი III

ტერმინები და განსაზღვრებები (1)

მუხლი 3.

1. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობა – ნიადაგის ფიზიო-ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მისი უსაფრთხოების ხასიათსა და ხარისხს ეპიდემიური და ჰიგიენური მიმართულებით.

2. ნიადაგის ქიმიური დაბინძურება – ნიადაგის ქიმიური შედგენილობის ცვლილება, გამოწვეული მიწათსარგებლობის ფაქტორების (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური) პირდაპირი და არაპირდაპირი მოქმედებით, რაც განაპირობებს მისი ხარისხის დაქვეითებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის შესაძლო საშიშროების შექმნას.

3. ნიადაგის ბიოლოგიური დაბინძურება – ორგანული დაბინძურების შემადგენელი ნაწილი, განპირობებული ინფექციური და ინვაზიური დაავადებების გამომწვევთა მიერ, ადამიანებზე, ცხოველებსა და მცენარეებზე დაავადების გამომწვევთა გადამტანი მავნე მწერებითა და ტკიპებით.

4. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის მაჩვენებლები – ნიადაგის სანიტარიულ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური, პელმინტოლოგიური, ენტომოლოგიური მახასიათებლების კომპლექსი.

5. ნიადაგის ბუფერული უნარი – ნიადაგის უნარი უცვლელ დონეზე შეინარჩუნოს ქიმიური მდგომარეობა მასზე ქიმიური ნივთიერებების ნაკადის მოქმედებისას.

6. ფონური შემცველობა (დაბინძურება) – ქიმიური ნივთიერებების შემცველობა იმ ტერიტორიების ნიადაგში, რომელიც არ ექვემდებარება ტექნოგენურ მოქმედებას ან განიცდის მას მინიმალური ხარისხით.

7. ნიადაგის დაბინძურების პრიორიტეტული კომპონენტი – ნივთიერება ან ბიოლოგიური აგენტი, რომელიც პირველ რიგში კონტროლს ექვემდებარება.

8. ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) წარმოადგენს ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების შემცველობის კომპლექსურ მაჩვენებლებს, რომელიც უვნებელია ადამიანისათვის. მისი დასაბუთებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები ასახავენ

დამაბინძურებლის კონტაქტურ გარემოზე, ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობასა და თვითგაწმენდის პროცესებზე მოქმედების შესაძლო გზებს. ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზდკ-ს დასაბუთება ემყარება 4 ძირითად მაჩვენებელს, რომელიც ექსპერიმენტულადაა დადგენილი:

- ა) ტრანსლოკაციური – ნივთიერებათა გადასვლა ნიადაგიდან მცენარეში;
- ბ) წყალმიგრაციული – ნივთიერებათა გადასვლა ნიადაგიდან გრუნტის წყლებსა და წყაროებში;
- ვ) ჰაერმიგრაციული – ნივთიერებათა გადასვლა ნიადაგიდან ატმოსფერულ ჰაერში;
- გ) საერთო-სანიტარიული მაჩვენებელი – დამაბინძურებელი ნივთიერების გავლენა ნიადაგის

თვითგაწმენდის უნარსა და მის ბიოლოგიურ აქტივობაზე. ამასთან, მოქმედების თითოეული გზა ფასდება რაოდენობრივად, ნივთიერებათა დასაშვები დონის დასაბუთებითა და მავნეობის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით. შემცველობის დადგენილი ნორმიდან უმცირესი წარმოადგენს მალიმიტირებულს და მიიღება როგორც ზდკ.

მუხლი 4. აღნიშვნები და შემოკლებები (1)

- 1. ზდკ – დამაბინძურებლის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია.
- 2. სდკ – ნივთიერების საორიენტაციო დასაშვები კონცენტრაცია.

თავი IV

ზოგადი დებულებები

მუხლი 5.

1. ნიადაგის გამოკვლევის პროგრამა განისაზღვრება კვლევის მიზნებითა და ამოცანებით რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიური მდგომარეობის, ტექნოგენური დატვირთვისა და ხარისხის, მიწათსარგებლობის პირობების გათვალისწინებით.

2. ობიექტის შერჩევისას, პირველ რიგში, იკვლევენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მოქმედების მაღალი რისკის ტერიტორიების ნიადაგს (ბავშვთა სკოლამდელი, სასკოლო და სამკურნალო კულტურებით დაკავებული მიწები, რეკრეაციული ზონები და სხვა).

3. სინჯის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა, საანალიზოდ მომზადება და ანალიზი ხორციელდება დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად (3,5,9,10,11), პრინციპული საქმე ნიადაგის სინჯის აღების შესახებ წარმოდგენილია N1 ცხრილში.

დასახლებული პუნქტების ნიადაგის დაბინძურებაზე კონტროლი ტარდება ქალაქის ფუნქციონალური ზონების აღრიცხვით. სინჯის აღების ადგილი წინასწარ აღინიშნება კარტოსქემაზე, რომელიც ასახავს ქალაქის ლანდშაფტის სტრუქტურას. საცდელი ფართობი უნდა მდებარეობდეს შესასწავლი ტერიტორიისათვის ტიპურ ადგილზე. არაერთგვაროვანი რელიეფისას ფართობს არჩევენ რელიეფის ელემენტების მიხედვით. ტერიტორიაზე, რომელიც ექვემდებარება კონტროლს, ატარებენ აღწერას მისამართის, აღების წერტილის, მიკრორაიონის ზოგადი რელიეფის, აღების ადგილის მდებარეობის, დაბინძურების წყაროების, მცენარეული საფარის, მიწათსარგებლობის ხასიათის, გრუნტის წყლების დონის, ნიადაგის ტიპისა და სხვა მონაცემების მითითებით, რაც აუცილებელია სწორი შეფასებისა და ნიმუშის ანალიზის შედეგების გააზრებისათვის.

4. სამრეწველო წყაროებით ნიადაგის დაბინძურებაზე კონტროლისას სინჯის აღებისათვის ფართობს განალაგებენ სანიტარიული დაცვითი ზონის სამჯერადი სიდიდის ფართობზე ქარების გავრცელების ვექტორების გასწვრივ 100, 200, 300, 500, 1000, 2000, 5000მ და უფრო მეტი დაშორებით დაბინძურების წყაროდან (გოსტ 17.4.4.02-84). (5).

5. ნიადაგის სანიტარიულ მდგომარეობაზე კონტროლისათვის ბავშვთა სკოლამდელ, სასკოლო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სათამაშო მოედნებსა და დასვენების ზონებში სინჯის აღებას აწარმოებენ წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საცდელი ფართობის ზომა უნდა იყოს არა უმეტეს 5X5მ. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის კონტროლისას საბავშვო დაწესებულებების ტერიტორიებსა და სათამაშო მოედნებზე სინჯის აღება ცალკე სასილედან და ცალკე საერთო ტერიტორიიდან 0-10სმ სიღრმეზე.

6. თითოეული სასილედან აიღება 5 წერტილისგან შედგენილი საერთო სინჯი, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ყველა სასილედან, 8-10 წერტილოვანი სინჯიდან შედგენილი გაერთიანებული სინჯის აღება.

ნიადაგის სინჯს იღებენ ან სათამაშო ტერიტორიის თითოეული ჯგუფიდან (გაერთიანებული არანაკლებ 5 წერტილიდან) ან გაერთიანებული სინჯის საერთო ტერიტორიის 10 წერტილიდან. ამასთანავე, უნდა გაითვალისწინონ ნიადაგის დაბინძურების უფრო მეტად სავარაუდო ადგილები.

7. დაბინძურების წერტილოვანი წყაროების რაიონში (ნაგვის გროვები, სანაგვეები) ნიადაგის კონტროლისას 5X5მ და მეტი ზომის საცდელი ფართობები ეწყობა დაბინძურების წყაროებიდან სხვადასხვა დაშორებითა და შედარებით სუფთა ადგილას (კონტროლი).

8. სატრანსპორტო მაგისტრალებით ნიადაგის დაბინძურების შესწავლისას საცდელი ფართობები ეწყობა გზისპირა ზოლზე ადგილის რელიეფის, მცენარეული საფარის, მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების გათვალისწინებით. ნიადაგის სინჯს იღებენ 200-500მ სიგრძის ვიწრო ზოლიდან 0-10, 10-50, 50-100მ-ის დაშორებით გზის ვაკისიდან. შერეული სინჯი შედგება 0-10სმ სიღრმეზე აღებული 20-25 წერტილოვანი სინჯისაგან.

9. სოფლის მეურნეობის ტერიტორიების ნიადაგის შეფასებისას სინჯს იღებენ წელიწადში 2-ჯერ (გაზაფხული, შემოდგომა 0,25სმ სიღრმიდან) ყოველ 0-15 ჰა-ზე. რელიეფსა და მიწათსარგებლობის პირობებზე დამოკიდებულებით ეწყობა 100-200მ² ზომის არანაკლებ 1 ფართობი.

10. მრავალრიცხოვანი დამაბინძურებელი წყაროების მქონე დიდი ქალაქების ტერიტორიების გეოქიმიური რუკის შედგენა (კარტირება) წარმოებს აპრობირების ქსელის მიხედვით (12, 14). დაბინძურების კერების გამოსავლენად გეოქიმიკოსების მიერ რეკომენდებული სინჯების აღების სიმჭიდროვე შეადგენს 1-5 სინჯი/კმ², მათი წერტილების ერთმანეთისგან 400-1000მ დაშორებით. მაქსიმალური ხარისხით დაბინძურებული ტერიტორიის შემდგომი გამოყოფისათვის აპრობირების ქსელი მჭიდროვდება 25-30 სინჯი/კმ², წერტილებს შორის 200მ მანძილით. სინჯის აღება რეკომენდებულია 0-5სმ სიღრმიდან. აპრობირების ქსელიზომობა შეიძლება შეიცვალოს კარტირების მასშტაბზე, ტერიტორიის გამოყენების ხასიათზე, მათი დაბინძურების ხარისხის მოთხოვნებზე დამოკიდებულებით (დანართი N1), აგრეთვე საკვლევი ტერიტორიის ცალკეულ უბნებზე დაბინძურების სივრცითი ვარიაბელობით.

11. საცდელ ფართობზე წერტილოვან სინჯებს იღებენ 17.4.4.02-84-ის (5) შესაბამისად კონვერტის მეთოდით, სანიტარიულ-მიკრობიო-ლოგიური და ჰელმინთოლოგიური ანალიზებისათვის სტერილურობის დაცვითა და აქროლადი ნივთიერებებით დაბინძურების განსაზღვრისათვის მილესილსახურავიანი პირამდე ავსებული კონტეინერით. გაერთიანებულ სინჯს ადგენენ 1 ფართობზე არსებული თანაბარი მოცულობის წერტილებიდან (არანაკლებ 5). გაერთიანებული სინჯები უნდა შეიფუთოს სუფთა პოლიეთილენის პაკეტებში, დაიხუროს, გაუკეთდეს ნიშანდება, დარეგისტრირდეს სინჯის აღების ჟურნალში და დაინომროს. თითოეულ სინჯზე უნდა შედგეს თანმხლები ტალონი, რომელთან ერთად სინჯი ჩაიდება მეორე, გარეთა პაკეტში, რაც უზრუნველყოფს მთლიანობასა და უსაფრთხოებას მათი ტრანსპორტირებისას. დრო სინჯის აღებიდან ანალიზის დაწყებამდე არ უნდა აღემატებოდეს ერთ დღე-ღამეს.

სინჯის მომზადება ანალიზისათვის ხდება ანალიზის ხასიათის შესაბამისად (5). ლაბორატორიაში სინჯი თავისუფლდება გარეშე მინარევებისაგან, დაიყვანება ჰაერ-მშრალ მდგომარეობამდე, გულმოდგინედ აირევა და დაიყოფა ნაწილებად ანალიზის ჩატარებისათვის. ცალკე რჩება საკონტროლო ნაწილი, თითოეული საანალიზო სინჯის დაახლოებით 200გ და ინახება მაცივარში 2 კვირის განმავლობაში არბიტრაჟის შემთხვევისათვის.

12. ნიადაგის ქიმიური და ბიოლოგიური დაბინძურების მაჩვენებლების ჩამონათვალი განისაზღვრება გამომდინარე:

ა) კვლევის ამოცანებისა და მიზნებისაგან (2);

ბ) მიწათსარგებლობის ხასიათიდან (7);

გ) დაბინძურების წყაროების სპეციფიკიდან, რაც განსაზღვრავს საკვლევი ტერიტორიის დაბინძურების ხასიათს (შედგენილობა და ხარისხი), (დანართი მე-4) (7);

დ) დაბინძურების კომპონენტის პრიორიტეტისაგან, ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზდკ-სა და სდკ-ს შესაბამისად და მათი საშიშროების კლასის მიხედვით – გოსტი 17.4.1.02-83, „ბუნების დაცვა, ნიადაგი, ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაცია დაბინძურების კონტროლისათვის“ (7);

13. ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაციის განსაზღვრა წარმოებს ზდკ-სა და სდკ-ს დადგენისას გამოყენებული ან მეტროლოგიურად ატესტირებული მეთოდებით (4.6.13.16)

ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასებისთვის ნიადაგის სინჯის აღების მეთოდოლოგიური პრინციპები							
ანალიზის ხასიათი	სინჯის აღების სიხშირე	საცდელი ფართობის განთავსება	საცდელი ფართობის აუცილებელი რაოდენობა	საცდელი ფართობის ზომა	ერთი ფართობიდან გართობი სინჯების რაოდენობა	სინჯის აღების სიღრმე სმ.	გართობი ნეგული სინჯის მასა
სანიტარიული ქიმიური	არანაკლებ ერთჯერ წ.წადში	დაბინძურების წყაროდან სხვადასხვა მანძილზე	არანაკლებ ერთი ყოველ საკონტროლო ადგილზე	25მ ²	ერთი, არანაკლებ ხუთი წერტილიდან, თითოეულიდან 200გ	შრეობრივად 0-5 5-20	1კგ
მათ შორის მძიმე ლითონებზე	არანაკლებ ერთჯერ სამ წელიწადში						
ბაქტერიოლოგიური	არანაკლებ ერთჯერ წელიწადში	ადამიანების, ცხოველების შესაძლო ყოფნა ორგანული ნარჩენებით დაბინძურებულ ადგილებში	100მ ² -ზე ერთი ფართობი	25მ ²	10 სამი წერტილიდან, თითოეულიდან 200-250გ	შრეობრივად 0-5 5-20	600-750გ
ჰელმინთოლოგიური	2-3-ჯერ წელიწადში	ოგვე, რაც ბაქტერიოლოგიისათვის	100მ ² -ზე ერთი ფართობი	25 მ ²	4-10 ათი წერტილიდან, თითოეულიდან 20გ	შრეობრივად 0-5 5-10	200გ
ენტომოლოგიური	არანაკლებ 2-ჯერ წელიწადში	სხვადასხვა ტიპის სანაგვე, ნაგავსაყრელი, მლამიანი მოედნები	ერთი ობიექტის ირგვლივ 10 ფართობი	0,2X2	1 ათი ფართობიდან	10	1კგ
ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის შეფასება (თვითგაწმენდის დინამიკა)	3 თვის განმავლობაში (ვეგეტაციური პერიოდი) I თვეში ყოველ კვირა, შემდეგ თვეში ერთჯერ	არანაკლებ ერთი ექსპერიმენტული და ერთი საკონტროლო ფართობიდან		25 მ ²	ერთი, არანაკლებ ხუთი წერტილიდან, თითოეულიდან 200გ	0-25	1კგ

თავი V

ნიადაგის ქიმიური დაბინძურების ხარისხის შეფასება

მუხლი 6.

1. ქიმიური ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების ჰიგიენური შეფასების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზღვ და სდკ.

2. ქიმიური ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასება ხდება თითოეული ნივთიერების მიხედვით შემდეგი ზოგადი კანონზომიერების გათვალისწინებით:

ა) დაბინძურების საშიშროება მაღალია, თუ ნიადაგის დამაბინძურებელი კომპონენტის ფაქტობრივი შემცველობა ბევრად მეტია ზღვ-ზე, რაც შეიძლება გამოიხატოს კოეფიციენტით $K_0=C/ზღვ$; ე.ი. დაბინძურების საშიშროება მით უფრო მაღალია, რაც მეტად აღემატება K_0 ერთს;

ბ) დაბინძურების საშიშროება მით უფრო მაღალია, რაც მეტია საკონტროლო ნივთიერების საშიშროების კლასი, მისი გამძლეობა, წყალში ხსნადობა, ნიადაგში გადაადგილება და დაბინძურებული ფენის სიღრმე;

გ) დაბინძურების საშიშროება მაღალია, თუ დაქვეითებულია ნიადაგის ბუფერული უნარი, რომელიც დამოკიდებულია მექანიკურ შედგენილობაზე, ორგანული ნივთიერებების შემცველობასა და ნიადაგის მჟავიანობაზე. რაც დაბალია ჰუმუსის შემცველობა, pH და მსუბუქია მექანიკური შედგენილობა, მით საშიშია ქიმიური ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურება.

3. არაორგანული ბუნების ერთი ნივთიერებით ნიადაგის დაბინძურებისას მისი ხარისხის შეფასება ხდება ცხრილში N2 (20)-ს შესაბამისად, დამაბინძურებელი კომპონენტის საშიშროების კლასის, მისი ზღვ-სა და ელემენტის შემცველობის დასაშვები დონის მაქსიმალური მნიშვნელობის ($K_{მაქს.}$) გათვალისწინებით 4 მაჩვენებლიდან ერთ-ერთის მიხედვით.

ცხრილი N2.

არაორგანული ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმი			
შემცველობა ნიადაგში მგ/კგ	ნიადაგის დაბინძურების კატეგორია		
ნივთიერების საშიშროების კლასი	1 კლასი	2 კლასი	3 კლასი
>Kმპქს	მალიან ძლიერი	მალიან ძლიერი	ძლიერი
ზღვ-დან – K _{მაქს} -მდე	მალიან ძლიერი	ძლიერი	საშუალო
2 ფონური მნიშვნელობიდან ზღვ-მდე	სუსტი	სუსტი	სუსტი

4. ორგანული წარმოშობის ერთი ნივთიერებით ნიადაგის დაბინძურებისას საშიშროება განისაზღვრება მისი ზღვ-სა (13) და საშიშროების კლასიდან გამომდინარე (ცხრილი N3).

ცხრილი N3.

ორგანული ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმი			
შემცველობა ნიადაგში მგ/კგ	ნიადაგის დაბინძურების კატეგორია		
ნივთიერების საშიშროების კლასი	1 კლასი	2 კლასი	3 კლასი
>5 ზღვ	მალიან ძლიერი	მალიან ძლიერი	ძლიერი
2 ზღვ-დან – 5 ზღვ-მდე	მალიან ძლიერი	ძლიერი	საშუალო
1 ზღვ-დან – 2 ზღვ-მდე	სუსტი	სუსტი	სუსტი

5. პოლიელემენტებით დაბინძურებისას ნიადაგის დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასება ხორციელდება უფრო მეტად ტოქსიკური ელემენტის ნიადაგში მაქსიმალური შემცველობის მიხედვით.

6. ნიადაგის ქიმიური დაბინძურების ხარისხის შეფასება, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არასასურველი მოქმედების ინდიკატორისა, ხდება მაჩვენებლებით, რომელიც შემუშავებულია მოქმედი დაბინძურების წყაროებით ქალაქების გარემოს ერთობლივი გეოქიმიური და გეოჰიგიენური გამოკვლევებისას. ასეთ მაჩვენებლებს წარმოადგენს:

ა) ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციის კოეფიციენტი (K_c), რომელიც განისაზღვრება ნიადაგში არსებული ნივთიერების ფაქტობრივი შემცველობის შეფარდებით C_i მგ/კგ – ნიადაგის რეგიონის ($C_{ფი}$)

$$K_c = C_i / C_{ფი}$$

ბ) დაბინძურების ჯამური მაჩვენებელი (Z_c), რომელიც ტოლია ქიმიური ელემენტ-დამაბინძურებლების კონცენტრაციათა კოეფიციენტების ჯამისა და გამოისახება ფორმულით:

$$Z_c = \sqrt[n]{(K_{c1} + \dots + K_{cn}) - (n-1)}, \text{ სადაც}$$

n არის განსასაზღვრი შეჯამებული ნივთიერებების რიცხვი;

$K_{c i}$ – i-ური დამაბინძურებელი კომპონენტის კონცენტრაციის კოეფიციენტი.

გეოქიმიური მაჩვენებლების განაწილების ანალიზი, მიღებული რეგულარული ქსელის მიხედვით ნიადაგის აპრობირების შედეგებში, იძლევა დასახლებული ტერიტორიისა და საჰაერო აუზის დაბინძურების სივრცით სტრუქტურას, საშუალებას, გამოიყოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის სარისკო ზონები (7, 12).

7. ნიადაგის დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასება ლითონთა კომპლექსით Z_c მაჩვენებლის მიხედვით, რაც ასახავს ქალაქების საჰაერო აუზის დაბინძურების დიფერენციაციას როგორც ლითონებით, ასევე სხვა, უფრო მეტად გავრცელებული ინგრედიენტებით (მტვერი, ნახშირბადის ოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდიანი ანჰიდრიდი) ხდება შეფასების სკალაზე, რომელიც მოყვანილია N4 ცხრილში.

დასახლებული პუნქტების ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასებისას Z_c - მიხედვით, ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრა ტარდება ემისიური ანალიზის მეთოდით (7, 12, 16, 18, 19), მეთოდური მითითების შესაბამისად.

8. ნიადაგის დაბინძურების არასასურველი შედეგის შეფასება, მისი უშუალო მოქმედებისას ადამიანის ორგანიზმზე, საჭიროა გეოფაგიის შემთხვევისათვის დაბინძურებულ ნიადაგზე მოთამაშე ბავშვებში (7).

თავი VI

ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასება სანიტარიულ-ქიმიური მაჩვენებლებით

მუხლი 7.

1. სანიტარიულ-ქიმიური მაჩვენებლებით ნიადაგის სანიტარიულ მდგომარეობას წარმოადგენს:

ა) სანიტარიული რიცხვი C, რომელიც არაპირდაპირ ახასიათებს ნიადაგის ჰუმინფიკაციის პროცესს და აფასებს ორგანული დაბინძურებისგან ნიადაგის თვითგაწმენდის უნარს.

ბ) სანიტარიული რიცხვი C არის „ნიადაგის ცილოვანი (ჰუმუსური) აზოტის“ „A“ რაოდენობის (მგ-100 გრამ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე) შეფარდება „ორგანული აზოტის „B“ (მგ-100 გრამ აბსოლუტურად მშრალ ნიადაგზე) რაოდენობასთან. ამრიგად, შეფარდების განაყოფი $C = A/B$. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასება ამ მაჩვენებლით წარმოებს N5 ცხრილის შესაბამისად.

ცხრილი №4.

დაბინძურების ჯამური მაჩვენებლით (Zc) (7, 8) ნიადაგის დაბინძურების საშიშროების საორიენტაციო შეფასების სკალა		
ნიადაგის დაბინძურების კატეგორია	Zc სიდიდე	დაბინძურების კერებში მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლის ცვლილება
დასაშვები	< 16	ბავშვთა ავადობის დაბალი დონე და ფუნქციონალური გადახრის შემთხვევის მინიმალური სიხშირე.
ზომიერად საშიში	16-32	საერთო ავადობის ზრდა
საშიში	32-128	საერთო ავადობის, ხშირად მოავადე, ქრონიკული დაავადებებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის დარღვევების მქონე ბავშვთა რიცხვის ზრდა.
მეტისმეტად საშიში	>128	ბავშვთა ავადობის ზრდა, ქალთა რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა (ორსულობის ტოქსიკოზის ზრდა, ნადრევი მშობიარობის, მკვდრადშობადობის რიცხვის ზრდა, პიპოტროფია ახალშობილებში).

2. ნიადაგში აზოტმემცველი ორგანული ნივთიერებების დაშლის პროცესების ქიმიურ მაჩვენებლს წარმოადგენს ამონიუმისა და ნიტრატული აზოტი. ამონიუმის აზოტი, ნიტრატული აზოტი და ქლორიდები ახასიათებს ორგანული ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების ხარისხს. ნიადაგის შეფასება ამ მაჩვენებლებით მიზანშეწონილია განხორციელდეს დინამიკაში ან დაუბინძურებელ ნიადაგთან (კონტროლი) შედარების გზით.

ცხრილი №5.

ნიადაგის სისუფთავის შეფასება „სანიტარიული რიცხვის“ მიხედვით	
ნიადაგის დახასიათება	სანიტარიული რიცხვი
პრაქტიკულად სუფთა	0,98 და მეტი
სუსტად დაბინძურებული	0,85-დან – 0,98-მდე
დაბინძურებული	0,70-დან – 0,85-მდე
ძლიერად დაბინძურებული	0,70-ზე ნაკლები

თავი VII

ნიადაგის ბიოლოგიური დაბინძურების ხარისხის შეფასება

მუხლი 8.

1. სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები.

2. დაბინძურებულ ნიადაგში ნიადაგის მიკრობიოცენოზების (პათოგენური ნაწლავური მიკროფლორის ანტაგონისტები) ჭეშმარიტი წარმომადგენლების შემცირებისა და მათი ბიოლოგიური აქტივობის დაქვეითების ფონზე აღინიშნება პათოგენური ენტერობაქტერიებისა და გეოჰელმინთების მომატება, რომლებიც ნიადაგის ქიმიური დაბინძურებისადმი უფრო მეტად

გამძლეა, ვიდრე ბუნებრივი ნიადაგის მიკრობიოცენოზის წარმომადგენლები. ეს არის დასახლებული პუნქტის ნიადაგის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების აღრიცხვის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი. ქიმიური დატვირთვის გადიდებით შეიძლება გაიზარდოს ნიადაგის ეპიდემიური საშიშროება.

3. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასება ხორციელდება რისკის ობიექტებზე (საბავშვო ბაღები, სათამაშო მოედნები, სანიტარიული დაცვის ზონები და ა.შ.) ნიადაგის ანალიზის შედეგების მიხედვით და სანიტარიული დაცვის ზონებში სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლის მიხედვით:

ა) არაპირდაპირი მაჩვენებლები – ახასიათებენ ნიადაგზე ბიოლოგიური დატვირთვის ინტენსივობას. ესაა სანიტარიულ-მაჩვენებელი ორგანიზმები ნაწლავის ჩხირის ჯგუფიდან (ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები) და ფეკალური სტრეპტოკოკები (ენტეროკოკური ინდექსი). მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით ბიოლოგიური დატვირთვა ნიადაგზე ძალიან დიდია, და შესაბამისად მაღალია სანიტარიულ-მაჩვენებელი ორგანიზმების ინდექსები, რაც სანიტარიულ-ქიმიურ მაჩვენებლებთან (დინამიკა ამიაკის და ნიტრატების, სანიტარიული-რიცხვი) ერთად ადასტურებს ასეთ მაღალ დატვირთვას.

ბ) პირდაპირი ნიადაგის ეპიდემიური საშიშროების სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები ეს არის ნაწლავური ინფექციების (ნაწლავური ინფექციების გამომწვევი, პათოგენური ენტერობაქტერიები, ენტეროვირუსები) გამომწვევთა აღმოჩენა.

4. ანალიზის შედეგები ფასდება N6 ცხრილის შესაბამისად.

5. ნიადაგში ენტერობაქტერიებისა და ენტეროვირუსების პირდაპირი განსაზღვრის შესაძლებლობის არარსებობისას უსაფრთხოების შეფასება შეიძლება განხორციელდეს საორიენტაციოდ ინდიკატორული მიკროორგანიზმების მიხედვით.

6. ნიადაგს აფასებენ, როგორც „სუფთას“ შეუზღუდავად სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლებით პათოგენური ბაქტერიების არარსებობისას და სანიტარიულ-მაჩვენებელი მიკროორგანიზმების ინდექსით 10 უჯრედამდე 1 გრამ ნიადაგზე.

საღმონელებით ნიადაგის დაბინძურების შესაძლებლობას ადასტურებს სანიტარიულ-მაჩვენებელი მიკროორგანიზმების (ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები და ექტეროკოკები) ინდექსი – 10 და მეტი უჯრედი 1 გრამ ნიადაგზე. ნიადაგში 10 ნეგატიური კოლონიები/გ-ს და მეტ დონეზე კოლიფაგის კონცენტრაცია მოწმობს ნიადაგის ენტეროვირუსებით ინფიცირებას.

7. სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები წარმოებს ნორმატიულ-მეთოდური ლიტერატურის შესაბამისად (9).

ცხრილი №6.

დასახლებული ადგილების ნიადაგის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების შეფასების სქემა								
ობიექტები	დაბინძურების კატეგორია	მაჩვენებელი ჭურვები, მატლები/გ						
		ნაწლავის ჩხირები	ენტერო-ბაქტერიები	პათო-გენურ ენტერობაქტერიები	ენტეროვირუსები	ჰელმინთების კვერცხები	ნაწლავის პათოგენური უმარტივესების ცისტები*	ბუზები, მატლები და ჭურვები ევზემპლარ ნიადაგის 20X20სმ ფართობზე
მომატე-ბული რისკის ზონები: ბავშვთა სკოლა მდელი და სასკოლო დაწესებულების, რეკრეაციის ზონების (პარკები და სკვერები და სხვა). ბოსტნეულის, სასე-ირნო ფართობების ტერიტორიები	დაბინძურებული	10 და მეტი	10 და მეტი	+	+	+	+	მატლები 10-4 ჭურვები – არ
წყალსატევების სანიტარიული დაცვის ზონები	სუფთა	1-9	1-9	1-9	-	-	-	-

	დაბინძურებული	10 და მეტი	10 და მეტი	10 და მეტი	+	+	+	მატლები 10- ჭურები - არ
სანიტარული დაცვის ზონები	სუფთა	1-99	1-99	-	-	5-მდე	5-მდე	-
	დაბინძურებული	100 და მეტი	100 და მეტი	+	+	5-ზე მეტი	5-ზე მეტი	მატლები 10- ჭურები - არ

შენიშვნა: * ნაწლავის უმარტივესების ცისტები: ლამბლიები, ამეზა, ბალანტიდები, კრიპტოსპორიდიები. „-“ არ არის ნიადაგში, „+“ ნიადაგში არსებობს.

თავი VIII

სანიტარიულ-პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები

მუხლი 9.

1. გარემოს ობიექტებიდან ნიადაგი ყველაზე უფრო ხშირად და ინტენსიურად ბინძურდება ნაწლავის პარაზიტული დაავადებების ჰელმინთოზის, ლამბლიოზის, ამეზიოზისა და სხვათა გამომწვევებით. გეოჰელმინთების (ასკარიდების, თავბეწვის, ანკილოსტომიდების, ტოქსიკარის, სტრონგილოიდოზის) კვერცხებისათვის ნიადაგი წარმოადგენს ბიოლოგიური ნივთიერებების ციკლის გავლის აუცილებელ გარემოს, ასევე ბიოჰელმინთების (ოპისტორხის, დიფილობოთრიოზის, ტენიიდების და სხვა) კვერცხებისა და ნაწლავის პათოგენური უმარტივესების (კრიპტოსპორიდიების, იზოსპორების, ლამბლიების, ბალანტიდების, დიზენტერიული ამეზის და სხვა) ცისტების დროებით ყოფნის ადგილს.

ნიადაგში გეოჰელმინთების კვერცხები სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებენ 3-დან 10 წლამდე, ხოლო ბიოჰელმინთები – 1 წლამდე, ნაწლავის პათოგენური უმარტივესების ცისტები – რამდენიმე დღიდან 3-6 თვემდე.

2. ყველაზე ხშირად ქალაქის ნიადაგის დაბინძურება პარაზიტული გამომწვევებით შეიმჩნევა ეზოების, ბავშვთა სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების, სანაგვეების ახლომახლო ქუჩების, ტუალეტების ირგვლივ, შინაური ცხოველების (ძაღვების, კატების) გასეირნების ადგილებში – სკვერების, ბულვარების, პარკებისა და ტყე-პარკების ტერიტორიებზე.

დაბინძურებული ნიადაგიდან პარაზიტული დაავადებების გამომწვევი მიკრობები შეიძლება მოხვდეს ხელებზე, ტანსაცმელზე, ბოსტნეულზე, ხილზე, კენკრაზე, მწვანილზე, ზედაპირული წყალმომარაგების წყაროების წყლებში, რაც განაპირობებს ადამიანებისა და ცხოველების დასნეუბონების რისკის გაზრდას.

3. ჯანმრთელი მოსახლეობისათვის პირდაპირ საშიშროებას წარმოადგენს ნიადაგის დაბინძურება ასკარიდას, თავბეწვას, ტოქსოკარის, ანკილოსტომიდის, სტრონგილოიდოზის ლავრების სიცოცხლისუნარიანი განაყოფიერებული და ინვაზირებული კვერცხებით, აგრეთვე ტენიიდების ონკოსფერებით, ლამბლიების, იზოსპორების, ბალანტიდების, ამეზის ცისტებით, კრიპტოსპორიდიების ოცისტებით, ოპისტორქისების, დიფილობოთრიუმის განაყოფიერებული სიცოცხლისუნარიანი კვერცხებით.

4. პარაზიტული დაავადებების გამომწვევებით ნიადაგის ეპიდემიური უსაფრთხოებისა და დაბინძურების ხარისხის შეფასებისას განსაზღვრავენ:

ა) გამომწვევის სახეობას;

ბ) მათ სიცოცხლისუნარიანობასა და ინვაზიურობას;

გ) დაბინძურების ექსტენსიურ მაჩვენებელ „A“-ს, რომელიც უდრის სინჯების „B“ რიცხვის (ნიადაგის სინჯები, რომლებშიც აღმოჩენილია პარაზიტული დაავადებების გამომწვევები) შეფარდებას გამოკვლეული სინჯების საერთო რიცხვთან გამოსახულს პროცენტებში: $A=B/CX100$;

დ) დაბინძურების ინტენსიურ მაჩვენებელს – პარაზიტული დაავადებების გამომწვევების საერთო შემცველობა ნიადაგის 1კგ-ში (ან 100 გრ-ში).

სხვადასხვა ტერიტორიის ნიადაგის პარაზიტოლოგიური დაბინძურების რაოდენობრივი კრიტერიუმები წარმოადგენილია მე-6 ცხრილში.

5. ნიადაგის სანიტარიულ-პარაზიტოლოგიური გამოკვლევები ტარდება მეთოდური მითითებების (11) შესაბამისად.

თავი IX

სანიტარიულ-ენტომოლოგიური მაჩვენებლები

მუხლი 10.

1. სანიტარიულ-ენტემოლოგიურ მაჩვენებლებს წარმოადგენს სინანტროპული ბუზების მატლები და ჭუპრები.

სანიტარიულ ბუზებს (ოთახის, სახლის, ხორცის და სხვა), როგორც ადამიანის ზოგიერთი ინფექციური და ინვაზიური დაავადების გამომწვევების (ნაწლავის პათოგენური უმარტივესების ცისტები, ჰელმინთების კვერცხები და სხვა) მექანიკურ გადამტანებს, დიდი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვთ.

2. საერთო და კერძო ბინათმფლობელობის, კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, კერძო და საზოგადოებრივი კვების პუნქტების, ზოოპარკის, მოსამსახურე და სასპორტო ცხოველების (ცხენები, ძაღლები) ყოფნის ადგილების, ხორცისა და რძის კომბინატების ტერიტორიებზე ბუზების მომრავლების ყველაზე უფრო მოსალოდნელ ადგილებს წარმოადგენს ხრწნადი ორგანული ნივთიერებების გროვები (სხვადასხვა ტიპის სანაგვეები, საპირფარეშოები, ნაგავსაყრელები, შლამის მოედნები და სხვა) და მათ გარშემო 1 მეტრამდე მანძილით დაშორებული ტერიტორიის ნიადაგი.

3. ნიადაგის სანიტარიულ-ენტემოლოგიური შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ნიადაგის 20X20სმ ზომის ფართობზე სინანტროპული ბუზების პრემაგნალური ფორმების (მატლები და ჭუპრები) არსებობა ან არარსებობა.

4. ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასება მასში ბუზების, მატლებისა და ჭუპრების არსებობისას ხდება მე-6 ცხრილის შესაბამისად.

დასახლებული ადგილების ნიადაგში მატლებისა და ჭუპრების არსებობა ნიადაგის არადამაკმაყოფილებელი სანიტარიული მდგომარეობის მაჩვენებელია და სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ტერიტორიის ცუდ დასუფთავებაზე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და შენახვის, მათი არადროული გატანის არასწორად განხორციელებაზე მიუთითებს.

5. სანიტარიულ-ენტემოლოგიური გამოკვლევები ტარდება მეთოდური მითითებების (14) შესაბამისად.

თავი X

ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის მაჩვენებლები

მუხლი 11.

1. ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის გამოკვლევა ტარდება აუცილებლობის შემთხვევაში მისი სანიტარიული მდგომარეობისა და თვითგაწმენდის უნარის ღრმა შეფასების მიზნით.

2. ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის ძირითადი ინტეგრალური მაჩვენებლების: მიკრობთა საერთო რიცხვი, ნიადაგის მიკროორგანიზმების ძირითადი ჯგუფების რიცხვი (ნიადაგის საპროფიტული ბაქტერიები, აქტინომიცეტები, ნიადაგის მიკრომიცეტები), ნიადაგში აზოტისა და ნახშირწყლების შენაერთების ტრანსფორმაციის ინტენსიურობის მაჩვენებელი (ნიადაგის „სუნთქვა“, სანიტარიული რიცხვი, ნიადაგში აზოტის, ამიაკისა და ნიტრატების დინამიკა, აზოტფიქსაცია, ამინიფიკაცია, ნიტრიფიკაცია და დენიტრიფიკაცია), ნიადაგში მჟავიანობისა და ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის დინამიკა, ფერმენტული სისტემების აქტივობა და სხვა მაჩვენებლები.

3. მაჩვენებელთა ჩამონათვალი განისაზღვრება გამოკვლევის მიზნებით, დაბინძურების წარმოშობითა და ინტენსიურობით, მიწათსარგებლობის ხასიათით.

გამოკვლევის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია შედარებით მარტივი და სწრაფი განსასაზღვრი ინფორმაციული, ინტეგრალური მაჩვენებლების გამოყენება: ნიადაგის „სუნთქვა“, მიკრობთა საერთო რიცხვი, ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი და ნიადაგის მჟავიანობა, აზოტის, ამიაკისა და ნიტრატების დინამიკა.

შემდგომი გამოკვლევები ტარდება მიღებული შედეგებისა და გამოკვლევების საერთო ამოცანების შესაბამისად.

4. ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის განსაზღვრა და შეფასების მეთოდები მოყვანილია „მეთოდური მითითებანი ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზღვ-ს ჰიგიენური დასაბუთებისათვის“, 05.08.82 N2609-82. ამგვარად, ბიოლოგიური აქტივობის მაჩვენებლებით ნიადაგში შეიძლება ჩაითვალოს „დაუბინძურებლად“, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის არა უმეტეს 50%-ისა და ბიოქიმიური მაჩვენებლების არა უმეტეს 25%-ის ცვლილების შემთხვევაში, იმ საკონტროლო ნიადაგების ასეთივე მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც მიღებულია, როგორც სუფთა, დაუბინძურებელი ნიადაგი (17).

დასკვნა ნიადაგის სანიტარიულ მდგომარეობაზე

მუხლი 12.

დასკვნა გამოსაკვლევ ტერიტორიის ნიადაგის სანიტარიულ მდგომარეობაზე გაიცემა ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევების (ცხრილი მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6) შედეგების საფუძველზე შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

ა) გამოკვლევის რაიონში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სიტუაცია;

ბ) მოთხოვნები წარდგენილი ნიადაგის დაბინძურების ხარისხისადმი მათ სამეურნეო გამოყენებაზე დამოკიდებულებით;

გ) საერთო კანონზომიერებები პუნქტში 7.3, რომლებიც განსაზღვრავენ ნიადაგის დაბინძურებული ქიმიური ელემენტებისა და ნაერთების ქმედებას.

კატეგორია	გამოყენება	მოთხოვნა	კარტირება
1	საკარმიდამო მეურნეობები, ბოსტნები, სანაპირო ტერიტორიები, ბაღები და სამკურნალო დაწესებულებები	მაღალი	1:200-1:10 000
2	სასოფლო-სამეურნეო საგარეულები, სარეკრეაციო ზონები	მომატებული	1:10 000-1:50 000
3	ტყეები, ნაყარი მიწები, მსხვილი სამეურნეო ობიექტები, ქალაქის სამრეწველო ზონის გაშენებები	ზომიერი	1:50.000-1:100 000

დანართი 2.

N	მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის ხასიათი
1	სანიტარიული რიცხვი (ცილოვანი აზოტის შეფარდება საერთო ორგანულ აზოტთან)	სანიტარიულ-ქიმიური
2	ამონიუმის აზოტი, მგ/კმ	"—"
3	ნიტრატული აზოტი, მგ/კმ	"—"
4	ქლორიდი, მგ/კმ	"—"
5	pH	"—"
6	პესტიციდები (ნარჩენი რაოდენობა, მგ/კმ	"—"
7	მძიმე ლითონები მგ/კმ	"—"
8	ნავთი და ნავთობპროდუქტები, მგ/კმ	"—"
9	აქროლადი ფენოლები, მგ/კმ	"—"
10	გოგირდის ნაერთები, მგ/კმ	"—"
11	დეტურგენტები, მგ/კმ	"—"
12	კანცეროგენული ნივთიერებები, მგ/კმ	"—"
13	დარიშხანი, მგ/კმ	"—"
14	პოლიქლორირებული ბიფენილები, მგ/კმ	"—"
15	ციანიდები, მგ/კმ	"—"
16	რადიოაქტიური ნივთიერებები, კი/მ	"—"
17	მაკრობიომური სასუქები, მგ/კმ	"—"
18	მიკრობიომური სასუქები, მგ/კმ	"—"
19	ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირები (კოლიფორმები), ინდექსი	სანიტარიულ- ბაქტერიოლოგიური
20	ენტეროკოკები (ფეკალური სტრეპტოკოკები), ინდექსი	"—"
21	პათოგენური მიკროორგანიზმები (ეპიდემიკების მიხედვით), ინდექსი	"—"
22	ჰელმინთების კვერცხები და ლარვები(სიცოცხლისუნარიანი), ეგზ/კმ	სანიტარიულ- პარაზიტოლოგიური
23	პათოგენური ნაწლავური უმარტივესების ცისტები, ეგზ/100გ	"—"
24	სინანტროპული ბუზების მატლები და ჭურვები ეგზ ნიადაგის 20X20სმ ფართობზე	სანიტარიულ- ენტომოლოგიური

დანართი 3.

დაკვირვების ობიექტები და დასახლებული ადგილების ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები (მაჩვენებლები ამოკრებილია გოსტი 17.4.2.01-81 და ცვლილებები N1 1985 წ. გათვალისწინებით)								
N°	მაჩვენებლის დასახელება	დაკვირვების ობიექტები (ფუნქციონალური ზონები, ტერიტორიები)						
		საცხოვრე ბელი ზონა	ბაღები და სასკოლო დაწესებულებები, სათამაშო მოედნები, ეზოების ტერიტორიები	წყალსაცემების სანიტარიული დაცვის ზონები	სარეკრეაციო ზონები (სვერები, პარკები, ბულვარები, პლაკები, ტყე-პარკები)	სატრანსპორტო მაგისტრალები	სამრეწველო ზონა	სასოფლო-სამეურნეო ნიადაგები (საცდელი ნიადაგები, ბაღები და ბოსტნები, საკარმიდამო ნაკვეთები, სათბური მეურნეობები)
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	სანიტარიული რიცხვი (ცილოვანი აზოტის შეფარდება) საერთო	+	+	+	-	-	-	-

	ორგანულ აზოტთან							
2	ამონიუმის აზოტი მგ/კმ	+	+	+	+	-	-	+
3	ნიტრატული აზოტი მგ/კმ	+	+	+	+	-	-	+
4	ქლორიდები მგ/კმ	+	+	+	+	-	+	+
5	PH	+	+	+	+	+	+	+
6	პესტიციდები (ნარჩენების) რაოდენობა მგ/კმ	+	+	+	+	-	-	+
7	მძიმე ლითონები** მგ/კმ	+	+	+	+	+	+	+
1	2	3	4	5	6	7	8	9
8	ნავთობი და ნავთობპროდუქტები მგ/კმ	+	-	+	-	+	+	-
9	აქროლადი ფენოლები მგ/კმ	+	-	+	+	-	+	-
10	გოგირდოვანი ნაერთები** მგ/კმ	+	+	+	+	+	+	+
11	დეტერგენტები** მგ/კმ	+	+	+	+	-	+	+
12	კარცენოგენული ნივთიერებები** მგ/კმ	+	+	+	+	+	+	+
13	დარიზხანი მგ/კმ	+	+	+	+	+	+	+
14	პოლიქლორირებული ბიფენილები მგ/კმ	+	+	+	-	-	-	-
15	ციანიდები** მგ/კმ	+	+	+	+	+	+	+
16	რადიოაქტიური ნივთიერებები	+	+	+	+	+	+	+
17	მაკროქიმიური სასუქები* მგ/კმ	+	-	+	-	-	-	-
18	მიკროქიმიური სასუქები* მგ/კმ	+	-	+	-	-	-	-
19	ლაქტოზადადებითი ნაწლავის ჩხირები (კოლი-ფორმები***) ინდექსი	+	+	+	+	+	+	+
20	ენტეროკოკი (ფეკალური სტრეპტოკოკი) ინდექსი	+	+	+	+	+	+	+
21	პათოგენური მიკროორგანიზმები (ეპიდემიოგენეზები) ინდექსი	+	+	+	+	+	+	+
22	ველმინთები კვერცხები და ლარვები (სიცოცხლისუნარიანი) ეგზ/კგ	+	+	+	+	+	+	+
23	ნაწლავის პათოგენური უმარტივესების ცისტები ეგზ/კგ	+	+	+	+	+	+	+
24	სანიტარიული ბუზების მატლები და ჭურჭლები, ეგზ/ნიადაგის 20X20სმ ფართობზე	+	+	+	+	+	+	+

შენიშვნა: * კონკრეტული მაჩვენებლის შერჩევა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დროს გამოყენებული საშუალებების ხასიათზე.

** მაჩვენებლის შერჩევა დამოკიდებულია დაბინძურების წყაროს (სამრეწველო, სატრანსპორტო, კომუნალური და სხვა) ხასიათზე.

*** დასაშვები ფეკალური ფორმების განსაზღვრა.

ნიშანი “+” აღნიშნულია მაჩვენებლის განსაზღვრის აუცილებლობა ნიადაგის სანიტარიული მდგომარეობის განსაზღვრისას.

ნიშანი “-” მაჩვენებელი არ არის აუცილებელი.

ნიშანი “+-“ მაჩვენებელი აუცილებელია დაბინძურების წყაროს არსებობისას.

დანართი N4.

მძიმე ლითონებით გარემოს დაბინძურებული წყაროების დახასიათება (25)														
დაბინძურების წყარო	შავი და ფერადი მეტალურგია				ხელსაწყოთმ-შენებლობა			მანქანათმშენებლობა				ქიმიური მრეწველობა		ავტოტრანსპორტი
	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ქრომი	W	W	W				W	W	W	W				
ფანადიუმი	O	O	O		O	O		O	W	O	O			
თუთია	O	O	O	O			O	O	O	O	O	W	O	O
ნიკელი	O				W		W	W	W	W	W			
სპილენძი	W	O		O	W	W	O	W	W	W	W	W		O
ტყვია	W	O	O	O	O	W	O	O	W	O	O		W	O

კობალტი	0						W							
დარიშხანი														
მოლიბდენი	0	0					W	W	0					
კადმიუმი	0	0	0			0							0	0
სელენი														
ვერცხლის-წყალი				0	W					W	0	0		
კალა	W	0	W		0	0		0	W	W	W		0	
სტიბიუმი		0	0			W						W		

ვერცხლი							W						W		
ბისმუტი							W	W	W	W				W	

შენიშვნა: 0 – სავალდებულო კონტროლი
 "W" – ფაკულტატიური კონტროლი.
 მრეწველობა: A – ლეგირებული ფოლადის ქარხანა; B – ფერადი ლითონების ქარხანა; C – შენადნობების ქარხანა; D – მეორეული ფერადი ლითონების გადამამუშავება; E – აკუმულატორების წარმოება; F – რადიატორების წარმოება; G – ელექტროტექნიკური წარმოება; H – ზუსტი მანქანათმშენებლობა; I – საყოფაცხოვრებო ნაწარმის წარმოება; J – მძიმე მანქანათმშენებლობა; K – მსუბუქი მანქანათმშენებლობა; L – პლასტმასის წარმოება; M – ლაქსაღებავის წარმოება; N – საავტომობილო გზებისა და გასამართი სადგურების ქსელი

მეთოდური მითითებები ნიადაგების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასებაზე მეთოდური მითითებები მმ 2.1.7. 004 - 03

თავი I

გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

მუხლი 1

- 1.წინამდებარე მეთოდური მითითებები შემუშავებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.
2. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს ნორმატიულ-მეთოდურ საფუძველს დასახლებული ადგილების ნიადაგების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საკურორტო ზონების ტერიტორიებისა და ცალკეული დაწესებულებების სანიტარიულ მდგომარეობაზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელებისათვის.
3. დოკუმენტი განკუთვნილია საქართველოს სახელმწიფოს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური სამსახურის დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საუწყებო სანიტარიულ ზედამხედველობას.
4. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ნორმატიულ მეთოდურ ბაზას დასახლებული ადგილების ნიადაგის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელებისათვის, აგრეთვე განკუთვნილია სხვა მაკონტროლებელი ორგანოებისათვისაც.

მუხლი 2

. უნიფიცირებული მეთოდური მიდგომის გამოყენება ნიადაგის დაბინძურების ხარისხისა და მოსალოდნელი შედეგების შეფასების საშუალებას იძლევა, რითაც შესაძლებელია მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტების ხარისხის პროგნოზირება.

მუხლი 3

1. ჰიგიენური პოზიციებიდან გამომდინარე, ნიადაგის ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროება განისაზღვრება მისი შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის ხარისხით კონტაქტირებულ გარემოს ფაქტორებზე (წყალი, ატმოსფერული ჰაერი), საკვებ პროდუქტებსა და უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობასა და მის თვითგაწმენდის პროცესებზე.
2. მაგნე ნივთიერებებით ნიადაგის დაბინძურების საშიშროების ჰიგიენური შეფასების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) ნიადაგში. ზდკ ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მაჩვენებელია, რადგანაც მისი მეცნიერული დასაბუთებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები მოიცავს დამაბინძურებლის –

კონტაქტურ გარემოზე, ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობასა და მის თვითგაწმენდის პროცესებზე უშუალო ზემოქმედების ყველა შესაძლო გზას. ამასთან, ყოველი სახის ზემოქმედების შესაძლო გზის შეფასება ხდება რაოდენობრივად ნივთიერების შემცველობის დასაშვები დონის დასაბუთებით, თითოეული მავნეობის მაჩვენებლის მიხედვით. მათგან უმცირესი მნიშვნელობის მაჩვენებელი ითვლება მალიმიტირებლად და გამოიყენება როგორც ნივთიერების ზღვა.

3. ნიადაგების დაბინძურების საშიშროების შესაფასებლად, ქიმიური ნივთიერებების დაბინძურების მაჩვენებლების შერჩევა ხდება შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით (6):

ა) დაბინძურების წყაროების სპეციფიკა, რომელიც განსაზღვრავს შესასწავლი რეგიონის ნიადაგების დამაბინძურებელ ქიმიურ ელემენტთა კომპლექსს (4):

ბ) დამაბინძურებლების პრიორიტეტები მათი ზღვა-სა და საშიშროების კლასის მიხედვით (2):

გ) მიწათსარგებლობის ხასიათით.

4. ნიადაგის დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების სრული კომპლექსის ზემოქმედების შეფასების შეუძლებლობის შემთხვევაში, შეფასებას აწარმოებენ განსაკუთრებულად ტოქსიკური ნივთიერებების მიხედვით, რომლებიც მიეკუთვნებიან საშიშროების მაღალ კლასს.

მუხლი 4

1. იმ დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში, რომლებიც მიგვითითებენ დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ზღვა-სა და საშიშროების კლასზე, საშიშროების კლასის განსაზღვრა შეიძლება საშიშროების ინდექსის მიხედვით (2).

2. ნიადაგის სინჯების აღება, მათი შენახვა, ტრანსპორტირება და ანალიზისათვის მომზადება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ნიადაგის ქიმიური ნივთიერებების განსაზღვრა უნდა მოხდეს იმ მეთოდებით, რომლებიც შემუშავებულია მათი ზღვა-ს დადგენის დროს. (1.3.).

მუხლი 5

1. ზოგადად ნიადაგის ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების შეფასებისას უნდა გათვალისწინებული იქნეს შემდეგი:

ა) დაბინძურების საშიშროება მით მეტია, რამდენადაც გასაკონტროლებელი ნივთიერებების შემცველობის ფაქტობრივად დონეები ნიადაგში აღემატება ზღვა-ს, ანუ მით მეტია დაბინძურების საშიშროება, რამდენადაც საშიშროების კოეფიციენტი (K_0) აღემატება 1-ს;

$$K_0 = C/\text{ზღვა}$$

ბ) დაბინძურების საშიშროება მით მეტია, რაც უფრო მაღალია გასაკონტროლებელი ნივთიერებების საშიშროების კლასი;

გ) ნებისმიერი ტოქსიკანტით დაბინძურების საშიშროების შეფასება უნდა მოხდეს ნიადაგის ბუფერულობის გათვალისწინებით, რადგანაც იგი მოქმედებს ქიმიური ელემენტების გადაადგილებაზე და განსაზღვრავს მათ ზემოქმედებას კონტაქტირებულ გარემოს ფაქტორებსა და მცენარეების მიერ მათ ათვისებაზე. რაც ნაკლები ბუფერული თვისებებით ხასიათდება ნიადაგი, მით უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს მისი ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება. აქედან გამომდინარე, K_0 -ას ერთი და იმავე მნიშვნელობისას დაბინძურების საშიშროება მეტია მჟავე pH -ის მქონე, ნაკლები ჰუმუსის შემცველობისა და საერთო მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგში. მაგალითად, თუ კორდიანეწერიანი თიხნარი, კორდიანეწერიანი ქვიშნარი და შავმიწა ნიადაგების K_0 -ის მნიშვნელობები ტოლია, ეს ნიადაგები საშიშროების ზრდის მიხედვით დალაგდებიან შემდეგნაირად: $1 < 2 < 3$.

2. „ბუფერულ ნიადაგში“ – იგულისხმება ნიადაგის თვისებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მის ბარიერულ ფუნქციას, რაც განაპირობებს ნიადაგის ქიმიური ნივთიერებებით მეორეული დაბინძურების დონეებს კონტაქტირებული გარემოს ფაქტორებიდან – მცენარეებიდან, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებიდან, ატმ. ჰაერიდან. ნიადაგის ბუფერულობის შემადგენელ, ძირითად კომპონენტებს მიეკუთვნებიან ნიადაგის მექანიკური შედგენილობა, კერძოდ, ორგანული ნივთიერებებისა (ჰუმუსის) და ასევე pH რეაქციის განმსაზღვრელი წვრილი დისპერსიული მინერალური ნაწილაკები.

3. ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგების საშიშროების დადგენა სხვადასხვა ნიადაგებისათვის (განსხვავებული მიწათსარგებლობის) ხდება დიფერენცირებულად და ემყარება 2 ძირითად დებულებას:

ა) ტერიტორიების სამეურნეო გამოყენება (დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სარეკრეაციო ზონებისა და სხვა ნიადაგი);

ბ) ამ ტერიტორიებისათვის ნიადაგის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გზები.

თავი II

სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსაყვანად განკუთვნილი ნიადაგების ჰიგიენური შეფასება

მუხლი 6

1. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსაყვანად გამოსაყენებელი ნიადაგის დაბინძურების საშიშროების შეფასება ძირითადად ხდება მავნეობის ტრანსლოკაციური მაჩვენებლით. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზღვ-ს დადგენისას. ეს განპირობებულია შემდეგით:

ა) მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტებით ადამიანის ორგანიზმში ხვდება ქიმიური ნივთიერებების საშუალოდ 70%;

ბ) ტრანსლოკაციის დონე განსაზღვრავს ტოქსიკანტების დაგროვების დონეს და მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე.

2. დაბინძურებული ტერიტორიის ნიადაგის პრაქტიკული გამოყენების შესახებ რეკომენდაციის გაცემის საშუალებას იძლევა მავნეობის სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით ქიმიური ნივთიერებების დასაშვებ დონეებს შორის არსებული სხვაობა და დაბინძურებული ნიადაგების საშიშროების ხარისხის დიფერენციალურად შესაფასებელი ძირითადი მონაცემები (ცხრილი მე-2).

3. სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მოსაყვანად გამოსაყენებელი ნიადაგის დაბინძურების საშიშროება განისაზღვრება 1-ლი და მე-2 ცხრილის მიხედვით. 1-ლ ცხრილში მოცემულია ნიადაგის შეფასების ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები, დაბინძურების არასასურველი ზემოქმედების შემცირებისათვის. მე-2 ცხრილი 1-ის ლოგიკური დამატებას და წარმოადგენს აუცილებელ ცნობებს ნიადაგის რანჟირებისათვის, მათი დაბინძურების დონის მიხედვით.

ა) მაგალითად, გარკვეული ტერიტორიის ნიადაგები დაბინძურებულია ნიკელით, რომლის მოძრავი ფორმების შემცველობა შეადგენს პირველში 20მგ/კგ, მეორეში – 5მგ/კგ. 1-ლი და მე-2 ცხრილის საფუძველზე პირველი ნიადაგი უნდა მიეკუთვნოს დაბინძურების „განსაკუთრებით საშიშ“ კატეგორიას, რადგანაც ნიკელის შემცველობის დონე აღემატება ამ ელემენტის დასაშვებ დონეებს მავნეობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით: ტრანსლოკაციურს, წყალმიგრაციულსა და საერთო სანიტარიულს, ასეთი ნიადაგის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური კულტურების მოსაყვანად ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებიდან. მეორე ნიადაგი შეიძლება მივაკუთვნოთ „ზომიერად დაბინძურებულ“ კატეგორიას, რადგანაც ნიკელის შემცველობა 5მგ/კგ, მართალია, აღემატება ზღვ-ს (4მგ/კგ), მაგრამ არ აღემატება დასაშვებ დონეს ტრანსლოკაციური მაჩვენებლის მიხედვით (6,7მგ/კგ). ამ შემთხვევაში ნიადაგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად, ამასთან, უნდა განხორციელდეს ტოქსიკანტ ნიკელის მცენარეში შეღწევის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ცხრილი 1.

ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის გამოსაყენებელი ნიადაგების შეფასების პრინციპული სქემა (7)			
დაბინძურების კატეგორია	დაბინძურების მახასიათებელი	შესაძლო გამოყენება	ჩასატარებელი ღონისძიებები
1. დასაშვები	ნიადაგში ნივთიერების შემცველობა აღემატება ფონურს, მაგრამ ნაკლებია ზღვ-ზე.	გამოიყენება შეუზღუდავად ნებისმიერი კულტურისთვის.	დაბინძურების წყაროს ზემოქმედების დონის შემცირება. მცენარეებში ტოქსიკანტების შეღწევის შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელება (კირით გაპოხიერება, ორგანული სასუქების შეტანა)
2. ზომიერად საშიში	ქიმიური ნივთიერების შემცველობა აღემატება ზღვ-ს მალიმიტირებული საერთო-სანიტარიული, წყალ- და ჰაერმიგრაციული მაჩვენებლებით, მაგრამ დაბალია დასაშვებ დონეზე ტრანსლოკაციური მაჩვენებლის მიხედვით.	გამოიყენება ნე-ბისმიერი კულ-ტურისათვის იმ პირობით, თუ სასოფლო-სამე-ურნეო პროდუ-ქციის ხარისხზე დაწესდება კონტროლი.	ღონისძიებები I კატეგორიის ანალოგიურია. მალიმიტირებული წყალმიგრაციული მაჩვენებლის მქონე ნივთიერების არსებობისას ტარდება კონტროლი ამ ნივთიერების შემცველობაზე სოფლის მეურნეობის მუშაკების სასუნთქ ზონაში და ადგილობრივი წყალმომარაგების წყაროების წყალში
$$\Pi_{\delta} = 10Lg \left[\frac{P_{\delta} \cdot \lambda^2}{d^4} \right] + 10LgD_{0,5} + 20Lg \left[\frac{B(x)}{x} \right] + 20LgF(U_m, X_m) + 3; \quad (20)$$

ი) დამსხივებლის მიმართულობის დიაგრამა განისაზღვრება მისი მაქსიმალური გამოსხივების გასწვრივ:

$$D_{\delta, \text{დბ}} = 10LgD \quad (21)$$

კ) თუ ნახაზზე მოცემულია კუთხე $\psi = 150-210^{\circ}$, და თუ კონკრეტული ანტენისათვის იგი არ არის ცნობილი, ანგარიშობენ ფორმულით:

$$\psi_0 = 2 \arctg \left(\frac{d}{4f} \right); \quad (22)$$

კ.ა) სადაც, f - ანტენის ფოკუსის სიგრძეა;

კ.ბ) იმ შემთხვევაში როცა ψ_0 და f არ არის წინასწარ მოცემული, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ $2\psi_0 = 180^{\circ}$ ღერძის მიმართ სიმეტრიული ანტენებისათვის და $2\psi_0 = 90^{\circ}$ - არასიმეტრიული ანტენებისათვის.

ლ) დამსხივებლის მიერ გამოწვეული ელექტრომაგნიტური ველის სიმკვრივის ნაკადის სიდიდე იქნება ტოლი:

$$\delta = 10Lg(P_{\delta} / 4R_m^2) + 10 LgD_{\delta} + 10; \quad (23)$$

მ) M წერტილში მიღებული სიმკვრივის ნაკადის ჯამური სიდიდე იქნება ტოლი:

$$\Pi_{\Sigma} = 10 \frac{\Pi_{\delta, \text{დბ}}}{10} + 10 \frac{\Pi_{\delta, \text{დბ}}}{10} \quad (24)$$

4. სატელიტური ანტენის მიერ ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის ანგარიშისათვის საჭიროა იგივე საწყისი მონაცემები რაც სარელეო გადამცემის ანტენისათვის, მხოლოდ აუცილებელია ვიცოდეთ სხივის აწევის კუთხე (ჰორიზონტის მიმართ.

ა) m -ის განსაზღვრისათვის M წერტილში (ანუ ანტენის წინა ზონაში, სადაც ($\alpha_m = 0$ -ს) გამოიყენება ფორმულა:

$$\varphi_m = \arccos \{ [r_m \cos \alpha_m \cos \theta - (H_a - H_m) \sin \theta] / R_m \} \quad (25)$$

ბ) φ_N წერტილში (ანუ ანტენის გვერდით ზონაში) :

$$\varphi_N = \arccos \{ [r_N \cos \alpha_N \cos \theta - (H_a - H_N) \sin \theta] / R_N \} \quad (26)$$

ცხრილი 1

ფუნქცია $F(u, x)$ – მრგვალი აპერტურა $u=100760$								
U	X პარამეტრი							
	0,005	0,01	0,02	0,03	0,04	0,1	0,15	1,0
100	-4,46	-22,8	-33,0	-37,7	-45,6	-51,2	-56,4	-58,1
110	-4,71	-24,3	-33,5	-37,0	-46,1	-51,9	-56,5	-57,9
120	-5,14	-25,8	-33,9	-37,5	-46,3	-53,0	-56,9	-58,1
130	-6,89	-27,1	-34,8	-38,2	-46,7	-53,9	-58,1	-59,1
140	-9,48	-28,5	-35,6	-38,9	-47,3	-54,9	-58,9	-60,4
150	-13,3	-29,9	-36,6	-39,7	-48,3	-55,9	-59,7	-61,2
160	-17,5	-30,8	-37,4	-40,5	-49,2	-56,9	-60,5	-61,9
170	-21,9	-31,8	-38,3	-41,3	-50,2	-57,9	-61,3	-62,7

180	-24,9	-32,7	-39,2	-42,1	-51,1	-58,9	-62,1	-63,5
190	-27,3	-33,7	-40,1	-42,9	-52,1	-59,9	-62,9	-64,3
200	-29,1	-34,7	-40,9	-43,9	-53,0	-60,8	-63,8	-65,1
210	-30,8	-35,7	-41,8	-44,6	-53,9	-61,8	-64,5	-65,8
220	-32,4	-36,6	-42,7	-45,5	-54,9	-62,8	-64,4	-66,6
230	-33,4	-37,6	-43,7	-46,3	-55,9	-63,7	-66,2	-67,4
240	-34,1	-38,4	-44,5	-47,3	-56,8	-64,7	-66,9	-68,2
250	-34,8	-39,3	-45,3	-48,2	-57,8	-65,7	-67,7	-68,9
260	-35,7	-40,0	-46,1	-49,1	-58,7	-66,6	-68,6	-69,7
270	-36,9	-40,9	-46,9	-49,9	-59,9	-67,1	-69,0	-70,0
280	-38,1	-41,7	-47,9	-50,7	-60,6	-68,4	-70,2	-71,3
290	-39,4	-42,7	-48,7	-51,6	-61,6	-69,2	-70,9	-72,0
300	-40,1	-44,1	-49,9	-52,9	-63,0	-70,1	-71,9	-72,9
400	-50,0	-54,0	-60,0	-63,0	-73,0	-80,0	-82,0	-83,0
500	-60,0	-64,0	-70,0	-73,0	-83,0	-90,0	-92,0	-93,0
600	-70,0	-74,0	-80,0	-83,0	-93,0	-100	-102	-103
700	-80,0	-84,0	-90,0	-93,0	-103	-110	-112	-113
760	-86,0	-90,0	-96,0	-99,0	-109	-116	-118	-119

ცხრილი 2

ფუნქცია F(u, α) - კვადრატული აპერტურა α=0100									
U	X პარამეტრი								
	0,005	0,01	0,02	0,03	0,04	0,05	0,1	0,15	1,0
0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2	0	0	0	0	0	0	-0,71	-1,89	-5,60
4	0	0	0	0	0	-0,21	-2,73	-5,90	-13,3
6	0	0	0	0	0	-0,97	-6,73	-11,4	-20,4
8	0	0	-0,16	-0,30	-0,76	-2,06	-11,4	-17,2	-23,4
10	0	0	-0,31	-0,48	-1,81	-3,59	-14,8	-20,3	-26,0
12	0	0	-0,47	-0,95	-2,83	-5,74	-18,2	-22,9	-28,0
14	0	0	-0,53	-1,70	-4,73	-8,62	-21,4	-25,4	-29,5
16	0	-0,12	-0,74	-2,52	-6,94	-11,8	-24,0	-27,4	-30,8
18	0	-0,36	-1,02	-3,67	-9,53	-14,8	-25,8	-29,1	-31,8
20	0	-0,54	-1,45	-5,19	-12,2	-16,9	-27,3	-30,1	-32,7
22	0	-0,62	-1,77	-6,95	-14,7	-19,7	-28,3	-30,9	-33,6
24	0	-0,78	-2,31	-8,37	-17,1	-21,2	-29,0	-31,9	-34,2
26	0	-0,82	-3,15	-10,7	-19,3	-22,3	-29,8	-32,6	-34,8
28	0	-0,86	-3,81	-13,6	-21,5	-24,9	-30,5	-33,4	-35,6
30	0	-1,00	-5,34	-15,4	-22,9	-26,2	-31,3	-34,1	-36,2
32	-0,11	-1,12	-6,96	-17,8	-25,1	-27,4	-31,9	-34,5	-36,7
34	-0,31	-1,26	-8,83	-19,5	-26,2	-28,2	-32,4	-35,5	-37,1
36	-0,36	-1,38	-10,6	-21,8	-27,3	-29,3	-32,8	-35,4	-37,5
38	-0,42	-1,60	-11,6	-22,4	-28,1	-29,9	-33,1	-35,8	-37,9
40	-0,48	-1,76	-14,1	-23,7	-28,9	-30,6	-33,6	-36,1	-38,2
42	-0,48	-1,90	-15,9	-25,1	-29,3	-31,1	-34,1	-36,4	-38,5
44	-0,48	-2,04	-17,5	-26,0	-30,0	-31,6	-34,4	-36,9	-38,9
46	-0,55	-2,20	-18,9	-26,8	-30,4	-32	-34,9	-37,2	-39,4
48	-0,55	-2,40	-19,9	-27,6	-30,8	-32,6	-35,4	-37,6	-39,8
50	-0,64	-2,88	-21,2	-28,1	-31,2	-33,2	-35,6	-38,1	-40,0
52	-0,67	-3,08	-22,3	-28,5	-31,5	-33,6	-36,1	-38,3	-40,4
54	-0,77	-3,30	-23,6	-28,9	-32,0	-33,9	-36,4	-38,6	-40,6
56	-0,79	-3,56	-24,4	-29,2	-32,3	-34,3	-36,8	-39,1	-41,0
58	-0,89	-3,94	-25,2	-29,6	-32,5	-34,6	-37,1	-39,4	-41,3
60	-0,95	-4,46	-25,8	-30,0	-32,9	-34,9	-37,3	-39,6	-41,4
62	-1,01	-4,94	-26,8	-30,3	-33,3	-35,1	-37,4	-39,8	-41,6
64	-1,06	-5,56	-27,4	-30,6	-33,5	-35,4	-37,8	-40,0	-41,8
66	-1,11	-6,44	-27,9	-31,1	-33,8	-35,6	-37,9	-40,3	-42,1
68	-1,15	-7,26	-28,4	-31,5	-34,1	-36,0	-38,2	-40,5	-42,4
70	-1,18	-8,38	-28,8	-31,6	-34,3	-36,2	-38,5	-40,6	-42,6
72	-1,29	-9,36	-29,3	-31,9	-34,6	-36,4	-38,6	-40,9	-42,7
74	-1,35	-10,6	-29,8	-32,3	-34,9	-36,6	-38,8	-41,0	-42,8
76	-1,39	-11,9	-30,0	-32,7	-35,1	-36,7	-39,0	-41,2	-43,0
78	-1,45	-13,0	-30,2	-32,9	-35,3	-36,8	-39,1	-41,5	-43,3
80	-1,68	-14,2	-30,7	-33,2	-35,5	-36,9	-39,3	-41,7	-43,5
82	-1,77	-15,5	-30,9	-33,4	-35,7	-37,2	-39,5	-41,8	-43,5
84	-1,96	-16,5	-31,4	-33,6	-35,4	-37,3	-39,6	-42,0	-43,7
86	-2,13	-17,4	-31,9	-34,0	-36,1	-37,5	-39,8	-42,3	-44,0
88	-2,34	-18,4	-32,2	-34,2	-36,2	-37,8	-39,9	-42,4	-44,2
90	-2,58	-19,8	-32,5	-34,5	-36,4	-37,7	-40,0	-42,5	-44,5
92	-2,64	-20,8	-32,9	-34,7	-36,6	-38,0	-40,1	-42,7	-44,7
94	-2,77	-21,8	-33,3	-34,9	-36,7	-38,0	-40,3	-42,9	-44,9
96	-3,05	-22,7	-33,6	-35,1	-37,1	-38,3	-40,4	-43,0	-45,1
98	-3,06	-23,7	-33,8	-35,5	-37,3	-38,5	-40,5	-43,1	-45,3
100	-3,44	-24,8	-34,1	-35,8	37,7	-38,8	-40,6	-43,3	-45,4

ცხრილი 3

ფუნქცია F(u, α) - მრგვალი აპერტურა α=100300									
U	X პარამეტრი								
	0,005	0,01	0,02	0,03	0,04	0,1	0,15	1,0	
0	0	0	0	0	0	0	0	0	
2	-2,32	-2,35	-2,36	-2,36	-1,11	-2,82	-4,12	-4,60	
4	-3,75	-2,66	-2,66	-2,66	-1,46	-5,65	-9,46	-16,2	

6	-4,25	-1,42	-1,43	-1,43	-2,0	-9,16	-15,1	-21,9
8	-3,86	-0,53	-0,66	-0,66	-2,46	-12,1	-19,6	-25,4
10	-3,35	-0,35	-0,76	-0,76	-3,28	-15,3	-22,3	-27,5
12	-3,67	-0,91	-1,36	-1,36	-4,50	-19,1	-24,7	-29,4
14	-5,10	-1,08	-2,17	-2,17	-6,96	-21,9	-26,6	-30,9
16	-5,75	-0,91	-2,31	-0,96	-10,3	-24,2	-28,7	-32,3
18	-6,00	-0,12	-2,16	-0,78	-14,1	-26,0	-30,1	-33,5
20	-6,36	0,64	-1,67	-2,71	-14,3	-27,9	-31,7	-34,8
22	-5,89	1,72	-0,71	-4,36	-16,0	-29,2	-32,8	-35,8
24	-4,32	2,28	-0,10	-5,93	-18,3	-30,0	-34,2	-36,9
26	-3,07	2,37	-0,11	-7,46	-20,2	-32,0	-35,4	-38,1
28	-2,25	2,14	-0,63	-10,0	-22,8	-33,7	-36,9	-39,4
30	-1,78	1,71	-1,18	-12,2	-25,0	-35,4	-38,4	-41,0
32	-1,28	0,90	-3,53	-14,4	-26,9	-36,6	-40,1	-42,6
34	-1,07	0,14	-5,50	-16,8	-29,1	-37,7	-41,4	-43,7
36	-1,21	-0,22	-7,48	-19,4	-30,0	-38,6	-42,6	-45,8
38	-1,53	0	-9,28	-20,6	-31,0	-39,4	-43,8	-46,9
40	-1,67	0	-10,7	-21,9	-31,6	-40,3	-44,7	-47,8
42	-1,28	-0,07	-12,3	-22,2	-32,2	-40,8	-45,2	-48,0
44	-1,07	-0,30	-13,8	-23,1	-32,4	-41,1	-45,0	-47,7
46	-1,10	-0,32	-15,4	-23,8	-32,9	-41,2	-44,7	-47,0
48	-1,35	-0,17	-16,5	-24,1	-33,1	-41,1	-44,7	-46,8
50	-1,46	-0,05	-17,4	-24,4	-33,2	-41,2	-44,5	-46,9
52	-1,57	-0,00	-18,2	-24,8	-33,5	-41,1	-44,5	-46,9
54	-2,10	-0,25	-19,1	-25,5	-33,9	-41,2	-44,8	-47,0
56	-3,35	-0,70	-20,0	-26,2	-34,3	-41,6	-45,3	-47,4
58	-3,35	-1,20	-21,1	-26,8	-34,8	-42,0	-45,9	-47,8
60	-3,21	-1,50	-22,1	-27,3	-35,4	-42,9	-46,6	-48,5
62	-2,78	-2,02	-23,2	-28,1	-36,3	-44,0	-47,7	-49,5
64	-2,57	-2,78	-24,4	-29,4	-37,6	-44,7	-48,7	-50,6
66	-2,35	-3,59	-25,5	-30,4	-39,0	-45,9	-49,7	-51,6
68	-2,46	-4,50	-26,6	-31,1	-40,1	-46,9	-50,4	-52,6
70	-2,82	-5,23	-27,5	-32,0	-41,4	-47,8	-51,3	-53,5
72	-3,21	-6,28	-28,1	-32,2	-41,8	-48,3	-52,0	-54,2
74	-3,46	-7,37	-28,7	-32,8	-42,0	-48,7	-52,2	-54,6
76	-3,37	-8,61	-29,0	-33,0	-42,4	-48,7	-52,6	-55,0
78	-3,46	-9,75	-29,2	-33,2	-41,7	-48,4	-52,5	-55,7
80	-3,72	-11,0	-29,5	-32,9	-41,2	-48,1	-52,5	-54,7
82	-3,89	-12,1	-29,3	-33,0	-41,2	-48,0	-52,2	-54,2
84	-3,64	-12,9	-29,4	-33,0	-41,2	-48,1	-52,2	-53,9
86	-3,60	-14,4	-29,6	-33,1	-41,3	-48,2	-52,0	-53,9
88	-3,78	-15,8	-30,1	-33,4	-41,6	-48,4	-52,2	-53,8
90	-4,00	-16,9	-30,7	-33,8	-42,2	-48,9	-52,1	-54,1
92	-4,14	-18,1	-31,2	-34,3	-42,6	-49,3	-52,4	-54,4
94	-4,25	-19,3	-31,9	-35,0	-43,2	-49,9	-52,9	-55,3
96	-4,42	-20,4	-32,5	-35,7	-43,8	-50,6	-53,9	-55,7
98	-4,89	-21,6	-33,2	-36,4	-44,4	-50,6	-55,0	-56,8
100	-4,46	-22,8	-33,0	-37,7	-45,6	-51,2	-56,4	-58,1

ცხრილი 4

ფუნქცია $F(x)$ - კვადრატული აპერტურა										
$n=100760$										
U	X პარამეტრი									
	0,005	0,01	0,02	0,03	0,04	0,05	0,1	0,15	1,0	
100	-3,44	-24,8	-34,1	-35,7	-37,7	-38,8	-40,6	-43,3	-45,4	
110	-3,75	-27,1	-34,8	-36,8	-38,8	-40,5	-42,1	-45,0	-46,4	
120	-4,53	-29,3	-35,4	-37,4	-39,5	-41,3	-42,8	-45,8	-47,2	
130	-5,74	-30,5	-36,0	-37,8	-40,1	-41,9	-43,4	-46,5	-47,9	
140	-8,14	-31,4	-36,6	-38,5	-40,7	-42,5	-44,1	-47,2	-48,7	
150	-11,4	-32,3	-37,2	-39,2	-41,2	-43,0	-44,5	-47,9	-49,3	
160	-15,6	-33,2	-37,8	-39,7	-41,7	-43,5	-44,9	-48,7	-49,9	
170	-19,7	-34,1	-38,4	-40,0	-42,1	-44,0	-45,7	-49,1	-50,7	
180	-22,9	-35,0	-39,0	-40,4	-42,5	-44,5	-46,3	-49,6	-51,4	
190	-25,6	-35,6	-39,4	-41,0	-42,9	-45,0	-46,8	-50,0	-52,1	
200	-27,5	-36,2	-39,9	-41,5	-43,3	-45,6	-47,5	-50,6	-52,6	
210	-29,0	-36,8	-40,4	-42,2	-44,0	-46,3	-48,3	-51,5	-53,1	
220	-30,3	-37,4	-41,1	-42,9	-44,4	-47,0	-49,1	-51,9	-53,6	
230	-31,3	-38,0	-41,8	-43,6	-45,4	-47,0	-49,8	-52,5	-54,1	
240	-32,2	-38,6	-42,4	-44,3	-46,0	-48,4	-50,6	-53,0	-54,6	
250	-33,1	-39,2	-43,1	-45,0	-46,6	-49,1	-51,4	-53,8	-55,1	
260	-34,0	-39,8	-43,8	-45,9	-47,2	-50,0	-52,2	-54,5	-56,1	
270	-34,9	-40,9	-44,9	-46,9	-48,9	-51,0	-53,1	-55,9	-56,9	
280	-36,2	-41,7	-45,9	-47,6	-49,7	-52,0	-54,0	-56,5	-57,6	
290	-37,5	-42,9	-47,2	-48,6	-51,0	-53,2	-54,9	-57,4	-58,7	
300	-38,0	-44,1	-48,1	-49,9	-52,0	-54,1	-56,1	-58,9	-60,0	
400	-48,0	-54,0	-58,0	-60,0	-62,0	-64,0	-66,0	-69,0	-70,0	
500	-58,0	-64,0	-68,0	-70,0	-72,0	-74,0	-76,0	-79,0	-80,0	
600	-68,0	-74,0	-73,0	-80,0	-82,0	-84,0	-86,0	-89,0	-90,0	
700	-78,0	-84,0	-88,0	-90,0	-92,0	-94,0	-96,0	-99,0	-100,0	
760	-84,0	-90,0	-94,0	-96,0	-98,0	-100	-102	-105	-106	

თავი VI

სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის

მუხლი 10.

1. სანიტარიულ-დაცვითი ზონა (სდზ)-ეს არის ფართობი, რომელიც ემიჯნება რადიოსადგურის ტექნიკურ ტერიტორიას. ამ ზონის გარე საზღვარი აიღება 2მ სიმაღლეზე მიწის ზედაპირიდან გაანგარიშებული E-ს (Πს) დონის სიდიდის მიხედვით, შესაბამის სიხშირეთა დიაპაზონში [1].

2. განაშენიანების შეზღუდვის ზონა (გ.შ.ზ.) - ეს არის ტერიტორია სადაც მიწის ზედაპირიდან 2მ-ის სიმაღლეზე ელ.მაგნიტური ველის სასაზღვრო-დასაშვები დონე აღემატება შესაბამის სანიტარიულ ნორმებს. განაშენიანების შეზღუდვის ზონის ზედა საზღვარი გამოითვლება პერსპექტიული განაშენიანებისათვის დაგეგმილი შენობების მაქსიმალური სიმაღლით, რომელთა ზედა სართულზე E(Π) არ აღემატება ნორმას.

3. ორივე სახის ზონის სიდიდე განისაზღვრება ყოველი კონკრეტული რადიოსადგურისათვის და დამოკიდებულია სადგურის ანტენების მიერ გამოსხივებული სიმძლავრის სიდიდეზე, სიხშირეზე, ადგილობრივ რელიეფზე, ანტენების მუშა ტექნიკურ პარამეტრებზე, ანძის (შენობის) სიმაღლეზე.

4. აღნიშნული ზონების აგება დაფუძნებულია გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველის დონის განაწილების ანგარიშზე r_m სიშორის და H_m სიმაღლის მიხედვით, მათ შორის $H_m=2m$ – სათვის, მიწის დონიდან. თუ რელიეფზე დაკვირვების წერტილი მდებარეობს ანძის ძირზე გატარებულ ჰორიზონტალს ქვემოთ, მაშინ H_m – ს ემატება h_n (იხ. ნახ. 1.).

5. იმ შემთხვევაში თუ გამოიყენება ორი (ან მეტი) რადიოსადგური, მაშინ თითოეულის სან-დაცვითი ზონის საზღვრებს ანგარიშობენ შემდეგნაირად:

$$S_{\Sigma}(H_m; r_m) = \left(\frac{E_1}{E_{ს-დ.დ}} \right)^2 + \left(\frac{E_2}{E_{ს-დ.დ}} \right)^2 + \dots + \left(\frac{E_n}{E_{ს-დ.დ.ი}} \right)^2 + \frac{\Pi_n}{\Pi_{ს-დ.დ}} = 1; \quad (27) \text{ სადაც,}$$

ა) E_1, E_2, \dots, E_n – რადიოსადგურების ელექტრო მაგნიტური ველის დამაბულობის საანგარიშო მნიშვნელობებია სხვადასხვა H_m – სათვის (მათ შორის $H_m=2m$ – ვის);

ბ) $E_{ს-დ.დ}$ – ელექტრული ველის დამაბულობის სასაზღვრო-დასაშვები დონეები შესაბამის სიხშირეთა დიაპაზონისათვის;

გ) Π_n – ელ. მაგ. ველის ნაკადის სიმკვრივის გაანგარიშებული n-ური სიდიდე;

დ) $\Pi_{ს-დ.დ}$ – სიმკვრივის სასაზღვრო-დასაშვები დონე (შესაბამის სიხშირეთა დიაპაზონისათვის).


6. E – ს, (-ს) გაანგარიშებულ მნიშვნელობების საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ H_m –სათვის აიგება დამოკიდებულება $S_{\Sigma}=f(H_k=const)$, რომელიც სქემატურად ნაჩვენებია ნახ 3-ზე, ან გრაფიკზე $S_f=1$ წერტილზე ტარდება აბსცისთა ღერძის პარალელური წრფე (პუნქტირით) და მრუდებთან გადაკვეთის წერტილებიდან (მაგ N 1,2,3,4) ეშვება პერპენდიკულარები აბსცისთა ღერძზე, ანუ r – ზე შესაბამისი H_1, H_2, H_3, H_4 – სათვის. მიღებული სიდიდეების საფუძველზე აიგება დამოკიდებულება $H_m=f(r_m)$; (იხ.ნახ. 4).

7. $H_m=2m$ სიმაღლეზე და $H_m=f(r_m)$ გრაფიკის დახმარებით განისაზღვრება სანიტარიულ-დაცვითი ზონის დაშორება. ამის შემდეგ პერსპექტიული განაშენიანების მოცემული სიმაღლის მიხედვით განისაზღვრება გ.შ.ზ-ს ზონის დაშორება (იხ. ნახ. 4).


8. იმ შემთხვევაში, თუ რელიეფი მიმართულია ანძიდან (შენობიდან) ქვემოთ, მაშინ $S_f=1$ და $H_m=f(r)$ –ის განსაზღვრა რჩება იგივე მაგრამ ს-დ.ზ და გ.შ.ზ-ს საზღვრების დაშორების განსაზღვრისათვის, ხდება ადგილობრივი რელიეფის ზედდება იმ მიმართულებაზე რომელიც იყო გაანგარიშებული რელიეფის გათვალისწინების გარეშე. ს-დზ-ს და გშზ-ს საზღვრების დაშორება ხდება რელიეფის მრუდის ცვლილების მიხედვით (იხ. ნახ. 5.). ს-დ ზ-ს და გ.შ.ზ-ს საზღვრების დადგენა ხდება ანტენის გამოსხივების ჰორიზონტალური დიაგრამის კუთხეების ფარგლებში, ე.ი. როგორც მაქსიმალური ასევე მინიმალური მნიშვნელობებისათვის.

9. ყველა გაანგარიშებული E-ს (-ს) მნიშვნელობებისა და მიმართულებების მიხედვით, რადიოსადგურის ირგვლივ აიგება ს-დ.ზ-ს და გ.შ.ზ-ს საზღვრები (იხ. ნახ. 6.).


10. სარელეო და სატელიტური სადგურების ს-დ.ზ-ს და გ.შ.ზ-ს საზღვრების დადგენა შეიძლება სხვადასხვა აზიმუტებზე Π-ს ცვლილების განსაზღვრით (10 მკვტ/სმ²-ის მქონე წერტილების ერთობლიობა იქნება აღნიშნული ზონების საზღვარი).




ნახ. 3. მუდმივი $S_{გ}=1$ დონის მრუდის განსაზღვრა H სიმაღლეზე დამოკიდებულებით



ნახ. 4. ს-დ.ზ-ს და გ.შ.ზ-ს საზღვრების დაშორების განსაზღვრა



ნახ. 5. ს-დ.ზ -ს და გ.შ.ზ - ის დაშორების განსაზღვრა რელიეფის გათვალისწინებით



ნახ. 6. სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონები

თავი VII

პროგრამული უზრუნველყოფა

მუხლი 11. ზოგადი დახასიათება

1. სატელიტური, რადიოსარელეო, ფიჭური კავშირგაბმულობის და რადიომაუწყებლობის სადგურების მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის სიდიდის განსაზღვრის პროგრამული უზრუნველყოფა ეფუძნება წინამდებარე მეთოდოლოგიას და იგი რელიზებულია „Visual Foxpro“-ს გარემოში.

2. „Visual Foxpro“ ეს არის გარემო, რომელიც მიეკუთვნება xBase ჯგუფს და გამოყენებულია პროგრამულ-ორიენტირებული პროგრამირების მეთოდები.

3. მოცემული პროგრამები ემყარება მონაცემთა ბაზას, რომელიც შეიცავს გადამცემი ანტენების ძირითადი პარამეტრების ცხრილებს და გათვლებისათვის საჭირო ბრძანებებს.

4. მოცემული მეთოდოლოგიის რეალიზაციისათვის გამოიყენება ორი პროგრამა:

ა) პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობისა და ნაკადის სიმკვრივის სიდიდეს 200 და 2000 მ ზონებისათვის;

ბ) პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობის E-ს და ნაკადის სიმკვრივის -ს სასაზღვრო-დასაშვებ ზონებს .

5. თითოეული პროგრამა თავის მხრივ შედგება ცალკეული პროგრამული მოდულებისაგან, რომლებიც ორიენტირებულია მოცემული ანტენის პარამეტრების დიალოგურ რეჟიმში შერჩევისა და დაყენებისათვის, აგრეთვე დაკვირვების წერტილების ანტენიდან დაშორების მიხედვით ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის განსაზღვრისათვის.

6. მოცემულია პროგრამული მოდული რომელიც გრაფიკულად ასახავს გასათვლელ ზონას და ზუსტად აფიქსირებს დაკვირვების წერტილების პარამეტრებს და ამ წერტილებში ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის სიდიდეს.

7. ჩატარებული გათვლების შედეგები აისახება მონიტორის ეკრანზე სპეციალური ანგარიშის ფორმით და შემდგომ იგი ამოიბეჭდება ქაღალდზე.

მუხლი 12. პროგრამებთან მუშაობის ძირითადი პრინციპები

პროგრამების გაშვება ხდება “DeskTop”–ზე მოთავსებულ პიქტოგრამებზე ორჯერ დაწკაპუნებით. შედეგად გაიხსნება Visual Foxpro-ს გარემო და ფანჯარა, რომელიც წარმოადგენს ცენტრს, საიდანაც ხდება განშტოება ცალკეულ პროგრამულ მოდულებზე.

მუხლი 13. ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის განსაზღვრა 200

და 2000 მ ზონებისათვის

1. ცენტრალურ ფანჯარაში ჩაირთვება ღილაკი “საბაზო”, (ან “სარელეო” –საჭიროების მიხედვით) და მივიღებთ ფანჯარას “ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის განსაზღვრა”;

2. ფანჯრის ტექსტურ ბოქსებში ავტომატურ ან დიალოგურ რეჟიმში ჩაიწერება მოცემული ანტენისა და დაკვირვების წერტილების პარამეტრები. შემდეგ ჩაირთვება ღილაკი “გათვლა”;

3. მიღებული ფანჯარა ასახავს ანგარიშის სახით შედეგებს, რომელთა ამობეჭვდა ქაღალდზე ხორციელდება ამობეჭვდის ღილაკის ჩართვის შედეგად;

4. 200 ან 2000 მ ზონებისათვის გათვლების ჩატარებისათვის უნდა მოინიშნოს ან მოიხსნას მონიშვნა სპეციალური მონიშვნის ბოქსზე დაწკაპუნებით;

5. გრაფიკულ პროგრამაზე გადასვლისათვის უნდა ჩაირთოს ღილაკი “გრაფიკა”. გაჩნდება ფანჯარა დამატებითი სამუშაო ზოლებით დაკვირვების ობიექტების ჩართვისათვის;

6. გრაფიკულ ფანჯარის სამუშაო ველზე დაწკაპუნებით ავტომატურად განისაზღვრება ანგარიშისათვის საჭირო წერტილის კორდინატები. ჩაირთვება ღილაკი “სიმკვრივე” და მოცემულ დაკვირვების წერტილთან გაჩნდება ელექტრომაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის მნიშვნელობა. მიღებული შედეგების ანგარიშის ამობეჭვდისათვის უნდა ჩაირთოს ღილაკი “ამობეჭვდა”.

7. 3ვ/მ ან 10 მკვტ-იანი ზონის გაანგარიშებისათვის “DeskTop”–ზე უნდა ორჯერ დავაწკაპუნოთ შესაბამისი პროგრამის პიქტოგრამაზე, შედეგად “Visual Foxpro”–ს გარემოში მივიღებთ ცენტრალურ ფანჯარას, საიდანაც ხდება განშტოება სხვადასხვა პროგრამულ მოდულებზე. შემდგომ გამოიყენება ზემოთ აღწერილი ძირითადი მანიპულაციები.

თავი VIII

ელექტრომაგნიტური ველის დამაბულობის (ნაკადის სიმკვრივის) სიდიდის ინსტრუმენტური გაზომვების ჩატარების მეთოდი

მუხლი 14

1. ელექტრომაგნიტური ველის E დამაბულობის (–ნაკადის სიმკვრივის) ინსტრუმენტური გაზომვები ტარდება რადიოტექნიკური ობიექტის განთავსების ადგილზე ელექტრომაგნიტური მდგომარეობის (ფონის) ფაქტობრივი განსაზღვრისათვის და წარმოადგენს ჩატარებული თეორიული გაანგარიშებების უტყუარობის შეფასების საშუალებას.

2. გაზომვები ტარდება :

ა) გამაფრთხილებელი სანიტარიული ზედამხედველობის ეტაპზე, რადიოტექნიკური ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს;

ბ) მიმდინარე სანიტარიული ზედამხედველობის ეტაპზე, რადიოტექნიკური ობიექტის სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების ან მუშაობის რეჟიმის (გამოსხივებული სიმძლავრის, საანტენო-საფიდერო ტრაქტის და ა.შ.) შეცვლის დროს;

გ) რადიოსადგურის განლაგების სიტუაციური პირობების შეცვლის დროს (ანტენების ადგილმდებარეობის, აზიმუტის, სიმაღლის, განაშენიანების პირობების და ა.შ.);

დ) ელექტრომაგნიტური ველის დონის შესამცირებელი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში);

ე) გეგმური საკონტროლო გაზომვებისათვის (არა უმეტეს წელიწადში ერთხელ).

მუხლი 15 მომზადება გაზომვების ჩასატარებლად.

1. გაზომვების ჩატარებისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:

ა) გაზომვების ჩატარების დროის და პირობების შეთანხმება რადიოტექნიკური ობიექტის მფლობელთან;

ბ) იმ უბნის მდგომარეობის რეკოგნოსცირება, სადაც უნდა ჩატარდეს გაზომვები;

გ) გაზომვების უბნის და სავარაუდო ტრასების (მარშრუტების) შერჩევა;

დ) რადიოტექნიკური ობიექტის პერსონალსა და გამზომი ჯგუფს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფა;

ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების აუცილებლობის განსაზღვრა და უზრუნველყოფა (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) გამზომი აპარატურის მომზადება.

მუხლი 16. გაზომვების ტრასების შერჩევა

1. ტრასების რიცხვი განისაზღვრება ადგილობრივი რელიეფით, შენობა-ნაგებობების არსებობით, ანტენების რაოდენობით, მუშა სექტორების გახსნილობის კუთხით და გაზომვების ჩატარების მიზნებით.

2. როგორც წესი სანიტარიულ-დაცვითი ზონის დასადგენად შეირჩევა რამდენიმე ტრასა.

3. მიმდინარე სანიტარიული ზედამხედველობითი სამუშაოების ჩატარების დროს, როცა სადგურის მუშა პარამეტრები და მისი ექსპლუატაციის პირობები უცვლელია, გაზომვები შეიძლება ჩატარდეს ერთი ან ორი მთავარი ტრასის გასწვრივ, ან სანიტარიულ-დაცვითი ზონის საზღვრის მიმართულადაც.

4. ტრასების შერჩევას უნდა იყოს გათვალისწინებული მიმდებარე ტერიტორიის ხასიათი (რელიეფი, ტყის არსებობა, განაშენიანება და ა.შ.), რომლის შესაბამისად მიმდებარე ტერიტორია იყოფა სექტორებად. თითოეულ სექტორში, სადგურის მიმართ, შეირჩევა რადიალური ტრასა (გამოსხივების მინიმუმის და მაქსიმუმის გათვალისწინებით).

5. ტრასა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გაზომვების ბაქნებიდან გამომსხივარ ანტენამდე უნდა იყოს პირდაპირი ხედვა, ხოლო ტრასა თავისუფალი;

ბ) ტრასის გასწვრივ, ანტენის გამოსხივების დიაგრამის გახსნილობის ფარგლებში, არ უნდა იყოს ლითონკონსტრუქციები და მსგავსი ნაგებობები, ელექტროგადაცემის ხაზები და სხვა დამრჩდილავი ან ამრეკლი საგნები;

გ) ტრასის დახრა ანტენის მიმართ უნდა იყოს მინიმალური;

დ) ტრასა უნდა იყოს ადვილად მისადგომი, როგორც ქვეითად მოსიარულისათვის ასევე ავტოტრანსპორტისათვის;

ე) ტრასის სიგრძე განისაზღვრება სანიტარიულ-დაცვითი და განაშენიანების ზონების თეორიული გათვლების საფუძველზე და შეირჩევა შემდეგი გამოსახულებით:

$$L = (1.5 - 2) \times (L_{ს-დზ} + L_{გზზ}) \quad (28)$$

სადაც,

ე. ა) $L_{ს-დზ}$ და $L_{გზზ}$. შესაბამისად გაანგარიშებული ზონების საზღვრების დაშორების სიგრძეებია;

ვ) გაზომვების ბაქნებს შორის ინტერვალი იცვლება 25-50 და მეტ მეტრამდე, ანტენიდან დაშორების მანძილისა და რელიეფის შესაბამისად;

ზ) ბაქნების შერჩევას, მათ ირგვლივ 10 მეტრის რადიუსში არ უნდა იყოს მაღალი საგნები (10 და მეტი მეტრის).

მუხლი 17. გაზომვების ჩატარების წესები და აპარატურა

1. გაზომვების ჩატარების წინ უნდა იყოს მომზადებული შესაბამისი აპარატურა მისი ექსპლუატაციის ინსტრუქციის მიხედვით. ხელსაწყოები უნდა იყოს ვარგისი და გააჩნდეს

სახელმწიფო შემოწმების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი. ინსტრუმენტული კონტროლისა და გაზომვებისათვის ამჟამად გამოიყენება II-3-9, II 3-18 , II 3-19 , II 3-20 და სხვა ნებადართული ხელსაწყოები.

2. გაზომვები უნდა ჩატარდეს იმ დაკვირვების წერტილებში, რომლებიც მდებარეობენ ს-დ.ზ.-ს და გ.შ.ზ.-ს შიგ და გარეთ.

3. გაზომვების ჩატარებისას ხელსაწყოს მიმღები ანტენა ორიენტირდება სივრცეში მიღებული სიგნალის პოლარიზაციის მიხედვით.

4. გაზომვები ტარდება შერჩეული ბაქნის ცენტრში 0.5-2 მეტრის სიმაღლეებზე, სადაც იძებნება ყველაზე მაქსიმალური ჩვენება (ხელსაწყოს ინდიკატორზე) რომელიც აღირიცხება როგორც ჩვენება. საჭიროების შემთხვევაში ხდება მიმღები ანტენის სივრცეში მდგომარეობის მდორედ გადაადგილება, როგორც ჰორიზონტალურ ასევე ვერტიკალურ სიბრტყეებში.

5. თითოეულ ბაქანზე უნდა ჩატარდეს არა უმეტეს 3 გაზომვისა. მარეზულტატირებელი სიდიდე იქნება საშუალო არითმეტიკული.

6. დამორების r_{m} -ის გასაზომად ანძის (შენობის) ძირიდან გაზომვის წერტილამდე გამოიყენება თეოდოლიტი, გამზომი ლენტი, ადგილ- მდებარეობის რუქა.

7. სანიტარიული ზედამხედველობის ჩატარებისას შენობა-ნაგებობებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოსხივების მეორადი წყაროები რომლებსაც წარმოადგენენ სხვადასხვა ლითონკონსტრუქციები, ხელოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებები. მეორადი (არეკლილი) გამოსხივება ურთიერთობს რა პირდაპირ ტალღასთან, იწვევს ინტერფერენციას და შედეგად არასწორ ჩვენებებს ხელსაწყოს ინდიკატორზე. ასეთ შემთხვევებში გაზომვებს ატარებენ როგორც პირდაპირი ხედვის უბანში, ასევე რადიოჩრდილებში.

8. მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში აუცილებელია გამოკვლევულ იქნეს პირველი რიგის შენობები რადიოსადგურის მიმართ (ე.ი. ყველაზე ახლოს მდებარე). იმ შემთხვევაში, თუ სადმე E (II) აღემატება ნორმას, მაშინ გაზომვები ტარდება მეორე რიგში მდებარე შენობებში და ა.შ.

9.E-ს და II-ს განსაზღვრისას, გაზომვები ტარდება ფანჯრებთან, შესასვლელ კარებთან, ოთახის ცენტრში, აივანზე დაწყებული მინიმალური სიმაღლიდან 2 მეტრამდე. ამ შემთხვევებში მანძილი გადამსხივებელ საგნებამდე უნდა იყოს 0.5 და მეტი მეტრი.

10. ჩატარებული გაზომვების შედეგების საფუძველზე დგება სპეციალური ოქმი, ხოლო შედეგები ჩაიწერება რადიოობიექტის სანიტარიულ პასპორტში.

მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესები

სანწ 2.1.4. 011-05

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე და ადგენს ჰიგიენურ მოთხოვნებს მიწისქვეშა წყლების დაცვისადმი იმ სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის არაკეთილსასურველი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი სასმელად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა და უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე მიწისქვეშა წყლების ხარისხის კონტროლის წესს.

2. სანიტარიული წესების მოთხოვნები ვრცელდება იმ მიწისქვეშა წყლებზე, რომლებიც გამოიყენება ან პოტენციურად ვარგისია სასმელი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისა და სამკურნალო მიზნებისათვის.

მუხლი 2. ტერმინები და განსაზღვრებები

ა) წყალადება – ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებების (ასალები ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი) გამოყენებით ან უამისოდ;

ბ) წყლოვანი ჰორიზონტი – მიწისქვეშა წყლის ობიექტი, რომელიც ხასიათდება მსგავსი ფილტრაციული თვისებების მქონე მთის ქანებით;

გ) წყალსარგებლობა – მოქალაქეებისა და იურიდიული პირების იურიდიულად განპირობებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია წყლის ობიექტების გამოყენებასთან სასმელი,

საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, სარეკრეაციო, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმისა და სხვა მიზნებისათვის, ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ;

დ) სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური ნორმატივები – მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ წყლის კეთილსაიმედო ორგანოლექტიკური თვისებების, ეპიდემიოლოგიური და რადიაციული უსაფრთხოების, ქიმიური შედგენილობის უვნებლობის კრიტერიუმებს;

ე) გრუნტის წყლები – უდაწნეო მიწისქვეშა წყლები, რომელიც განლაგებულია პირველი წყალგამძლე ფენის ზედაპირზე, მათი კვებისა და გავრცელების არე თანხ-ვედრილია;

ვ) სანიტარიული დაცვის ზონა – ტერიტორია და აკვატორია, რომელზედაც დგინდება განსაკუთრებული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური რეჟიმი ცენტ-რალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროს წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილებისა და წყალსადენის ნაგებობების დაცვის მიზნით; აგრეთვე კურორტებისა და საკურორტო ადგილების ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნებისა და მათი დაბინძურებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით;

ზ) წყლის დაბინძურების წყარო – წყარო, რომელსაც ზედაპირულ ან მიწისქვეშა წყლებში შეაქვს დამაბინძურებელი ნივთიერებები, მიკროორგანიზმები ან სითბო;

თ) წყლის ხარისხის კონტროლი – წყლის ხარისხის მაჩვენებლების დადგენილ ჰიგიენურ ნორმებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება;

ი) წყალში ნივთიერებების მავნეობის მალიმიტირებელი ნიშანთვისება – ხასიათდება წყალში ნივთიერების უმცირესი უვნებელი კონცენტრაციით;

კ) საორიენტაციოდ დასაშვები დონე (სდდ) – დროებითი ჰიგიენური ნორმატივი, შემუშავებული ტოქსიკურობის პროგნოზირების გამოთვლითი და ექსპრეს-ექსპერიმენტული მეთოდების საფუძველზე, გამოიყენება გამაფრთხილებელი სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელებისას და დგინდება 3 წლის ვადით;

ლ) წყლის დაცვა დაბინძურებისაგან – ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია დაბინძურების არიდების, შეზღუდვისა და შედეგების თავიდან აცილებისათვის;

მ) წყლის ობიექტების დაცვა – საქმიანობა მიმართული წყლის ობიექტების დასაცავად და აღსადგენად;

ნ) სასმელი წყალი – წყალი, რომელიც თავისი ხარისხით ბუნებრივ მდგომარეობაში ან მომზადების შემდეგ შეესაბამება ჰიგიენურ ნორმატივებს და გამოიხსნის სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის ან საკვები პროდუქტების წარმოებისათვის;

ო) მიწისქვეშა წყლები – წიაღისეული, წიაღში ნებისმიერ აგრეგატულ (თხევადი, მყარი, აირი), სტატიკურ თუ დინამიკურ მდგომარეობაში არსებული წყალი, მათ შორის, მინერალური;

პ) წიაღისეული – წიაღში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები;

ჟ) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) – წყალში ქიმიური ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველდღიურად ორგანიზმში მოხვედრისას, არ ახდენს უშუალო ან არაპირდაპირ ზემოქმედებას ახლანდელი და მომავალი თაობების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და არ აუარესებს წყალმომარაგების ჰიგიენურ პირობებს;

რ) სასმელი და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა – ნაგებობების, მოწყობილობებისა და მილსადენების კომპლექსი, რომელიც გამიხსნის სასმელი წყლის აღების, მომზადების (ან მის გარეშე), შენახვისა და წყლის ხარჯვის ადგილებში მიწოდებისათვის და ხელმისაწვდომია საერთო სარგებლობისათვის;

ს) არაცენტრალიზებული წყალმომარაგება – მოსახლეობის მიერ წყალმომარაგების მიწისქვეშა წყაროების გამოყენება სასმელი და სამეურნეო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, წყალამლები მოწყობილობების გამოყენებით გამანაწილებელი ქსელის გარეშე;

ტ) მიწისქვეშა წყლების დაბინძურება – ანთრო-პოგენური საქმიანობით განპირობებული დაბინძურება, რომელიც იწვევს წყლის ხარისხის ცვლილებას ფონურ მაჩვენებლებთან შედარებით;

უ) კმაგაწმენდილი ჩამდინარე წყალი – სოფლის მეურნეობაში (სარწყავად, გასანოყიერებლად) გამოსაყენებელი ჩამდინარე წყალი, რომელმაც გაიარა შესაბამისი დამუშავება და შეესაბამება დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით მიწისქვეშა წყლები ითვლება დაბინძურებულად წყლის შედგენილობისა და თვისებების დინამიკური ცვლილებების ტენდენციის გამოვლინებისას, რომელიც განპირობებულია ნიადაგის ზედაპირიდან, წყალსადი-ნარიდან, მოსაზღვრე წყალშემცველი ჰორიზონტებიდან დაბინძურების შედეგით, ასევე სხვა მინერალური შედგენილობის (ფონთან შედარებით) წყლების ლატერალური შედინებით, კვებისა და განტვირთვის პირობების ცვლილებით, ექსპლუატაციაში მყოფი და ზედაპირიდან პირველი წყალშემცველი ჰორიზონტის დონის ცვლილებით. დაბინძურების საშიშროების ხარისხი შეიძლება შეფასდეს 1-ლ დანართში მოცემული ჰიგიენური კლასიფიკაციის მიხედვით.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა ახდენს ან შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე, ახორციელებენ ღონისძიებებს მათი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

3. მიწისქვეშა წყლების სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფი ღონისძიებების სისტემა ითვალისწინებს:

ა) სასმელ-სამეურნეო და სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენებული მიწისქვეშა წყლების შედგენილობისა და თვისებების ჰიგიენურ ნორმირებას;

ბ) ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული (სამთო-სანიტარიული) დაცვის ზონების ორგანიზაციასა და ექსპლუატაციას;

გ) წიაღით სარგებლობის დროს ინფორმაციის წარდგენის წესის რეგლამენტირებას სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად (მათ შორის სასმელი წყლის მოსაპოვებლად), ასევე იმ მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

დ) იმ სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის რეგლამენტირებას, რომელიც ახდენს ან შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მიწისქვეშა წყლების სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე (არაცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების ჩათვლით);

ე) ტექნოლოგიების, ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების სანიტარიულ-ჰი-გიენურ შეფასებას, რომლებიც უშუალო ან არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე.

მუხლი 4. მოთხოვნები მიწისქვეშა წყლების სანიტარიული დაცვისადმი

1. მიწისქვეშა წყლების სანიტარიული დაცვა უნდა განხორციელდეს:

ა) ბურღვითი სამუშაოებისას;

ბ) ღია ჭრილით, კარიერებითა და შახტური ხერხით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას;

გ) სასოფლო-სამეურნეო მიწდვრების კმაგაწმენდილი ჩამდინარე წყლებითა და ნალექებით მორწყვისა და განაყოფიერებისას;

დ) ღრმა და პროდუქტიულ ჰორიზონტებში თხევადი ნარჩენების ჩატუმბვისას;

ე) მყარი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების პოლიგონების, რადიოაქტიური ნარჩენების საცავების, შლამსაცავების, ნაცარყრილების მოწყობისა და ექსპლუატაციისას;

ვ) მაგისტრალური პროდუქტსადენების გაყვანისას;

ზ) გაზის მიწისქვეშა საცავების მოწყობისა და ექსპლუატაციისას;

თ) სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის ჩატარებისას, ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყაროების, სამკურნალო მიწისქვეშა წყლებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ფარგლებში;

ი) ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისას, რომელიც ცვლის მიწისქვეშა წყლების კვებისა და განტვირთვის პირობებს, აგრეთვე იმ სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისას, რომელიც გავლენას ახდენს მიწისქვეშა წყლების ხარისხზე.

2. მიწისქვეშა წიაღისეულის ძიებისა და შესწავლისას, სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს მიწისქვეშა წყლოვანი ჰორიზონტის გახსნის შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ზომები მიწისქვეშა წყლების დასაცავად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობის დროს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან სანიტარიული დაცვის ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს:

ა) ნედლეულის, საწარმოო პროდუქტის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების, საყოფაცხოვრებო თხევადი და მყარი ნარჩენების შესანახად წყალშეუღწევადი ტევადობის არსებობა;

ბ) წყალშემცველ ჰორიზონტებში ნიადაგის ზედაპირიდან დაბინძურებული წყლების ფილტრაციის თავიდან აცილება;

გ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემკრები სისტემის ჰერმეტიზაცია;

დ) დამუშავებული კარიერების რეკულტივაცია.

4. სხვადასხვა დანიშნულების ჭაბურღილების (სადიებო, სამეთვალყურეო, საჭირბნი, მშთანთქმელი, ნავთობის, გაზის, სამკურნალო-მინერალური წყლების და სხვ.) ბურღვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) წყალშემცველ ჰორიზონტში დაბინძურებული წყლების მიღგარეთა გადადინების თავიდან ასაცილებ-ბელი ღონისძიებები;

ბ) რეაგენტების გამოყენება, რომელიც დაშვებულია სანიტარიული წესებითა და ნორმებით;

გ) ჭაბურღილის პირების შემოზვინვა;

დ) ფხვიერი მასალისა და ქიმიური რეაგენტების უსაფრთხო შენახვა-დასაწყობება.

5. საბურღი სამუშაოების დაწყებამდე საწვავ-საპოხი მასალების, რეაგენტების, საბურღი ხსნარების და სამრეწველო ნარჩენების შესანახი მოცულობების განთავსების ადგილები უნდა იქნეს შემოზვინული და უზრუნველყოფილი ჰიდროიზოლაციით.

6. ჰიდროგეოლოგიური დანიშნულების ჭაბურღილები, მათ შორის სადიებო, საექსპლუატაციო და სათვალთვალო, რომელიც გამოუსადეგარია ექსპლუატაციისათვის ან რომელთა გამოყენება აღარ ხდება, ექვემდებარება ლიკვიდაციას ან კონსერვაციას არსებული წესის მიხედვით.

7. ნაბურღი შლამი, მყარი სამრეწველო ნარჩენები, შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მასალები და რეაგენტები, უნდა გაიგზავნოს შლამ საყარებზე და სამრეწველო ნარჩენების სამარხ პოლიგონზე, ნარჩენების საშიშროების კლასის მიხედვით. შლამსაყარებისა და სამრეწველო ნარჩენების პოლიგონების განლაგებისათვის შერჩეული ტერიტორიები და მათი მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს.

8. მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან სანიტარიული დაცვის მიზნით დაუშვებელია:

ა) ნარჩენების ჩამარხვა, საყრელების, სასაფლაოების, საქონლის სამარხების, ქიმიური, ბიოლოგიური ან რადიაციული დაბინძურების წყარო ობიექტების განლაგება იმ მიწისქვეშა წყლების კვებისა და განტვირთვის არეში, რომლებიც გამოიყენება ან პერს-პექტივაში შესაძლებელია გამოიყენებულ იქნეს სასმელი, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო მიზნებისათვის;

ბ) სასმელი ხარისხის მქონე მიწისქვეშა წყლების სხვა მიზნებისათვის დაუსაბუთებელი გამოყენება;

გ) სხვადასხვა სახის არაეკრანირებული მიწურის საცავების, საგროვებელი გუბურების, აგრეთვე კარსტული ძაბრებისა და სხვა ღრმულების გამოყენება ბურღვის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლებისა და შლამის ჩასაშვებად;

დ) მიწისქვეშა წყლების დაბინძურება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას, წყლის დონის დამწვევი სამუშაოების ჩატარებისას, სამელიორაციო მიწებზე სადრენაჟო სისტემების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას;

ე) შხამქიმიკატებისა და სასუქების შენახვა-გამოყენება არაცენტრალიზებული წყალმომარაგებისათვის გამოყენებული გრუნტის წყლების წყალშემკრებების საზღვრებში;

ვ) სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა ჩამდინარე წყლებით, თუ ისინი ახდენენ ან შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინონ მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე;

ზ) შთანთქმელი ჭაბურღილების ბურღვა და შთანთქმელი ჭების მოწყობა, აგრეთვე, გაზისა და ნავთობის დამუშავებული საბადოს, შახტებისა და კარიერების, ბუნებრივი მიწისქვეშა სივარულიების გამოყენება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდი-ნარე წყლების ჩასაშვებად, თუ იგი გამოიწვევს მიწისქვეშა წყლების შემცველი ჰორიზონტების დაბინძურებას.

9. მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვა, აგრეთვე, ჩამდინარე წყლების ჩაშვება დასაშვებია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

10. მიწისქვეშა წყლების ღრმა ჰორიზონტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, წყლის ხარისხის კე-თილსაიმედო გრძელვადიანი პროგნოზისა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე.

11. წყალსარგებლობის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისათვის, ავარიასაშიშ ობიექტებსა და ნაგებობებზე, მათ შორის პროდუქტსადენებზე, ნავთობის ჭაბურღილებზე, ჩამდინარე წყლების მაგროვებლებზე, საკანალიზაციო კოლექტორებზე და ა.შ. უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ავარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

12. მიწისქვეშა წყლების წყაროებზე სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების მოწყობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიწისქვეშა წყლის რეჟიმის სტაბილურობას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და ქიმიური, ან მიკრობული დამაბინძურებლის არსებობას.

13. წყალმომარაგების მიწისქვეშა წყაროს ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების შემთხვევაში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დასაშვებია მხოლოდ დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე (შემდგომ – ზდკ) შემცირების შემდგომ, შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

ა) იმ სხვა წყალშემცველი ჰორიზონტების წყლების შერევა, რომლებიც არ შეიცავენ აღნიშნულ დამაბინძურებელს;

ბ) წყალმომარაგების ზედაპირული წყაროების წყლებთან შერევა;

გ) ჭაბურღილის ექსპლუატაციის შეჩერება;

დ) დაუბინძურებელ წყალშემცველ ჰორიზონტებზე მოწყობილი ჭაბურღილებით შეცვლა.

14. ექსპლუატაციაში არსებული და სარეზერვო ჭაბურღილები, რომლებიც განლაგებულია შესაძლო დაბინძურების ზონებში, ექვემდებარება ჰერმეტიზაციას, ხოლო უმოქმედო ჭაბურღილებს უნდა ჩაუტარდეს ტამპონაჟი.

15. წყალმომარაგების მიწისქვეშა წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების სარტყლების საზღვრების დადგენა და ამ ტერიტორიების დაბინძურებისაგან დაცვის ძირითადი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული სანიტარიული წესებისა და ნორმების „წყალ-მომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები“ საფუძველზე.

მუხლი 5. ჰიგიენური მოთხოვნები მიწისქვეშა წყლების ხარისხისადმი

1. ჰიგიენური მოთხოვნები მიწისქვეშა წყლების ხარისხისადმი განისაზღვრება წყალსარგებლობის სახეობებისა და მიზნების მიხედვით.

2. მიწისქვეშა წყლების ხარისხის ჰიგიენური კრიტერიუმებია:

ა) ქიმიური ნივთიერებების ზდკ და სდდ;

ბ) სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური და სანიტარიულ-ქიმიური მაჩვენებლების დასაშვები დონეები;

გ) რადიაციული უსაფრთხოების ნორმატივები.

3. თუ ტექნოლოგიურ პროცესში, რომელიც უშუალო ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს მიწისქვეშა წყლების ხარისხზე, გამიზნულია ისეთი ნივთიერების გამოყენება, რომლისთვისაც არ არის დადგენილი წყალში მათი შემცველობის ჰიგიენური ნორმატივი, შესაბამისი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა ან მომხმარებელმა უნდა უზრუნველყოს ნორმატივებისა და განსაზღვრის მეთოდების შემუშავება, გაზომვის 0,5 ზდკ-ზე ნაკლები ქვედა ზღვრით.

4. მიწისქვეშა წყლებში პესტიციდების კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ჰიგიენურ ნორმატივს.

5. მიწისქვეშა წყლებში აღმოჩენილი ნივთიერებების პოტენციური საშიშროება ფასდება მათი კანცეროგენური და მუტაგენური საშიშროების გათვალისწინებით, ჰიგიენური ნორმატივისა და დასაშვები დღეღამური დოზის გადაჭარბების ჯერადობით.

6. წყალში ტოქსიკური მოქმედების საერთო მექანიზმის მქონე (მათ შორის კანცეროგენური), საშიშროების პირველი და მეორე კლასის რამდენიმე ნივთიერების არსებობის შემთხვევაში,

თითოეული მათგანის კონცენტრაციის შესაბამის ზდკ-სთან შეფარდების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს:

$$\frac{C_1}{\text{ზდკ}_1} + \frac{C_2}{\text{ზდკ}_2} + \dots + \frac{C_n}{\text{ზდკ}_n} \leq 1,$$

C_1, \dots, C_n – წყლის ობიექტის წყალში აღმოჩენილი n ნივთიერებების კონცენტრაციები; $\text{ზდკ}_1, \dots, \text{ზდკ}_n$ – ამავე ნივთიერებების ზდკ.

7. არაკეთილსაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიური სიტუაციის მქონე ტერიტორიებისათვის შესაძლებელია დადგინდეს განსაკუთრებით მკაცრი ჰიგიენური ნორმატივები.

8. მიწისქვეშა წყლებში დაბინძურების გამოვლენისას, ოპერატიული რეაგირების მიზნით, საწარმოო კონტროლის პროგრამაში სავალდებულოა ჩართულ იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: პერმანგანატული ჟანგვალობა, ამონიუმის აზოტი, სუნი, სიმღვრივე და სანიტარიულ-მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები. ამასთან ერთად, საწარმოო კონტროლის პერიოდულობა (არანაკლებ თვეში ერთხელ) უნდა უზრუნველყოფდეს სარწმუნო ინფორმაციის მიღებას.

დანართი 1

მიწისქვეშა წყლების ჰიგიენური კლასიფიკაცია ტექნოგენური ფაქტორის გავლენის ხარისხის მიხედვით

№	მიწისქვეშა წყლების ხარისხზე ტექნოგენური ფაქტორების ზეგავლენის ხარისხი	მიწისქვეშა წყლების დაბინძურების ხარისხი
1.	დასაშვები	ფონურ მაჩვენებლებს აჭარბებს პერიოდულად, მაგრამ მათი მაქსიმალური დონე წლის განმავლობაში ჰიგიენურ ნორმატივებზე დაბალია.
2.	სუსტად გამოხატული	სინჯის ყოველთვიური აღებისას, წლის განმავლობაში, ტექნოგენური დაბინძურების მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია, დაბინძურების მაქსიმალური დონეები არ აღემატება ჰიგიენურ ნორმატივებს.
3.	ზღვრული	ფონურ მაჩვენებლებს აჭარბებს სტაბილურად, მაგრამ მათი მაქსიმალური დონეები ნაკლები ან ტოლია ზდკ-ის.
4.	საშიში	ფონურ მაჩვენებლებს აჭარბებს სტაბილურად, მათი მაქსიმალური დონე მეტია ზდკ-ზე.

დანართი 2

სხვადასხვა ობიექტების გავლენის ზონაში არსებულ მიწისქვეშა წყლებში აღმოჩენილი პრიორიტეტული დამაბინძურებლები

	სამეურნეო საქმიანობის ობიექტები	მიწისქვეშა წყლებში ჰიგიენური ნორმატივების გადაჭარბებით აღმოჩენილი დამაბინძურებელი ნივთიერებები
1.	ნავთობის ბაზები	ნავთობპროდუქტები, ზან-ი, ფენოლები, რკინა, ბრომი, ამონიუმი, მანგანუმი
2.	ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, ზან-ი, ტყვია, ქლორიდები, სულფატები, ჟქმ, ფორმალდეჰიდი, ამონიუმი, ნიტრატები, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ქსილოლი
3.	აეროპორტები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები
4.	ნავთობის საბადოები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, ქლორიდები, ზან-ი, ვერცხლისწყალი, მანგანუმი, რკინა
5.	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, ამონიუმი, რკინა, კადმიუმი, აკრილამიდი, სტიროლი, ქლორიდები, ზან-ი, ტყვია, მანგანუმი
6.	სამრეწველო ნარჩენების პოლიგონები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, რკინა, კადმიუმი, ტყვია, ვერცხლისწყალი, სტიბიუმი, ამონიუმი, ნიკელი, ქრომი, ბენზოლი
7.	ორგანული სინთეზის საწარმოები	ნავთობპროდუქტები, ბენზოლი, ფორმალდეჰიდი, ეთილბენზოლი, მონოეთანოლამინი, კადმიუმი, ტყვია, ქლოროფორმი, ნიკელი, ვერცხლისწყალი, ქრომი, ზან-ი, კობალტი, დარიშხანი, მანგანუმი, ბრომი, ბორი, ამონიუმი, თუთია, სპილენძი
8.	მუნიციპალური გამწმენდი ნაგებობები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, რკინა, ამონიუმი, ნიტრატები, ნიტრატები, ბრომი, ზან-ი.
9.	სასოფლო-სამეურნეო საწარმოები	პესტიციდები, ამაკი, ფენოლები, ნავთობპროდუქტები, ზან-ი, ნიტრატები, ნიტრატები, მინერალიზაცია, ქლორიდები.
10.	ნავთობ- და გაზსადენები	ნავთობპროდუქტები, ზან-ი
11.	სალექარ-გუბურები	ნავთობპროდუქტები, რკინა, მინერალიზაცია, ზან-ი, ბრომი, ბორი, ამონიუმი
12.	სარწყავი მიწდებები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, ამონიუმი, მინერალიზაცია, ნიტრატები, ნიტრატები, ქლორიდები
13.	თბოენერგეტიკის საწარმოები	ნავთობპროდუქტები, ფენოლები, ქლორიდები, სულფატები, ზან-ი, ამონიუმი, ნიკელი, ტყვია, მანგანუმი, რკინა, ალუმინი, ვოლფრამი
14.	მადანგამადიდრებელი და მეტალურგიული საწარმოები	ქსანთოგენატები, მანგანუმი, რკინა, ბარიუმი, სულფატები, მინერალიზაცია, ნიკელი, სტრონციუმი, ტიტანი, ფტორი, ალუმინი, დარიშხანი, თუთია, ტყვია, სპილენძი, მოლიბდენი, ციანიდები, რიოდანიდები

ზან-ი, * – ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები.
 ჟქმ ** – ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება.